

114
1955/3

ბიბლიოთეკა



განათლება

4

სსსრკ



1955

გნათობი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მეცნიერული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხრე

6902

4



★

ა კ რ ი ლ ი

19

სახელგამი
თბილისი

55



იოსებ ნონაშვილი



ლენინის ძეგლი

სახლების რკალი... ჭადრების წყება...
აქ დაედგმება ძეგლი დიდ ლენინს.
ფიანდაზივით ქვეშ გაეშლება
ქალაქი, მისი გულივით ვრცელი.

დიდი ლენინის ძეგლი რა ხანი
ჩვენ გულში გვიდგას,
ჩვენს გულს ამშვენებს.
დაე, ლენინის ძეგლი მაღალი
ახლა ქალაქის გულშიც აშენდეს.

ის, მზესთან ერთად, სინათლეს მოგვეფენს,
ზეიმზეც მის წინ გავივლით მტკიცედ,
რომ ყვავილები ვესროლოთ მშობელს,
რომ მიღწევათა პატაკი მივცეთ.

სადაც ხვალ ბრძენი მხრებს ლაღად გაშლის
დღეს ოსტატების ჭოხია ფიცრის.
მოედნის ბოლოს ქოხშიც და ბაღშიც
კვერითხუროთა ხმაური ისმის.

დგას მოქანდაკე გაღებულ კართან,
შუბლზე აყრია ფიქრის ღრუბლები.
მიედივარ მასთან, როგორც ღვიძლ ძმასთან,
და სიყვარულით ვესაუბრები.

— ლენინის ძეგლი ისეთი უნდა,
ხალხმა რომ ძეგლი აუგო გულში.
როგორიც თვალწინ გვეხატვის მუდამ —
სინათლის მამა, სიბნელის ურჩი.

მისი აზრით ეს ძეგლიც უნდა
უძლებდეს დროთა ქარსა და გრიგალს.
ისეთი იყოს... ისეთი, თუნდაც,
შენც, მეგობარო, გულში რომ გიდგას.



ის შორცხვად ამბობს: — ლენინის სახე
ქანდაკებაში ხალხს რომ ვაჩვენო,
ვეცდები...

მაგრამ აბა რას გავხდე...
უნდა ახალი მიჭელ-ანჯელო.

— არა, ძმობილო, ნუ იტყვი ამას,
შენი მკლავის და გულისა გწამდეს.
ლენინი თვითონ შთაგბერავს ძალას
და აგამაღლებს მეშვიდე ცამდე.

ოსტატო ჩემო, მომეცი ხელი,
გახსენი შუბლი, ასე ნუ ღელავ.
ჩვენც ჩვენი საქმით ძეგლს ვუგებთ ლენინს,
კეთილი საქმით ძეგლს ვუგებთ ყველა.

...დიდი ლენინის ძეგლი რა ხანი
ჩვენ გულში გვიდგას,
ჩვენს გულს ამშვენებს.
დაე, ლენინის ძეგლი მაღალი
აბლა ქალაქის გულშიც აშენდეს.

ნიკოლოზ ნალირაძე



ღ ე ნ ი ნ ი

მშობლიურ სახლში შენს ბავშვურ ბაგეს
ატკობდნენ უკვდავ პუშკინის ენით,
და ბეთხოვენის „გმირულის“ ჰანგებს
წარუტაცია ოცნება შენი.

ტყბილი ბავშვობა, ტყბილი სიზმრები,
ტყბილი დღეებით სულს ულხენია.
აქ ფრთებს ისხამდა შენი ფიქრები,
აქ ფეხს იდგამდა შენი გენია.

და ამ სახლშივე პირველად ნახე,
როს ყრმობა იებს გაფენდა თავზე, —
დედის კაეშნით მოცული სახე,
დედის თვალები, ცრემლებით სავსე.

ეს იყო იმ დროს როცა შვილისთვის
იმედი ხსნიდა არსად ჩნდებოდა,
და როცა იგი რუსი ხალხისთვის
საღრჩობელაზე იღუპებოდა.

შურისძიების სურვილი მაშინ
ალიძრა გულში, ცეცხლად იწოდა,
მაგრამ ის, რასაც ფიქრობდა ბავშვი,
მშრომელს ესმოდა, ხალხმა იცოდა.

როდესაც მეფის დაინგრა ტახტი,
შენ, ხალხის გულში ცეცხლის მნთებელი,
ახალი ქვეყნის მესაქე გახდი,
ახალ ცხოვრების ფუძემდებელი.

დღეს უძლეველი შენი გენია
არის მასების გულთა მფლობელი,
იგი მზესავით შუქისმფენია
და მარად მზისებრ ჩაუქრობელი.



წყაღღიღობა

მოთხრობა

პეტრე ლიხაჩოვი, პეტკა, როგორც მეგობრები ეძახდნენ, ყუბანელი იყო. იგი საქმეს სიმღერით აკეთებდა და სიარული ცეკვით იცოდა. იტყოდით, მუხლებში ძვალი არა აქვსო, ის რომ ბუქნას დაიწყოებდა, რეზინის ბურთივით შეეძლო ხტომა. ლიხაჩოვმა ლალი სიცილი იცოდა, ისეთი თამამი ხარხარი, თითქოს აქ მე ვარ და იქ პეტრე ხელმწიფეო. ყუბანში იყო დაბადებული და გაზრდილი, იმდენი ღერი თმა არ ექნებოდა თავზე, რამდენი კილომეტრიც ცხენით ეჯირითა. ანცი იყო ზომიანე მებრძოლ და ზოგ შემთხვევაში — თავზე ხელალებულიც.

იმ ზაფხულს პეტრეს გულს სიყვარულის ქია შეუჩნდა და ისე აანთო, რომ სულ ქოჩორზე ატრიალა. დენიაშა, პეტრეს საცოლე, ველარ ითმენდა და საქმროს ემუდარებოდა. გამიტაცეო. მაგრამ ღარიბი პეტრე პატიოსანი კაცი იყო, იგი აღათისამებრ მივიდა ქალის მშობლებთან და თავისი მდიდარი გული გადაუშალა. დენიაშას მშობლებმა უთხრეს — უფულოდ ქალს როგორ მოგცემთო და ოცი მანეთი ოქროთი მოსთხოვეს სასიძოს. პეტკას მთელი ავლადიღება იყო აყლოთი შელესილი ქოხი, ერთი მორჩილი ცხენი და საკუთარი მკლავის ძალა. ბევრი იფიქრა პეტრემ, მაგრამ გამოსავალს ვერ მიაგნო.

ერთ დღეს, საყდარში წირვაზე რომ იყო, ყური მოჰკრა მეზობლების ლაპარაკს, მდინარე ლენაზე ბოღაბოხთან ოქროს საბადოებია და ვინც იქაურ ჰავას გაუძღვებს და იმუშავეს, გამდიდრდებაო. პეტრე გამოელაპარაკა მეზობლებს, მაგრამ მათ მეთი ვერაფერი უთხრეს. არც გზა, არც კვალი, როგორ და

საიდან წასულყო კაცი ბოღაბოხში, მათ არ იცოდნენ. პეტრემ მიიკეთებ-მოიკეთებ სოფელში, აქეთ ეცა, იქით ეცა და ბოლოს მიაგნო ერთ ნაკატორღალ ჯარისკაცს. ჯარისკაცმა უთხრა, ყუბანიდან ძალიან შორს არის ლენა და ბოღაბოხი, მაგრამ თუ იქამდე კაცი მიიღწევს აუცილებლად ბედს ეწევაო.

ლიხაჩოვმა გულში ჩაიბედა ეს სიტყვები. დიდხანს აღარ უყოყმანია, გაყიდა ქოხი, ცხენი, ხელსახოცში გამოჰკრა ორიოდ გროში, მხარზე აბჯა მოიკიდა. ხელში კეტი დაიჭირა, დენიაშას დაუბარა, ნუ იღარდებ, მალე დავბრუნდებიო და, თითქოს სოფლის დექანში მიდიოდესო, დიდი ნაბიჯითა და ლალი ღიმილით გაუდგა გზას. იმედი, რომ ერთ-ორ წელიწადში ბოგანო პეტკა ლიხაჩოვი გამდიდრდებოდა, ფრთებს ასხამდა ახალგაზრდა კახაკს.

1908 წელს ინგლისელმა მსხვილმა საქმოსნებმა ლონდონში, რუსეთის მეფის თხოვნით, შეჰქმნეს სააქციო საზოგადოება „ლენა-გოლდფილდსი“. ამ საზოგადოების აქციების სამი მეოთხედი ეკუთვნოდათ ინგლისელებს, დანარჩენი — რუს მოხელეებსა და მეფის გვარის წარმომადგენლებს. ინგლისელების გარდა, ამ საზოგადოების აქციონერები იყვნენ: ბანკირი პუტილოვი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ტიმაშევი, გრაფი ვიტე და ნიკოლოზ მეორის დედა მარია ფეოდოროვნა რომანოვა. იყვნენ სხვა წვრილფეხა აქციონერებიც, მაგრამ ისინი ამ ვეშაპებთან ვერაფრით მოდიოდნენ.



„ღენა-გოლდფილდსი“ ყოველწლიურად შვიდ მილიონ მანეთ მოგებას იღებდა, ოქრო მიდიოდა ლონდონისა და სანქტ-პეტერბურგის ბანკებში, ხოლო ოქროსმომოკვებელთა სისხლი, ჩაღვრილი ტაიგაში, ნაკადულებად ერთგოდა ლენას. ოქროს საბადოები მდებარეობდა აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკიდან, რკინიგზის ხაზიდან ათას შვიდას კილომეტრზე. საზოგადოების მმართველი იყო ბელოზჟეროვი, ტაიგის უგვირგვინო მეფე...



ველისი იწურებოდა, როცა ლიხაჩოვმა მშობლიური სტანიცა დატოვა, აგვისტოს დამლევს კი ირკუტსკში ამოჰყო თავი. პეტრემ თავის სიცოცხლეში მატარებელი პირველად დაინახა. როცა მან მესამე კლასის ვაგონში დააბირა შესვლა, წვერცანცარა, არყით გამოთაყვანებულმა მატარებლის უფროსმა ლიხაჩოვი სხვა გლეხკაცებთან ერთად საბარგო ვაგონში შეაგდო; ახალ „მგზავრებს“ წინასწარ გამოართვა ფული, ერთი-ორიც შეუეკურთხა, როცა გლეხები პირის წკლამუნით, ნელა ითვლიდნენ ფულს და ყოველი გროშის მიცემასზე ცახცახებდნენ.

ლიხაჩოვი პირუტყვის ვაგონში აღმოჩნდა. იგი სიბნელეში ხელების ფათურით მიიკვლევდა გზას და დასაჯდომ ადგილს ეძებდა. უცხად რაღაცა განათდა და ყბაახვეულმა ჯარისკაცმა თოფის კონდახი ისე ძლიერ ჩასცხო ლიხაჩოვს, რომ კინაღამ ხერხემალი გადაუმტვრია.

— რას მემართლები? — შეჰყვირა ტყვილეებისაგან გამწარებულმა პეტრემ. — ბრძიყო, თვალებში აღდგომა გაქვს, რომ ვერა მხედავ? — დაუღრიალა ჯარისკაცმა.

ჯარისკაცს შესცივნოდა და თავაზე მიეგნო თბილი და მყუდრო ბინისათვის. ლიხაჩოვმა მოათვალიერა ვაგონი და ნახა, რომ ადამიანი და პირუტყვი ისე არეულიყო ერთმანეთში, კაცი იფიქრებდა, ერთ არსებად ქცეულანო.

— ეი, ძმავე, — ვილაცამ დაუძინა პეტრეს. — აქეთ წამო, თორემ ხანაღვირვან ეშმაკი გირტყნს და ბუზივით გაგაფრენს. ვაგონიდან.

ლიხაჩოვი ხმის მიმართულებით წავიდა და ვაგონის კედელთან მუსლიმანურად ფეხმორთხმული რამდენიმე ადამიანი შეინიშნა.

— დაჯექი, დაჯექი აქა, — უთხრა იმავე ხმამ და ფარაჯაზე ვილაცის ძლიერი ხელი დაეკიდა.

პეტრემ მტვერსა და ქუქუქში ჩაყრილი ოთხი კაცი გაარჩია.

— ეინა ხარ? — ჰკითხა იმავე ხმამ.

— გლეხი, ლიხაჩოვი.

— ჩვენც გლეხები ვართ, მე პეტუხოვი ვარ, ესენი ყივაროვი და კუზმინია. აი, იმას კი, რომ სძინავს, ამხანაგ ვასილს ვეძახით. მუშაა... გამოსული კაცია... ჩვენსავით კამეჩის რქაში კი არა ზის... ცხვირი რომ ვერ მოგვიხოცია... მოსწევ, აილე! — თქვა პეტუხოვმა და პეტრეს მუქით რაღაცა მიაწოდა.

ლიხაჩოვმა გამოართვა, მყრალი სუნი ეცა, ახლო ნახა და ცხენის გამხმარი ნაკელი აღმოჩნდა. პეტრეს არასოდეს არ მოეწია ნაკელი, გაეგო მხოლოდ პატიმარები სწევინო. თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, ნაკელი იატაკზე დაყარა.

— რაო, არ კადრულობ, გნახე რაღა წითელი კოჭი! — გაიცინა პეტუხოვმა. — აილე, მოსწიე, თორემ მალე ისეთი დრო მოვა, იქნება ნატრობდე ნაკელს... აბა რა, ტრაპიზონის თამბაქო გინდა?

— არ მოვწევ და ეგ იქნება, — თქვა ლიხაჩოვმა. — რას ჩამომეკიდე!

— თავი დაანებე, პეტუხოვ, მაგ კაცს, — თქვა კუზმინმა და ამოიხენეშა.

— მართლა, რა დიკვანივით იცი ჩამოკიდება, პეტუხოვ, — დაამატა ყივაროვმა.

ლიხაჩოვს კუზმინისა და ყივაროვის გამოსარჩლებით გული მოეცა. რამდენიმე კვირის მანძილზე უთქმელობით დაგუბებული ბოლმა გადმოსკდა და პეტრემ ისეთი ხმამალალი ლაპარაკი დაიწყო, რომ ნახევარი ვაგონის ყურადღება მიიქცია.

— აქაო-და ღარიბები ვართ, არ უნდა დავეწიხლნოთ არავის. ყველა კაცი ღარიბია თავისი უბედურებით და მდიდრია თავისივე მართვით. ჩემს სტანციაში კახაკები მსუქნად ცხოვრობენ. ჭამა-სმა კარგი აქვთ, ჩაცმა-დახურვა — შეფერი, საყდარში ქრისტეს სანთელს უნთებენ და დღეში სამჯერ ახსენებენ მამა ხელმწიფეს. მე ღარიბი ვარ იმიტომ, რომ მშობლებმა ცარიელი საბლი დამიტოვეს, მამაჩემი იამონიასთან ომში მოკლეს, დედა აღრევე მომიკვდა.

— მერე შენ რა, გულხელდაკრეფილი იჯექ მთელი სიცოცხლე? — ჰკითხა კუხშინმა.

— რათა, ვმუშაობდი. ბლომად ვმუშაობდი.

— და მაინც ჩემსავით ღატაკი დარჩი? — თქვა პეტუხოვმა.

— შენ ღატაკი ლოთობითა ხარ, პეტუხოვ, — თქვა ეიგარიოვმა. — რასაც იღებ, არაყში ახრჩობ. ლიხაჩოვი კი საწყალი კაცი ყოფილა...

— მდიდრები მე რას მიშაეებენ, აი, ჩემი მდიდარი მეზობლები, — ამბობდა ლიხაჩოვი. — მათ აქვთ და სუამენ კიდევ. მე რაც არა მაქვს, რა ვკამო...

— ლიხაჩოვ, მდიდრები შენ და მე გვართმევენ და იმიტომ ცხოვრობენ კარგად, — მიაძახა პეტუხოვმა. — რა ცერცეტად ლაპარაკობ.

— მერე-და, თუ გვართმევენ, სად არის მეფე, ვერ ხედავს?

— ძალიანაც ხედავს, მაგრამ ისიც მდიდარია და ფულანების მხარე უჭირავს.

— აი, როცა ხელმწიფეს გადმოაყირაეებენ, მაშინ ამოვისუნთქავთ, — თქვა კუხშინმა და დაახელა.

— რას ამბობ, ე! — წამოიძახა შეშინებულმა ლიხაჩოვმა. — არავინ გაგიგოს!

— ამას მე კი არ ვამბობ, — ხმას დაუწია კუხშინმა, — ეს ბოლშევიკების აზრია, ისინი იბრძვიან ამისათვის.

— ბოლშევიკები? ჰო, ბუნტოვნიკები რომ ყოფილან, — გაიცინა ლიხაჩოვმა, —

გავიგე, იმით მართლა სდომებოდათ... მერე ფის გადმოგდებო... აი, ეს უნდა იყო...

— ცოტა ჩემად ილაპარაკე, — უთხრა ლიხაჩოვს პეტუხოვმა, — აი იმ კაცზე, რომ სძინავს, ამბობენ, ბოლშევიკების მხარეზეაო... არ გაგიგოს, თორემ მიგბეგავს.

— ვისა? — წარბი შეჰყარა ლიხაჩოვმა. — ამ ფუთიან მუშტებს ხედავ?

— ეე, გლეხო, — ჩაიცინა კუხშინმა, — პეტუხოვი განა იმას გეუბნება, რომ მართლა ხელით მიგბეგავსო... სიტყვით დაგიმორჩილებს... ისეთ რამეს გეტყვის, ენას მოგკვეთს, დაგარწმუნებს...

— აბა ერთი, გააღვიძეთ და ვნახავ, — თქვა ლიხაჩოვმა და ყოველშემთხვევისათვის სახელოები დაიკაპიწა.

ვასილი გააღვიძეს. როგორც კი ვასილმა თავიანთ წრეში ახალი კაცი დაინახა, წამოიწია, ხელი გაუწოდა ლიხაჩოვს და უთხრა:

— გამარჯობათ, ამხანაგო. თქვენც საბადოებზე გაგაწევიათ?

ლიხაჩოვი შეაკრთო ვასილის ზრდილობიანმა კილომ, თითქოს უწმარტო რამ უთხრესო. მას მორცხვად მოიხრისა შუბლი და უბასუხა:

— თქვენი თანამგზავრი ვარ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — თქვა ვასილმა. — პირველად მიდიხართ საბადოზე?

— პირველად, აბა, შეათედ იქ რა მინდა. შენ რა, ყოფილხარ იქა?

— დიახ, მე ვიყავი შარშან. მერე დავეთხოვე და პეტერბურგში წაველ, საქმეზე. ახლა ისევ უკან ვბრუნდები.

— როგორია იქ ცხოვრება? — ყურები ცქვიტა ლიხაჩოვმა, — გავმდიდრდები?

— არა, ლიხაჩოვ, გამდიდრების იმედი ნუ გექნება. იქ ცოტა ძნელია პურის ჭამა. ტაიგა... ბელოზეროვის მათრახი... ყინვა...

— ერიპაა, — ნაძალადევად გაიცინა ლიხაჩოვმა, — აკი გამდიდრდებიო?

— ვინ გითხრა?

— სტანიცაში, კახაკებმა მითხრეს.



— მოუტყუებინართ, — მწარედ გაუღიმა ვასილს.

— ხა-ხა-ხა. გამდიდრდებიო! — იცი-ნოდნენ პეტრუხოვს და ციგაროვი.

— დაიცათ, ნუ გააგვიეთ ეგ კაცი, — თქვა კუზნინმა. — ამხანაგო ვასილ, ერთი მეფეზე უთხარით ლიხანოვს... წელან რალაცა ზღაპრებს გვიამბობდა...

— მეფეზე? — იკითხა ვასილმა. — ლიხანოვი კახაკია და მეფის არცთუ დიდი მტერი. ხომ ასეა?

— რად უნდა ვიყო მტერი. მეფეს ჩემთვის რა დაუშავებია.

— სულ არაფერი დაუშავებია?

— არაფერი.

— შენ თვითონ, ლიხანოვ, ყუბანელ კაცს რომ აგიღია თავი და ციმბირში მიაბოტებ... რა გინდა ტრაგეში, მეფე რომ შენთვის კარგი იყოს.

— მეფეს რა დავემდურო, მე ვარ ღარიბი კახაკი.

— შენს მეზობელს რომ ათი ცხენი ჰყავს და შენ ერთი... შენ რომ მიწა სანთლით უნდა ეტებო... ეს ვინი ბრალია?

— რა ვაიცი, ვინა? — ხელი ჩაიჭნია ლიხანოვმა.

— მეშეხისა და გლეხების მასწავლებელი ულიანოვი ამბობს, რომ ეს მეფისა და მისი მოხელეების, ძირმომპალი სახელმწიფო წყობილების ბრალია, — ვასილი უფრო ახლოს მიჩინდა ლიხანოვთან. — ულიანოვი გვასწავლის, რომ მეფე ყველაზე დიდი მემამულეა ქვეყანაზე და სხვებთან ერთად, წურბელასავით პირველი ისა გვწოვს სისხლს...

— როგორი კაცია ეგ ულიანოვი? ღონიერია, მალალია? — უეცრად ჰკითხა ლიხანოვმა.

— როგორ გითხრა, — სიტყვა გასწია ვასილმა. — ულიანოვი საშუალო სიმაღლის კაცია.

— მერე ასეთი კაცი ატამანობას როგორ შეძლებს?

— მას დიდი აზრები აქვს, ლიხანოვ. ისეთი რამ უნდა, რასაც ხალხი მოითხოვს, გესმის, რევიოლუცია...

— რას ამბობ, — უკმაყოფილოდ თავს იქნევდა პეტრე. — მეტონ/ნამსტარდება როგორ შეიძლება! მეფე გაუტყუებდა განზრახვას ულიანოვს და გააციმბირებს.

— შენ ნუ დარდობ. ულიანოვს ასე ადვილად ხელს ვერ წაავლებენ.

— მეფეს როგორ შეეშინდება მისი? ნიკოლოზი ხომ ღმერთია მიწაზე. რას ამბობ, რომ გაუგონ, ჩამოაღრჩობენ, — შეშინებული ამბობდა პეტრე. — კარგად ლაპარაკობ, ვასკა, ფუ... ამხანაგო ვასილ, მაგრამ საქმით რას მიკეთებ? თუ შეუძლია ულიანოვს, გამამდიდროს და მამის დავეუჯერებ მას!

მატარებელი რახარახით მიდიოდა. ბლოდნენ ძროხები, ცენესოდნენ ადამიანები. ვაგონში საშინელი სუნი ტრიალებდა. ლიხანოვს გული ერეოდა, ვასილის ლაპარაკი ზარივით რეკდა ყურებში. სპარგო ვაგონი გემივით ირწყვოდა, კრიალებდა ყველა ფეცარი, იჭექებოდა პირუტყვი... მატარებელი მხოლოდ ნახშირისა და წყლის ასაღებად ჩერდებოდა. ვაგონის კარი დიდი ურდულთ იყო ჩაქტილი. ერთ ადგილას ჯდომით ხალხს ფეხები უბუქდებოდა, სახსარი ეკეთებოდა.

ციმბირის რკინიგზაზე მიჯაყჯაყებდა მატარებელი და მიათრევდა დატანჯული ადამიანების ბოლმითა და ნალექლით სახეს გულს.



სიბნელითა და მატარებლის რახარახით შეწუხებული პეტრე ვაგონში მოერაღივით დაბორილობდა. მას მაინცდამაინც უნდოდა ყველა მგზავრი ენახა. გამოლაპარაკებოდა, გაეგო — ვინ იყო და საიდან იყო, და თუ შემთხვევით საბადოებზე ნამყოფი აღმოჩნდებოდა. ეკითხა, გამდიდრდებოდა იქ თუ არა. პეტრე კახაკური სიჯაუტითა და სითამამით მიდიოდა ყველასთან. ბევრი არ პასუხობდა, ზოგიერთი იგანებოდა. თითო-ოროლაც ცალყუბად წილდუდუნებდა ხოლმე რამეს ან მოკლედ მაიმუნებდა:

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს! გეტყობა, არაყი ჩაგვილაპავეს, რომ ყბედობის გუნებაზე ხარ...

პეტრე იფიცავდა, არაყი თვალთაც არ მინახავს, ფიზიკური ვარო, მაგრამ მას არავინ უჯერებდა. ასეთი ლაპარაკითა და კითხვა-გამოძიებით ლიხაჩოვი ვაგონის კუთხეში მივიდა და იქ უცბად, მისთვის გაუგებარ ენაზე, სიმღერა შემოესმა:

— ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირისა.
სადურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი საღით ძირსა“.

პეტრეს ყველა ვინც რუსულად არ ლაპარაკობდა, თათარი ეგონა. ახლაც სიცილით მიამახა უცნობს.

— სალამალეიქუმ!

უცნობმა სიმღერა შესწყვიტა და ლიხაჩოვს შეხედა.

— შენ რაღა მიგაქვს ლენაზე, თათარო? — ჰკითხა პეტრემ.

— მე თათარი არა ვარ, — მიუგო უცნობმა.

— თათარი არა ხარ? — ისე გაუკვირდა ლიხაჩოვს, თითქოს უცნობის ავანჩავანი ზეპირად სცოდნოდესო.

— არა, მე ქართველი ვარ.

საქართველო პეტრას გაგებულ კქონდა. გროზნოში ქართველი მწყემსებიც ენახა, ამიტომ მცოდნე კაცის კილოთი ჰკითხა.

— რა ამბავია თქვენში, ძმობილო?

— არ ვიცი, მე ციხიდან მოვდივარ.

ახლა კი, ცხვირიც რომ მოეჭრათ, პეტრე უცნობს აღარ მოეშვებოდა. ციხიდან საბადოებზე მიმავალ ქართველ კაცთან კქონდა საქმე! ეს აღმოჩენა ისე ზღაპრული და ლამაზი მოეჩვენა, რომ უცნობს გვერდით მიუჯდა, მუხლზე ხელე დაჰკრა და უთხრა:

— მიამბე, ვინა ხარ და საიდან მოდიხარ. გზა მაინც დიდი. მერე მე ვიამბობ ჩემსას.

ეტყობა, უცნობსაც მოეწონა ლიხაჩოვი, გაუღიმა, თავისთვის ქართულად რაღაცა ჩაილაპარაკა და უამბო...

ყოველ დილას, ჯერ მზე რომ არ ასცილებოდა შთის კენწეროს, თოთხმეტოდე წლის ბიჭი, ლურჯი, გახუნებული სატინის ხალათში გამოწყობილი, ორიოდ კონა იას ჩამოიტანდა სადგურში და პურის ფულად გაჰყიდდა: ხოლმე.

მას კქონდა დიდი, ნაღვლიანი თვალები, სწორი ცხვირი. წყვილ წურბელასავით გადაბმული მსხვილი წარბებდა ქართი კანდამსკდარი სახე. სახეზე აჩნდა იღუმალი სევდის კვალი, რომელიც თითქოს გამოსავალს ტყვიასავით მძიმე, გამგმირავ და უძირო გამოხედვაში პოულობდა. საბრალო შეხედულებით თუ მიიქცევდა მგზაურების ყურადღებებს, თორემ ყმაწვილის ხრინწიანი, დაბალი, მორიდებული ხმა არავის ესმოდა და არც მის იებს ამჩნევდა ვინმე. ყმაწვილი გაყიდდა იებს. შავ ფულს გულდაგულ ერთიმეორეზე დააწყობდა და ნაცნობი მეზუფეტის დახლს ტკიპასავით მიეკვროდა. როდის, როდის მოცილიდა ლოთი, მსუქანი მეზუფეტე მისთვის და თავის დაწითლებულ თვალებს ბუღასავით შეანათებდა.

— რა გინდა, — დაიხროტინებდა მეზუფეტის ყელი ორთქლმავლის გამურული მილოვით, ყრუდ და გამყინავად.

ყმაწვილი შავ ფულს დაადგებდა დახლზე და გათითისტარებული ყელიდან ამოიძახებდა:

— პური!

მეზუფეტე გაქონილ, მსხვილ თითებს ნაირნაირი ნარჩენების გროვაში წაურევდა, ერთხანს აფათურებდა, მერე ყველაზე დაბალი ხარისხის ხმელ ქერქს ამოარჩევდა:

— აიღე! შენც ერთი, გააწყალე გული. ბიჭი მხრებჩამოყრილი გავიდოდა ბუფეტედან. მას აღარსად ეჩქარებოდა. ბრძოლა ორიოდ გროშისათვის მოგებული კქონდა. მზის ჩასვლისას ხის ჩრდილივით უხმოდ, უდრტვინველად გაეტრდებოდა ბაქნიდან.



ორგვლივ მიდამო მასავით საწყალი და შესაბრალოსი იყო. გვალვით ყავარყავარ დახეთქილი მიწა სინესტეს თხოვლობდა. მთის ძირში გუბესავით იდგა შედედებული მღვრიე მდინარე. ხელისგულივით სწორი და გლუვი მინდორი გვალვას პირწმინდად გაეკორტნა. ცხელ ჰაერს მტვერი შერეოდა და სივრცის უსასარელობას კრიკინების კრული უფრო აუტანელს ხდიდა. აქა-იქ, უზარმაზარ მინდორზე ნიშივით ჩანდა შეყორებული ქვის გროვა. ეტყობოდა, ადამიანის ხელს ამ უსულო და უკაცო ველზეც ემეშავა. ადგილ-ადგილ ათიოდე ნაბდის ოდენა მიწა ქვა-ლორღისაგან გაუსუფთავებინა. მერე დაეზარა, დაეთესა სიმინდი თუ მხესუმზირა, გაეთოხარამდენიმეჯერ, მარგალითაც შემოესარა, ღობე გაეგლო, მაგრამ ცალკე სიცხესა და ცალკე უკაცურობას ეს ნაჯაფევი წყალში გადაეყარა, დაეგვალა, დაიწვა, მოეფშრუტა. ბაქანი, ოთხი ფარლალალად შეფიცრული კედელი, გამკვარტლულ-გაბოლილი ქერათა და ჩაქანებულები, ჩამწვარ-ჩალეწილი ღარებით, საქათმესავით გამოიყურებოდა.

ყმაწვილი მოწყენილი გასტკვროდა ნაცნობ მიდამოს, გული უკედებოდა. მზე, თითქოს ჯიბრზე, მცხუნვარედ აკერდა. ბიჰს სატინის ხალათში სცხელოდა, გახდაც არ უნდოდა, რადგან მზით დამწვარი ბეჭები უფრო საშინლად აეწვოდა. ბიჭი დაიღალა ჯდომით. წამოდგა. დედა მოაგონდა, მისი სიცხიანი თვალები, გაოფთვლილი ხელები, დასუსტებული ხმა და ხველები.

შინ დაბრუნდა. მისი სახლი ჩაქანებულ, ხავსმოკიდებულ ბორბლებზე შეყენებული სარკინიგზო ვაგონის ერთი კუბე იყო. იატაკზე ორი ხელი ღოგინი იყო გაშლილი. გაბზარული კიჭა, პირმოტეხილი ბოთლი, გამურული ქვაბი და გაღუული კატა იყო მისი ქონება.

დედას გამოეღვიძა. ბიჭმა წამალი დაალევიან. ხახვითა და პურით ასაძილა. დედა კვნესოდა. ოფლად იღვრებოდა. ვილაცას უხმობდა. შვილის სახელს იმეორებდა. ბიჭმა მაჯაზე ხელი მოჰკიდა.

მაჯა შეუმჩნევლად სცემდა, რატომღაც დედის სიცოცხლის წუთებში უკაცობისადაა ლი იყო. ქვეშაგებზე პირქვე დაემხო და უცრემლოდ აქვითინდა. გაღურჯებულ, ხახვის ფითოლივით თხელი ტუჩები კბილით დაიკენიტა. სლუტუნებდა.

დედა ბოდავდა.

ქვითინში ბიჰს ძილი მოერია. გაცოდა. თავის ალება სცადა. ტყვიასავით დამძიმებოდა. შეტოკდა, ბატკანით კისერიდან წამოსწია. ტანი არ აპყვა. მთელი ძალი იდაყვებში დაიგროვა. დაეყრდნო, დაიძმა, მოწყვეტილი ჩაეშვა ქვეშაგებში.

თვალები ეხუტებოდა. ენამებოდა. ქუთუთოების აწევის თავიც აღარა ჰქონდა. ცხვირში ნაშმანევი მსუყე, ცხელი სადილის სუნი სცემდა. ეს უფრო აბრუებდა და ღონეს აცლიდა.

კვნესოდა. უნდოდა უკანასკნელად დაეხედა მომაკვდავი დედისათვის.

ბიჰს ეძინა. ხანდახან წამწამებს ახამხამებდა. ძილში ლოყებზე ფერი მოსვლოდა. შორიდან მატარებლის კივილი მოისმა. ბიჭმა გვერდი იცვალა, რალაცა წაილაპარაკა, პირი გააწყლაპუნა.

ფეხებთან კატა მისჯდომოდა და გაკაწრულ კანკებს გულმოდგინედ ულოკავდა.



ღარიბი ადამიანი სიკვდილშიაც ბრალია. ლუკა იყო მესაფლავე, მეკუბოვე. ქირისუფალი და პატრონი დედისა. ლალიძემ მშობელი დასაფლავა, დედის საფლავიდან აღებული სველი მიწა ხელსახოცში გამოკრა და უბეში ჩაიდო. მეთსრემ თავისთან სამ დღეს შეიფარა ლუკა. მერე დეპოში შეინჯალთან შეგარდად მიიყვანა.

ზეინჯალი შაქრო ერთი ვეება, მხარბეშგადმული კაცი იყო. ლუკა მასთან ბახალად მოჩანდა. შაქრომ დღიძლი შელივით მიიღო და შეიკედლა ლუკა. შაქროს ვაჟი არა ჰყავდა, ბიჭები ცეროდენა დახოცოდა, ერთი ქალი ჰყავდა. სალომე, და ის იყო მისი საფუცარი. სა-

ლომე მეთოთხმეტე წელში იყო გადამდგარი, მაგრამ შეხედულებით გაცილებით დიდი ჩანდა. წყველ ნაწნავად ჩაწნული ხშირი, შავი თმა, სიცოცხლით სავსე თვალები, წითლად ატყევილი ღოყები სანდომიანს ხდიდა მას და ჯადოვით ქედგადახეხილ შაქროს ათქმევინებდა ხოლმე: — დაგლოცა, შვილო, ღმერთმა! ანგელოზი ხარ, დედაშენივით პირბაღრი და მშვენიერიო.

შაქროს ახალგაზრდობაში ლუკას მამა სცნობოდა, ჯარში წასასვლელად ერთად კენჭი ამოვლით და ახლა იმ ძველი ნაცნობობისა და თავისი კეთილი ბუნების წყალობით, დაობლებულ ლუკას მფარველობდა. ლუკას შუაზე უყოფდა, ჯამში წილს უდებდა.

შაქრო თავისი სალომეთი დეპოს მოპირდაპირე მხარეს, გორაკზე, ალიზის ქოხში ცხოვრობდა. ქოხი ძალიან პატარა იყო, მაგრამ სალომეს მარჯვე ხელით მუდამ დაგვილ-დასუფთავებელი, მოვლილი და გულმისასვლელი. დილით, უთონია, სალომე მამასა და ლუკას დეპოსი ისტუმრებდა, თავად ჯარსავით იწყებდა ტრიალს, ქოხს დაგვიდა, წყალს მოიტანდა და სარეცხს გამართავდა. მერე ბაზარში გადაიბრუნდა, ღიბიან ვაჭრებს მუდარით ორიოდე კაპიკს დააკლებინებდა, ხახვსა და კარტოფილს მოიტანდა, სადილის სამზადისს შეუდგებოდა. სადილის გაკეთების შემდეგ თითისტარსა და ფთილებად დატყეპნილ მატყლს სანეხში გამოიტანდა, ჩაჯდებოდა და დაიწყებდა მატყლის დართვას. როცა თითისტარის ბზრიალით მოიდლებოდა, წინდისჩხირებს გამოებნადა, თვალების ჩაწყალეზამდე ქსოვდა წინდას.

სალომეს თავადაც ბევრი საქმე ჰქონდა ოჯახში, ლუკას შემომატებით კი საზრუნავი გაუორკვედა. მაგრამ მამის შარვალ-ხალათის რეცხვისას თუ გრძნობდა სალომე ობლობას და ნატრობდა, დედა ჰყოლოდა, რათა ეს საქმე მას გაეკეთებინა, ახლა, როცა ლუკასთვის აკეთებდა რაიმეს, სევდიან გოგონას რაღაც შინაგანი ცეცხლი უნათებ-

და სახეს, იღუმალი სიხარული ავიებდა, თვალები უბრწყინავდა, ^{ქეცხლით} მკლავში ძალა ემატებოდა და გულში ხალისი. მიუხედავად იმისა, რომ ლუკა და სალომე თითქმის ტოლები იყვნენ, სალომე გრძნობდა რაღაც განსაკუთრებულ პატივისცემას ლუკასადმი, იცოდა, რომ ლუკა არ გაუყადრებდა თავს და ბავშვით მასთან თამაშს არ დაიწყებდა. სალომეს რცხენოდა, ერთდებოდა ლუკასი. ლუკა, აქო-და შეგირდი ვარო, ყველაფერში თავის მასწავლებელს ბაძავდა: სიარულში, ლაბარაქში, ხველებში, გინებაშიც. ლუკა დეპოდან შთაბეჭდილებებით სავსე ბრუნდებოდა. შაქრო ძალას არ იშურებდა, რომ შეგირდისათვის ესწავლებინა ყველა ის, რაც მან იცოდა. ერთ წელიწადში ლუკა უკვე იმდენად დახელოვნდა, რომ ზოგიერთ მცირე სამუშაოებზე სცვლიდა ოსტატს.

გადიდა დრო. დედის სიკვდილი მოგონებდა იქცა. ლუკას ყველგან თან დაჰქონდა დედის საფლავიდან აღებული მიწა და იგი უძვირფასეს განძად მიიჩნდა. შაქრო ნამდვილ მამად მიიღო ლუკამ, სალომე კი უახლოეს მეგობრად ეგულებოდა. გოგონას მოქმედებაც თანდათან საზრიანი ხდებოდა. ახლა სალომე დანახვისთანავე მხარზე ხელს არა ხევვდა და არ ეთამაშებოდა ლუკას. იგი შორიდან ცქერას არჩევდა, მალულ ჭკვრტას. შუალამისას წამოსწევდა ხოლმე თავს ბალიშიდან და ჩურჩულით იკითხავდა:

— გძინავს, ლუკა?

— არა, — გაეძრახებოდა ყმაწვილი.

— რატომ არ იძინებ?

— არ ვიცი. შენ რად არ გძინავს?

— მეც არ ვიცი, რატომ არ მეძინება.

ქალის გულში იღვიძებდა რაღაც უცნობი და ზეადმტაცი, ისეთი ნაზი და სათუთი, რომ ეშინოდა კიდევ, ხომ არ მეჩვენებო. სალომეს ამხანაგები არა ჰყავდა, ლუკა იყო პირველი უცხო აღმამიანი, პირველი ბიჭი, ვისთანაც მეგობრობდა იგი. ამიტომ ლუკა მისთვის ყველაფერი იყო.

გამბედავი და უშიშარი ლუკა სალომესთან ლაპარაკის დროს წითლდებოდა, ენა ებმოდა, ვერაფრის თქმა ვერ მოეხერხებინა. დღისით, როცა ლუკა შაქროსთან ერთად დეპოში იყო, ფიქრობდა ყმაწვილი, რომ შინმისველსთანავე გამოელაპარაკებოდა სალომეს. რაიმე კარგს ეტყოდა, გაახარებდა, ბაზარში შაქარყინულს უყიდიდა და მიუტანდა, მწყემსურს უმღერებდა, გაეშვირებოდა, გამოცანას ეტყოდა... ფიქრობდა ყოველივე ამას ლუკა, მაგრამ მოვიდოდა თუ არა შინ, დამუნჯდებოდა ან ლაპარაკს გაუბამდა შაქროს, მოხუც ზინკალს თავგადასავალს და ნახულ-გაგონილს აამბობინებდა. შაქროც, რაც უნდა დაღლილი ყოფილიყო, გვერდით მოისვენებდა ლუკას, და ნელა, სვენებ-სვენებით უამბობდა ასჯერ მონათხრობს.

ერთ საღამოს ლუკა შინ ადრე დაბრუნდა. სალომე მტირალი დახვდა. გაუკვირდა. იმდენად გაუკვირდა ლუკას, რომ რამდენიმე ხანს ხმა ვერ ამოიღო. პირველად ზედავდა ლუკა ამ წლების მანძილზე სალომეს თვალზე ცრემლს. ფიქრობდა, უთუოდ დიდი უბედურება მოხდაო. ლუკა სალომეს გვერდით უხმაურად ჩამოჯდა, რაღაც შინაგანმა ძალამ გამბედაობა შემატა, გოგონას მხრებზე ხელი შეახო და ხმადაბლა ჰკითხა.

— რატომ სტირი სალომე, ჰა?

სალომემ ხმა არ გასცა.

— რა მოხდა, სალომე, არ მეტყვი?

— გეტყვი, — ამოიტირა სალომემ.

ლუკა გაჩუმდა. დაელოდა. სალომე კვლავ ტიროდა.

— აკი მოთხარი, გეტყვიო! — თქვა ლუკამ.

— რად გინდა ვითხრა! ჩემი სატირალია და მევე ვიტირებ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა სალომემ და უფრო ამოუჯდა გული.

— განა შენი სატირალი ჩემიც არ არის? — დაეკითხა ლუკა.

— შენიც? — ერთბაშად გაუნათდა სახე სალომეს.

— ამდენიხანია ერთად ვართ და არასოდეს მტირალი არ მინახავს.

— შენ საღამოს მხედავ მხოლოდ.

რა იცი, რომ, როცა შენ სახლში არა ხარ, არ ვტირი ხოლმე?

— როცა მარტო ხარ?

— ჰო, მარტო.

— მამასთან სტირი?

— მამასთანაც.

— მერე რას გეუბნება?

— რა უნდა მოთხრას. თავდაც ტირის ხანდახან.

— მერე რატომ არ მეუბნებით მე?

— რა თქმა გინდა. განა არა გრძნობ?

ლუკამ ყელში სიმშრალე იგრძნო. ტუჩებზე ხელი მოისვა და ჰკითხა.

— მერე-და, რატომ სტირით?

— რატომ... იმიტომ, რომ, როცა მამა აღარ იქნება ცოცხალი... შენ ალბათ წახვალ ჩვენთან.

— ცოცხალი არ იქნება? — წამოიწია ლუკა. — ჰო, იგი ხომ ძლიერ მოხუცდა...

— მამა სულ ახველებს... იგი ხომ ქვებიანია...

— როგორ მეცოდება შაქრო ძია, — ამოიხვნეშა ლუკამ.

— მე? მეც ხომ გეცოდები? — ჰკითხა უეცრად სალომემ და თვალელები შეანათა.

სალომეს კითხვამ შეაკროს ლუკა. რა ეთქვა, არ იცოდა. ეცოდებოდა თუ არა, ამაზე არასოდეს უფიქრია მას. ლუკას უეცრად სახე გადაებდარა, თავისდაუნებურად სალომეს ორივე ხელი შემოხვია და ჰკითხა:

— გიყვარვარ?

— რა ვიცი... — სალომემ თავი გასწია, მაგრამ ვაჟის მკლავებისგან მხრების განთავისუფლებას არ ცდილა.

— გიყვარვარ? — კიდევ ჰკითხა ლუკამ და ქალიშვილის სახე მხრებს თითები მოუთათუნა.

სალომემ გადმოიწია, ცრემლი შემორობოდა, თვალელებში სხივი ედგა. ნაჩქარევად აკოცა ლუკას ლოყახე, მერე ერთი შეიფრთხილა და კარში გაეპარა.

ლუკა სადაც იჯდა, იქვე დარჩა. გო-

ცებელი თვალეზი მიაკედა კარებს. სალომეს შემობრუნებას ელოდა. აი, კარი გაიღო და გამოჩნდა სალომეც, მხოლოდ მარტო არა... მას უკან შაქრო მოსდევდა.

... ლუკა მაშინ თვრამეტი წლისა იყო, ობოლი, დაჩაგრული, მაგრამ ბედნიერი სალომეს სიყვარულით. სიყვარულმა ფრთები შეასხა ახალგაზრდებს. ღარიბული ქოხი¹ ზეიმით აივსო. იცინოდა შაქრო, მღეროდა რაღაცას, მღეროდა და ახველებდა...

ლუკას არ უნდოდა სალომეს დებოში ემუშავა, მაგრამ ახალგაზრდა ქალმა მუუღლის მხარში ამოდგომა გადაწყვიტა. ოცნებობდა სალომე: ბავშვი ეყოლებოდათ, ქოხს მოუმატებდნენ... სხვა არაფერი იმ სივიწროვეში აკვანიც კი არსად ჩაიდგებოდა. ყოჩაღი იყო სალომე. თქვა და გააკეთა კიდევ. დებოში დამლაგებლად დიიწყო მუშაობა. სალომეს კაბიკები კაბიკებად რჩებოდა, მაგრამ საერთო თანხას მაინც დაეტყო შემატება... თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, სიხარულს მათთვისაც მოეცალა, ცარიელ ჯამს, სიღარიბეს, შიმშილს, ყველაფერს, რაც მათ აკლდათ, აესებდა სიყვარული. ლუკა არც წინათ იყო სულსწრაფი და ანცი, ახლა, მით უმეტეს, ცოლის შერთვის შემდეგ, უფრო დადინჯდა. რაც კი შეეძლო, თავს არ იზოგავდა, დებოში სამი კაცის ადგილას მუშაობდა, თავდადებით ეჭიდებოდა საქმეს, რომ რითიმე შეემსუბუქებინა ახალგაზრდა მუუღლის ტვირთი...

გადიოდა დრო. შაქრო ბოლოხანს ისე დასწულდა, რომ გაზაფხულის პირს დაითხოვეს დებოდან. ახლა იგი მთელი დღე ქოხის კარებში იჯდა და თვალეზი-ჩაწყალბებული ელოდა შეილებს დაბრუნებას. ლუკა და სალომე დაღლილ-დაქანტულნი ბრუნდებოდნენ, მაგრამ მოსვლისთანავე ხალხით იწყებდნენ მოხუცი მამის მოვლა-პატრონობას...

გაზაფხულმა მოიღწო შაქრო. აპრილის ბოლოს სული განუტევა. შაქროს ბოლო სიტყვები ეს იყო:

— ლუკა, შვალო... შენ გაბრუნდეს... ლომეს... უბატრონე... ტყბილად მუშაობერდით ერთმანეთს. ობლები ხართ ორივე და ერთმანეთის ცა და მიწა თქვენა ხართ...

სალომემ დაინაღვლა. ერთბაშად მოეშვა. ყურადღება გაეფანტა. დებოში ოსტატმა რამდენიმეჯერ უყვირა, რა თვალდახუჭული დადინარო. ლუკას გული უკვებოდა, სალომეს ასეთ ყოფაში რომ ხედავდა. ქალს მუშაობა აღარ შეეძლო. ფეხშიმედ იყო. მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლიდა.

— რომ არ ვიმუშავო, შენ ვერ შემინახავ, ლუკა... ამბობდა სალომე. — განა იმიტომ, რომ არ შეგიძლია?.. ხომ ხედავ, დღედაღამ ოფლსა ვღვრით და რას გვაძლევენ...

ლუკას ხასიათი გაუფუჭდა, მოიქმნა, კოპები შეიკრა. აღრე თუ თვალყურს ადევნებდა ამხანაგების მოქმედებას და ლაპარაკს, ახლა აღარაფერი არ აინტერესებდა. მისთვის სულ ერთი გახდა, თუნდაც დაქცეულიყო ქვეყანა... ოღონდ სალომე ყოფილიყო ბედნიერი, მოსვენებული...

დებოში მუშაობა ქირდა. მუშების უმეყოფილება იზრდებოდა. რკინიგზას რუსეთიდან მოჰქონდა ცხელ-ცხელი ამბები. პეტერბურგში იანვარში მუშები დახვრიტეს. ხალხი შფოთავდა, მოძრაობდა, იარაღს იღებდა. ყოველ ლოკომოტივს ჯანყისა და გაფიცვის სუნი მოჰქონდა. დებოში მუშები თათბირობდნენ, ადმინისტრაციას ედავებოდნენ, ღამით ნაძალადევეში კრებებს მართავდნენ. ლუკა ყოველივე ამისაგან შორს იყო. მუშაობა მისთვის ისევე მძიმე იყო, როგორც წინათ, მაგრამ თვალს ხუჭავდა, რომ ადმინისტრაციას „არაკეთილსაიმედოდ“ არ მოენათლა და არ დაეთხოვა. სამუშაოს დაკარგვა მისთვის ახლა სიკვდილს უდრიდა. თავგამებებით მუშაობდა, ამხანაგების ლაპარაკს არაფრად აგდებდა. ისინი კი, მუშები, ყოველ წუთს აგონებდნენ:

— ბიჭო, ლუკა, მხარში ამოგვიდექ!

— ნუ ხარ მარტო.

ლუკა არ ეძრახებოდა ამხანაგებს. ისიც თანდათან შორდებოდნენ მას. ერთ დღეს, გაფაცვაში რომ არ გაეიდა ლუკა, ცემაც დაუბირეს. უფრო შეგნებულმა მუშებმა გადაწყვიტეს, ლუკა ნაძალადევეში, კრებაზე წაეყვანათ და იქ აესხნათ მისთვის, თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე, რისთვის იბრძოდნენ მუშები. მაგრამ მოხდა ერთი რამ. რამაც ყირამალა დააყენა ყველაფერი.

ლუკა უკვე ზეინკლად მუშაობდა. უკანასკნელი კვირის მანძალზე ერთი დიდი ლოკომოტივის ქვების შეკეთებაზე ათენებდა და აღამებდა. ლოკომოტივის ქვები ძლიერ იყო დაზიანებული. შეკეთება მიმდინარეობდა საამქროს უფროსის უშუალო ხელმძღვანელობით. ლუკა თავს არ ზოგადდა, რომ დროზე გაეთავებინა სამუშაო, თანაც საამქროს უფროსი დაჰპირდა, რომ დამატებით გამოუწერდა გასამრჯელოს. შაბათ საღამოს დამთავრდა ქვების შეკეთება. თურმე საჭირო იყო, ქვების გამოცვლა, რადგან ვერავითარი შეკეთება ვერ აღადგენდა დაზიანებულ ქვებს. აქ იყო ინჟინრის შეცდომა. ინჟინერი და საამქროს უფროსი ედაგებოდნენ ერთმანეთს. ინჟინერი ამტკიცებდა, რომ ქვები კარგად იყო შეკეთებული, საამქროს უფროსი ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ ქვები გახურებას ვერ გაუძლებდა.

საღამო იყო. სალომე საამქროს ასუფთავებდა. საცაა საყვირის ხმას გაიგონებდნენ და შინ წაეადოდნენ. ლუკამ რამდენიმე წუთის წინ ხმა მიაწვდინა სალომეს, თავს ნუ იკლავ, შაბათი დღეა და უფროსები წასული არიან...

ლოკომოტივის ქვები გაახურეს. გაისმა ორთქლმავლის საყვირის ხმა. ლოკომოტივი მძიმედ დაიძრა სახელსნოს პლატფორმიდან. მაგრამ იგი ჯერ მთლიანად გასული არ იყო, რომ უცებ გამაყრუებელი გრიალი გაისმა და ადულებული წყალი წვიმასავით მოედო სახელსნოს.

დაბნელდა იქაურობა. ბოლმა, ორთქლმა, მანუთმა ააესო ყველაფერი.

მოისმა მუშების ყვირილი, ცენკა, რეკორც კი ლუკამ გრიალი გაიგონა, რომ ორთქლმავლის ქვაში აფეთქდა.

ლუკა ჩარხს მოეფარა. ჩარხმა კარგად დაიფარა იგი და ცოცხალი გადარჩა. ნახევარი სახელსნო მიღეწილი იყო. ისმოდა დაქრილების კენესა და ტირილი.

ღუპო აწიოყდა. ლუკა გადარეული მიბრბოდა საამქროში, ბოლში და ორთქლში გზა ძნელი გასარჩევი იყო. რის ვაი-ვაგლახით გაეიდა იგი საამქროდან. ქოხში ჩაირბინა. ლუკას დანამდვილებით ეგონა, რომ სალომე შინ იქნებოდა. მაგრამ სალომე შინ არ იყო. მუხლები მოეკვეთა ლუკას. დარეტანებული წამოვიდა დეზოსაკენ. ხაზზე ზღვა ხალხი შეგროვილიყო. საკაცები მოეტანათ და საამქროდან დაშვებულები გამოჰყავდათ. ლუკა საკაცებს ეცა. მესამე საკაცზე თავგანჯილი სალომე იყო დასვენებული. ლუკამ შეღრიალა. მუხლებზე დავარდა, საკაცსთან მიხობდა და სალომეს დასახიჩრებულ სახეს დააცმერდა. გულზე ყური დააღო. შებლზე ხელი მოუსვა. სალომე ცივი იყო. ლუკამ თავში ხელი წაიშინა, ხალათი შემოიფხრიწა, გულგამგმირავე ზმული დაიწყო:

— სალომე... ჩემო სალომე...

ლუკას მხარში ხელი მოჰკიდეს. მან იფიქრა, მუშები არიანო; არ დანებდა, ერჩია იქვე გათავებულოყო... წიხლი წაჰკრეს და მიწაზე დასცეს. გაოგნებული ლუკა უმალვე წამოდგა ფეხზე. მას ორი ქანდარმი ზოხლით მისხერებოდა. იქვე დეპოს ინჟინერი იდგა.

— ეგ არის ზეინკალი... მავის შეკეთებული იყო ქვები და აფეთქებაც მავის მიზეზით მოხდა! — თქვა ინჟინერმა.

ლუკამ გაოცებისაგან პირი დააღო. შემდეგ გამწარებული ცოლის მკლავს დაებლაუქა.

— წაიყვანეთ! — გაისმა უფროსი ქანდარმის ბრძანება.

ლალიძეს ეცნენ, ასწიეს, ვერ დაძრეს. ქანდარმმა ხმლის ყუა გადაჰკრა კისერზე. ლუკამ შეჰყვირა:

— რა გინდათ?.. მე რა შუაში ვარ...

— წამოდი, ბევრს ნუ ყბედობ, — ეჯავჯვურებოდნენ აქეთ-იქიდან.

— ცოლი მაინც დამამარხვინეთ! ქრისტიანები არა ხართ!?

— ნუ გეშინია, დაუმარხავი არ დარჩება. ჩაფლავენ სადმე.

— ო, თქვე უღმერთოებო... სალომე... სალომე...

— თავს მოუარე, ბრძოლო! — დაუყვირა ვილაცამ. — როცა გაავადმობრებენ, მაშინაც დაუძახე ცოლს!

ლუკა წაიყვანეს. ჯერ სცემეს, მერე რალაცა ჰკითხეს. ლუკას არაფერი ესმოდა. ორი კვირის შემდეგ გამოუცხადეს, რომ ხუთი წლით აციმბირებდნენ. მთელი გზა, ციმბირამდე, ოხრავდა ლუკა. უნდოდა გაეყო, სად თავდებოდა სამშობლო, საქართველო, და სად იწყებოდა რუსეთი... მაგრამ მთელი გრძელი გზა ისე გაიარა, რომ ქვეყნის ასავალდასავალისა ვერაფერი გაიგო.



ნოემბერი ჯერ არ დამდგარა და ქვეყანა უკვე თეთრ სუდარაშია გახვეული. ლუკა წვერმოშვებულს, დაავადმყოფებულს მიღვის მიათრევს ფეხებს და თავის გაჩენის დღეს წყევლის. მხოლოდ ერთი წელი გასულა მისი ვაციმბირებიდან და ისე ეჩვენება, თითქოს უსასრულობაში იყოს გადავარდნილი. ირგვლივ უცნობი ქვეყანა, უცნობი ხალხი, ტყავის ტანსაცმელში გამოწყობილი გრძელწვერა კაცები... სხვანაირად ლაპარაკობენ... „ერთი ქართული გამაგონეთ“ — ჩურჩულებს ლალიძე, სასიყვარულო შეწყურებს ყველა უცნობს და ეკითხება:

— ქართველი ხომ არა ხარ?

ზოგი ჩერდება და, როცა მის ცრემლებით სახე თვალებს შეხედავს, სიბრალულით ეუბნება:

— ჩვეო ტებე ნადო, სტარიკ!

იგი მიხვდა, რომ ოცდაორი წლის კაბუკი მოხუცად მიანჩნიათ. წუხს ლალიძე, წუხს, რომ რუსული არ ესმის და მისი ქართულიც ვერავის გაუგია...

პატიმრები დილიდან ტარგმანდნენ ყავთ და ტყეს აჩეხინებდნენ. ლუკამ იგრძნო, რომ უმოქმედობით და დარდით თავს ვერ უშველიდა, მთლად რომ არ მოდუნებულყო მუშაობა არჩია, დაიწყო ნაჯახის ტრიალი, მაღალი ხეების ჩეხვა. ისწავლა თითოთოროლა რუსული სიტყვა... გავიდა ხანი და ლალიძემ დამტვრეული რუსულით უამბო პატიმრებს თავისი თავგადასავალი... სალომეს სიკვდილი კი არ გაუმედავენბია, რაკი ცოლი მისი ხელით დამარხული და მიწამიყრილი არ იყო...

ყინვამ, თოვლმა, ციმბირმა ნელინელ გაანელა გულის ცეცხლი. ლუკა უსმენდა სხვა პატიმრების ლაპარაკს და გრძნობდა, რომ თვითველ მათგანს არანაკლებ დიდა დარდი აწუხებდა. ლუკა რუსულად ახერხებდა ეთქვა, რომ დღემდე არ ვიცოდა, თუ სხვაც ასეთი გაქირვებული იყო.

პატიმრები ეკითხებოდნენ ლალიძეს, თუ სად იყო საქართველო, იქაც ცივი ზამთარი იცოდა თუ არა, და ლუკაც თვალეზანთებული მოუთხრობდა რუსებს თავისი სამშობლოს მხესა და მთვარეზე, ცასა და მიწაზე... მოუთხრობდა და ვერ ამჩნევდა, რომ საუბარში ნახევრად ქართულ სიტყვებს ურევდა. მაგრამ ერთ ჰირგამოვლილები, ერთი უღლით ქედგადაგლეჯილები ერთმანეთს კარგად უგებდნენ.

წლებმა უთქმელობით დაგუბებული გულის შხამი თითქოს გადაარეცხა. ლუკამ რუსული ენა შეისწავლა და რუსი კაცი შეიყვარა.

ციხიდან გასვლის შემდეგ აქ, ციმბირში, უფრო მეტი მეგობარი ჰყავდა მას. ვიდრე საქართველოში... გულმა სამშობლოსაკენ გასწია, მაგრამ, უსახსრობამ, უთვისტომობამ შეაჩერა.

განთავისუფლებული ადამიანები, ლუკასავით უსახლკარონი და გზავალაბნეულნი, შორს ხეტიალს იმას არჩევდნენ, რომ იქვე ლენის ოქროს საბადოებზე წასულიყვნენ და იქ ესინჯათ თავიანთი კუნთების ძალა.

დათვის ტყავებში გახვეულმა ქართ-
ველმა კაცმა „ლენა-გოლდფელდისს“
სამეტოს მიაშურა.

ლიხაიოვი ჩემად იყო. ლალიძის ნაამ-
ბობით ჩაფიქრებულს შებლი მოეკმუხ-
ნა, თავი ჩაექინდრა და მუხლზე ხელის
გულს ისვამდა.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა ბო-
ლოს ლიხაიოვი.

— რასაც შენ, საბადოებზე მუშაო-
ბას.

— როგორ ფიქრობ, გავმდიდრდე-
ბით?

— ეკ, გამდიდრებაზე არ მინდა! —
ლუკას თვალეები მოენისლა.

— რატომ? — გაოცდა პეტრე.

— ერთ თავს, როგორც იქნება, შევი-
ნახავ. შენ კი შენი დანიშნულისთვის
გინდა ოქრო, არა?

— მაშ რა! გავმდიდრდები, ატამანი-
ვით მოვირთვები და სტანიცაში ისე ჩა-
ვალ. შენ ნახე, როგორ დააღებს პირს
ყველა.

— მაშ, მაშ! — იცინოდა ლუკა.

— ლუკა, — უთხრა პეტრემ. — იცი,
რას გეტყვი. კარგი ბიჭი სჩანხარ, გინდა
ვეძმით ერთმანეთს!

— ვეძმით. რითაა ცუდი. — თქვა ლა-
ლიძემ.

— აი, ჩემი ხელი, — დაიძახა ლიხა-
იოვი და მარჯვენა გაშალა.

— აი ჩემიც, — თქვა ლუკამ, ხელის-
გული ტყაპუნით დაჰკრა კახაყის ხელს
და თითები მაგრად მოუჭირა.

— სიბერეში ვეტყვი ჩემს შვილიშვი-
ლებს, — ცოტახნის შემდეგ თქვა პეტ-
რემ, — საქართველოში ძმა მყავს-მეთქი.

— მეც მომწონხარ, ლიხაიოვ. კარგი
ბიჭი სჩანხარ, — თქვა ლუკამ.

ირკუტსკში საშინელი ღრჭილით ახ-
სნეს ურდული და ვაგონის კარი გაიღო.

დახუთული, სიარულს გადაჩვეული ფე-
ხები აღარ ემორჩილებოდა აღდრინებულ
უპაერობით დასუსტებულებს თავზრტ
ეხვეოდათ, ერთიმეორეზე ხელიხელნა-
კიდებულნი ლასლასით დაბორიალობ-
დნენ, ერთიმეორეს შველას სთხოვდნენ,
ემუდარებოდნენ, არ მიეტოვებინათ
უზო-უკვლოდ, უპატრონოდ და მიუსა-
ფრად... პეტრეხოვს თავისი თბილი ქუდი
ვიღაც დარაჯისათვის მიეყიდა, აღებუ-
ლი გროშებით ნახევარი ლიტრა არაყი
გადაეკრა. ეიგარიოვსა და კუშმინს პური
ემოვათ და გემოზე ილუქებოდნენ. ეტ-
ყობა, მათაც გაესინჯათ ციმბირის არა-
ყის გემო, რადგან თვალეები უზრწყინავ-
დათ და მალიშალ იცინოდნენ. ვასი-
ლი ფიზლად იყო, მთერალ მუშებს
უთმობდა სიტყვას, მეგობრულად ელა-
პარაკებოდა, აშოშმინებდა. ლიხაიოვი
გაცეტებული იყურებოდა აქეთ-იქით.
იგი ფარას ჩამორჩენილი ცხვარივით მი-
ჰყევებოდა მუშებს, რასაც სხვა აკეთებ-
და, ისიც ბრმად ბაძავდა, ვერაფერს ვერ
იმახსოვრებდა, რადგან შთაბეჭდილებე-
ბი უამრავი იყო. მორჩილად იქნევდა
თავს და მიბუტბუტებდა. ირკუტსკში იმ-
ქამად იმყოფებოდა ინჯინერი ტულჩინ-
სკი, ოქროს საბადოების მმართველის
ბელოზეროვის მარჯვენა ხელი. ტულ-
ჩინსკიმ ისარგებლა შემთხვევით და მუ-
შების ახალ ჯგუფს სიტყვით მიმართა.

— მუშებო, ჩემო ახალო მეგობრე-
ბო! — ფარისეველურად ამბობდა ტულ-
ჩინსკი, — თქვენ დღეიდან იწყებთ ახალ
ცხოვრებას. თქვენ იცით, რომ ადამიან-
ის ცხოვრებაში ყოველივე ახალს აქვს
თავისებური სიძნელე და გაჭირვება.
ჯერ-ერთი, კლიმატური პირობები აქ
სულ სხვანაირია, ვიდრე ურალსგადაღ-
მა... თქვენ მოგიხდებათ ყინვასთან შე-
ჩვევა... მუშაობა ძნელ პირობებში, მაგ-
რამ სამეგობროდ, თქვენ იცით, რომ სა-
ბადოების გამგეობა კარგ გასამარჯელოს
აძლევს მუშებს, ამარაგებს მათ სურ-
სათ-სანოვავით, უფასოდ უწევს ბავშვთა
კვებას, აწყობს მათთვის სახალისო საბლს...
შემდგომისდაგვარად ჰქმნის პირობებს,
რომ მუშებმა კარგად იცხოველონ.



ლიხანოვი ყურებდაცქვეტილი უსმენდა ტულჩინსკის და რალაცა იმედი ესახებოდა გულში. „არც ისეთი საშინელედა ყოფილა საბადოებზე მუშაობა, — ფიქრობდა პეტრე. — ამხანაგი ვასილი უთუოდ ბუნტოვნიკებისაგან არის მოგზავნილი და ჩვენი აჯანყება უნდა“.

ირკუტსკში რამდენიმე დღის შეჩერების შემდეგ სამასი კაცი საგან შემდგარი ჯგუფი დაიძრა საბადოებისაკენ. ისინი დიდ გემში ჩასხეს, გემმა ბოლაიბოსაკენ აიღო გეზი.

ლიხანოვი გემბანზე იდგა და ყურადღებით უსმენდა ვასილის განმარტებას, თუ სად რა იყო და როგორ იყო. ლენა ხან ვიწროვდებოდა და ორივე ნაპირზე აღმართული კლდეები ცაში მიიწვედნენ, ზვიდან დაჰყურებდნენ გემს, ხანაც იშლებოდა, განივრდებოდა. მთები, დაბლდებოდა და ახლა უკვე გემბანი გადაჰყურებდა თვალუწვდენ ველებს და გულჩახვეულ ტაიგას.

* * *

ორი კვირაა, რაც ლიხანოვი „ლენა-გოლდფილდისის“ მუშა გახდა. პეტკა ცხოვრობდა გრძელსა და უსინათლო ბარაკში. ბარაკს ფანჯრების მაგივრად კედლები ალაგ-ალაგ დახვრეტილი ჰქონდა და იქიდან შემოდებოდა სუფთა ჰაერი. ნახვრეტები ჩერებით იყო გამოტენილი. ოთხსართულად შეკოკოლაგებული, გაუჩორკნავი, ნეღლი ფიცრისაგან შეკრული საწოლი მერხები ყოველ შეტოვებაზე გულსწამებდად ჰქრიალებდა.

ლუკამ პეტრეს გვერდით გამართა საწოლი. თხელ ლეიბზე ისე წამოგორდებოდა ხოლმე, თითქოს მუხლამდე ბალახში ყოფილიყო. პეტრე შეაწუხა ახალმა ყოფამ, სანამ შეეჩვეოდა, გული ელეოდა, ლაღიე კი, ხუთი წლის მანძილზე თავისუფლებას დანატრებული, თავს კარგად გრძნობდა. ლუკას თვალები უცინოდა, მთელ სახეზე ისეთი შუქი ადგა, რომ მისი შემხედავი პეტკაც უნებურად იღიმებოდა. ლუკა ადგომისთა-

ნავე ლიღინებდა და სიცილით ამბობდა: — რა სახე ჩამოგტირიხთ, ბიჭებო! დარდი ვის არა აქვს, მაგრამ კაცობა ის არის, რომ დარდს მოერიო. მშინშარა კაცი დღეში სამჯერ კედებოდაო. ადექით. მუხლები გამართეთ, ბარეთ გაღით, ფერზე მოხვალთ!

— ამ ყინვაში ძალიან კი გაიშლები, — იტყოდა პეტკა.

— აბა, მაშ, სად, ლუმელზე, სქელი დედაკაცის მკერდთან?

— იქ გიყვარდეს!

— იქ კი არა, აქ არის ბიჭობა! სხვა არაფერი, სიზარმაცე გავეთოშავს.

ლიხანოვი ყოველ შაბათს სალამოს ეკითხებოდა მეგობარს:

— ლუკა, მალე გავმდიდრდები?

— რალაცა კარგი სიზმარი ვნახე შენზე, შავ ცხენზე იჯექ და ღუნიაშასკენ მიაჰქნებდი...

— მართლა? მაშ გამდიდრებული ვიყავი? — სიხარულით სახე ებადრებოდა ლიხანოვს.

— ცხენზე ოქროს უნაგირი გედა... —

— შენ იცი, რას გეტყვი? — მიუხედებოდა ბოლოს პეტკა, — დაცინვას კაცი არ მოუკლავს...

— ჰოდა, აბა, მე რომ მეკითხები, ჩემო პეტრე, გავმდიდრდები თუ არაო, როგორ ფიქრობ, ხუთი წელი ციხეში ვიყავი თუ გომინახიაში, აბა საიდან უნდა ვიცოდე, რა დაგემართება?

— მაინც რა დამემართება, მოვეკვები?

— ღმერთმა გაშოროს, რას ერჩი დუნიაშას, რომ უღროოდ აქვრივებ... ანდერძი მაინც დაუტოვე რამე...

— ანდერძი, თორემ, მე ვიცი, მილიონების ქონება მრჩება.

— ანდერძს, პეტკა, მართო ქონებაზე კი არ უტოვებენ.

— აბა, მაშ რაზე? გათხოვებაზე?

— სწორედაც! ანდერძში უნდა ჩასწერიო, რომ თუ დუნიაშას შენ ნამდვილად უყვარხარ, შენს შემდეგ გათხოვება არ იფიქროს...

— ეშმაკმა დაგლახვროს, — სიცილით წამოიძახებდა პეტრე. — რა კბილი და-

მადგი. მართლა არ გადამბრუნდეს ფეხი.

— ნუ გეშინია, ლიხაოვ, სანამ მე შენთან ვარ, სიკვდილს, თუ მოსასვლელია, ჯერ ჩემსკენ ვაბრუნებინებ პირს...

— რათა, ლუკა, — დაღონებული იტყოდა პეტრე, — სალომე ძალიან კარგი მეგობარი ყოფილა შენთვის, მაგრამ რაღას უშველი. რად უნდა მოკვდე ჩემზე უწინ. სიყვარული ხომ კიდევ შეგიძლება...

— ეხ, ლიხაოვ, ქართული ანდაზაა: პირველი ბედი ბედია, მეორე მოგონებაო, მესამე ვიარზე შეჯდომა, მეოთხე გაქენებაო.

— ეს როგორი ანდაზა გქონიათ, ბევრი ცოლები გყვარებით.

— პირიქით, პეტკა, ქართველი კაცი-სათვის პირველი სიყვარულია ყველაფერი, დანარჩენი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი.

— რას იზამ, ლუკა, ყველანი ერთ ტაფაში არ ვიწვით?

— ეგ ყველაფერი კარგი, — ხმა დაუდინჯდა ლუკას, — მაგრამ ვასილის ნათქვამი ძილშიც არ მაძლევს მოსვენებას. შენ როგორ ფიქრობ, გამოცდილი კაცია ვასილი, დაეჯერება?

— გამოცდილება ერთია და დაჯერება მეორე. რა ვიცი, ვნახოთ...

ლიხაოვი, პეტრუხოვი, ლუკა და ვასილი ანდრეევის საბადოზე იყვნენ, თიგარიოვი და კეზმინი კი — ილინსკის საბადოზე. პეტრუხოვმა თავიდანვე ცუდი ხასიათი გამოიჩინა, ყველას ებუზღუნებოდა, კრიქაში ედგა, ედავებოდა. ქალებს მოსვენებას არ აძლევდა. ბარაკში ორი ქალი იყო, პაშა და გრუნია. პაშას ჩვილი ბავშვი ჰყავდა და პეტრუხოვი მას არ ეკარებოდა. სამაგიეროდ, გრუნიას არ აძლევდა გასაქანს. საქვეყნოდ მკლავებზე ჩქმეტდა, კისერზე კოცნიდა. გრუნია შეწუხებული იყო პეტრუხოვის იერიშებით, როგორც შეეძლო ებრძოდა და უმკლავდებოდა. პეტრუხოვს მხოლოდ ვასილის ხათრი ჰქონდა, მისი სჯეროდა. ეს — თუ ფხიზელი იყო, მაგრამ როცა დათვრებოდა, მაშინ არათუ ვასილი,

ქრისტე ღმერთი რომ ჩამოსულიყო მიწაზე, მასაც შეუბღერდა და საჩხუბრად გამოიწვევდა. ეშმაკმა იცოდა, საიდან მოულობდა პეტრუხოვი ან ფულსა და ან არაყს. როგორც კი შებინდებოდა, თავის ამფსონებთან ერთად სკივრებს შუა ჩაჯდებოდა, ჯერ ქუეყით გამოთვრებოდა, მერე დაიწყებდა ქაღალდის ან კამათლის თამაშს, უსათუოდ წააგებდა და გაბრაზებული, გრუნიას ალერსით იყრიადა ჯავრს. დამშვიდდებოდა, თუ ერთ ვედრო წყალს თავზე გადაასხამდნენ, ან ყინვაში გარეთ გააგდებდნენ. ლიხაოვი ღონით არ ჩამოუყარდებოდა პეტრუხოვს, თუ უფრო მეტიც არ იყო, მაგრამ მასთან ერიდებოდა ჩხუბსა და აყალმაცულს. პეტკა ზოგჯერ ვასილთან ლაპარაკსაც გაუბრბოდა, მისი მთავარი საზრუნავი და საფიქრალი გამდიდრება იყო...

დეკემბრის ერთ ყინვიან დღეს მუშები მაღაროში იყვნენ და მაგარი ქანის აფეთქებას აპირებდნენ, რადგან წერაქვით ვერაფერს გახდნენ. ნაღმი უვარგისი აღმოჩნდა. აფეთქების ტალღამ ქერი ჩამოაქცია და სამი მუშა ცოცხლად დამარხა. პეტრუხოვი სხვებთან ერთად გაფითრებული ამოიჭრა მაღაროდან და ბარაკისაკენ გაიქცა. როდის როდის გაუარა შიშმა და ნერვულმა ცახცახმა. ბარაკში მის გარდა არავინ იყო. პეტრუხოვს შერცხვა, თანაც მშართველის შეეშინდა. სანამ პეტრუხოვი მაღარომდე მივიდოდა, ნაღმის აფეთქებით ამღვარი ბოლი დამჯდარიყო, მტვერი შეთხლებულიყო და მუშები იმ ადგილს თხრიდნენ, სადაც სამი კაცი ცოცხლად ჩამარხა. პეტრუხოვისთვისაც შემოენახათ არაყი და მან ლომივით დაიწყო მუშაობა. მუშებმა მალე მიაგნეს თავიანთ ამხანაგებს, დასახინჩრებულები და სხეულდაგლეჯილები ამოიტანეს მაღაროდან. გათხრის დროს პეტრუხოვის წერაქვი მოხვდა რაღაც რბილ საგანს, რომელიც არ ჰყავდა არც თიხასა და არც აყალს... პეტრუხოვმა ცნობისმოყვარეობისაგან თვალები გადმოკარკლა, ცნობისმოყვარეობა გადაედო ვანკასაც, პეტრუხოვისთანა ლოთსა

და ჩხუბისთვის. ვანკა ძველი ქურდი იყო, კაცის კვლავ ნაკატორღალი და არაყზე შეყვარებული მიაჩნტ პეტუხოვს ახელებდა. პეტუხოვმა და ვანკამ ერთად დაიწყეს მუშაობა და მალე მიწის ზედაპირიდან ოთხი მეტრის სიღრმეზე, ყინულში, მიაგნეს ადამიანის გვამს, რომელიც ისე იყო შენახული, თითქოს გუშინ გარდაცვლილა. პეტუხოვსა და ვანკას გონებაში გაუელვათ, რომ გვამი იქნებოდა ოქროსმამიგბლისა, რომელსაც ვერ გაეღწია ტაიგიდან და ყინულში ჩამარხულიყო. თვალეზი დააცეცეს. გვამს გულზე დაკერებული ჰქონდა ქისა. მშვიერი მკვლევებით შეუძღვირეს ერთმანეთს პეტუხოვმა და ვანკამ, თვალეზი დააბრიალეს, თითები ნერვულად აუთამაშდათ, ქისა მათგან ერთი მკვლავის გამაღზე იყო და რომელი მოასწრებდა აუღებას... ვანკამ დაასწრო. კუჭყით საეფე გრძელი ფრჩხილებით მოფხოვნა გვამი და ქისა აიტაცა. პეტუხოვი საჩტად დარჩა, გაოცებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. მან სისხლიანი თვლებით შეხედა ამხანაგს. ხელი წერაქვისაკენ წაიღო. ვანკამ მოასწრო გაქცევა, ტყეს მისცა თავი... სამი დღე-ღამე არ გამოჩენილა ვანკა. ალბათ, ეცადა ბოდაბოზე ან ოლეკმაზე გადასვლას, მაგრამ საცოდავს სიხარულისაგან სულ დავიწყებოდა, რომ ზაფხულამდე იგი ტაიგისა და ყინვის ტყვე იქნებოდა, რომ ყინულის გატეხამდე ამ ადგილებიდან ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. სამი დღის შემდეგ დამშეული, ტანსაცმელშემოხეული, გათოშილი დაბრუნდა ბარაკში. პეტუხოვს აღარ ჰქონდა იმედი, რომ ვანკა დაბრუნდებოდა, მას ეგონა ვანკა ან გაიყინა ან დათემა შექვამა... პეტუხოვი შეეგება ვანკას, პური აჭამა, არაყი დაალევინა, გაათბო, მკრე ქალაღის თამაში შესთავაზა... ორივენი გრძნობდნენ, რომ ერთიმეორის შესაქმელად ემზადებოდნენ. ვანკა უხალისოდ თამაშობდა... მაგრამ აი, წააგო ერთხელ, ორჯერ... ვანკა გამოფხიზლდა, სიმწრის ოფლი გადასდიოდა სახეზე, შუა თამაშში წამოღდა და

გაქცევა სცადა, პეტუხოვმა ამჯერად გზა გადაუჭრა, კისერში ხელი ჩააფლტა, აიძულა ქალაღის თამაში განეგრძოთ. პეტუხოვმა მოიგო. თვალეზანთებულმა, გიჟურად გახარებულმა გამოსტაცა ვანკას ოქროთი საეფე ქისა... მერე გრუნისა მიუჩოჩდა და კოცინა დაუწყო. მოთენთილი პეტუხოვი ნებიერად წამოწვა. ვანკამ დაავლო ცულს ხელი, ერთი ნახტომით გაიწინა და პეტუხოვთან და ძლიერი დაკერით თავი გაუპო. სასიკვდილო კრუნჩხვამ პეტუხოვს ისე შეუკრა თითები, რომ ვანკამ ვერაფრით ვერ გამოგლიჯა ხელიდან ქისა... ყვირილზე მთელი ბარაკი აიშალა. ძლივს გათოკეს გადარეული ვანკა. საიდანღაც მმართველი ბელოზეროვი გაჩნდა პოლიციელების თანხლებით. მან მსუნაგად მოაცმაცუნა ტუჩები სულთმობრძავ პეტუხოვს ჯიბის დანით თითები დაუსერა, ქისა ხელიდან გამოგლიჯა, ჯიბეში ჩაიღო და პოლიციელებს უთხრა:

— ეს დამარბეთ, — და ჯერ ისევე ცოცხალ პეტუხოვზე მიუთითა, — ეს დააპატიმრეთ, — თქვა ღონემიხილ ვანკაზე.

პეტუხოვს არ ეწერა გადარჩენა, მაგრამ რამდენიმე საათის სიცოცხლე კიდევ ჰქონდა. ბარაკიდან თოფის კონდახის ცემით გაიყვანეს მუშები და სიკვდილის მუქარით გააპრევიანეს სამარე.

• •

ხანდახან ლიხაოვი წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იყო, ოქროთი საეფე ქისა მას ჩავარდნოდა ხელში. რა უტბად გამდიდრდებოდა! თუმცა რა იცის, რომ პეტუხოვი ერთ არ მოელებოდა ბოლო? „დაიღუბა ორი ადამიანი, — ფიქრობდა ლიხაოვი. — ოქროს გულისათვის... და ბოლოს ოქრო ხელთ იგდო ბელოზეროვმა“.

ლიხაოვს მოაგონდა ვასილის ნაამბობი და უდიდესი სიციხადი დაინახა, თუ როგორ და რანაირად ჰყვლფდნენ მუშებს... დაინახა ლიხაოვმა, უთხრა კი-

დეც ვასილის, მოისმინა მისგან კიდევ ახსნა-განმარტება, მაგრამ საკუთარ გონებაში მაინც გადაწყვიტა, ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ შეფეს უმაღლესს, არ აგებინებენ უსამართლობას, დამნაშავენი არიან მხოლოდ მეფის მოხელენიო...

ბარაკში ბნელოდა. ლიხაჩოვს ესმოდა, როგორ სწმენდდა სისხლიან პერანგს გრუნია და პირის წკლავუნით მისტიროდა პეტუხოვს.

პაშას წყალი გაეცხელებინა, ბავშვი ებნაეებინა და ახლა სარეცხს რეცხდა. ცხელ წყალში ხელების ქვაბუნით და სწრაფი მოძრაობით ჩაყვითლებულ ლოყებზე ფერი მოსვლოდა, დაღლილობისაგან ყელთან და გულის პირზე ოფლის მძივი ეყიდა. გაჩეჩილი თმები სახეზე ჩამოშლოდა და თვალებში ებლანდებოდა. პაშა რაღაც საფიქრალს აპყობოდა, თვალები მონამოდა, ცხვირს მალი-მალ იწმენდდა და ცრემლებით საცხე ქუთუთოებს ახამხამებდა. პაშას ქმარი მალაროში ჩამოტყუტულმა კლდემ მოიყოლა, იქვე ჩაიმარხა, გვამი ვერ ამოიღეს. პაშამ ბევრი იტორა, ივიშვიშა, მმართველთან ირბინა, ეხვეწა და ემუდარა, მკედარი მაინც მომეცით, რომ მიწას მივაბარო, მაგრამ მმართველმა ხარჯების გაღება არ ინება, რად მინდა შენი ქმრის ამოსაღებად მიწა ვთხარო, სულ ერთი არ არის, სად იქნება დამარხული, არ სჯობს, ისეთი ადგილი გავთხარო, სადაც ოქრო იქნებაო?.. მუშებსა და აღმინისტრაციას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, პაშას, როგორც დაქვრივებულს, პენსია ეარგებოდა. მაგრამ პაშამ კარგად იცოდა, რომ სიცოცხლეში თუ არაფრად აგდებდნენ მის ქმარს, სიკვდილის შემდეგ ამ ყრუ ტაიგაში არავინ დაიწყებდა დავას პენსიაზე... პაშამ იცოდა, რომ ამას არაფერი მოჰყვებოდა, შიმშილის მეტი, და თვითონ დაიწყო მალაროში მუშაობა. პაშა ჩადგმული, ჯანიანი ქალი იყო, აგ-

რე ადვილად ვერ მოერგოდა შრომის სიმძიმე და ყინვა. ბევრ მამაკაცს სჯობდა ღონითა და გამძლეობით, მაგრამ იგი მაინც ქალი იყო და ჩვილი ბავშვიც ჰყავდა. მამაკაცები რომ უთენია მალაროში გარბოდნენ, პაშას ეს არ შეეძლო. ჯერ ბავშვისათვის უნდა მიეხედა, ძუძუ მოეწოვებინა, არტახებში მაგრად გამოეკრა, მიეაღერებინა, რაც ჰქონდა ჩასაცმელ-დასახურავი, ყველაფერი ბავშვისათვის დაეფარებინა.

სამუშაოდან დაღლილი ბრუნდებოდა იგი, შიმშილისა და სიცივისაგან არა მარტო რძე უშრებოდა ძუძუში, სისხლიც უშრებოდა და გული ეკუმშებოდა. მუშებს სურსათ-სანოვაგეს მალაზიაში ტალონებზე აძლევდნენ და ამ ტალონების ღირებულებას ხელფასიდან უტყვი თავდნენ. პაშას გამხმარი, ჩალითა და ხიჭვებით საცხე პური მიჰქონდა ბარაკში, გაფიცებული ტუჩებით ჰკრეფდა ნამცეცებს, აბედივით გამშრალ ენას უსვამდა, რომ როგორმე დაეღობო და გადაეყლაპა ლუცმა... წერაქვის მოქნევისაგან ბეჭები ისე სტკიოდა, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდა ხოლმე. დაბრუნდებოდა თუ არა ბარაკში, ლოგინში ჩაწვებოდა, ცალი ხელით პურსა სვამდა, მეორეთი ბავშვი ეკრა. ბავშვი კი ბაქიასავით აცმაცუნებდა ტუჩებს, ტიროდა, კაპასობდა, ყელის ატყვივბამდე სწუწინდა ძუძუს. პაშა ჩამოხმა, დაილია, დაბატარავდა. მამაკაცებზე ნაკლებს არ მუშაობდა, მაგრამ ხელფასს, როგორც წესი, ნახევარს იღებდა. ამას ემატებოდა ბელოზეროვის ზიზი ქალუხისადმი. კაცებისა კიდევ ემსოდა და ერიდებოდა ბელოზეროვს, ქალებს კი როგორც მოეპრიანებოდა ისე მოექცეოდა.

ერთ დღეს პაშას ცოტა შეაგვიანდა სამუშაოზე გასვლა. ბარაკი თითქმის დაცარიელდა, ის კი ჯერ კიდევ არ იყო ამდგარი. ბავშვი ხელებს ატყაპუნებდა დედის მკერდზე, თრთოდა, ხტოდა მთელი სხეულით. პაშა ერთობოდა შვილის ყურებით, დაღლილი სხეული ვეღარ წამოეწია, პირველად თავის სიცოცხლეში

ნებივრობდა... უცბად ხმაური გაისმა, ბარაკის კარი გაიღო და გამხეცებულ ბელოზეროვი შემოვიარდა.

— ჯერ არ წათრეულხარ სამუშაოზე? — დაიყვირა მან და, სანამ პაშა რაიმეს თქმას მოასწრებდა, მკერდზე მათრახი გადააწნა.

დღეა-შვილის კვილმა ბარაკი აიკლო. ბელოზეროვი ერთხანს გაოცებული დასცქეროდა პაშას გასისხლიანებულ ძუძუს, სახედახეთქილ ბავშვს, მერე ღონივრად დაახველა, იატაკზე გადმოაპურყვა, რალაცა შეიზმუყუნა და ბარაკიდან გავარდა.

პაშამ იგრძნო, რომ მას აღარასოდეს არ ექნებოდა რძე.

ლიხაჩოვი ხარბი თვალით უყურებდა ყველაფერს, დაცვეტილი ყურით უსმენდა, თქმით კი ნაკლებს ლაპარაკობდა. მის იმედს, რომ საბადოზე გამდიდრდებოდა, ყოველდღე ეცლებოდა ნიადაგი და საცაა სულ გაქრებოდა. პეტუხოვის სიკვდილის შემდეგ ლიხაჩოვისათვის ცხოვრება შესაზარი და ამარზენი გახდა. რამდენიმე კვირის მანძილზე პეტრეს ესიზმრებოდა თავგაჩეხილი პეტუხოვი და ღიმილით სახე დაღრეკილი ბელოზეროვი, როცა ის ოქროთი საცე ქიასა ჯიბეში იღებდა. ლიხაჩოვი ხედებოდა, რომ ცხოვრება არ იყო ისეთი მარტივი და უბრალო, როგორც მას ეგონა. სტანიცაში ცხოვრებისას მას საქმე ჰქონდა მიწასთან. თუ კარგი მოსავალი მოვიდოდა, მშვიერი არ მოკვდებოდა.

ლიხაჩოვს ეგონა, რომ მისი სიღარიბის მიზეზი მხოლოდ უმემკვიდრეობა და გაპარტახებული სახლ-კარი იყო. იგი ფიქრობდა, რომ მისი და დუნიაშას სიყვარული ყველაფერზე მაღალი იყო ამქვეყნად, ღრუბლებზეც მაღალი და მიწასათვის მდიდარი, მაგრამ მალე დაარწმუნა ცხოვრებამ: ოქრო უფრო მეტი შეძლებისა და უფლებისა იყო, ვიდრე სიყვარული. განსაკუთრებით აქ, ტაიგაში მომხდარმა ამბებმა საბოლოოდ შეარ-

ყია მისი რწმენა ცხოვრებაზე, მისი გული უბრყვილო, თავისებურად მარჯულ და უცოდველი ფიქრები. ოქროს გამო პეტუხოვისა და ვანკას დაღუბვამ, ბელოზეროვის სისასტიკემ, პეტრე ცხოვრების მორევის სიღრმეში ჩაახედა. აქამდე ელტვოდა, ესწრაფოდა სიმდიდრეს ლიხაჩოვი, ახლა თითქოს დაშინდა და ერიდებოდა. მისი ფიქრით, ოქრო ყველა უბედურების მიზეზი იყო, ოქრო შავი ჭირი იყო უბრალო ადამიანებისათვის...

ლიხაჩოვი გულით მიენდო ვასილს. ერთ დღეს ხმა დაირხა: მუშები ნადეჟდინსკის საბადოზე აპირებენ წასვლას, იქ სახალხო სახლში ბევრ საინტერესო რამეს ნახავენო. ამ საქმის მეთაურად მუშა ზელენკოს ასახელებდნენ, ვასილის მეგობარს.

ლიხაჩოვი სხეებთან ერთად ნადეჟდინსკის საბადოზე წავიდა. კვირა დღე იყო. მუშებს პიესა მოეგზადებინათ და დადგამს აპირებდნენ. ლიხაჩოვი ყველაფერს, რაც სცენაზე ხდებოდა და მსახიობები ასრულებდნენ, ბოშების ცირკს ეახზა. ამიტომ ახლაც დიდი ინტერესით მოელოდა ჯამბაზების გამოჩენას, ბოშურ ცეკვებს და მანჭვა-გრეხას. ფარდა გასწიეს, სცენაზე ვილაცა ქალს კაცი ეხვეოდა და ეუბნებოდა, ძალიან მიყვარხარო. ქალი ჯიუტობდა. კაცი ევედრებოდა. ლიხაჩოვი ბრაზობდა, როცა ხედავდა, რომ კაცი ამდენს ეღრიჯებოდა ულამაზო ქალს და ის კი მაინც უარზე იყო. პეტრემ კინაღამ შეიგინა ქალის მისამართით.

„წარმოდგენის“ შემდეგ სცენაზე ზელენკო გამოვიდა და მუშებს სიტყვით მიმართა. ზელენკო ლაპარაკობდა იმაზე, რომ მუშები მძიმე პირობებში ცხოვრობენ, დღედაღამ მუშაობენ, ხელფასს ძალიან ცოტას იღებენ, რომ ჯარიმებსა და მოტყუებას აღარა აქვს ბოლო... ლიხაჩოვმა იფიქრა, ზელენკო მუშებს „ბუნტისაკენ“ მოუწოდებდა. ჯერ ცოტა შეეშინდა პეტრეს, რატომღაც საპრჩობელა მოეჩვენა, მერე დაინ-

ტერესდა და ჩვეულებისამებრ წამოცქვიტა ყურები. ზელენკოს შემდეგ ჩერებახინმა ილაპარაკა. ბოლოს ვასილი გამოვიდა. მუშები ყურადღებით უსმენდნენ. დროდადრო ისმოდა წამოძახილები:

— სწორია.

— კარგად ლაპარაკობს!

ლიხაჩოვი ყველას, ვინც კი რამეს წამოიძახებდა, დაფეთებული შეხედავდა. თანდათანობით ლიხაჩოვის გულს ყინულის მარწუხები ეშვებოდა, თავისუფლად სუნთქავდა, შეზღუდვისანილი უყურებდა მოლაპარაკებებს და ახლა უკვე ვასილისა და ზელენკოს ნათქვამიდან ზოგაერთი რამ სწამდა... პეტრე გრძნობდა, რომ ვასილი, ჩერებახინი და ზელენკო ყველას აზრსა და იმედს ერთად უყრიდნენ თავს, მუშებს რაღაცა სინათლის სხივს ამუჭებდნენ, სწორ გზაზე გამოაჰყავდათ. რაც დრო გადიოდა, ნადეჟდინსკის სახალხო სახლში უფრო და უფრო მეტი მუშები იყრიდნენ თავს. ლიხაჩოვი უკვე ამაცობდა თავისი ნაცნობობით ზელენკოსთან, პირველ რიგში ჯდებოდა და გულისფანქვალთ ისმენდა ახალ-ახალ ამბებს.

ზამთარი მძვინვარებდა ტაიგაში, ყინვის სუსხი ცეცხლივით მოსდებოდა დედამიწას, გულამდე თოშავდა და აზრობდა... მუშობდნენ აგიტატორები...

* * *

ვასილმა ლიხაჩოვის მეოხებით გაიციო ლუკა. პეტრას სულ კაზაკობა ეყვრა პირზე, ლუკას — საქართველო, ვასილი კი უფრო სიღინჯეს იჩენდა და ეუბნებოდა მათ: — ყველა ეროვნების მუშათა ინტერესები საერთოაო.

პეტრე თავნება იყო, ხშირად ჯიუტობდა და ეზარებოდა დილით, ადრე წამოდგომა. ლუკა, როგორც ნაციხარი და ყველა ჯოჯოხეთს შეჩვეული, შედარებით იოლად სთვლიდა საქმეს და პეტრასაც ამხნევებდა, თუმცა თავადა გრძნობდა, რომ მაღაროში მუშობა არაფრით განსხვავდებოდა ციხისაგან...

სახალხო სახლში სიარულით ორთვემ ბევრი ახალი რამ გაიგო. ლუკა თითქმის ყველაფერში ვასილის მხატვრულად დაკადრებულ აზრებს ურჩევდა პეტრეს, მაგრამ ლიხაჩოვი ასე ადვილად არ სთმობდა თავისას.

პეტრუხოვის სიკვდილი ნაკლებად აშფოთებდა ლუკას. მას პაშას უბედურება უფრო ეკვიდებოდა გულზე. როცა ჩვილ ბავშვს შეხედავდა, მაშინვე ფეხშიმე სალომე მოაგონებოდა და ბოლშევიკების ახრჩობდა.

პეტრას ყველა გართობა-თამაშობა ბავშვების საქმედ მიიჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ თავად შესანიშნავი ცეკვა იცოდა. ერთხელ დიდად გაოცებული დარჩა ლიხაჩოვი, როცა ბარაკში შევიდა და დანახა — ხელებგამოშლილი ლუკა გოგმანით უვლიდა წრეს.

— რამ გაგასულელა, — დაუძახა პეტრემ და შუა კარებში შეჩერდა.

— ჩუმად, — გამოეძრაბა პეტრეს გრუნია, — ჩემი დიდი თხოვნითაა, რომ ლუკა ცეკვავს... იგი მე ქართულ ცეკვას მასწავლის...

— მერე ასე მტრედით უნდა იგოგმანოს ვეკაცმა? — იკითხა პეტრემ.

— როგორ ვერა ხედები ლიხაჩოვ, — თქვა ლუკამ, — მე ვცეკვავ ისე, როგორც ქალმა უნდა იცეკვოს ქართული. აბა, გრუნის ხომ უნდა ვაჩვენო!

— მერე-და, რად გინდა, გრუნია, ქართული ცეკვა? — ჰკითხა პეტრემ.

— როგორ თუ რად! — მხრები შეათამაშა გრუნია. — მე და ლუკა ერთად ვიცეკვებთ!

— სად?

— სად და აჰ, ბარაკში. მერე ნადეჟდინსკის სახლში სცენაზეც გამოვალთ...

— იჰ, თქვენც ერთი, მოგცილიათ, — ხელი ჩაიჭინა პეტრემ, — გეტყობა, არ დაღლილხართ დღეს და იმიტომ ხართ ლაზღანდარობის გუნებაზე...

პეტრე თავის მერხზე წამოწვა და აღმაცერად დაუწყა ყურება გრუნისა. გრუნია მეტად მოხდენილად ცეკვავდა. ხელებს თამამად შლიდა, ყელს იღერებდა და ცდილობდა, ნახევარფუთიანი

ვალენკებით ნაზად ეგოგმანა. ლუკა თავს იკავებდა სწრაფი მოძრაობისაგან... მაგრამ აი, უცბად ლუკას სახე გაუნათდა, მხრებში გაიშალა, მუხლები შეათამაშა, გაიღიმა ისე ეშხიანად, რომ პეტრესაც გულს მოეფონა, შეტოვდა მთელი სხეულით და ისე ლაღად გაინავარდა ბარაკში, თითქოს ყინულზე გასრიალებულიყოსო. გრუნიაც აპყვა ლუკას ცეკვას, თვალების პაჭუნით გაიარა და გამოიარა. გაოცებული პეტრე უყურებდა ორივეს და, თითქოს ლუკასა და გრუნიას შესახებ ახალი რამ უთხრესო, გული სიხარულით ევსებოდა, სიხალისე მასაც ეღებოდა, უნდოდა რაღაცა ისეთი მოემოქმედებინა, რომ თვითონაც გამოეწვია გრუნიას აღტაცება... პეტკა წამოხტა საწოლიდან, მივარდა გრუნიას და უთხრა.

— მოდი ახლა, კახაკური ცეკვა გასწავლო!

— არა, პეტკა, დავიღალე, — მიუგო გრუნია.

— რამ დაგღალა, რას ამბობ, — თქვა პეტრემ, — მესმის, კახაკური გეცეკვა და მაშინ დაღლილიყავ... ქართული ცეკვა მუხლში გაშლა და დასვენება ყოფილა მხოლოდ...

გრუნია დიდხანს არ განაზებულა, მალე დაპყვა პეტრეს ნებას და ფეხების ბრაგუნით ბარაკში მტერის კორიანტელი დააყენა. ლუკა ღიმილით შესცქეროდა პეტრეს გაწითლებულ სახეს, მას ეუნთებოდ ქცეულ ტანს. კახაკი მუხლებზე და გულზე ხელების ტყაპა-ტყუპით უვლიდა წრეს და იმ სიმაღლეზე ხტოდა, რომ გრუნია შიშისაგან წიოდა და კიოდა.

მოიღალა პეტკა. ლუკასთან ამაყად მივიდა, გვერდით მიუჯდა და უთხრა:

— როგორ ცეკვებენ კახაკები?

— კახაკები კარგად, მაგრამ შენი არ ვიცი...

— გეტყობა, მოგეწონა ჩემი ცეკვა, შენც კარგად ცეკვავ, ლალიძე...

ბარაკი მუშებით აივსო. საიდანღაც გარმონი გაჩნდა. მაგრამ ცეკვით აღარ უცეკვიათ. ქარბუქი დაიწყო. ბარაკის კედლები შეტოვდა. მუშებმა არჩიეს და-

წოლა, ჩათბუნება, თორემ ქარიშხალი შეუმჩნეველად გააყინავდა მათ. მიღება ცამ ზღაპარი დაიწყო. სიცილით გააჩუქეს.

— ვინა ნახე აქ ძუძუმწოვარა, მართალი სთქვი, — დაუძახეს მეზღაპრეს აქეთ-იქიდან.

მუშამ დაიწყო თავისი სოფლის ამბავი. ერთ წელს მოსავლი არ მოსულიყო და ხალხი შიმშილით თითქმის სულ გამწყდარიყო. მუშა ნელა ლაპარაკობდა, ხანდახან იგინებოდა, უდროოდ დახოცილების მოგონებაზე ოხრავდა, გარდაცვლილებს შენდობას უთვლიდა, ეშმაკის ხსენებაზე იფურთხებოდა და პირჯვარს იწერდა.

ლუკა უსმენდა მოამბეს, ავონდებოდა სალომე, ღებოში მუშაობა, გაჭირვება და შიმშილი. დროდადრო გადაულაპარაკებდა პეტრეს:

— დაიტანჯა ხალხი. მოთმინების ძაფი საცაა გაწყდება.

— აბა, აბა, — უპასუხებდა პეტკა, — ყველა ერთ რამესა ჩივის... გზადაკარგულ ხარვივით დაბორიანობს და თავისი მშვიდი-სადგომისაბრვის ველარ მიუგინა... ვინ იცის, მიავნებს როდისმე?

— გზააბნეულ კაცსაც და ქვეყანასაც ძლიერი გრიგალი სჭირდება, რომ სასიკეთოდ შეუბრუნოს პირი, — თქვა ლუკამ. — აი, იმ გრიგალის იმედი მაქვს მე, ჩემო პეტრე, და იმითა ვარ ცოცხალი ამ ქვეყანაზე... თუ არა ეს იმედი, რაღა დამარჩენია ამ წუთისოფელში სალომეს შემდეგ... დღეს ვცეკვავდი... მე. თვითონ გამიკვირდა, როგორ ვიცეკვე... მაგრამ გრუნია ისეთი დაღონებული იყო, ისე იმღერებოდა თავისი უბედობით, რომ მეც გული ამომიჯდა, ყველაფერი დამავიწყდა ამ ქვეყანაზე, საკუთარი ქრილობა დამიყურდა, როცა სხვა გაჭირვებულს უნდა დავხმარებოდი... მე ახლა სხვისი სიხარული მანარებს და სხვისი სიცილით ვიცინი. მე მიყვარს ჩემსავით დაჩაგრული და საწყალი ადამიანი და მგონია, ყველა პატიოსანი კაცის ვალია, დაცე-

მულსა და დაბეჩავებულს დახმარება გაუწყლოს. მე ამას ციხეში მივხვდი, პეტკა, იქამდე არ ვიცოდი. როცა მე, უცხო მხრიდან მოსული, ქართველი კაცი, უენო და უთქმელი, რუსთან ტაიგაში მოვხვდი, ვიფიქრე, უკაცურ კუნძულზე ვარ-მეთქი... აი მაშინ გამოჩნდა რუსი კაცი, ისიც ჩემსავით პატიმარი, ვინც ჩემი დარდი გაიგო და გაიზიარა, თავისი მითხრა, ტყის ჩეხვაში მომეხმარა, რუსული ენა მასწავლა... გამომიყვანა დაბნეულობიდან, გამაგებინა, რომ ციხე ვერ გასტეხს ადამიანს, თუ რაიმეს რწმენა აქვს... წავხალისდი... ეპ, რაღა გაეგარძელო... გძინავს უკვე, ლიხაჩოვ?

— არა, არ მძინავს, — გაეძრახა პეტრე.

— მართალს ვლაპარაკობ?

— რა ვიცი... ისე გატყობ, ღარიბი ხარ და უთვისტომო ამ ციხე მხარეში, მაგრამ დიდი გული გაქვს...

— დიდ გულს დიდი დარდიც აქვს, პეტკა.

— რა თქმა უნდა.

— გულს გული იცნობსო. შენ რა, გჯერა ჩემი გულისა?

— მჯერა.

— აბა მე მეტიც არ მინდა. შენც ჩემს ბედქვეს ხარ და უნდა გჯეროდეს.



მთელი დღე ბურანში გაატარა ლიხაჩოვმა. მალაროში ისეთი მტვერი იდგა, რომ დაილაპარაკებდა თუ არა ადამიანი, პირი მიწით ევსებოდა. თვალებიდან ყველას ცრემლი სდიოდა. ნაღმის მხრჩოლავი ბოლი უფრო აძნელებდა სუნთქვას. ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა წყველა-კრულვა, ლანძღვა-გინება. ლიხაჩოვს მტკიცედ მოეკუმა ტურნები, უნდოდა არაფერზე არ ეფიქრა. ლიხაჩოვი გრძნობდა, თუ როგორ ქაობში ედგა ფეხი და ყველა მათ, მის ამხანაგებს, მუშებს, რა საშინელი ზვავი ელოდათ დასაცემად და წასალეკად, თუ ხმას არ ამოიღებდნენ. გაბრაზებული პეტრე მიწაზე იყრიდა ჯავრს, მთელი ღონით იქნევდა წერაქვს და ანგრევდა დამზრალს

უგულო მიწას. იცოდა, მიწა ყველაფერს დაიტევდა, მოითმენდა, არ აყვირდებოდა. ლიხაჩოვის გვერდით, წინ და უკან, სხვა მუშები მუშაობდნენ. ერთ-ერთი მათგანი პეტკასავით გაბრაზებულიყო და მთელი ძალით იქნევდა წერაქვს. ლიხაჩოვმა თავისდაუნებურად ყურადღება შეაჩერა მუშაზე. უცბად მუშამ აიქნია წერაქვი და ხელში ტარი-ლა შერჩა. ლიხაჩოვის გვერდით ვილაყამ შეღრიალა და წერაქვით თავგაჩივლილი გმინვით დაასკდა მიწას... კიდევ ახალი უბედურება უფარგისი იარაღის გამო. რომელი ერთი აიტანოს გულმა! ლიხაჩოვი სულ უფრო იქუშებოდა, სიმწარისაგან კბილს კბილზე აჭერდა. მალაროებში სიცივე ჩამოიჭრა, უფრო ჩამობნელდა, მიხვდა ლიხაჩოვი, სამუშაოდლე დასასრულს უახლოვდებოდა და მალე მალა ავიდოდადნენ. ლასლასით, ძლივს მიიტანა დამძიმებული სხეული კიბემდე, აფოფხდა, როგორც იქნა, თავაქინდრული წავიდა მალაზიისაკენ, რომ თავისი ულუფა პური მიეღო. აიღო პური ლიხაჩოვმა, გარეთ გამოვიდა, ბარაკამდე მისვლა ველარ შექლო, შენობის კიბეზე ჩამოჯდა. უცბად თავს წამოადგა ინგლისელი, რომელიც აქციონერების დავალებით საბადოებზე იყო ჩამოსული და უსაქმობით აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. მას ყოველთვის თან დაჰყვებოდა რამდენიმე პოლიციელი.

— ალო, გესმის, მუციკ! რას წამომჯდარხარ აქ, — თქვა ღრეჭით ინგლისელმა და პეტკას ფერღში ფეხი წყარა.

— ვისვენებ, ბატონო, — გულმშვიდად, საწყვლად თქვა პეტრემ და მძიმედ წამოიწია.

— დასვენება მიწაშიც გეყოფა, აეთრიე, ყუყურო!

— ყველა ისვენებს და მე რად უნდა ვიმუშაო.

— როგორ თუ ყველა? ბუნტოვჩიკობას იწყებ?

— მე პური მშია და უნდა ვქამო, უპასუხა კახაკმა. — რა თვალში ამომილე!

— ხმა ჩაიწყვიტე, ბენტოვიჩი! ახრანა! ალო! — აყვირდა ინგლისელი. კონდახები ამას, ბოლშევიკს! ვ ლონდონე ნე დარომ გავარილი, ჩტო რასია სტრანა ბენტოვიჩიკოვ... ზდეს კაკაია-ტო ორგანიზაცია... რევალიუცია.

ინგლისელი ყელს იხლენდა. ლიხაჩოვს პოლიციელები სცემდნენ. ვასილი იქვე ბეჭობზე იდგა და გულში მუშტს იკრავდა.

დალურჯებულო, დაიარავებული ლიხაჩოვი ვასილმა, ლუკამ და სხვა მუშებმა ხელში აყვანილი წაიღეს ბარაკში. დატრიალდნენ მუშები. ნაცემი ადგილები არყით დაუზილეს, თბილად დაახურეს, ადუღებული წყალი დააღვივნეს. მეორე დღეს ვასილი ეუბნებოდა ლიხაჩოვს:

— ახლა რაღას იტყვი, პეტკა, მეფე მამაა შენი და უყვარხარ? ჰა? ხომ ხედავ, ქვეყანა ვის ჩაუგდო ხელში! ქვეყნის სიმდიდრეს, ოქროს გეტაცებენ, გეპარავენ და თან ჩვენვე გვლანძღვენ. გეცემენ და გვიბრძვიან. შენ კი...

— ამხანაგო ვასილ, — ლაპარაკობდა ლიხაჩოვი. — შენ ამბობდი, რომ ულიანოვისა ხალხს სჯერაო, არა? რომ მეფე მიიღრებოდა და ბურჟუაზიის ძმაცაი?

— ჰო, პეტკა, ულიანოვი გვასწავლის, რომ საჭიროა მუშათა კლასმა, ყველა მუშამ შეგნებული ბრძოლით მოიპოვოს თავისუფლება და შექმნას ბედნიერი ცხოვრება. ულიანოვი გვასწავლის, რომ არ მოგვატყუონ მეფის მოხელეებმა და ჩვენ ყველგან და ყოველთვის რევოლუციის, სოციალიზმის ერთგულნი დავრჩეთ.

— ამხანაგო ვასილ! აღარ შეიძლება მეტის მოთმენა. ბელოზეროვი იყვების ჩემს ხელში ცხენს მხოლოდ კუდი და თვალბილა... ჩვენ თვალებიც აღარა გვაქვს... გვიხვევენ, გვიბრძვიან... ძალებით გვეჭკვიან... აღარ შეიძლება მეტის მოთმენა, ამხანაგო ვასილ!

მარტის ქირვეულობა პირველად მთის ფერდობებზე იწვინეს. მართალია, მზე არსად ჩანდა, მაგრამ მისი სითბოს ნაკადულები ვერცხლის საღებავებით მოედო მთებს, თოვლი ატრედა, დედამიწის გულში დაგუბებული ყინვა ააბუხბუხა. ტოტებზეყინულ ხეებს ორთქლი აადინა და მერე მოჩვენებასავით გაქრა. ნამდვილი გაზაფხული ჯერ კიდევ შორს იყო, ამინდი მხოლოდ მოციქულებს გზავნიდა მთებზე, რომ ადგილი მოეთვალეოებინა, ყინვის სიგრძე-სიგანე გაეზომა, ზვავებზე გაეპოტებინა, რათა ყველა გზა-ბილიკი, საიდანაც ზამთარი უნდა გაქცეულიყო, სცილდნოდა და შეძლებოდა მათი დროულად ჩაქტვა, როცა აპრილი ნათელი მზის ჯილით ყინვასთან საბრძოლველად დაიჭრებოდა. ბუნება დინჯად, გამოზომილად ამზადებდა ბრილის ველს, სადაც სულ მალე გაზაფხული და ზამთარი ერთმანეთს უნდა შეხმოდნენ. ბრძოლა იქნებოდა სასტიკი და დაუნდობელი, უღმობელი, უსუსიანი ბებერი ზამთარი და ძლიერი, კამკამა გაზაფხული ერთმანეთს შეერკინებოდა სიცოცხლისათვის დედამიწაზე. ზამთარი, როგორც ყოველთვის, აპრილში დამარცხდებოდა და გამარჯვების ზეიმით აღზევებული გაზაფხული, ზეიმითა და ტან-ფანდურით გაითამაშებდა ტყეში და ველ-მინდვრებზე. ჯერჯერობით კი მარტი ასკინკილა დახტოდა მთებში და აქა-იქ ნადრევადა, ხეთა თუ მცენარეთ ზამთრის ტკბილი ძილიდან აღვიძებდა. მიბნედილი ბუნება ღუმდა. და საკვირველი ის იყო, რომ სულ მალე, ერთი თვის შემდეგ, ეს მისი სიჩუმე და მიბნედილობა შეიცვლებოდა გამაყრუებელი ზათქითა და რობროხით, სიცოცხლის სული ჩაუდგებოდა ყველაფერს, აყვავდებოდა, აყვავილდებოდა, გაიფურჩქნებოდა, ისე უცბად და ლამაზად, რომ ზამთარი ვერც კი მოასწრებდა თვალების მოფშვენტასა და მოქნარების გათავებას, უკან-

მოუხედავად გაიპარებოდა. დამზრალი დედამიწა, გაყინული მთები და კლდეები, ყინულის სალტეში ჩაქვდილი მდინარეები, მიძინებული ბუნება, მოწყენილი სამყარო, ყველაფერი გამოცოცხლებოდა, მოძრაობაში მოვიდოდა, მოირთვებოდა, მოიკაზმებოდა... გაზაფხულის იმედი, რომ ყველა ეს გარდაუქვდა რომ მოხდებოდა, გულს უნუგეშებდა სულიერსა თუ უსულოს, ძალას მატებდა, ამხნევებდა.

დღისით დიდი ყინვები აღარ იდგა, აღამიანი თითქოს ეჩვეოდა მეშვიდე ციდან ჩამოჭრილ გაზაფხულის სუნს, გულ-მკერდს იღვღავდა, რათა მზის სხივებით გამთბარიყო... შავრამ ღამით ჩრდილოეთიდან დაიძრებოდა ქარბუქი, მობლაოდა მთებში და ხეობებში, აკვანივით მოარწყვდა, მოაჭრიალებდა ტივას, მოხეცტავდა თოვლს, უზარმაზარი გუნდებივით ისროდა ზევეებს და მდინარეებს ისე პირწმინდად ჰყინავდა, რომ ფოლადივით ამტკიცებდა და ამგარებდა. ქარბუქი ქშუტუნებდა ზეცის სიმაღლე საბერველივით, ძირფესვიანად თხრიდა ხეებს. ირმებს, ჯოგებდა რომ დაძრწოდნენ ტაივასი, ქარბუქი ჩაავლებდა თავის მრისხანე თათებს, დაითრევდა, რქებს თოვლში ჩაასობინებდა, მერე გაჰყინავდა, საკუთარი რქებით დაბმულ ირემს მოუტრიალდებოდა, ბუმბულივით ათამაშებდა და იქამდე არ მოეშვებოდა, სანამ კისერსა და ხერხემალს არ გადაუმტკერვდა...

ერთ საღამოს ღიზაჩოვი, ვასილი, ლუკა, ზელენკო და ანდრეევის საბადოს სხვა მუშები, მთელი დღის შრომით დაღლილნი, მღაროებიდან ბრუნდებოდნენ. თავჩაღუნულნი, უხმაუროდ მიაბრტებდნენ ბარაკებისაკენ და იმის თავიც აღარ ჰქონდათ, ერთიმეორე გაემხნევებინათ და ენუგეშებინათ. ჩუმად შევიდნენ ბარაკში და ოხვრით დასხდნენ მაგიდასთან. ქონის სანთელი უკემურდა ზრჩოლავდა, სინათლე პეპელას ფრთასავით ფარფატებდა, მუჭყიან და ჩამავებულ სახეებს უსინათლობა უფრო აბნელებდა და ამუჭებდა, ბარაკი

გემის ტრიუმსა ჰგავდა, კარხარაშული და ქერდახშული. მაგიდას გარშემო მსხდარ ამხანაგებს ერთ-ერთმა ახალგაზრდა მუშამ მალაზიიდან ულუფა მოუტანა. მუშები ისე იყვნენ დამშუვლები, რომ ცხენის ზორცს, ვეებერთელა სპილენძის ქვაბში ჩაყრილს, არც აცალეს ხეირიანად მოხარშვა. გაითუთქა თუ არა, მოუთმენლობისაგან პირმოწერწყებულებმა აიღეს თავთავიანთი ნაჭერი ხორცი და ქამა დაიწყეს. უცბად ზელენკომ დაახველა, დაღეკილი ხორცის ნაჭერი პირიდან გადმოაგდო და დაიყვირა:

— დამპალ ხორცს გვაკმევენ მამა-ძაღლები!

— რას ამბობ. — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— ნახეთ, ან სუნი ან გემო!

ხორცი მართლაც დამპალი იყო. საძაგელო სუნი უდიოდა. მუშებს გაუკვირდათ, რაოდენ მშვირები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ხორცის გემო ძლივს გაიგეს.

— ეს რა მიჭარვავა! — წამოიძახა ერთმა მუშამ. — ბელოზეროვი თვითონ ირმის ხორცსა სჭამს, ჩვენ რაში ვედარდებით.

ვილაცამ ბელოზეროვს სამსართულიანი გინება გაუგზავნა.

— დაგვიციონან და ეგაა, — თქვა ისევ ზელენკომ, — თავზე დაგვასხდნენ, დაგვიბრიყვეს, ძაღლებდაც აღარა გვთვლიან, დამპალ ხორცს გვაკმევენ.

— მართალია ზელენკო! — წამოიძახა ვასილმა. — თუ დღეს ხმა არ ამოვიღეთ, ხვალ უარესს გვიწამენ.

— ბიჭებო, — განაგრძო ზელენკომ, — ჩვენი ხელფასის ნახევარი ვითომ ქამაში მიღის ბელოზეროვის თაღლითურ ხელშეკრულების თანახმად... საბადოურების გამგებობამ უნდა უზრუნველყოს ჩვენი სმა-ქამა... ხომ ხედავთ, როგორ გვკვებენ... ეგ წითელი ტარაკანები, ჩვენი სისხლით დასიებული წურბელები... გაბერილი ბალინჯოები.

— იუღები! — თქვა თავისთვის ლიხაოვმა და ზელენკოსა და ლუკას მხარეში ამოუდგა.

რამდენიმე წუთში ახმაურდა მთელი ბარაკი. ყველა აღშფოთებულს გამოთქვამდა, იგინებოდა, ფეხებს აბრაუნებდა, იფურთხებოდა. სასწრაფოდ გაგზავნილმა მაცნეებმა ფეხზე დააყენეს სხვა ბარაკებიც. ნაშუალამევს ანდრეევის საბადოს ყველა მუშა ვასილის უღებდა ყურს.

— ამხანაგო მუშებო, — ლაპარაკობდა ვასილი. — კმარა, აივსო მოთმინების ფილა. როდემდის უნდა ვუყუროთ ჩვენი თვალთ ჩვენს დაბეჩავეებსა და დაბრავებებს, ჩვენს პირუტყვულ ცხოვრებას, უფლებობას. უნდა გავაგებინოთ საბადოების ადმინისტრაციას, თვით ყველაზე დიდ ძალს — ბელოზეროვს, რომ ჩვენ მასავით ძალები არა ვართ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ...

— მოკლედ სთქვი, მოკლედ, — დაუძახა ვილაცამ.

მუშები ახმაურდნენ, აჩურჩულდნენ, ერთიანობის ძაფი თითქოს გაწყდა და დაირღვა. ვასილმა იმავე ხმით, ცოტა გაბრაზებულმა, განაგრძო:

— ვისაც ეჩქარება, შეუძლია მიბრძანდეს, ჩვენ აქ სააღდგომო საჩუქრებს კი არ ვარიგებთ, ჩვენი სიცოცხლის შესახებ ვლაპარაკობთ... ამხანაგო მუშებო! ჩვენი საერთო უკმაყოფილება ჩააფიქრებს ადმინისტრაციას და აიძულებს დათმობაზე წავიდეს... ჩვენ უნდა გავიფიციოთ, თუ სიცოცხლე გვინდა!

— სიცოცხლე კი არა, სიკვდილი! — წამოიძახა კვლავ ვილაცამ. — გახსოვთ ცხრაასხუთი წელი? ერთიანად მოგვეტევენ.

მუშები ჩუმად იყვნენ. ვასილმა დაკვირვებით მოათვალიერა მათი სახეები, მიაგნო...

— ბატონო ტრიფონი! — დაცინვით დაუძახა ვასილმა. — ხელს რაზე მიშლი, თუ გინდა, მორდი და ილაპარაკე.

— მე ბოლშევიკი აგიტატორი არა ვარ, — ხმამაღლა გაიცინა ტრიფონმა. — ჯერ არ გავსულულებულვარ. სადა გგო-

ნია შენი თავი, პუტილოვის ქარხანაში ხომ არა? ამ ყრუ ტაიგაში ჰინკველებით გაგვსრესენ ყველას და მერე იყვირე, რამდენიც გინდა, გავიფიციოთ და გავიფიციოთ!

— გაჩუმდი, მშინარავ! დედაცაყო! — დაუყვირეს აქეთ-იქიდან მუშებმა. — თუ ხალხი მოინდომებს, ვერაფერსაც ვერ დააკლებენ. მერე რა, რომ პუტილოვის ქარხანაში არა ვართ! აქ გვირეგია პუტილოველები, რომლებმაც კარგად იციან გაფიცვის მოწყობა... განაგრძე, ვასილი!

— მაშ ასე, ამხანაგებო, — განაგრძო ვასილმა. — ჩვენ ჩვენი ვცადოთ. მე მჯერა, სხვა საბადოების მუშებიც მხარს დაგვიჭერენ, შემოგვიერთდებიან და თუ ყველანი გავიფიცეთ, მაშინ ტახტის ქვეშ შევაძვრენ ბელოზეროვს...

ვასილის შემდეგ ზელენკომ ილაპარაკა. ზელენკოს სხვა მუშები მიჰყვნენ. მთელი ღამე გაგრძელდა სჯა-ბაასი. დილით, გათენებისას, ანდრეევის საბადოს მუშებმა მიიღეს გადაწყვეტილება: დღეიდან დაეწყოს გაფიცვა. არცერთი მუშა არ უნდა გასულიყო სამუშაოზე!

• •

ანდრეევის საბადოდან გაფიცვა მთელი იმ მხარეს მოედო და უდიდესი სისწრაფით იწყო გაგრცელება. გაიფიცნენ ილინსკის საბადოს მუშები. ეიგარიოვი და კუზმინი ყოჩაღად მუშაობდნენ. მათი თაოსნობით ყველა ბარაკში აირჩიეს მამასახლისები და მათი მოადგილეები, რომლებსაც გაფიცვის ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ, წესიერება უნდა დაეცვათ, ღამით გუშაგები გამოეყოთ, არაფი და ქაღალდის თამაში აეკრძალათ.

ანდრეევის საბადოზე, ბარაკში, ზელენკომ მამასახლისად ლიხაოვი დანიშნა. პეტრესათვის ეს თანამდებობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თავდაპირველად უარი განაცხადა. ზელენკომ მკაცრად გააფრთხილა ლიხაოვი და უთხრა:

— თუ მუშათა მხარეზე ხარ, მამასახლისობა ულაპარაკოდ უნდა მიიღოთ.

პეტრე დათანხმდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. გაფიცვა ყოველდღე, ყოველ საათს უფრო მეტი ძალით ვრცელდებოდა, ერთი კვირის შემდეგ აირჩიეს გაფიცვის კომიტეტი ჩერებახინისა და ბატაშვიის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრთა შორის იყვნენ ზელენკო, ვასილი და ყივარაძე. დღეიდან გაფიცვის კომიტეტს უნდა წარემართა მთელი ხელმძღვანელობა და განეგრძო გაფიცვა. გაფიცვის კომიტეტმა შეადგინა მოთხოვნათა სია, რომელიც ადმინისტრაციისათვის უნდა წარედგინათ. გაფიცულები მოითხოვდნენ: რვა საათიან სამუშაო დღეს, ხელფასის გადიდებას, ჯარიმების გაუქმებას, სამედიცინო დახმარების მოწყობას, სასურსათო და საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადმინისტრაციისაგან ზრდილობიან მოპყრობას...

საბადოების მეტი ნაწილი არ მუშაობდა. ბელოზეროვმა ბრძანება გასცა, მუშების ოჯახები ბინებიდან გამოესახლებინათ და სურსათის მიცემა შეეწყვიტათ. მუშები ერთ დიდ, ღონიერ მუშტად შეიკრნენ. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა ერთიმეორეს ამხნეებდა, ანუტყებდა, ბოლომდე საბრძოლველად ძალას მატებდა.

მუშების მოთხოვნით, გაფიცვის კომიტეტის დელეგაცია ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად გაემართა. დელეგაცია ინჟინერმა ტულჩინსკიმ მიიღო. ეს ინჟინერი ახსოვდა ლიხაოვს. შვიდი თვის წინ, როცა პეტრა ირკუტსკში იყო, ინჟინერი ტულჩინსკი სიტყვით გამოვიდა მუშების წინაშე და აღუთქვა, ყველა ღონეს ვიხმარ თქვენს სასიკეთოდო.

ტულჩინსკიმ დელეგაცია დიდი პირმითნეობით მიიღო.

— მეგობრებო, მობრძანდით, დაბრძანდით. რაზე გარჯილხართ, რამ შეგაწყუხათ...

მუშები მოლღუშულა სახეებით, ჩუმად, შეუღმეკრულნი ჩამოსხდნენ სკამებზე.

ბატონი ტრიფონი ვერ ისვენებდა, თუ მუშების ნემსებზე ზისო, ცმუკვდა. ცმუკვდა ლობდა ინჟინრის ყურადღება მიეპყრო. აი, შეხედა კიდევ ტულჩინსკიმ, გამოცდილმა მექრთამემ უმალ დაიკირა ტრიფონის გაწითლებულ ცხვირზე და ზღარბივით მოცუტეულ თვალეზე ნამდვილი ზრახვანი. ინჟინერს გულში ეამა, რომ მუშების დელეგაციას ტრიფონის გაწითლებულ ცხვირზე დაეხედა, ტულჩინსკიმ თავმოწონების ნიშნად მხრები შეათამაშა, სახეზე ხელი მოისცა, ჩახხველა და მოთაფლული ხმით დაიწყო ლაპარაკი.

ტულჩინსკის ხერხმა გასჭრა. ტრიფონი აშკარად გადაიბირა ინჟინერმა. ტრიფონს მიპყვა რამდენიმე სხეც. ვასილი, ზელენკო და ლიხაოვი სასტიკო წინააღმდეგნი იყვნენ დათმობისა. ინჟინერი ყურს არ უგდებდა ვასილის ლაპარაკს, ტრიფონის დაპირებანი დიდ იმედებს აძლევდა და გაფიცვა უკვე ჩამოილად მიიჩნდა. ტულჩინსკის თათახიდან დელეგაცია ორ ბანაკად გაყოფილი გამოვიდა.

— სამუშაოზე წავიყვან ხალხს, ნახე, თუ არ წავიყვანო, — ყვიროდა ტრიფონი.

— გაფიცვა გაგრძელდება! გაფიცვას გაეგარძელებთ ზაფხულამდე, — პასუხობდა ვასილი. — ზაფხულში ოქროს გასარეცხად ბელოზეროვს და ტულჩინსკის ბევრი მუშახელი დასჭირდებათ და ნახე, თუ არ წავიდნენ დათმობაზე.

მუშებში განხეთქილება ჩამოვარდა. ტრიფონი და მისი ჯგუფი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მუშები სამუშაოზე გაეყვანათ და გაფიცვა ჩაეშალათ. ვასილი, ზელენკო, ყივარაძე მოუწოდებდნენ მუშებს, გაეგრძელებინათ გაფიცვა. როცა განხეთქილება გამწვავდა, მაშინ ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, საქმე ფარული კენჭის ყრით გადაეჭრათ. მარტის ბოლოს ერთ საბადოზე გარეთ, ცის ქვეშ, დადგეს ორი დიდი კასრი. ერთ კასრზე მიაკრეს წარწერა: „წავალ სამუშაოზე“, მეორე კასრზე: „არ წავალ სამუშაოზე“. კასრები ერთად იდგა. მუშები უნდა მისულიყვნენ, კასრებში ორივე ხელი ჩაეყოთ და იმისდამიხედვით,

სურდათ თუ არა სამუშაოზე წასვლა, კასრში კენჭი ჩაეგდოთ. ზელენკო ლელავდა. ვასილი მშვიდად იყო. მას სჯეროდა, რომ გაფიცვა გაიმარჯვებდა. ლიხაჩოვს ზელში დიდი ლოდი დაეჭირა და მზად იყო, სამუშაოზე წასვლის მსურველს თუ თვალს შეასწრებდა, თავში დაეკრა. მუშებმა გრძელი რიგი გამართეს, სათითაოდ მიდიოდნენ კასრთან და „ხმას აძლევდნენ“. მალე ის კასრი, რომელზედაც ეწერა: „არ წავალ სამუშაოზე“ — კენჭებით პირამდე აივსო. მეორე კასრში სულ ჩვიდმეტი კენჭი აღმოჩნდა. გახარებული ზელენკო ბეჭობზე შედგა და დაიყვირა:

— ბიჭებო, იპოვეთ იუდა ტრეფონი და სავსე კასრი კენჭები გადააყლაკეთ. აბა, რა ეგონა მაგ ნეხვის ქიას, დაშინებით და მუქარით გაგაჩუმებდნენ? ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ჩვენი მიზნებისათვის. ვაჟკაცურად... იცოდეთ, რომ ერთის უბედურება ათასის უბედურებაა. მთავარია ერთად გამოვიდეთ ყველაფერში და გამარჯვება ჩვენი იქნება!

ლიხაჩოვი კენჭებით სავსე კასრთან მისულიყო და ისეთი გაფაციცებით დაჰყურებდა, თითქოს ქვა ჯერ არ უნახავსო. პეტრეს ეგონა, რომ ამ პატარა კენჭებში ჩამალული იყო რაღაც იდუმალი ძალა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ცეცხლივით უნდა ამოვარდნილიყო და ერთიანად გადაებუგა, რაც ცუდი და მახინჯი იყო ქვეყანაზე...

ლიხაჩოვს აგონდებოდა პეტუხოვი, ვანკა და ბელოზეროვი, ერთი ქისა ოქროსათვის სამკვედრო-სასიცოცხლოდ შებმულნი და სიხარულით გრძნობდა, რომ ეს კასრი, კენჭებით სავსე, უფრო ძვირფასი, საყვარელი და ახლობელი იყო, ვიდრე ქისა ოქრო...

ლიხაჩოვი ცხადად ზედავდა თავისი ცხოვრების გზას ყუბანიდან ციმბირამდე და ელიმებოდა, ამ ცოტა ხანში როგორ შეცვლილიყო, გაზრდილიყო, დაეჟაკებულყო... იგი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ეს არეულობა მშვიდობიანად არ გათავდებოდა, რომ იქნება სისხლი დაღვრილიყო... მოეკლათ იგი...

ლიხაჩოვს არ ეშინოდა სიკვდილისა, რადგან სწამდა, თუ მოკვდებოდა, მუშეკვდებოდა საერთო საქმისათვის და არა ქისა ოქროსათვის, როგორც პეტუხოვი.

ლუკა იმ დღეებში ჩახმახზე იყო შემდგარი. პეტრეს მამასახლისად არჩევა უხაროდა. მუშებში ავარდნილი ქარი აგონებდა დეპოს, როცა ყოველ ლოკომოტივს რევოლუციის სუნთქვა მოჰქონდა პეტერბურგიდან. იცოდა, რომ გაფიცვა ქარიშხლის დასაწყისი იყო.

ბელოზეროვი და ინჟინერი ტულჩინსკი მუშებთან პირისპირ შეხლას გაურბოდნენ, გაფიცვის გულში შესაძრომ თხრილებს დაეძებდნენ; გაფიცულებში ხმა გაავრცელეს, მეთაურები მოქრთამულნი არიან და მუშებს ლაღატობენო, როცა ილინსკის საბადოზე, პეტრე და ლუკა ამხანაგებთან იყვნენ გადასული, ბარაკში მღაროელის ტანსაცმელში გამოწყობილი ინჟინერი შევიდა და ხმამალა დაიძახა:

— ბიჭებო, წამოდით სამუშაოზე. ანდრეევლებმა უკვე მუშაობა დაიწყეს!

— ხმა ჩაიწყვიტე, იუდა, — აღუძახა პეტრემ. — ანდრეევლები არ გასულან სამუშაოზე!

— დაიჭით, არ გაუშვით, — მიაყვირა ლუკამაც.

— გათოკეთ!

— აალილავეთ გემოზე და ლაპარაკის მადას დაკარგავს!

— მაგას რა ეგონა, დავუჯერებდით?

— ალუუ, ნეკზე არ გვიცინოს.

ბელოზეროვმა დეპეშით აცნობა გუბერნატორს, კირენსკიდან ჯარისკაცების ასეული გამოეგზავნათ. სისხლმომწყურებული როტმისტრი ტრეშენკოვი ველარითმენდა, მმართველობას აჩქარებდა.

გაზაფხულის სუნით გაბრუებული მარტი მთებზე ნაკადულებს აჩენდა, ლენაზე ყინულის ჯაგმანს სარკეცავით აპრიალებდა და ათხელებდა. დამდამობით ქახანი ისმოდა, ყინული ნელა, შეუმჩნევლად იწყებდა მსხვრევას, ყინუ-

ლოვან ოკეანიდან ბაიკალამდე გაწოლილი უდიდესი მდინარე იმშუშნებოდა, ტოკავდა, ბორგავდა, ძალებს იკრეფდა, რომ ერთიანად დაქუხა, დაეზრიალებინა, დაეზანზარებინა დედამიწა, შეერყია სამყარო თავისი მჩქეფარე ტალღების დგაფუნითა და ვეებერთელა ყინულის გორების მსხვრევით.

დედამიწის გულში ვულკანი დუღდა, დუღდა ზევიდან დაწოლილი სითბოს ძალით, მიწა ფშვინავდა, ხავსს იცვლიდა, გულ-მკერდს ირთავდა, რომ ლალად შეგებებოდა გაზაფხულს, ბუნების გაცოცხლებას...

ყინვა დღითიდღე იკლებდა, თუმცა თოვლი ისევ იდო ველ-მინდვრებზე, თეთრი სამოსი შელახულიყო, ლაქები გასჩენოდა, დაეკარგა ის პეწი და ლაზათი, რაც ზამთარს მიეცა მისთვის.

პეტკამ და ლუკამ იცოდნენ, რომ კირენსკიდან ჯარისკაცების ასეული ჩამოიყვანეს, მაგრამ ამ ასეულის რიდი მაინცდამაინც არა პქონდათ. რას იფიქრებდნენ ისინი, რომ ტრეშენკოვი იმ ვერაგობაზე წავიდოდა, რაც შემდეგ მოხდა...

ლიხაჩოვს სწამდა, რომ აღმინისტრაციასთან მხოლოდ სიტყვით შერკინება მოუხდებოდათ და იგი ლუკასთან ერთად გაფიცულთა მოთხოვნებს იზეპირებდა.



აპრილის დამდეგს, როტმისტრმა ტრეშენკოვმა, გაფიცვის კომიტეტის ათი წევრი დააპატიმრა. ტრეშენკოვის ამ მოქმედებამ გააცეცხლა მუშები, დაიწყო ხელმოწერათა შეგროვება, რათა ნადეჟდინსკში პროკურორისათვის წაეღოთ და მოეთხოვათ ამხანაგების გათავისუფლება. მალე გაფიცულთა ნახევარმა მოთხოვნას ხელი მოაწერა და დღე-გატები ნადეჟდინსკში გაეშურნენ. მუშები პროკურორის მოადგილემ, პრეობრაჟენსკიმ, მიიღო. მან ხელმოწერებით საესე ქალაქები დღე-გატებს თავზე გადაახია და მიამახა:

— ბრიყვებო, ვის ატყუებთ? ხუთი თუ ათი ბოლშევიკი დასხედით ყველაზე მაგიერ ხელი მოაწერეთ და ახლა გვეუბნებით — სამი ათასი კაცის ხელმოწერააო. წადით, საითთაოდ დაწეროს ყველა მუშამ განცხადება, რომ იგი შეგნებულად გაიფიცა და არა სხვისი წაქეზებით.

გაფიცულები შეუდგნენ განცხადების წერას. შორს იყო ცენტრი... შორს იყვნენ ხელმძღვანელები... ულიანოვი... სტალინი...

აპრილის ყინვიან დილას ნადეჟდინსკისაკენ გაფიცულთა ათასეულები დაიძრა. მუშები რამდენიმე კილომეტრზე წერობივით იყვნენ გამწკრივებულნი და ჩამოქუშრულნი, მძიმე ნაბიჯით მიიკვლევდნენ გზას... უნდოდათ პრეობრაჟენსკი ენახათ... ეთხოვათ დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლება...

გზის ერთ მხარეს მდინარე ბოდიბოს ხრამი მისდევდა, მეორე მხარეს — გაჩეხილი ტყე. დაქანებული ხრამი, სუსხიანი დილა, მოწყენილი მიდამო უსიამოვნო ფიქრებს იწვევდნენ ადამიანებში.

ნადეჟდინსკში, სახალხო სახლის წინ, ტრეშენკოვმა ასეული მწკრივზე გაშალა, ჯარისკაცებს თითო ჩაის ჭიქა არაყი ჩამოუბრია და კარგახანს ხეელებისა და თვალების ბრიალის შემდეგ უთხრა:

— ჯარისკაცებო! თქვენ ხედავთ მაწანწალების ბრბოს, რომელიც შხამიანი გველივით მოიზღაზნება ჩვენსკენ. მათ მალარობში მუშაობა იუკადრისეს, ჩვენს სახლებს, საჭმელს, ყველაფერს გვიწუნებენ და ისე გვებლინძებნიან, თითქოს ჩვენი ბატონები იყვნენ. ჯარისკაცებო! მუშათა ბრბოს უნდა სახალხო სახლის დანგრევა, ოქროს გატაცება, ჩვენი განიარაღება და ტავაში ბანდიტებად გაქრა... ჯარისკაცებო! მე ვიცი თქვენი ერთგულება ხელმოწიხისადმი. ასე უბრალოდ ნუ უყურებთ ამ მაწანწალებს. თვითველ მათგანს ქამარში ცული აქვს გარკობილი და ჯიბეში ბებუთი უდევს...

ტრეშენკოვმა სიტყვა დაამთავრა და წინ და უკან სიარული დაიწყო. არყით

წამოჭარხლებული ჯარისკაცები იცინოდნენ.

როცა მუშები მოახლოვდნენ, ინკინერი ტულჩინსკი წავიდა მათკენ, წინა რიგები შეაჩერა და უთხრა:

— გონს მოდით, მეგობრებო! დაიშალენით, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ.

— გაჩუმდი, იუდა!

— შენს ჯიბეს მოუარე!

— ოქრო მოიპარე!

ინკინერი გაწითლდა, აღევლებისაგან თვალებში სისხლი მოაწვა, კვლავ სცადა ლაპარაკი. ამასობაში მუშათა რიგები დაახლოებულყო, უკან მყოფმა ათასეულებმა ვერ გაიგეს წინა რიგების შეჩერების მიზეზი და ზვავივით მოიწვედნენ წინ. თეთრ მინდორზე გორგზად აგორებულნი მუშების ტალღა უახლოვდებოდა სახალხო სახლს. მუშებს ხელში ეკირათ თავიანთი ხელმოწერებით საესე ქაღალდები...

როცა მუშები სახალხო სახლს ორასიოდე ნაბიჯზე დაუახლოვდნენ, როტმისტრმა ტრეშენკოვმა უეცრად არაადამიანური ხმით დაიბაგლა:

— ასეულო, ცეცხლი!

გაისმა პირველი ზალბი. ორმოცამდე კაცი თვალისდახამხამებაზე მოიცილა. მუშები აირივნენ. ზოგი დაწვა, ზოგმა გაქცევა სცადა. მკიდროდ შეკრული მუშების შავი ტალღა თითქოს უდიდესი სიმაღლიდან კლდეს დახეთქოდესო, რამდენიმე წუთში გასკდა და უამრავ შეხვებად გაიშალა

— ცეცხლი! ცეცხლი! — ღრიალებდა ტრეშენკოვი.

თოფების ზალბი სცემდა დაწოლილ და გაქცეულ მუშებს. ფეხში დაჭრილი პაშა წამოდგა, ხელები გაშალა და დაიყვირა:

— ბელოზეროვ! შე ძაღლისშვილო! ბავშვი მომიკალ, ახლა რაღას შემართლები, მე გინდა მომკლა? მომკალი! — მან კაბის გულისპირი ჩაიხია და დასახინრებული ძუძუ გამოაჩინა.

ტრეშენკოვმა მშვიდად უსწია: ტრეკოლვერი, დაუმიზნა ზეგანდაცკესსკით გაშეშებულ პაშას და ძუძუზე, სადაც ბელოზეროვის მათრახის ზოლი ჯერ კიდევ ემჩნეოდა, ტყვია მიახალა.

მკლავში დაჭრილი ლიხაჩოვი და ლუკა მძიმედ დაჭრილ ვასილს მითარევდნენ.

— ლიხაჩოვ, ლალიძე... — ამოიკენესა ვასილმა. — მე ვკვდები. თავს უშველეთ! საქმეს უშველეთ!

გრილებდა თოფები. კენესოდნენ ადამიანები. ოხრავდა ტაიგა. მერე საოცარი სიჩქმე ჩამოვარდა.

მყუდროება უცბად საშინელმა ქახანმა გააყრუა. ყინულით შეკრულ ლენას ჯავშანი გაეგლიჯა, მოდიდებულიყო, მოტორავდა, მთა-ბარს მოანგრევდა... ისმოდა ყინულის მსხვრევის ხმა, ზამთარში დაგუბებული ოხვრა და ვარამი სულერთიანად ამოკდომოდა ლენას, მდინარე აზავთებულიყო და არნახული წყალდიდობა წალუკვით ეშუქებოდა მიდამოს.

სამარე არც ღრმა იყო და არც განიერი.

ლუკამ და პეტრემ ვასილი სამარეში ჩაასვენეს და ის-იყო მიწა უნდა მიეყარათ, რომ პეტრემ მოკლულის გულზე ღია ქრილობა შენიშნა. პეტრემ ჯიბიდან ღუნაშას სახსოვარი, დიდი, ნაჭარგი ხელსახოცი ამოიღო და ვასილს ქრილობა გადაუხვია.

სამარე აივსო მიწით. ლუკას თვალებში ცრემლი ჩადგომოდა, რატომღაც დედის საფლავი აგონდებოდა. ლალიძემ გულზე ჩამოკიდებული განძი მოიხსნა და ვასილს საქართველოდან წამოღებული ერთი მუკა მიწა ხელისკანკალით დააყარა.

კიდევ კარგახანს იდგნენ ლიხაჩოვი და ლალიძე ვასილის საფლავთან, მერე თავჩაქინდრულებმა მინდორი გადაიარეს და გაუჩინარდნენ...

აპრილი აყვავდა ციმბირში. ზამთრის ყინვით სულშეხუთულმა ბუნებამ ამოისუნთქა, გულ-მკერდი გადაიღელა, გაზაფხული უცბად დაიწყო და ცეცხლის ალივით მოედო დედამიწას.

მდინარეებზე წყალდიდობა დაიწყო. ანჭამებულმა ზეარტებმა ნაფლეთებად აქციეს ყინულის ჯავშანი, მინაგრ-მონაგრეის გზაჩარაზული კალაპოტი და ხმაურითა და ვიშით დაიძრნენ წინ.

ლენის წყალდიდობა უთვალავ ნაკადულეზად მისწედა ქვეყანას.

ხალხმა მიწას ფეხი დაჰკრა და შეაზანზარა ვლადივოსტოკიდან ვარშავამდე. ხალხმა ამოიოხრა და ამ ოხვრით დაძრულმა ქარმა სისხლიან მეფეს გული შეუფრიალა.

როცა მეფის მინისტრს მკაპროვს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს ლენაზე მუშების დახვრეტის გამო, მან, ფრაკში გა-

მოწყობილმა ჯალათმა, თავზედურად განაცხადა:

— ასე იყო და ასევე იქნება.

ლიხაჩოვი და ლაიძემ ტაიგის უგვირგვინო მეფის — ბელოზეროვის სამეფო დასტოვეს და, როგორც კი გზა გაიხსნა, პეტერბურგს მიაშურეს.

„გამდიდრებული“ ლიხაჩოვი, ლუკასთან ერთად, ამაყად მიაბიჯებდა დემონსტრაციებზე და მთელი ხმით გაპყვიროდა:

— გაუმარჯოს პირველ მაისს!

ლენაზე დახვრეტილი მუშების ხსოვნა უკვდავყო თავის სახელში დიდმა ლენინმა.

„ლენაზე გასროლებმა დაამსხვრიეს მღუშარების ყინული და დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე.

დაიძრა!“ (ი. სტალინი).

არჩილ სულავერი



გაგაფხუდი ღვინის მომღანგე

I.

აჰა, დაკიმა ცის ლურჯი აფრა
და გაზაფხული მოდის ღიმილით,
ტოტებზე ყლორტებს აღვიძებს
სწრაფად,
მოდის ჩიტების ყვირილ-ზივილით.

ის მთაწმინდიდან დახედავს თბილისს
ახლად გახელილ ნუშის კვირტებით,
ჭალაქისაკენ დაჰყვება ბილიყს,
მოვა,
მოჰყვება მწვეანე მზითვით.

მე მოედანზე დავხედვები აპრილს,
მოეუხდი ქუდს და მივესალმები.
მოვა და სითბოს უღვევად დაღვრის,
მოვა ცოცხალი იასამნებით.

ამ მოედანზე დავხედვები აპრილს
და ქუდს მოეუხდი, როგორც მეგობარს.
აპრილი სხივებს სიცილად დაღვრის
და მე სიცოცხლის შუქად მეუფთა.

არ გამაგონოთ არც ერთი სიტყვა,
ახლა მე მინდა — სულგანაბული,
გარინდებული ვუსმენდე დიდხანს,
თუ როგორ სუნთქავს ეს გაზაფხული.

2.

მოედანს ჰქვია სახელი მისი,
ვინც მოაშორა სამშობლოს ნისლი.

ქვეყნად აპრილში მოვიდა იგი,
ხალხისთვის ცეცხლი რომ მოეტანა,
მზე შესულაყო ჭოხების შიგნით,
ცას სამუდამოდ გამოეძარა.

დიდი ოცნებით,
მაღალი ფიქრით
ხალხთა გულებში სითბოდ ჩაღვრილი

ქვეყნად აპრილში მოვიდა იგი
და თვითონ იყო ქვეყნის აპრილი.

ამ მოედანზე ამიტომ ვხედვები
მზიან ღიმილით აპრილის მოსულას...
მამინ მწვეანდება სამშობლოს მთები
და მათ ღვინის ნათელი მოსავს.

არ გამაგონოთ არც ერთი სიტყვა,
ახლა მე მინდა — სულგანაბული,
გარინდებული ვუსმენდე დიდხანს,
თუ როგორ სუნთქავს ეს გაზაფხული.

3.

მოედანს ჰქვია სახელი მისი,
ვინც მოაშორა სამშობლოს ნისლი.

და ახლა გამარჯვებულ ოსტატის ხელი
თლის უკვდავებას მზენათელ ჭეისგან.
აქ დაიდგმება დიადი ძეგლი,
მხრებზე მოიხსამს ლაქვარდებს ცისას.

მას უნდა ჰქონდეს მზერა არწივის
დიადი რწმენით და განზრახულით,
მზერა, რომლითაც დიდი ხნის წინათ
მან დაინახა ეს გაზაფხული.

მე ვიცი, გამარჯვებულ ოსტატის ხელი
თლის უკვდავებას მზენათელ ჭეისგან...
და ამ მოედანს გარშემო ხენი
რტოებს, ვით ხელებს, იწვდიან ცისკენ.

აჰა, დაკიმა ცის ლურჯი აფრა
და გაზაფხული მოდის ღიმილით,
ტოტებზე კვირტებს აფეთქებს
სწრაფად,

მოდის ჩიტების ყვირილ-ზივილით.

ვესილ სხვაკავში



ღენინის დროშა

ოცობლბს მშრომელთა მარადის შებებად,
როგორც მნათობი, სხივების მფენი,
ყოველდღიურად ჩვენს შორის ვხედავთ
მშობლიურ ბელადს — საყვარელ ლენინს.

როცა მრისხანე დღეები იყო,
მისი ნათელი გეფარავდა მაშინ;
მისი სახელის ულევი სიბზო
გვიორკეცებდა ძალ-ლონეს მკლავში.

როცა ისმენდნენ სამშობლოს ძახილს
მატროსოვი თუ ტიულენინი,
სწამდათ: ბრძოლაში სტალინის სახით
წინ მიუძლოდათ დიდი ლენინი!

დღეს ჩვენს მამულში მშვიდობის დღეა,
კრემლი ოცნების შექურად მოჩანს;
მსოფლიოს თავზე მზესავით ელავს
დიდი ლენინის მაღალი დროშა.

ჩვენ ამ დროშის ქვეშ ურყევად ვდგავართ,
სიცოცბლისა და მშვიდობის მცველნი;
წინ მიგვიძღვება ძვირფასი მამა
კომუნისტებისკენ გაწვდილი ხელით.

თარგმანი ოსურიდან გივი ძნელაძისა



ღენინის სურათი

1

ზაფხულის შუადღე იყო, როცა ახალგაზრდა მხატვარს სერგეი შუმლინის გაზეთიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ რედაქციაში რაღაც საქმის გამო მოსალაპარაკებლად შესულიყო. მხატვარმა მუშაობას თავი გაანება და ხელი დაიბანა. გინნასტურის ჯიბეში ბლოკნოტთან ერთად ფანქრები ჩაიწყო და ქუჩაში გამოვიდა.

მალაზიების სარკმელებში გამოეფინათ შილის წითელ ჩარჩოში ჩასმული ლენინის პორტრეტები და ყველგან, საითაც გაიხედავდი, თვალში წარწყრა მოგზვდებოდა: „გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!“ სერგეი სარკმელში იცქირებოდა და თან ფიქრობდა, რომ ფოტოგრაფიები ალბათ ძალიან სწორად და ნამდვილად გადმოსცემდნენ ლენინის ყოველ ნაცვთს, მაგრამ მხატვარს უფრო ზედმიწევნით შეეძლო ჩასწვდომოდა მისი სახის თავისებურებებს, ცოცხალ მოძრაობას და კარგი იქნებოდა, რომ ლენინი მას ოდესმე ნატურიდან დაეხატა.

სერგეის რედაქციაში უთხრეს:

— ერთი რამ უნდა დაგაგალოთ. კომინტერნის კონგრესზე უცხოელი დელეგატები იქნებიან. შრომის სასახლეში უნდა გაემგზავროთ. ისინი თავს იქ იყრიან და რომელიმე მათგანი უნდა დაგვიხატოთ. თანახმა ხართ?

— კარგი.

— ზეალ კი კონგრესის გახსნაზე დასაწრებ საშვს მოგცემთ და შეგიძლიათ, რომელი დელეგატიც გინდათ, ის დახატოთ და, თუ ნახავთ, ლენინიც...

— ლენინი? — მაშინვე გააწყვეტიანა სიტყვა სერგეიმ რედაქციის თანამშრომელს და თავისი იმ უცვარი ფიქრის გამო, ზედმა ასე მალე რომ გაუმართლა სურვილი, გაეღიმა.

— დიახ, თუ შესაძლებლობა გექნებათ, ლენინიც დაგვიხატეთ.

— კარგი. — თქვა ისევ სერგეიმ.

სიხარულით გულსაცხე გაემგზავრა ის ტრამვაით შრომის სასახლეში და, ვაგონის ღია ფანჯრებიდან სადაც კი ლენინის სურათს დაინახავდა ისევ უყვირდა ეს ამგვარი უჩვეულო შეთანხმებება გარემოებისა მის სურვილთან, თან ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რა მსუბუქი, რა ბუნებრივი და ცოცხალი უნდა ყოფილიყო მისი ნახატი.

ისიც გადაწყვიტა, რომელ ალბომს წაიღებდა თან, რომელი ფანქრები დასჭირდებოდა და მერე თავისივე ჩანახატის მიხედვით როგორ შეჰქმნიდა დიდ პორტრეტს.

2

სასახლეში, სადაც მხატვარი გამოცხადდა, ხმაური იყო. კიბეებზე, დერეფნებში, დადიოდნენ უცხოელები, რომელთაც გარს ეხვივნენ რუსები და საბჭოთა რესპუბლიკის ამბებს უყვებოდნენ.

ბოლონეთთან ომი იყო. ბოლონელები დამარცხებული იქნენ. გაქცეულ ბოლონურ ჯარებს წითელი არმია ფეხდაფეხ მისდევდა. ბარონ ვრანგელის თეორგვარდიელებსაც ყირიმში ბოლო ელუბოდა, მაგრამ ომის დამთავრებამდე უკერ კიდევ შორს იყო. მტრის ბლოკადა საბჭოთა ახალგაზრდა ქვეყანას ქანცვდა. პეტროგრადში უცხოეთიდან ჩასვლა ძნელი იყო და კონგრესს რომ დასწრებოდნენ, უცხოელმა სტუმრებმა სკანდინავიას მოუარეს. ზღვით მგზავრობისას მრავალი განსაცდელი გადაიტანეს, მაგრამ მათ საბჭოეთის ნახვის სურვილი აიძულებდათ, რომ ეს უძნელესი დაბრკოლება გადაელახათ და ქვეყნიერების

ყოველ კუთხიდან ჩამოსულებს თავი აქ მოეყარათ.

სერგეის ერთი გერმანელი გააცნეს. ეს ტანმორჩილი, კუზიანი, დინჯი გამო-მეტყველების კაცი როგორღაც მძიმედ დადიოდა. წარმოშობით ის ბრაუნშვეი-გელი იყო, ხოლო ხელობით მეკრავი.

გერმანიის რევოლუციის დროს ბრაუნ-შვეიგში „დამოუკიდებელ“ რესპუბლი-კას სამ დღეს მეთაურობდა, იმ რეს-პუბლიკას, გერმანელმა სოციალ-დემოკ-რატებმა მუსხანათურად რომ დაარბიეს.

თუმცა მაშინვე დაეთანხმა, რომ მხატ-ვარს იგი დაეხატა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ამბებს მაინც დაწერი-ლებით კითხულობდა და ვერაფრით ვერ გაეგო, ყოველგვარი ვაჭრობის გაუქმე-ბა და საქონლის განაწილება მაინც რა საქმე იყო.

ისინი აივანზე იდგნენ და სასახლის წინ კუშტად გაშლილ მოედანს გასცქე-როდნენ. გენერალ იუდენიჩისაგან პეტროგრადის გმირული თავდაცვის კვალი მოედანს ჯერ ისევ ემჩნეოდა: ქვაფენილზე მოჩანდა სახელდახელოდ ამოვსებული სანგრები, ბულვარზე ეყა-რა ბრუსტეერის ნარჩენები — მორები და სილით სავეტ ტომრები. სერგეიმ თქვა:

— ჩვენს წინააღმდეგ მტრის უთვა-ლავი ხროვა წამოვიდა და სულ იმის ფიქრში ვართ, რომ დავამარცხოთ.

— მესმის, მესმის, — მედიდურად ამ-ბობდა ბრაუნშვეიგელი გერმანელი და მხრებში ღრმად ჩამჯდარ თავს აქეთ-იქით ნელა ამოძრავებდა. — მაგრამ სა-წერილმანო ღუქნების დაკეტვა რა საქი-როა, მაინც ვერ გამოვივა?

— მეღუქნეები მტრის მზარზე არიან.

— მესმის, მესმის, მაგრამ დილი რომ ამწყდეს, სად ვიყოილო?

ამგვარ მსჯელობას დასასრული თით-ქოს არ უჩინდა და სერგეიმ უცებ მოი-წყინა. ამჯერად იგრძნო, ამ ბრაუნშვეი-გელ კაცის ხატვას რომ შესდგამოდა, არაფერი არ გამოვიდოდა.

— იცით, თქვენი პორტრეტის ხატვას ხეალ კონგრესზე ეცდო, — უფროსი უფროსი გეიმ.

გერმანელი თავაზიანად დაეთანხმა და მხატვარიც საჩქაროდ გამოეთხოვა.

3

მეორე დილით სერგეი ბილეთით ჯი-ბეში კონგრესის გახსნაზე მიიჩქარო-და, მაგრამ როცა ურიცხვის სასახლე-ში მივიდა, დარბაზი უკვე ხალხით იყო სავსე, ქორედებზე ტევა არ იყო და სა-ერთო ერთამელისგან ყველაფერი ყრუდ გუგუნებდა, გაშლილი გაზეთები აქა-იქ თეთრად გაილეუებდნენ. ჰაერი ჩამოი-ხუთა და ამფითეატრში სულ უფრო სწიპრად იზდიდნენ პიჯაკებს, გაზეთისა და ცხვირსახოცის ქნევით ჰაერს ინი-ვეებდნენ. თვალი ნაირფერად ქრულდ-ებოდა, მოლოდინისგან ყველა დაძაბუ-ლიყო.

სერგეიმ ტრიბუნის პარდაპირ ეურ-ნალისტების ლოკაში მოქებნა თავისი ადგილი. პრეზიდენტიმას სამეზბი აქედან კარგად მოჩანდა და თავისი ალბომი გადაშალა, სახატავად მიემშალა.

ამ დროს უცერად ქორედები ახმაურ-და. ტაშის გლუტჩერი გუგუნით თანდა-თან ძირს ჩამოცოცდა და ირგვლივ ყველაფერს გრიალით ნთქავდა. სერგეი სხვებთან ერთად ფეხზე წამოიჭრა და პრეზიდენტიმასკენ გაფაციცებით იცქი-რებოდა, მაგრამ იქ არაფერს ჩანდა. მან დარბაზს გახედა და უცებ ალბომი ხე-ლიდან გაუვარდა! ტაშის დაკერა მანაც დაიწყო.

პარდაპირ მისკენ, შუა დარბაზში, სხვადასხვა ეროვნების დელეგატთა ჯგუფს ჩქარი ნაბიჯით მოუძლოდა ლენინი. თავი ძირს ისე დაეხარა, თით-ქოს ჰაერის ნაკადს მოაპობდა, თან იმას ცდილობდა, რომ თვალს რო-გორმე მიჰფარებოდა და ეს ტაშიც რო-გორმე შეწყვეტილიყო. აი, პრეზიდენ-ტის ადგილზედაც ავიდა და, სანამ ოვა-ცია გრძელდებოდა, არ ჩანდა.

იმ წუთს, როდესაც ის გამოჩნდა, დარბაზის ყველა კარი ერთად გაიღო და

ქორელებსა და ამფითეატრში წითელი მიხაკის ყვავილებით საესე უზარმაზარი კალათები შემოიტანეს. ყვავილები ხელიდან ხელში თითქოს ფრენით გადადიოდა და სკამების გრძელი მწკრივები სისხლისფერ დროშებსა და დეკორაციებს ფერადოვანად ეხამებოდა. სერგეიმ დარბაზს თვალი მოავლო და იქვე მახლობლად ორი ხანში შესული მხატვარი დაინახა. მას აქეთ არც ისე დიდი ხანი იყო გასული, რაც ისინი სერგეის ხატვას ასწავლიდნენ. აი, ისინი დასხდნენ კიდევ, ის კი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, მაგრამ გონს მალე მოეგო და ალბომს დასწვდა, ფანქარს ხელი ჩასჰკიდა.

მაგრამ, მოულოდნელად, როცა სიწყნარე ჩამოვარდა, სერგეიმ ლენინი კვლავ დაინახა; ხედავდა, როგორ მიდიოდა ის ამფითეატრის სკამებს შორის. იგი უცებ ვერ შეამჩნიეს, მაგრამ რა წამსაც თვალი მოჰკრეს, ტაშმა ისევ იგრილა და მალე ასავლელი, ზედ რომ ლენინი თითქმის არბოდა, ხალხით აავსო. ისიც, ვისკენაც ის მიისწრაფოდა, ფეხზე წამოდგა და ლენინს შეეგება, თან დინჯად, როგორცაც გლეხური სიღარბაისლით და ალერსნარევი თავშეკავებული ღიმილით მიესალმა. ისინი რაღაცას ლაპარაკობდნენ და თან ერთმანეთისკენ იხრებოდნენ, რადგან ოვაცია სულ უფრო და უფრო მატულობდა და ხალხი მათ ირგვლივ მჭიდროდ ერთყმოდა.

— ეს — მიხა ცხაკაია, — მოესმა სერგეის, — ქართველი კომუნისტი. შვეიცარიაში ლენინთან ერთად ცხოვრობდა.

ხალხი თანდათან მჭიდროვდებოდა. ლენინმა ამხანავს ხელი ჩამოართვა. მერე მტკიცედ შეკრული წრე ხალხისა თითქმის ძალით გაარღვია და აშკარად უქმყოფილო, რომ ეს ხმაური და ჰმეღვა გამოიწვია, ძირს დაეშვა.

სერგეი მის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა. მას ეგონა, რომ უკვე მიაგნო ამ ტანმორჩილი კაცის მოძრაობის მეტად მნიშვნელოვან თავი-

სებურებებს და მის სახეს (მაგნიტობის ფურცელზე უკვე დატანილს) და აღბეჭდილს ხედავდა.

პრეზიდენტი ასვლის შემდეგ ლენინი წუთით გაუჩინარდა. მერე ისევ გამოჩნდა და სერგეიმ დაინახა, როგორ ამოიღო მან ჯაბიდან ქაღალდები და გასასვლელში საფეხურზე როგორ ჩამოჯდა. ყოველივე ეს ისე სწრაფად, უცაბედად და ისე უბრალოდ მოხდა, რომ უცუთესი მდგომარეობის არც ბოენა და არც წარმოდგენა არ შეიძლებოდა. სერგეიმ იგრძნო, რომ მის გვერდით მსხდომი მხატვრები ლენინს უკვე ხატავდნენ. ფანქარს ხელი იმანაც წაავლო, მაგრამ ლენინს თვალს მაინც ვერ ამოკრებდა.

მისი დიდი, უჩვეულო და ერთი დაინახვისთანავე სამუდამოდ დასამახსოვრებელი თავი ახლა კარგად მოჩანდა. ლენინმა ქაღალდები მუხლებზე დაილაგა და თავჩარგულმა კითხვა დაიწყო. მაღალი შუბლი, თხემი და ღია ყვითელი თმების კრაცინალებით შემკული კეფა განსაკუთრებით ირჩოდა. სერგეის უნდოდა ლენინის ეს შესახედაობა ისტორიაში ანდა თანადროულობაში მისთვის ცნობილ რომელიმე დიდი პიროვნების გარეგნობისთვის შეედარებინა, მაგრამ არავის ის არ ჰგავდა. ყოველი ნაკვთი მისი სახისა მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

სერგეი ქაღალდს ფანქრით შეეხო. ერთი მსუბუქი მოსმით ლენინის სახის კონტურები უცებ მოხაზა და თავი ისევ მალე აიღო. ლენინი უკვე იქ აღარ იყო.

სერგეიმ ის მაშინ დაინახა, როცა ტრიბუნაზე მოხსენებისთვის ავიდა.

ალტაცებას დაუცხოველი ოვაციით შეხვდა ლენინს ხალხი. ისიც იძულებული იყო, ყოველივე ეს ბოლომდე ეთმინა. კათედრაზე დაწყოილ ქაღალდის ფარატინებს კარგახანს ფურცლავდა. მერე ცალი ხელი მალე ასწია და დაიქნია, რომ ყალყზე შემდგარი დარბაზი

როგორმე დაეშინებინა. ამ ბოზო-
ქარ ხმაურში ის, ერთადერთი იყო რო-
მელიც საყვედურით სავსე თვალებით
აქეთ-იქით მკაცრად იტყობოდა. უცებ
ჯიბიდან საათი ამოიღო და ხალხს და-
ნახა, თან თითს ციფერბლატზე არტყამ-
და, მაგრამ საშველი მაინც არ იყო. მეგრე
თავის ქაღალდებს ისევ მოუთმენლად
ათვლიერებდა, ფურცლავდა, სანამ
ოვაცია, რომელმაც თითქოს თავისი თა-
ვი ამოსწურაო, გაყურადებულ მღუმე-
რებად არ გადაიქცა.

ლენინმა ლაპარაკი დაიწყო.

და სერგეიმ ახლა სწორედ ის მოძ-
რობა დაინახა, მისი არსების აზრს ასე
მეტყველად რომ გადმოსცემდა. აი, ამის
გამოხატვისთვის ოცნებობდა მხატვარი.
რამდენიმე წუთის წინ ასე მარჯვედ გა-
მოჰქრალი ნაკეთები ახლა თითქოს
გაქრა და ლენინი — ორატორი ამ ნაკე-
თებს უკვე აღარ ამელაგნებდა, მათ ახა-
ლი ნაკეთები სცვლიდა. სერგეი ამ
ნაკეთებს იმახსოვრებდა, მაგრამ ისინი
წარმოქმნისთანავე ქრებოდნენ და აღარ
მეორდებოდნენ. სერგეის აკი ამი-
ტომ ეშინოდა, რომ ეს ნაკეთები ხე-
ლიდან არ გასხლტამოდა, მაგრამ ვერც
ის გადაეწყვიტა, დაეწყო ხატვა თუ არა.
მას უკვე აღარ შეეძლო ეთქვა, რას სჩა-
დიოდა: ლენინის ქესტიკულაციას სწავ-
ლობდა თუ მის სიტყვას ისმენდა.

ლენინის ქესტიკა და მეტყველების
ასეთმა სრულმა შესაბამისობამ მხატვა-
რი მართლაც გააოცა. წარმოთქმული
სიტყვის შინაარსი ისე პლასტიკურად
ისხამდა ხორცს, მთელი თავისი შინაარ-
სით ისე თავისუფლად იშლებოდა, რომ
სერგეის ეგონა, თითქოს ლითონის დნა-
რი მისთვის მორგებულ ყალიბში იღე-
რებოდა: მისი სიტყვის ცეცხლოვანი ში-
ნაარსი ისე მძაფრად იყო გამოთქმული,
რომ მთქმელის გარეგნობას სრული სი-
ზუსტით ესადაგებოდა.

ლენინი ამხელდა ინგლისს, რომელიც
ასე მოულოდნელად მშვიდობისმოყვა-
რებით განიშსკვალა და პანების ბოლო-
ნეთისა და თეთრი გენერლის, ვრანგე-
ლის გადასარჩენად საბჭოთა რესპუბლი-

კასთან შემაჯობა იკისრა. და როცა
ლენინმა დარბაზს ჰკითხა, რამდენიმე
წვია მთელი ქვეყნიერების ეს „შემფო-
თებაო“, როგორც ამას გამოსთქვამს ინ-
გლისის თავაზიანი ბურჟუაზიული მთავ-
რობა, ეს უხერხული, თან საჩოთირო
შემფოთება და პოლიტიკა მან მთელი
თავისი სხეულით გამანადგურებელ სარ-
კაზმით გამოხატა.

ლენინი თავის ქაღალდებში ზშირად
იტყობოდა და თან ციფრებს ბლომად
ასახელებდა, მაგრამ ამით ის თავგამა-
ბენზრებულ პროფესორად ერთი წუთი-
თაც არ ქცეულა და მუდამ ხალხთა ყუ-
რადღების დამპყრობელ ტრიბუნად რჩე-
ბოდა. მისი მაღალი ხმა ერთი წუთითაც
არ შემკრთალა, ენა სადავ და თვალსა-
ჩინოდ მეტყველებდა, წარმოთქმა რბი-
ლი იყო და ბგერა „რ“ ხანდახან გრასი-
რებულად გაისმოდა, რაც მას მსმენე-
ლებთან ადამიანურად და ცხოვრებისე-
ულად აახლოებდა.

სერგეი თვითონვე გრძნობდა, არც
ერთი სიტყვა მის ყურადღებას რომ არ
ეპარებოდა, და თან ხატვას განაგრძობ-
და. ლენინის მაღლა აწეული თავი, წინ-
გაშვებული ხელები, პირდაპირი და
ლონიერად გამართული წელი და წინ-
წამოწვდილი მეგრული ფანქრის უეცარი
მოსმით ქაღალდზე გადაჰქონდა. ერთს
დახატავდა — თავს ანებებდა, ახალს
იწყებდა; ხან სახე გამოჰყავდა, ხან ხე-
ლებს ან ტანს ხატავდა. მარჯვედ მოს-
მულ შტრიხს დაქინებით იმეორებდა და
იმას, რაც ხელს ოსტატურად არ მოჰყვე-
ბოდა, თავს აკლავდა, ფურცელს ფურ-
ცელზე შლიდა და ბოლოს, როცა შეა-
ტყო, რომ მიზანი, საითყენაც ის ასე
მისწრაფებოდა, ოდნავაც არ ახლო-
დებოდა, შეეშინდა.

თავის ყოფილ ოსტატებს გადახედა.
ერთ მათგანს თავი დაეხარა და უკვე
დახატულს საშლელით გულდაგულ
შლიდა. მელოტი თავი ისე წამოქარხლე-
ბოდა, რომ სერგეის ახლა მოაგონდა,
როგორ წითლდებოდა ხოლმე ის, როცა
რამე არ გამოსდიოდა. მეგრე ოსტატს
ლოცა სულ მიეტოვებინა და ტრიბუნას-

თან წინა რიგებში მჯდომი როდი ხატავდა, ლენინს უსმენდა.

სერგეის უცებ შეეშინდა, რომ მარჯვენა წუთი ხელიდან გაუსხლტებოდა, ლენინი სიტყვას დაასრულებდა და ალბომში კი მისი სახის ერთი მთლიანი მონაზახიც აღარ დარჩებოდა. ლოქა დასტოვა. კარებში, სადაც ხალხი შეგუფულოყო, ძლივს გაატანა და ძირს, გასასვლელში გაჩერდა. აქედან ლენინი უფრო დიდი, მაღალი ჩანდა და აქ მისთვის ყველაზე მოხერხებული ადგილი აღმოჩნდა. მაგრამ ახლა ხელს იუპიტერების შუქი უშლიდა: ფოტოკამერათა ობიექტივები და კინოც მხატვრებთან ერთად იპერდნენ ლენინის ძნელად დასანახავ ცოცხალ ნაევთს. იუპიტერები თვალს ახნებდნენ. სერგეიმ ტრიბუნას მეორე მხრიდან მოუარა, მაგრამ ლენინი აქედან მის უკან მოქცეულ შუქის გამო თითქმის სილუეტურად ჩანდა. არა, წელანდელი ადგილი ყველას სჯობდა, ისეც ლოქაში უნდა მოეწყოს.

მაგრამ ადგილი დაკავებული დახვდა. სხვა გზა არ იყო, ისეც ფეხზე უნდა მდგარიყო. და ლენინი მთელი თავისი სიდიადით და იმ სისრულით, მისი დამაქუცმაცებელი თვალი აქამდე რომ ვერ ხედავდა, მან, ფეხზე მდგარმა, მხოლოდ ახლა დაინახა. ხატვა თავიდან დაიწყო. და აი, აღმოჩნდა, რომ ის წელანდელი დაეინებული სამზადისი, ის გულდაუჯერებელი ცდები, ეტიუდები, ხელის ცეცებით და ბრმად რომ ეყებოდა — ყესტები, თავის მოძრაობა, სახის ნაევები ერთერთს მხოლოდ ახლა აესებდნენ, ერთდებოდნენ და თანდათან მთლიან სურათად იქცეოდნენ, იმ სურათად, სიმართლეს რომ ასე უახლოვდებოდა და ცოცხალ ლენინს წარმოაჩენდა.

დარბაზში ყრუ ხმაური გაისმა. სერგეიმ მაღლა ახედა. ლენინმა თავისი ქაღალდები ხელის მოსვით მოხვეტა და ტრიბუნა მხატვდ ჩაიბრინა.

სერგეიმ ალბომი დახურა.

სხდომის დასრულების შემდეგ მკიდროდ შემორტყმულ დედეგატებს შორის მყოფი ლენინი სასახლიდან გორკისთან ერთად გამოვიდა. სიცხით ჩამოხუთულსა და ყვითლად განათებულ დარბაზს ნაჩვევ თვალებს მოციხფროდ აკამკამებული დღის ნათელი სჭრიადა. ხალხის ქდეეამ მოძრაობა გამოსასვლელთანავე შეაფერხა. დღის ლალი სინათლით გახარებული ფოტოგრაფები დედეგატებს ყოველ მხრიდან უტევდნენ და აპარატებს წარამარა ამხაკუნებდნენ. ხალხის დინებით წინ წაწეული გორკი და ლენინი სასახლის სვეტთან შეჩერდნენ. ფოტოგრაფები მათ სურათებს განუწყვეტლივ იღებდნენ. გორკის სუფთად გაპარული და მზეზე აბრწყინებული მოციხფრო თავი შორიდანვე კარგად მოჩანდა. ირგვლივ მისი სახელი გაისმოდა. ლენინი მის წინ, ოღნავ დაბლა იდგა და მასაც ქული არ ეხურა.

სერგეიც იქვე იყო. უნდოდა კიდევ ეხატა, მაგრამ ხალხი გასაქანს არ იძლეოდა. მას განძრევაც არ უფიქრია: ასე ახლოს ლენინი მას დღეს არ დაუნახავს. თვითონვე გრძნობდა, როგორ ეღიმებოდა; ვინ იცის, იქნებ ეს ღიმილი უადგალოც იყო, მაგრამ სახე თითქოს გაშეშებოდა და ღიმილის იერს ვერ იშორებდა. ფოტოგრაფები რამდენიმე ათეულ უხეირო სურათს რომ გადაიღებდნენ, რა თქმა უნდა, სერგეის სრულიადაც არ ახარებდა, მაგრამ მათი სიმკვირცხლე და პროფესიული უბრუნელობა მაინც შურდა.

ხალხი ადგილიდან დაიძრა. დროშებთან ერთად მუხის ფოთლები და წითელი ვარდებისაგან შეკრული და მადლა ამართული გეარგვინი წინ მიიარწეოდა, რევილუციის მოედანზე ძმათა სასაფლაოსკენ მიემართებოდა.

ლენინი კონგრესის დედეგატებს წინ მიუძღოდა. მის ირგვლივ ირეოდა ხალხი — უცხოელები, რუსები, მოხუცები, ახალგაზრდები. ერთთან საუბარს რომ

პორჩებოდა, მეორესთან, მესამესთან იწყებდა.

პალტო არ ეცვა. პაჯაკი წინ გახსნილი ჰქონდა და ხელებს ხან ზურგს უკან შემოაწყოებდა და ხან შარელის ჯიბეებში ჩაიწყოებდა. თავი მას იმნაირად ეკიორა, თითქოს ქუჩაში, უზარმაზარ შენობებს შორის კი არა, შინ, თავის დიდხანს ნაცხოვრებ ოთახში იმყოფებოდა: არათერს უჩვეულოს იმაში არ ხედავდა, რომ ეს ამოდენა ხალხი ირგვლივ შემოხვეოდა და ამ საყოველთაო, თავშეკავებულ სწრაფებაში მისდამი თავს უზარალოდ და ლაღად გრძნობდა.

იქვე, მასთან მახლობლად მიმავალმა სერგეიმ უცებ ნაცნობი კაცო დაინახა. მჭიდროდ შეჯგუფებულ ხალხში ის გზას ლენინისაკენ მიიკვალავდა. აი, დაწინაურდა კიდევ და, მარჯვენა წუთი იხელთა თუ არა, ლენინს ნაბიჯი გაუსწორა. ეს — ის ბრატუნშვიეგელი გერმანელი იყო. ლენინს წინ დიდა ამბით წარედგა, ხელი ჩამოართვა და, როგორც ეტყობოდა, წინასწარვე კარგად გამზადებული ტირადა დაიწყო.

ლენინმა კისერი მოიღერა და თავი დაბლა დახარა, რომ ტანმორჩილი კაცის სიტყვები უფრო კარგად გაეგონა. ის კი ლაპარაკობდა, თან გრძელ ხელებს პაერში ამოქრავებდა და თავის ჩამავრთებულ სიტყვებს ისე აფასებდა, თითქოს ეშინოდა რამე შემთხვევით არ გამოჩინოდა. ლენინი ჯერ დინჯად უსმენდა. მერე გაეღიმა, ღიმილისაგან თვალები ოდნავ მოეხუტა და თან თავი გადააქნია, მერე უკან დაიხია, ხელიც ისე გაიქნია, თითქოს იმახლა: სისულელეა, სისულელეო! ბრატუნშვიეგელი რაღაცას ისევე ამტკიცებდა, ხელების ქნევით განაგრძობდა, მაგრამ ლენინმა ხელი იდაყვში ჩაავლო და ორი თუ სამი რაღაც სიტყვა უთხრა — სიტყვა სხარტი და გადაწყვეტი. მაგრამ ბრატუნშვიეგელი მაინც გაცხარებით ეკამათებოდა. მაშინ ლენინმა ხელი მხარზე მსუბუქად დაჰკრა, მერე თითები ძილტში შეიწყო და სიცილი აუტყდა. იცინოდა და, რომ მი-

დიოდა, თან მთელი ტანით მიერწყოდა. ბოლოს ნაბიჯს უმატა და იმყოფებოდა რომელმაც წელან ასე გულიანად აცინა, მეტი არ მოუხედავს.

საოცარი გრძნობები აღძრა ლენინის ამ საქციელმა სერგეის გულში. ეს მოქმედება მუნჯი იყო მისთვის, მაგრამ აზრით იყო აღსავეს და ყოველივე ამან მკაფიოდ გამოხატა ლენინის ბუნების უშუალობა, მისი სისადავე და უღმობელი გრძნობა ყოველივე სასაცილოსი. სერგეი ხედავდა ლენინს ხალისიანს, ხედავდა, როგორ იცინოდა გულიანად, როგორ ადევნებდა თვალებს ყველაფერს, როგორ კამათობდა და რა სწრაფად ეცვლებოდა თვალმოწერული სახის ეშმაკური გამომეტყველება, როგორი გნებინი და ნებისმიერი იყო მისი ქესტები. ლენინის გამოსაუბრებამ ბრატუნშვიეგელთან სერგეის ნახატი ისეთი მნიშვნელოვანი შტრიხებით შეავსო, რისი წარმოდგენაც მას აქამდე არასდროს არ შეეძლო.

„ორი თავმჯდომარე, — ფიქრობდა სერგეი და თან იმნაირად ეღიებოდა, თითქოს მათ ისევე ხედავდა, — დავიწყებაში გარდასული ბრატუნშვიეგის სამდღიანი მთავრობის თავმჯდომარე და თავმჯდომარე სამი წლის მანძილზე არსებული და ამიერიდან მუდამ რომ იარსებებს, ისეთი მთავრობისა“.

აქამდე უცნობი სიამაყის ხორციელმა გრძნობამ ისე გაიტაცა სერგეი, როგორც მოვარდნილმა ნიღვარმა და თან გული წყდებოდა, კადნიერი სურვილი ადევნებდა: რად, რად მიდის ამდენი ხალხი ლენინთან და რად იცლის ის მათთვის ამდენი ხნით? ის კი, მხატვარი, ვინც ამდენად ვალდებულია და ვისაც უნდა, რომ ლენინი ასეულებსთვის, ათასეულებსთვის სამუდამოდ აღბეჭდოს, რად უნდა ეძებდეს წუთებს იმისთვის, რომ მას სახეში ჩააკვირდეს, მასი ღიმილი შეისწავლოს და მისი ნზერა გამოიჭიროს?

სერგეიმ ალბომი გადაშალა. სურათში მსგავსება უსათუოდ იყო. მაგრამ ქა-

ღალღებზე ხელდახელ და ერთ წუთში გადატანილი ნაცვებები უდავონი მიიწვარ იყვენენ, მაგრამ ნეტავ რას იტყოდა მათ გამო თვითონ ლენინი?

სერგეის ამ დროს უქნიდან დაეჯახნენ და წინ წაიგდეს. ვინ იცის, იქნებ ეს კიდევ მოეხვეწა და არავინაც არ დასჯახებია? წინა რიგებში თვითონ გაძვრა, გამოძვრა და ახლა ლენინის გვერდით მდგარი მიდიოდა, სუნთქვა ეკვროდა. რაღაც ერთი ნაბიჯი ამორებდა მიზანს და თვითონაც არ იცოდა, ეყოფოდა თუ არა ძალა, რომ ეს ნაბიჯიც გადაედგა.

ლენინთან მივიდა.

— მე მიხდა, — თქვა და ძლივსძლივობით შეკოწიწებული სიტყვები უშალდავშალა. — ვლადიმირ ილიჩ, როგორია, თქვენი აზრით, ეს სურათი?

ლენინმა წუთით ახედა სერგეის, მხატვრის ალბომი ხელში აიღო, დაიხარა და თვალის ოდნავი მოკუტვით ნახატს დააჩერდა. მერე ალბომი იქით გასწია და სერგეის ღამილით შეხედა.

— თქვენ მოგწონთ? — ჰკითხა მეგობრულად.

— არა, — მიუგო სერგეიმ, — მაგრამ მსგავსება ვგონებ არის.

— ვერაფერს გეტყვი. მხატვარი არ ვარ. — სხაპასხუპით გამოეხმაურა ლენინი.

მისი თვალემა ეშმაკურად ილიმებოდა, მერე თავი უკან გადასწია და, სერგეის თვალი წამახალისებლად რომ ჩაუყრა, იქით მიბრუნდა: ვილაცას გამოელაპარაკა.

შეჯავფულმა ხალხმა სერგეი ჯერ პირველი მწკრივიდან როგორღაც გამოსთიშა, მერე მეორე მწკრივიდან და ბოლოს თვითონვე გაუფვირდა, როგორ მოხდა, რომ ერთობ მოხერხებული ადგილი ეჭირა ამ მსვლელობაში და ახლა ასე მოულოდნელად დაკარგა იგი? გულისტკივილი? უხერხულობა? ის სულიერი განწყობილება, წელიან რომ

ჰქონდა, სცადა სერგეიმ, ჭეუჭულეზგა მოეწვია. არა, არა! ლენინის მხატვრული არტ შემოხედვაში არ გამომკრთალა ისეთი რამ, რომ სერგეი შეეშფოთებინა. მაგრამ ლენინისათვის უხერიო სურათის ჩვენება აზრად საიდან მოუვიდა? ეს სულმოკლეობა იყო და სხვა არაფერი. სერგეიმ გაშალა და ისევ დახურა თავისი ალბომი. ნახატი არაფრად არ ევარგოდა.

ამ დროს ვილაცამ ხელი იდაყვიმ ჩასჭიდა და ძირს დაწია. სერგეიმ მიიხედა.

ბრუნშვეიგელს მისი მკლავი მაგრად ეჭირა.

— თქვენ, ჩემო მეგობარო, აკი ჩემს დახატვას აპირებდით, — თქვა მან ხვამალა. — დღეს თქვენ ალბათ ვერ მოახერხებთ, მაგრამ შემძლია ხვალ მიგიღოთ.

ბრუნშვეიგელმა გრძელი, ძვალტყავა ხელი ასწია და სერგეის მხარში დაჰკრა.

— საოცრად ცხელა. თქვენს დეარტესის სულ არა ჰგავს.

— იცით, რა, — თქვა სერგეიმ, — გადავიფიქრე, მე თქვენ აღარ დაგხატავთ.

— ოჰო, ეს რა თავაზიანობაა, — მოესმა ამ დროს უქნიდან, როცა ის ხალხში შესვლას ღამებდა.

ის გერმანელი სერგეის მაშინვე დაავიწყდა, როცა მას ხელი გულთბილად ჩამოართვეს. მისმა ოსტატმა, იმ მხატვარმა, ლოკაში წელიან მის გვერდით რომ ხატავდა, თანაგრძნობის გამომწვევად, ჩაფიქრებულად და წყნარად თქვა:

— გესმით? ლენინის სურათი როგორღაც არ გამომდის.. თქვენ?

— მეც, — თქვა სერგეიმ და მხატვრის ხელი მოულოდნელად გულში ჩაიკრა, სიტყვა მგზნებარედ დაასრულა:

— მაგრამ სიტყვას გაძლევთ, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ სურათი უსათუოდ გამოვა!..

წიგ. დარბაზი

ძმობის სინათლე

(ნარკვევნი)

არსიანის მაღალ ქედებში იბადება მტკვარი და მოედინება ჯერ ერთშეთ-ჯავახეთის ვიწრო ხეობებში, შემდეგ — შუაქართლის გაშლილ დაბლობებში. ეს მდინარე საუკუნეთა მანძილზე თავისი მჩქეფარე ტალღებით ეხმაურება ვარძიის ციხე-ქალაქს, თმოგვის ციხეს, ხერთვისს, აწყურს, მცხეთასთან სვეტიცხოვლის გალავანს, თბილისში შეტეხის ციხე-სიმაგრეს და გარდაბნის ველით აზერბაიჯანის ველებისკენ მიემართება. მტკვარი მუდამ მფარველიც იყო და მაცოცხლებელიც საქართველოს ციხე-ქალაქებისა, დაბა-სოფლებისა, „მრავალ დროების მოწამე“, სეველიანი მგოსნის ფიქრთა შესაიდუმლე.

მტკვარზე სიცოცხლე არა წყდებოდა დღითა და ღამით. მთელს ხეობას, ჯავახეთიდან გარდაბნის ველამდე, ახმაურებდნენ მეწიასქვილეები, მეთევზეები, მეტივეები, მენაეები, და მეჭორწილეები, რომელთაც ჩირაღდნებით აკაშაშებულ ტივებზე, სოფლიდან სოფელში ქეიფით მოჰყავდათ თავიანთი პატარძალი.

კიდევ რა შეეძლო მიეცა მტკვარს ქვეყნისათვის?

სინათლე!

მაგრამ სინათლისათვის საჭირო იყო ახალი დრო, ემოქა ლენინისა და სტალინისა.

მტკვარმა პირველი შუქი 1927 წელს მოგვცა, როდესაც ზაჰესი აშენდა. ეს იყო ლენინის პირველი ნათურები, „გოელროს“ გრანდიოზული გეგმით გათვალისწინებული. მას შემდეგ საქართვე-

ლოში აშენდა რიონჰესი, ხრამჰესი, აქარჰესი, ალაზანჰესი, ჩითახევესი, აბჰესი, შაორჰესი, ორთაქალჰესი, სოხუმჰესი და ლენინის ნათურები აენტო ჩვენი სამშობლოს შორეულ და მთიან სოფლებშიც.

ათასხუთას კილომეტრზეა გადაქიმული მტკვარი. იგი მშობლიური მდინარეა ჩვენი და ასევე მშობლიურია მოქმე აზერბაიჯანის ხალხისთვისაც. აზერბაიჯანის სოფლებისთვის ძველად მიუწვდომელი იყო ელექტრონის შუქი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ჰიდროელექტროსადგურები აზერბაიჯანშიც ააშენა და ილიჩის ნათურები იქაც აენთო. და ბოლოს მტკვარზე აშენდა მთელს ამიერკავკასიაში ყველაზე მძლავრი სინათლის წყარო — მინგჩაურის ჰიდროელექტროსადგური. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები — ოსტატები და მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები აშენებდნენ ამ ჰიდროელსადგურს. მთელი ჩვენი სამშობლო იღებდა მონაწილეობას მის მშენებლობაში: — ნოვოკრემატორსკიდან გზავნიდნენ ექსპეკტორებს, ჩელიაბინსკი და სტალინგრადი აწვდიდა ბუღდოზერებს და ტრაქტორებს, დონბასი — ლითონს, მინსკი და გორკი — ავტომანქანებს, ლენინგრადის სტალინისა და კიროვის სახელობის ქარხნები — ტურბინებსა და ელექტრომოწყობილობას, კასპი და ნოვოროსისისკი — ცემენტს, არხანგელსკისა და სვერდლოვის ტყისმკრედეები — ხე-ტყეს, სომხეთი — ვარდისფერ ტუფს.

აი, ამიტომ ვუწოდებ მინგჩაურჰესის შუქს — ძმობის სინათლეს.

ზორბლით დატვირთულ ურემში შებ-
მულ ვეებერთელა კამჩეხებს მიერეკე-
ბოდა ახალგაზრდა ყმაწვილი. მკათა-
თვის მზეს მისი სახე აეწითლებინა. თვა-
ლის გუგები გიშერივით უკრიალებდა.
ცხელოდა, მაგრამ სიცხე არ უშლოდა,
ლიღინით შეპყოლოდა აღმართს. დრო-
დადრო უტევედა კამჩეხებს.

სოფელი გაშენებული იყო ფერდობ-
ზე, ტყის პირას. ტყეში ქარბობდა მუხა
და წიფელი, მეტადრე შინდი, ამიტომაც
სოფელს ერქვა ზოგალი-შინდისი.

— სარვან! — მოესმა ყმაწვილს.

ფოსტალიონი მიუახლოვდა და ახალი
გაზეთი გადასცა.

სარვანი მთელი დღე ეზიდებოდა
ზორბალს კოლმეურნეობის ბეღლისა-
კენ. მხოლოდ ღამით მივიდა შინ. წამო-
წვა. გაზეთი გადაშალა. სანათის შექი
კედლებზე ჩრდილებს აფარფატებდა.
კითხვის დროს სახე უღიმოდა. დედა
შესცქეროდა. შვილის სიხარული მასაც
ახარებდა. სარვანი ზეზე წამოდგა და
ხმამალა წარმოთქვა:

— მეც უნდა წავიდე!

— სად? — შეეკითხა დედა.

— მინგეჩაურში. პარტია მოგვიწო-
დებს; კომკავშირელებმა ელექტროსად-
გურის მშენებლობაში მონაწილეობა მი-
ვიღოთ. პარტია! — გაიმეორა და კედ-
ლისაკენ გაიხედა. კედელზე ეკიდა სუ-
რათი; ერთად იყვნენ გადაღებულნი
ლენინი და სტალინი, დიდი ადამიანები,
დიდი მეგობრები.

— პარტიას უნდა, რომ ჩვენც გვქონ-
დეს სინათლე, აი, აჲ, ჩვენს სოფელშიც.
სარვანს აწუხებდა სანათის მოფარ-
ფატე შექი. ის დიდხანს ფიქრობდა.
ოცნებობდა კიდევ. ძალიან გვიან ჩაე-
ძინა.

მზეს გაეღვიძა მალალ მთებში. გა-
თენდა. ამრიალდა ტყეში მწვანე ფოთ-
ლები. უბრავედა მთის ნიაფი და მი-
ჰქროდა დაბლობებისაკენ.

სარვანიც ნიაფსავით მიჰქროდა თავ-
ქვე ბილიკებზე. ისწრაფოდა. პარტია

ეძახდა, ლენინის პარტია. ასევე ყველგ
მეტრი მანქანით იმგზავრა ~~რევილი~~ ხელუ
დანში. აქედან უკვე ახლოს იყო მინგე-
ჩაური. კითხვა-კითხვით მიდიოდა, მამ
როგორ უნდა ებოვნა ეს პატარა, მივარ-
დნილო, მიყრტეხული სოფელი, რომე-
ლიც რუკაზედაც არ იყო აღნიშნული?
გააყუა გზას და მტკვრის მარცხენა ნა-
პირზე მოხვდა.

უსიამოვნო გრძნობამ გააკრა გულში.

რას ხედავს მისი თვალი?..

სიცხით დამსკდარი მიწა. ეკლიანი
ბუჩქები. ველური ბროწეული და წაბ-
ლი. აქა-იქ დაქაობებული, აშშორებუ-
ლი ადგილები. ზუზუნებენ კოლოები.
ბუჩქებს შორის სრიალებენ ხვლიკები
და გველები. არც წყალია, არც ხეხილი,
არც საჩრდილობელი.

პირქვეშად გადმომდგარა ბოზდაგი —
რუხი მთა. იცქირება მუბლმუქმუხენი-
ლი. თითქოს ათასი ნაოქი დაუნჩევიათ
მისთვის მკაცრ ბუნებას. არასოდეს ბა-
ლახსაც არ გაუხარია ზედ. რუხი, ამო-
მწვარი, ჩამოქცეული, ქანებიც კი მოუ-
ჩანს. ბოზდაგი — რუხი მთა ასე საზარ-
ლად გაღაქიმულა მტკვრის ორივე მხა-
რეს. მხოლოდ შუა გულში, თითქოს მდი-
ნარის ქიშკარი ყოფილიყოსო, მთა გაყო-
ფილა. ვინ იცის, რამდენი იწვალა, რამ-
დენი იბორჯა, რამდენი გაიბრძოლა
მტკვარმა, ვიდრე გაარღვევდა ბოზდაგს
და გზას გაივაცებდა?

აი, აჲ უნდა აშენდეს შიდრო-
ელექტროსადგური. „საკვირველია, რა
იცოცხლებს აქ!“ — ექვი უღრღნის
ტულს, მაგრამ მარტო სარვანი ზომ არ
არის აქ? მოდიან ახალგაზრდები აზერ-
ბაიჯანის ყოველი კუთხიდან.

მშენებლობა დაიწყო. დაჰკრეს პირ-
ველი წერაქვი. უბრალო მიწურებს აშე-
ნებენ, რომ ხალხი დაბინადდეს. გააყავთ
გზები, გეგმავენ მოედნებს. პირველი
თვეებია — მძიმე, ძალიან მძიმე...

— რა შეგძლია გააკეთო, სალმა-
ნოვ? — ეკითხებოან სარვანს.

— რაც საჭირო იქნება! — უპასუხებს
მკვირცხლად.

მამამისი ღურგალი იყო. ის ცოცხალი



ღარ არის. ბავშვობისას ბევრჯერ დახმარებია მამას. იცის ხელეჩოს, ცულის, ხერხის ხმარება. მამის ხელსაწყოებიც კი თან წამოიღო.

მიიბარეს ოსტატს — ივანე გრიუხინს. გრიუხინი მამასავეთ მოეჭყა. ხელობა ასწავლა. მერე ერთად აგებდნენ ფარდულებს, ხის შენობებს.

ერთი რამ სწყინდა სარვანს. ზოგიერთები გარბოდნენ მშენებლობიდან... კომკავშირლებიც კი. ყოველ დილას უსათუოდ ვინმე აკლდათ. მიიბარებოდნენ ლამ-ლამობით. ერთმა ამხანაგმა, მასაც უთხრა, წავიდეთო. ეწყინა სარვანს. ეს ხომ ჰგავდა ბრძოლის ველიდან გაქცევას, ღალატს!

გადიოდა თვეები. ათასობით მოდიოდნენ მუშები რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, უზბეკეთიდან, სომხეთიდან, დაღესტნიდან, საქართველოდან. აგერ, ახალგაზრდა ქართველი ინჟინერი გრიგოლ გიორგაძე. იგი ზამთარ-ზაფხულ, სიცხეში თუ ყინვაში თავდაუზოგავად მუშაობს. ამენებს გზებს, სასალებს, სახელოსნოებს, გარაეებს, ფარდულებს. მან ააგო მინგეჩაურის რკინიგზის სადგური, სადაც მოდიოდა სააღმშენებლო მასალა — ხე-ტყე, რკინა-ბეტონი, კონსტრუქციები. მინგეჩაურის მშენებლობაზე არ არის ობიექტი, მას რომ არ ემუშაოს. გიორგაძემ საპატიო სიგელი მიიღო აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოსაგან თავდადებული შრომისათვის.

დამთავრდა ხის სახლების მშენებლობა. კაშხალის აგებას შეუდგნენ. მთელი ყურადღება კაშხალს მიაპყრეს. ჩვიდმეტრი მალიონი კუბური მეტრი ქვიშა და ხრეში უნდა ამოთხარონ, ბოზდაგის შუაგაყოფალ კარიბჭეში უნდა ჩაყარონ, რომ ააგონ მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი მიწის კაშხალი, რომელიც ახალი ზღვის, მინგეჩაურის ზღვის, ერთი ნაპირთაგანი გახდება.

მაგრამ რა ქნას სარვანმა? ამის შემდეგ რა გააკეთოს? ის ხომ მხოლოდ დურგალია?..

ასულ ეს იყო ჩემი წვლილი მშენებ-

ლობაში? — ფიქრობს გულსტრეკიდან მტკერის ნაპირებზე უკვე გასკრეს. ამუშავდა მოსიარულე და ჩვეულებრივი ექსკავატორები, სკრეპერები, ბულდოზერები, მიწისმწოვები.

«ექსკავატორის მემანქანე უნდა გავხდე!» — გადაწყვიტა სარვანმა. ექვს თვეს სწავლობდა სამუშაოსგან მოუწყვეტლად და მიხანსაც მიიღწია.

მინგეჩაურში ამ დროს სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა შოთა მაჩაბელი. სარვანმა გაიგო, რომ ინჟინერი საქართველოდან იყო. მაჩაბელთან გამოცხადდა და ქართულად მიმართა — გამარჯობაო. მაჩაბელი კილოზე მიუხვდა, რომ ის აზერბაიჯანელი იყო და აზერბაიჯანულად უპასუხა:

— სალამალეიქუმ!..

მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს.

მერე რუსულად დაიწყეს ლაპარაკი და ახალმა მემანქანემ ექსკავატორი ჩაიბარა. ქვიშა-ხრეშის კარიერში გავიდა. ოცდაათში ექსკავატორი მუშაობდა მაშინ. დღედაღამეში ოცდახუთითათასი კუბური მეტრი ქვიშით იტვირთებოდა ევგონები. ყოველ ექვს წუთში ახალ-ახალი შემადგენლობა გადიოდა კარიერიდან. ასე სამი წლის განმავლობაში ეზიდებოდნენ ხრეშს და ააგეს კიდეც კაშხალი.

შოთა მაჩაბელმა ხუთი წლის წინათ დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მეგობართან, იოსებ ხურცილავასთან ერთად ჩამოვიდა მინგეჩაურში.

ამ დროს მიმდინარეობდა კაშხალის ფუძის მომზადება და საგენერატორო შენობის ქვაბულის დამუშავება. ვიდრე ისინი მშენებლობის უფროსთან გამოცხადდებოდნენ, მშენებლობის დასათვალისწინებლად გაიარეს. ახალგაზრდა ინჟინრებმა აქ პირველად ნახეს მოსიარულე ექსკავატორები სამი კუბური მეტრიანი ჩამხით. ცნობისმოყვარეობით ათვალერებდნენ სხვადასხვა ობიექტს. ამ დროს მათ შემოესმათ ნაცნობი კილო.

— გამარჯობათ, ბიჭებო!

სიხარულით შეეგებნენ მათეც სწრაფი ნაბიჯით მომავალ შეგვრემან ახალ-

გაზრდას, რომელსაც სახეზე ღიმილი უკრთოდა.

— გეტყობათ თბილისელები ხართ. სამუშაოდ ჩამოხვედით, არა? — ღიმილითვე შეეკითხა იგი.

გაიციეს ერთმანეთი. ეს იყო გოდერძი ქასაშვილი, რომელიც მათზე ორი წლით ადრე ჩამოსულა მინგეჩაურში. ის სიხარულით ეკითხებოდა თბილისისა და ინსტიტუტის ამბებს. გოდერძისაც ეს ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. გულთბილი საუბრის შემდეგ გოდერძიმ ახალგაზრდა ინჟინრები პირველი საამშენებლო სამმართველოს უფროსთან — მამედ ხალილ ოღლი ალიევეთან მიიყვანა.

მამედ ხალილ ოღლის ძალიან გაეხარა და მათი ჩამოსვლა.

— რაკი ჩამოხვედით, აქედან აღარ გაგიშვებთ, ვიდრე მშენებლობას არ დამთავრებთ! — ღიმილით უთხრა ახალგაზრდა ინჟინრებს და ორივე ოსტატებად დანიშნა ტურბინებისა და გენერატორების მონტაჟზე. პირველ ხანებში მათ უქირდათ მუშაობა. ეცნობოდნენ ჰიდროელექტრომონტაჟის საქმეს. თითქოს ხელახლა შევიდნენ ინსტიტუტში და თავიდან იწყებდნენ სწავლას. ნიკიტური ახალგაზრდები სულ მალე გაიკვირნენ და ღრმად ჩასწვდნენ თავიანთ სამუშაოს. დაუხარებლად იყვნენ. შეუძლებელი ტემპით მუშაობდნენ.

და როდესაც მათ კაშხალის საფუძველი მოამზადეს და საგენერატორო შენობის ქვაბული დაამუშავეს, მაჩაბელი კაშხალისათვის საკირო ხრეშის კარიერებში უბნის უფროსად გადაიყვანეს. მაჩაბელი აქ შეხვდა სარჯანს. სარჯანი სამი წლის განმავლობაში ისე მუშაობდა მაჩაბელთან, რომ განცვიფრებაში მოჰყავდა ახალგაზრდა ინჟინერი. კარიერებში მუშაობა კი იოლი არ იყო. რვა მეტრის სიღრმიდან იღებდნენ ქვიშასა და ხრეშს. ზედა ორი მეტრის ფენა გამოუსადეგარი იყო. ეს მიწა გვერდზე უნდა გადაეყარათ და მასალა მხოლოდ მესამე მეტრის სიღრმიდან ამოეღოთ. ნიადაგის ქვეშ საუტუნეთა განმავლობა-

ში გამაჯდარიყო მტკვრის წყალს დასურს რიერებში ვეებერთელა ტემპით მუშაობდა.

ალიმართა კაშხალი. მტკვარმა შეგუბება დაიწყო. იხადებოდა მინგეჩაურის ზღვა, რომელიც მოექცა, ერთი მხრივ, ბოზდაგისა და კონჯიშენის მთებს შორის და, მეორე მხრივ, კაშხალისა და ელდარის მაღლობებს შორის. ზღვა გადაქიმულია ცამეტი კილომეტრის სიგანეზე და სამოცდაათი კილომეტრის სიგრძეზე. იგი უახლოვდება საქართველოს საზღვრებს წითელწყაროს რაიონთან.

კაშხალის აგებით აზერბაიჯანელმა ხალხმა სამუდამოდ დააღწია თავი მრავალგზის განმეორებულ სტიქიურ უბედურებას — წყალდიდობას. მტკვარი ასეთ დროს დღელამის განმავლობაში რამდენიმე მეტრით იწვევდა მაღლა, გამოდიოდა ნაპირებიდან და მიწასთან ასწორებდა არა მარტო ნათესებს, არამედ მოსახლეობის სახლ-კარსაც კი. დიდ ზიანს აყენებდა განსაკუთრებით ევლახის, სალიანის, კურდამირის, ზარდობის, ალიბაირამისა და ხალდანის რაიონებს. ასობით სოფელი წყალდიდობის მსხვერპლი ხდებოდა. მტკვართან საბრძოლველად მთელი მოსახლეობა გამოდიოდა. ეზიდებოდნენ ქვიშით საესე ტომარებს, აწყობდნენ მტკვრის ნაპირებზე, მაგრამ ამაოდ. მოზუავებული მდინარე წინასწარ აგებულ დამბებსაც კი არ ღვევდა.

მოხუცი კოლმეურნე ბახმანი, რომელიც ხალდანში ყველაზე უხუცესი ადამიანია, მწუხარებით მოგვითხრობს იმ უბედურების შესახებ, რომელიც მას შეემთხვა ახალგაზრდობაში.

მაისი იყო, სიხარულისა და ბედნიერების თვე, შეიძლება ითქვას, სიყვარულის თვეც. მტკვარი აღიდებელიყო და მრისხანედ შუოდა. ახალგაზრდა ბახმანს იმ ღამეს ქორწილი ჰქონდა. თარისა და დუდუკის ტყბილ ხმებში უმასპინძლებოდა სტუმრებს. შვიდი წელიწადი ემზადებოდა ამ დღისათვის. ეზოში ცეკვა-თამაში არ ნელდებოდა. გაშლილ მაგიდებზე გულუხვად ელაგა ქიშმიშით

შემეული მძივებზე და მარცვლული ფლაგი, ლულაქაბაბი და თავაქაბაბი, სიფრიფანა ლავაშები, კვერცხის გულით აკრიალებული ნაშუქები, მაჯის სიმსხო ჩურჩხლეები, ალჯანაბადი, ქალზიბადამი, შაქრის თავები და ტბილი შარბათი.

შუალამე გადასული იყო, როდესაც ეზოში შეუმჩნევლად მტკერის ზვირთე-ნი შემოიჭრა. მექორწინებმა პირველ წუთებში ყურადღება არ მიაქციეს წყალს, მაგრამ სულ მალე წყლით დაიფარა ეზო და ბაღი, მთელი კარმიდამო.

ქორწილი აიშალა. მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

ბნელ, უსინათლო, წყლით დაფარულ ქუჩებში ხალხი თავის საშველად დარბოდა.

კენესა-ტირილით და ვაი-ვაგლახით გათენდა.

ახლა კი მტკვარი ცხრებოდა, მშვიდდებოდა ბუნება.

მაგრამ ბახმანი კვლავ ალარ იყო. წყალიდობას პატარძალი დაეხრჩო — ბახმანის პირველი სიყვარული...

გაქრა შავ-ბნელი დრო.

ახლა მტკვარი ამ საბედისწერო ადგილას ადამიანის ნება-სურვილზე მოედინება, ხალდანი კი განათებულია ილიჩის ნათურებით...



მიწის კარიერებში მუშაობა დამთავრდა. მარაბელი ახლა კაშხალზე გადაიყვანეს. სარვანიც იქ გადავიდა თავისი უზარმაზარი სამჩამიანი ექსკავატორით. ის უკვე ამ ექსკავატორის უფროსი მემანქანე იყო. ეკოპეში ექსკავატორი ჰყავდა. აზრიანად და ახალგაზრდული ცეცხლით ხელმძღვანელობდა მათ.

ამ დროს ფსკერული მიღების დაბეტონებაზე უბნის უფროსად მუშაობდა ახალგაზრდა ინჟინერი ავთანდილ კორძია. იმანაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და მიწვე-ჩაურში გამოგზავნეს. სერობული და საქმისათვის თავდადებული ყმაწვილი დილოთ რომ სამუშაოდ ჩავიდოდა თავის რკინა-ბეტონის ღრმა გაღვირვებში,

ხშირად შუა ღამისას ამოდიოდა, მომდევნო ცვლის უფროსებს გასაშვებად ვერ სტოვებდა, ეხმარებოდა.

ავთანდილი სარვანს სამუშაოზე შეხვდა. ავთანდილის ყურადღება მიიპყრო სარვანის ექსკავატორმა. გეგმას მუდამ გადაქარბებით ასრულებდა. არა თუ ავარია, ავთანდილს მისი მანქანის მცირე ხნით შეჩერებაც კი არ შეუნიშნავს.

ერთხელ ავთანდილი ექსკავატორზე ავიდა და სარვანს მტკიცედ ჩამოართვა ხელი, ორივენი კომკავშირლები იყვნენ. ახალგაზრდული ცეცხლი კიაფობდა მათ გამოხედვაში. სარვანმა მრავალმეტყველი ღიმილით უპასუხა.

— ეს პატრიოტული საქმეა! ვისაც სამშობლო უყვარს! ვისაც ხალხი უყვარს! — წარმოთქვა ავთანდილმა და აღარ დაამთავრა აზრი.

სარვანი მიხვდა რა სიტყვებითაც უნდა დამთავრებულიყო მისი აზრი. — ლენინი ჩვენზე ფეჭობდა, ზრუნავდა და იღვწოდა — სინათლე მოეცა ჩვენთვის.

— ხომ არაფერი გიშლის ხელს, ან ხომ არ გივირს რაზე? — შეეკითხა ბოლოს ავთანდილი.

— მიჭარს, როგორ არ მივირს. ბევრი რაზე მიშლის ხელს, მაგრამ ვძლევი! თქვენც ხომ გვირთ? ხომ სძლევი?

— სხვანიარად არ ხდება. ადვილი არ არის მექანიზმებთან მუშაობა!

ავთანდილი ექსკავატორიდან აღტაცებული ჩამოვიდა. თითქოს თავისი შვავესი რამ აღმოაჩინა სარვანის გულში. მიდიოდა და ფეჭობდა ადამიანებზე, ცხოვრებაზე, ფეჭობდა თუ როგორ გვანან ერთმანეთს უბრალო ადამიანები, მუხებდავად მათი ეროვნული სხვადასხვაობისა.

მუშაობის დამთავრების შემდეგ შინ მიმავალი გზად შეხვდნენ ერთმანეთს.

— სარვან, რას ნიშნავს შენა სახელი? — მეგობრულად შეეკითხა ავთანდილი.

— ჩვენი წინაპრებუ ქარავნების წინამძღოლები ყოფილან. „სარვან“ ქარავ-

ნების წინამძღოლთა წინამძღოლს ნიშნავს. პაპაჩემს სარვანი რქმევი. მე მისი სახელი დამარქვეს.

მერე ავთანდილი მოუყვა ვეფხის-ტყაონისა და თავისი სახელის შესახებ.

ამის შემდეგ ისინი უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. დასვენების დღეებში ერთად ატარებდნენ დროს, მეგობრულად საუბრობდნენ კომუნისზმის მშენებლობებზე. ახარებდათ ის აზრი, რომ მინგეჩაურის ჰიდროელსადგურის მშენებლობა კომუნისზმის მშენებლობის ერთ-ერთი ობიექტია. გაიხსენეს ლენინის სიტყვები: „საბჭოთა ხელისუფლება პლიუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია არის კომუნისზმი“.

მალე ავთანდილი სხვა უბანზე გადაიყვანეს. ახლა მას მიანდეს ზედაპირული წყალსადგების აშენება. ესაა კილო-მეტრისხვეტიანი დია გვირაბი, რომელსაც სივანე თექვსმეტა მეტრი აქვს და სიმაღლე რვა მეტრი, თუ მინგეჩაურის ზღვა ისე აღიდდა, რომ წყალი საბიფათო შეიქმნა, ამ გვირაბით გაუშვებენ მომეტებულ წყალს მტკვრის კალაპოტში.

— ასეთი ადამიანი იშვიათად მინახავს, — ხშირად უთქვამს დამოკრების შემდეგ სარვანს ავთანდილის შესახებ, — ის ნამდვილი გული და სული იყო!

გულდაწყვეტილი დარჩა სარვანი. მიწის სამუშაოები მცირდებოდა. დადგებოდა ის დღეც, როდესაც ჰიდროელექტროსადგური დამთავრდებოდა. რას გააკეთებს მაშინ სარვანი, როდესაც მთელს რესპუბლიკაში მინგეჩაურის სინათლე ახლულიაღდება?!

„მე ისეთი ხელობა უნდა ვისწავლო, რომ ბოლომდე აქ ვიყო!“ — მტკიცედ გადაწყვიტა სარვანმა.

მშენებლობის უფროსთან მივიდა. დამნაშავესავით გაჩერდა მის წინ.

— გატყობ რალაც გაწუხებს. ექსკავატორზე ხომ არაფერი მოხდა?

— არა, ყველაფერი რიგზეა.

— მაშ რა?

— სადგური რომ ამუშავდება, მე რა უნდა გავაკეთო? წასვლით კი აქედან

ვერსად ვერ წავალ!

— ჰოო, მესმის შენი გულუხვი-ფიქროვნაღმიძილი მთუგო მშენებლობის უფროსმა.

მართლაც, როგორ წავიდოდა სარვანი მინგეჩაურიდან, როდესაც იმ პატარა სოფელში, რომლის არსებობაც ერთ დროს არც კი იცოდა, ცოლი შეიერთა, დაქორწილდა და უკვე ბავშვებიც ჰყავს.

— მე მინდა მომავალი სატურბინო სამჭროს მემანქანე ვიყო! — თამამად მიუგო სარვანმა.

მგზნებარე კომკავშირელის სურვილი დაამყაროდა. ის დნეპროპეტსკში გაგზავნეს ახალი პროექსიის შესასწავლად.



მტკარმა დაგუბება დაიწყო. იბადებოდა მომავალი ზღვა. ამ ზღვას კარგი დიდი ტერიტორია უნდა დაეთარა. ამ მაღამოებში მყევბოდა აგრეთვე სამუხის ტყე, რომელიც ათას ჰექტარზე იყო გადაკიმული. ორი წლის განმავლობაში დღედაღამე სწებდნენ ამ ტყეს და გაჰქონდათ ხე-ტყე. მრავალდ იყო სამუხში ირემი, შველი და ჯეირანი. ადამიანმა დაარღვია მათი მყუდროება. ეს კეთილშობილი ცხოველებიც გაუბრბოდნენ ადამიანებს, ღრმად შედიოდნენ ტყეში და იქ იმალებოდნენ. მაგრამ თითქოს სწორედ მათ მისდევდნენ კვალდაკვალ. იპერდნენ და მიჰყავდათ ბელაქნის ნაკრძალში, რომელიც ლაგოდეხის ნაკრძალის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს. სამუხის ტყის გაჩენვა მთლიანად მაინც ვერ მოასწრეს, ტყის ერთი ნაწილი წყლის ქვეშ მოექცა:

მარშან გააფხულზე მოსალოდნელი იყო მდინარეების აღიდება. მტბადრე მტკვრის აღიდებას მოელოდნენ. ეს კი სახიფათო იყო ახლად დამთავრებული კაშხალისათვის, რადგან ჯერ კიდევ დაბეტონებული არ იყო და შესაძლებელი იყო მოზვავებულ წყალს გადაერეცხა.

დიდი და სასწრაფო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, რომ კაშხალი წყალს

არ დაერღვია. ნახევარი მეტრის სისქის ბეტონის ფენით უნდა დაეფარათ კამხალის ზედაპირი. ამ უბანს პირველად „საავარიო უბანი“ დაარქვეს. უბნის უფროსად შოთა მანაბელი დანიშნეს.

მტკვარმა მართლაც აღიდგება დაიწყო. სწრაფად მატულობდა ზღვის დონე. მოიწვიეს კომკავშირელი ინჟინრები — ავთანდილ თათარიშვილი, თენგიზ კორინთელი, ოთარ მიქაძე, კოლა თარგამაძე. ამ ადგილს შემდეგ „ქართველების უბანი“ დაარქვეს. ახალგაზრდა ინჟინრები სამ ცვლად მუშაობდნენ. კილომეტრნახევარ სიგრძეზე აგებდნენ ბეტონის ფილებს. ზღვის დონე კი სულ მატულობდა. წყალი ფეხბაფეხ მისდევდა მათ. მაგრამ ქართველი ინჟინრები არ უთმობდნენ, დღე-ღამეს ასწორებდნენ. ორი თვის შემდეგ უკვე გადაასწრეს ზღვის დონის მატების სიჩქარეს. ყოველგვარი საშიშროება თავიდან აცილებული იქნა. ისინი სიყვარულით მუშაობდნენ. ამბობდნენ, მტკვარზე რომ ვმუშაობთ, საქართველოში გვგონია თავიო!

მშენებლობის მთავარი ინჟინერი ვიტალი დამანსკი ამ უბანს ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს.

— ქართველების უბანზე სრული წესრიგია! — კმაყოფილებით აღნიშნავდა ხოლმე იგი საწარმოო თათბირებზე.

შობილინებული ინჟინრები თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ.

ავთანდილ კორძაია ზედაპირული წყალსადგების შენებას შეუდგა. მას უნდა ამოეღო მალიონ ორასი ათასი კუბური მეტრი მიწა და ჩაეწყო ასორმოცი ათასი კუბური მეტრი ბეტონი. ეს ძალიან დიდი საქმეა. ავთანდილის ჩანკარგულებაშია ტექნიკის ყველა სიახლე. ეს ტექნიკა პირველად აქ, მინგეჩაურში წახს, მიუხედავად ამისა, დაკვირვებულს და უკვე დაოსტატებულ ინჟინერს აქაც წარმატებით მიჰყავს საქმე. შეუწელებელი მუშაობით უკვე მილიონი კუბური მეტრი მიწა ამოიღო და ასიათასი კუბური მეტრი ბეტონი ჩააწყო. ახლა შოთა მანაბლის ხელმძღვანელობით წარმოებს არმატურული და

ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი. უკვე ხუთი წელიწადია, რაეცაქმდებოქართველი ინჟინერი მინგეჩაურში მატებით მუშაობს. სამართლიანად ამბობენ ისინი: — ინსტიტუტი მეორედ აქ დაეამთავრეთო.

ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც სარვანი დნებროპესში გაემგზავრა. ამ ხნის განმავლობაში სარვანს არც ერთი წუთი არ დაუკარგავს. საფუძვლიანად შეისწავლა გრანდიოზული ჰიდროელსადგურის სამანქანო დარბაზის მუშაობა. სარვანი იქიდანაც თვალყურს ადევნებდა მინგეჩაურის მშენებლობის მიმდინარეობას. ისიც გაიგო, რომ პირველი ორი ატრევატი 1954 წლის იანვარში უნდა გაეშვათ. ამ დროისათვის მან სწავლა დაამთავრა და ჩამოვიდა მინგეჩაურში. ინახულა ინჟინრები, უფროსი ამხანაგები.

— პირველი ვახტა შენ უნდა დაიკავო! — უთხრა მას მთავარმა ინჟინერმა ვიტალი დამანსკიმ, — აზერბაიჯანში პირველად აზერბაიჯანელის ხელით უნდა დაენთოს ლენინის ნათურები!

— უკრაინელმა ამხანაგებმა კარგი მეგობრობა გამიწიეს. ეს საქმე მასწავლეს! — მოკრძალებით მიუგო სარვანმა. დადგა ის დღევ, როდესაც პირველი შუქი უნდა გაკრილიყო ქალაქებსა და სოფლებში.

როდესაც სარვანი სამანქანო დარბაზში შევიდა, იქ გაიცნო სამანქანო სამმქროს ცელოს უფროსი ლევან მაზანაშვილი, ძველი, გამოცდილი ოსტატი, რომელსაც შემანქანედ უმუშავია ზაპესსა და ხრამპესში. მაზანაშვილი მანქანათოექსპლოატაციის შესანიშნავი ოსტატია, მანქანების სუნთქვისა და გულისცემის, მათი ბუნების კარგი მცოდნე.

და როდესაც სარვანმა სიამაყით ჩართო ელემტროდენი, ლევანი გვერდში ედგა მას. ამ გახსნაზე დამსწრე ზღვა ხალხი მოგუგუნე ტამით შეეგება პირველ შუქს, რომელიც საგენერატორო

შენობის ფანჯრებიდან, ხუთიოდე კილომეტრის იქით, ახლად აგებულ ქალაქ მინგეჩაურის ქუჩებში გამოჩნდა.

სარვანმა და ლევანმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

სარვანი მთელ ღამეს თავს დასტრიალებდა იმ ორ ტურბინს, რომლებმაც იმ დღიდან გაახარეს მრავალი ქალაქი და სოფელი, მრავალი კოლმეურნის ოჯახი.

აი რა გარდატეხა მოხდა, მაგალითად, ხალდანის რაიონში.

კოლმეურნეობებმა ახალ ზღვაზე დადგეს ელექტრონის წყალსაქანავი, რომლითაც წყლით ამდიდრებენ მახლობელ მდინარეს — ალჯანჩაის. ამ მდინარის საშუალებით კოლმეურნეობები რწყავენ ბამბის პლანტაციებისათვის გამოყოფილ დღემდე ურწყავ ათას ჰექტარ ახალ ფართობს.

მეცხოველეობის ფერმებში გაიყვანეს სინათლე, მექანიზირებულია ყველა სამუშაო, მათ შორის წველაც, რის გამოც წველადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

„სტალინის 70 წლის“ სახელობის კოლმეურნეობაში დადგეს ბამბის ელექტროსაშრობი და თუ წინათ შეშით გახურებული ღუმელებით დღე-ღამეში ძლივს ამრობდნენ ერთ ტონა ბამბას, ახლა უფრო იოლი შრომით ოც ტონაზე მეტ ბამბას ამრობენ. გამართეს ელექტროწისქვილები. კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებაში ფართოდ შევიდა რადიო, ელექტროღუმელები, ელექტროუთობი და ჩაიდნები. ახლა შენდება ტიპური მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელიც პატარა ქალაქს დაემსგავსება: ექნებათ ელექტრონით განათებული ბინები, კლუბი, აბანო, სკოლა, საბავშვო ბაღი და ტელეფონის ქვესადგური.

მინგეჩაურის ჰიდროსადგურმა სხვა სოკეთე მოუტანა მოძვე აზერბაიჯანს.

ჩვიდმეტა მილიარდი კუბური მეტრი, ნამდვილ ზღვად გადაქცეული მტკვრის წყალი უქმად ხომ არ იდგებოდა? აუცილებელი იქნებოდა ამ წყლის ველ-მინდვრების, ბაღჩა-ბაღებისა და ვენახების მოსარწყავად გამოყენება. ეს თავიდანვე გათვალისწინებული იყო.

ბოზდაგის მთაში ერთ კილომეტრზე მეტი სიგრძის გვირაბი უნდა გაეკრათ ამ გვირაბის გაქრა მიანდენს საქართველოს ჰიდროენერგომშენს.

აპრილია, გაზაფხული, მაგრამ ბოზდაგი ჩვეულებრივ ყვითლად გამოიყურება. მის გულში უკვე გაიყვანეს გვირაბი. იგი ცემენტით მოპირკეთებულია და მთელ სიგრძეზე ელნათურებით განათებული. სულ მალე ეს გვირაბი უნდა გაიხსნას, მინგეჩაურის ზღვის წყალი ზედა-ყარაბახის სარწყავ არხში უნდა გადაუშვან. ეს სარწყავი არხი სიგრძით ასსამოცდათორმეტი კილომეტრია. იგი ერთნახევარჯერ უფრო დიდია, ვიდრე ცნობილი ფერგანის დიდი არხი. გამოშრალი მიდამოების მორწყვის გარდა მინგეჩაურის ზღვა გაამდიდრებს მდინარე არაქსსაც, რომელიც, თავის მხრივ, მორწყავს მულანის ველებს.

ახლა ამ გვირაბში ინიერებები, ოსტატები და მუშები უკანასკნელ სამუშაოებს ასრულებენ.

გვირაბის მშენებლობის უფროსი აკაკო ცნობილამ და ტექნიკური განყოფილების უფროსი აექსენტი გუმბერიძე დღედაღამ თავს დასტრიალებენ გვირაბს. მეტეტონებს მოპირკეთების უკანასკნელი მეტრები-ღა დარჩათ. ასუფთავებენ, გამოაქვთ დარჩენილი ფიცრები, ხელსაწყო და იარაღი, ხსნიან ვაგონეტების ლიანდაგს, ელექტრონის კაბელს, სინათლის ხაზს. აკერ ელექტრომონტიორი შოთა შიოლაშვილი, მეტეტონე დამმავრებელი ვანო ნატაშვილი გახარებული არიან. თავიანთი გეგმა ვადაზე ადრე განახორციელეს.

მათ კარგად ახსოვთ მინგეჩაურში ჩამოსვლის პირველი დღეები, როდესაც შესცქეროდნენ პირქვე მთას და ფიქრობდნენ: „როდის ვაგვრით ამ ვეება მთას. ვინ იცის, რა მძიმე ნიდაგები შეგვხვდება, ან როგორი ბრძოლები მოგვიხდება მიწისქვეშა წყლებთან?!“

მას შემდეგ გავიდა სამი წელიწადი. გვირაბის გაკრის ოსტატები, რომელთაც სამგორის მშენებლობაზე უმუშავიათ, არც აქ შედრკნენ. ისინი ებრძოდნენ მი-

წისქვეშა წყლებსაც, ველკანური მოქმედებით გადათელილ მკვირვ ნიადაგებსაც და თავიანთი ამოცანა ისე შესარულეს, რომ ავარიას არც ერთი შემთხვევა არა ჰქონიათ. საბჭოთა სპეციალისტები, მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის მოსიყვარულე ადამიანები — აკაკი ცნობილადე და აექსენტი გუმბატიძე, რომლებიც მწგრეველებიც ყოფილან კიანთურასა და ტყიბულში და რომელთაც დამთავრებული აქვთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თავდადებით მუშაობდნენ ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად.

გასულ წელს მთელ საქართველოში მშრალი ზაფხული იყო. არც შემოდგომაზე მოსულა წვიმები. მოაკლო რიონისა და ხრამის წყალმა. შემცირდა მტკვარში შემავალი მდინარეები — ლიახვი და არაგვი, იორი და ალაზანი. მოიკლო დედა მდინარეცაც. დადგა ზამთარი უთოვლო და უჩვეულოდ თბილი. ჰიდროელსადგურების საერთო ქსელში შემცირდა ენერჯიის გამომუშავება. ამ დროს ამუშავდა მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის ყველა ტურბინი. ჩვენი ქვეყნის თვალა იქით იყო მიბურობილი. თბილისმა „აზერგოს“ სთხოვა დამატებითი ელექტროენერჯიის მიწოდება. მეგობრულ დახმარებაზე უარი არ უთქვამთ, ოღონდ საჭირო იყო ცალკე ტრანსფორმატორის დადგმა, ახალი მავთულგაყვანილობის მოწყობა, ჩამრთველის აგება და ბუერი სხვა დანადგარის აწყობა.

— მოძმე საქართველოს სინათლე სჭირდება! — გაისმა მინგეჩაურში.

ამოქმედდნენ მუშები და ინჟინერტექნიკოსები, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოეწოდებინათ ჩვენთვის ძმური სინათლე. შეუდგნენ ტრანსფორმატორის აგებას. მემონტაჟებმა იუდაკოვმა, ბულერმა და ბორისოვმა თორმეტი დღის სიცვლად ოთხი დღე მოაწოდეს ასათ კლოვატოლტიანი ჩამრთველის აწყო-

ბას. თავი გამოიჩინა რუსტამოვეც, ბრუნული გადამ, რომელმაც სწრაფად დამატარა ქვესადგურის საძირკველი. თავგამოდებით მუშაობდნენ მორიგე ინჟინრები — ხოვაყუ და პეტრიანშვილი, წარმატებით გაართვა თავი ზეინკალმა ასლანოვმა თავის საქმეს.

სამანქანო სამქროს კოლექტივმა იკისრა საქართველოსათვის შეუფერხებლად გადაეცა ელექტროენერჯია.

იმ დღეს სარვან სალმანოვი განსაკუთრებით გახარებული იყო. როდესაც მან პირველი შუქი გაუგზავნა თავის მშობლიურ აზერბაიჯანს, გვერდზე ედგა ლევან მაზანაშვილი. ახლ თავისი მოძმის სამშობლოს უნდა გაუგზავნოს იგივე შუქი. მაზანაშვილი ახლაც გვერდში უდგას. ორივენი მღელვარედ ელოდნენ იმ საათსა და წუთს, როდესაც აცნობებდნენ, რომ ენერჯიის ჩართვა შეიძლებოდა. უკანასკნელი წუთები მძიმე მოლოდინში მიდიოდა. და აი, მიმდინარე წლის 10 იანვარს, 5 საათსა და 20 წუთზე სარვან სალმანოვმა დენი ჩართო და მინგეჩაურის შუქი საქართველოსაც მოეფინა.

ახლაც ელექტრონის ბოძები მიაბიჯებენ სარვანის მშობლიურ სოფელ-ზოოგალისაკენ — შინდისისაკენ. როგორც მადლიერა შეილის სალამი, ისე შეიკრება სინათლის შუქი სოფელში, რომლის საარჩევნო უბანმაც სარვან სალმანოვი აზერბაიჯანის სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატად აირჩია.

ათასი კლომეტრის მანძილზე მტკვრის აზვირთებული მღვირე წყალი მინგეჩაურის ზღვაში იღვქება, იწმინდება და მზიან ამინდში ლურჯად ღელავს. მის ახლოს ცოცხალი ძეგლივით დგას მინგეჩაური, ოდესღაც ქაობებში ჩაყარული, ახლა სოციალისტურ ქალაქად ქცეული მიდამო. ამ ქალაქის გულს წარმოადგენს ბოზდაგის ძირში გადაშლილი მშვიდობის მოედანი, საიდანაც იწყება სტალინის შუქმოფენილი პროსპექტი. ეს პროსპექტი მიემართება ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხებისათვის ერთნაირად საყვარელ მდინარე

მტკერისაყენ, რომელიც ძმურ სინათლეს აწვდის აზერბაიჯანსაც და საქართველოსაც.

მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის აშენებით საბჭოთა აზერბაიჯანმა ოთხი ამოცანა შეასრულა:

სინათლის შუქი მოჰფინა და ელექტროენერგია მიაწოდა თავის ქალაქებსა და სოფლებს;

მორწყავს უწყლობით გამოშრალ მილიონ სამასი ათას ჰექტარ ტრამალს.

ზედა და ქვედა ყარაბაღის რაიონებში და და ქვედა შირვანის რაიონებში, რაიონებშიც ამჟამად გაჰყავთ; ერთი საუკუნით მაინც უზრუნველყო მოსახლეობა წყალდიდობებისაგან;

აღმოფხვრა მალარიის ბუდეები.

ეს განსაკუთრებით სიხარულით აღინიშნება დღეს, 1955 წლის 28 აპრილს, საბჭოთა აზერბაიჯანის ოცდამეათხუთმეტე წლისთავზე.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

★

კ ი ე ვ ი

ნაძვების თათები,
თათები
პატარა...
თბილია თათები
თოვლში და ფიფქებში!
ვე თითქოს
ბებიას —
მოხუცს და ჭლარას —
ვესტუმრე,
გუშინ რომ
ჩავედი კიევიში.
აი
ვლადიმერის გორაკზე
ვდგავარ მე.
სიერცეს
ვერ მოიბრუნს
კალამი უცები!
აქ ასე,
ოდესღაც,
თოშივით ელვარე
პერუნე
დასკქერდა
კიევის რუსეთს.
და შემდეგ —
არ მახსოვს
ამბები
მძვინვარე.
წარსულის
ერთი რამ
კი დამამახსოვრდა:
მოქონდათ
ყინულზე თრევით,
ან მდინარით
აქ ძღვენი
ღირთან
და ასკოლდთან.
გუმბათთა დაფდაფებს
მზე სცემდა
კაშკაშით.

— დაიჩოქე, რუსეთო,
იდეკი თავდაბრათ! —
დღესაც
სურს ვლადიმერს
ვიაროთ ლავრაში.
ქვის წმინდანს
ხელში აქვს
ჯვარი, ვით მათრახი.
მრავალი
მოვიდა
შორეულ გზებიდან, —
პაპათა
პაპების
პაპების
პაპები!..
და დნებრის
ნაპირთან
ეს ჩვენი ბებია
მოწმეა
სისხლიან,
წერილმანი ამბების.
ესროლეს სტოლინის
და ძეგლად
კვლავ დადგა,
ბრინჯაოს კიტელში
ხელი აქვს გაჩრდილი.
კვლავ მოკლეს —
ცაცხები შეიპყრო კანკალმა
თორმეტი მთავრობის
ტყვეებით დაქრილი.
და პოდოლს
დღეს კვამლი
დაჰყურებს ციდან,
კიევის მკერდს უცქერს,
ჭარხნებით გამოზარს.
ვლადიმერს,
მიწიერს
და არა წმინდანს,

ვხედავთ,
 დეკრეტების ცეცხლით
 რომ გენათლავს.
 რუსოფილს
 მამსგავსა
 ამ სივრცემ
 გაშლილმა,
 ეს რუსოფილობა
 თვისებით
 სხვა არი,
 დღეს
 ქვეყნად
 ერთია
 საბჭოთა
 კავშირი —
 და პუანკარესთვის
 მუშტი გვაქვს
 მაგარი!
 დე.
 უკანასკნელი
 მლოცველი ილტვოდეს
 ლავრისკენ
 იქ ღვაროს
 ცრემლი და ლოცვები.
 დე.
 კრეშატიკიდან.
 დმუილი ისმოდეს:
 „ვის უნდა, გავუცვლი,
 მაქვს ჩერვონცები!“

ჩვენი ძალა —
 სიმართლე არის,
 თქვენი კი —
 რეკა სამრეკლოს ზარის.
 საცეცხლურის კვამლი —
 ძალაა თქვენი,
 ქარხნების კვამლი —
 ძალაა ჩვენი.
 თქვენი სიძლიერე —
 ოქროა ყვითელი,
 ჩვენი კი —
 დროშა წითელი.

ვიქნებით
 მხნედ და მარჯვედ
 და გავიმარჯვებთ.

მაშ ასე —
 მშვიდობით,
 ქალარა ბებია!
 მე ვხედავ,
 შიშისგან თანდათან ილვეო.
 ჩარჩო და ღვთის მონავ,
 ეს ჩვენი ხმებია,
 მოვდივართ,
 მოვდივართ ჩვენ —
 შეილიშვილები!

თარგმანი ვასილ ლავინაშვილისა.



შეხვედრები მაიაკოვსკისთან

(ნაწყვეტი მოგონებიდან)

1905 წლის ოქტომბერია. მამაჩემს სოფლიდან ქუთაისში მივყავარ. გიმნაზიაში შესასვლელად ვემზადები. სწორედ ჩვენი მატარებლით ჩამოასვენეს პროფესორ საბა კლდიაშვილის ნეშტი. ის იყო ცნობილი რევოლუციონერი, რომელიც ხულიგნებმა მოკლეს ოდესაში. კლდიაშვილის დაკრძალვა გადაიჭცა შილაკრ, ქუთაისისათვის უჩვეულო დემონსტრაციად. ჩემს ბავშვურ მესხიერებაში 1905 წლის რევოლუცია განსაკუთრებით ამ დღით აღიბეჭდა. წითელი დროშები და რევოლუციური სიმღერები სიხარულით მინთებდა გულს. ჩემს ყურადღებას იპყრობდნენ გურულ ჩაქურებში გამოწყობილი წითელრაზმელები, რომელთაც გულმკერდზე გადაჭიმული ჰქონდათ ტყვიებით სავსე დიდრონი ფლასკები. სიტყვა „ეანდარში“ მე უკვე მძულდა. მაგრამ სიტყვა „სოციალ-დემოკრატი“ ისე ისმოდა, როგორც გმირული და რაინდული შინაარსის საამო ბგერები.

გამოცდებისათვის მოსამზადებლად მიმბარეს ძველ მასწავლებელს — რომლის ბინაც რევოლუციონერთა მთავარ შტაბს წარმოადგენდა. მისი დიდი ოჯახი ვაჟებისა და ქალიშვილების მთელი რაზმისაგან შედგებოდა. ისინიც რევოლუციურ მოძრაობაში იყვნენ ჩაბმულნი.

ბევრი ცნობილი რევოლუციონერი დაიარებოდა აქ. ჩემს საწოლქვეშ თოფიარალი ელაგა. „ბავშვია და არ განხრეკენო! — ასე ფიქრობდნენ. ეს თითქოს გულბრწყინა ღონისძიება მართლაც მიზანს აღწევდა. როდესაც პოლიცია სახლში შემოგვეჭურებოდა, რევოლუციონერები ფანჯრებიდან ხტებო-

დნენ, დიასახლისი კი წყველა-კრულვით იხსენიებდა პოლიცემისტერს, მგონი კ. ანტონოვს.

მეორე დღეს მეზობლის ბავშვები ხმამაღლა მაკითხებდნენ ჯიოვანოლის „სპარტაკს“, და მე მწარედ ვტიროდი მონათა შეყვარებული მეთაურის — სპარტაკის მძიმე ხედრის გამო. მერე ვოცნებობდი და ვსაუბრობდი სოციალიზმის დროის ადამიანზე, რაც წარმოდგენილი მქონდა მარქსისა და ბებელის დახასიათებებით, ხანდახან საკუთარი ფანტაზიის წყალობითაც. მეც ვწერდი ლექსებს, თანაც ვოცნებობდი დამბეჭდვა ისინი პროკლამაციასავით პატარა ზომის რევოლუციურ გაზეთში.

ყოველივე ამას იმიტომ ვიგონებ, რომ იმდროინდელი ქუთაისი რევოლუციის ქარ-ცეცხლში იყო გახვეული. განსაკუთრებულად ბობოქრობდა ახალგაზრდობა. თეატრი და ქუჩა, გიმნაზია და ყაზარმა რევოლუციური ბრძოლის ჩაქრობელ კერას მაგონებდა.

ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდა ლადო შესხიშვილი. „როდესაც „კაი-გრაჰი“ იდგმებოდა, წარმოდგენა მიტინგად გადაიქცეოდა ხოლმე. ხალხი ყვიროდა:

„მოქალაქენო“. შემდეგში ეს ანდრეი ბელიმ აღწერა თავისი რომანის „პეტერბურგის“ პირველ გამოცემაში.

საერთო ფონზე ყველაზე მკვეთრად მოჩანდა ჩვენი გიმნაზია, სადაც რევოლუციური ცეცხლი ცარიზმის უკანასკნელ დღემდე ღვიადა. პროკლამაციებს ისე ვწერდით, როგორც საკლასო თემებს. ერთი პროკლამაციის გამო, რომელიც ეხებოდა რომანოვების შეფობის

300 წლისთავს, კინალამ გამაციმპირეს. რევოლუციურიმა აღმავლობამ უმაღლეს წერტილს 1905 წელს მიაღწია. მაშინ ჩვენს გიმნაზიაში სწავლობდა ვლადიმერ მიაკოვსკი.

ბალო იაშვილთან ერთად ვიგონებ გიმნაზიელ მიაკოვსკის. ის იყო ტანმალალი, გამზდარი ყმაწვილი. რუსი ბიჭებისაგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ შესანიშნავად ცურაობდა რიონში და მუშტი-კრემივც კარგი დამრტყმელი იყო. ბავშვებისაგან ის აღვილად გამოირჩეოდა, მეტადრე ისეთი ბავშვებისაგან, რომლებიც მოხელეების შვილები იყვნენ და ერთგვარ ფუფუნებაში იზრდებოდნენ.

მიაკოვსკი ქუთაისში ჩამოვიდა ბაღდადიდან, სადაც მამამისი მეტყვევ იყო. პატარა ვლადიმერი იზრდებოდა გლეხის ბავშვებში, თამაშობდა მათთან ერთად და მონაწილეობას იღებდა მათ გართობებში. ბავშვობიდანვე ქართულად ლაპარაკობდა და გამოცდებზე მასწავლებლებს უჯივრდათ მის მიერ რუსული ენის სუსტად ცოდნა. ქართულ ენას ბავშვობის ასაკში, მშობლიურ ენად თვლიდა. პოეზია კი, მისივე სიტყვებით რომ ეთქვათ, პირველად შეიგრძნო იროდიონ ევდოშვილის ლექსებში. იმ დროს იროდიონ ევდოშვილი რევოლუციური ახალგაზრდობის წრეში მეტად პოპულარული პოეტი იყო.

მიაკოვსკი ოცი წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში დაბრუნდა, იგონებდა ქართულ ხალხურ შაირებს, რომლებიც ბავშვობისას ბევრჯერ მოესმინა. მიაკოვსკი ბაღდადს თავის მშობლიურ კუთხედ თვლიდა.

მას ბავშვობიდანვე შეგნებული ჰქონდა ეროვნული შეუღლის უმზავსობანი, რამაც შემდეგში საცხებით ნათელი გახადა მისთვის ეროვნული საკითხის გადაჭრის ლენინური გზა. ამის მაგალითი ბევრი მოიპოება. ამის ერთ-ერთ დასაბუთებას წარმოადგენს მისი ლექსები საქართველოსა და უკრაინის შესახებ.

ვლადიმერ მიაკოვსკისთან უკანასკნელი შეხვედრების დროს ჩვენ ვიგონებ-

დით გიმნაზიური ცხოვრების წყევლში წერილმანს. ვიგონებდით მასწავლებლებს მასწავლებლებს, მათ უცნაურ ჩვევებსა და თვისებებს, რასაც ყველაზე აღვილად იხსოვებს ბავშვის გონება. როგორც მაშინ მიაკოვსკიმ გავიზიარა, მას განზრახული ჰქონდა დაეწერა ლექსად და პროზად დიდი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, რომელშიც აღწერილი იქნებოდა ბაღდადი. ბაღდადს ის იტოვებდა თავისი უკანასკნელი ლირიული შემოქმედებისათვის, თუკი ამას მოესწრებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს მას განუხორციელებელი დარჩა.

1913 წელს მე შევედი მოსკოვის უნივერსიტეტში. იგრძნობოდა იმპერიალისტური ომის მოახლოება. ლიტერატურაში დიდი გარდატეხა ხდებოდა. სიმბოლიზმი კარგავდა თავის მესვეურ ძალას. ამ დროის მოსკოვში მიაკოვსკი ყველაზე ნათელი პოეტური ფიგურა იყო. მასსოვს საღამო, რომელიც გაიმართა პოლიტექნიკურ მუზეუმში. საკმარისი იყო მიაკოვსკი გამოსულიყო და რამდენიმე ლექსი წაეკითხა, რომ მისი მეტროლი სახე იარაღს აყრევინებდა ენამახვილ პოეტებს. მიაკოვსკის დიდი პოეტური ძალა აღფრთოვანებას იწვევდა ხალხში.

მასსოვს აგრეთვე ჩვენს უნივერსიტეტში გამართული საღამო პროფესორ სამსონოვის თავმჯდომარეობით. ასზე მეტი ახალგაზრდა პოეტი გამოვიდა სტუდენტთა წრეებიდან. მათგან ორისამი ნადსონის განწყობილებებით მღეროდა, რამდენიმე სხვა სიმბოლისტების — ბრიუსოვისა და კუშმინის — გავლენის ქვეშ იყო. უფრო მეტად დაავადებული იყვნენ იგორ სევერიანინისებური ფუტურზიზმით. ობივატელები ტკბებოდნენ ი. სევერიანინის პოეზიის საღამოებით. მას ლიტერატურულ საღამოებს უწყობდა თ. დოლიძე. ის ყოველ სემონში ოცამდე ფასიან საღამოს მართავდა.

ამ დროს მხოლოდ დ მხოლოდ მიაკოვსკის შეეძლო ხმა აემალეებინა ნამდვილი პოეზიის დასაცავად.

მატერულ-ლიტერატურულ წრეებში, ეგრეთწოდებულ „თავისუფალი ესთეტიკის“ საღამოებზე, სადაც ბრიუსოვი თავაკობდა, ფუტურისტები ბრიუსოვის წინაშე ქედს იხრიდნენ, არც ის უკადრისობდა მათგან ხობის შესხმას. ამ საღამოებს ესწრებოდა ახალი მოდის ყველა პოეტი, გლეხი ბიჭის — ესენინის ჩათვლით. მაგრამ მაიაკოვსკი ცალკე იდგა.

თებერვლის რევოლუციის მესამე დღეს მოსკოვში საღამო გაიმართა. აქ ერთად გამოვიდნენ ვ. მაიაკოვსკი და ვ. კამენსკი. ეს წარმოადგენდა პირველ მქუხარე მისალმებას ხალხისადმი მეფის მთავრობის დამხობის გამო. მაშინ მაიაკოვსკი უკვე სახელგანთქმული პოეტი იყო. მისი პოემა „ღრუბელი შარვალში“ ჩვენთვის დიდ სიახლეს, ერთგვარ მიგნებას წარმოადგენდა.

1917 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოში ებრუნდებოდი, მატარებელში ვითხოვლობდი მაქსიმ გორკის გაზეთს „ნოვია ვიზნა“, რომელშიც დაბეჭდილი იყო მაიაკოვსკის პოეტური ქრონიკა — „რევოლუცია“. ამ ნაწარმოებში უკვე იყო აღ. ბლოკის „თორმეტისა“ და „სკვითების“ პათოსი.

ოქტომბერში საქართველოდან საბჭოთა რუსეთში მიმავალი გზა გადაიკეტა. საბჭოთა რუსეთის ამბები იშვიათად აღწევდა ჩვენამდე, მეტადრე პოეტური ქმნილებანი. შემთხვევით გვივარდებოდა ხელში მაიაკოვსკის ლექსები. ამ დროს კი მისი სახელი ქუხდა. ვიცოდით, რომ ის „როსტა“-ში (რუსეთის ტელეგრაფის სააგენტო) მუშაობდა. რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ის გაიტაცა ყოველდღიურმა შრომამ. წერდა სააგიტაციო ლექსებს და ხატავდა პლაკატებს. საბჭოები ხელს უწყობდნენ ხელოვნების აღორძინებას.

მაიაკოვსკი იღწვოდა, როგორც დაუღალავი ტრიბუნი. მას მხარს უჭერდა განათლების კომისარი ანხ. ა. ლუნაჩარსკი. ხელისუფლებისა და პოეზიის ასეთმა ახლო ურთიერთობამ ისე გამაცვიფრა, რომ წერილიც კი დაეწერე გაზეთ

„საქართველოში“. ამ წერილზე საქმად მაკარად ვეიცხავდი საქართველოს დროინდელ ხელისუფლებას.

მოსკოვიდან რაიმე ლიტერატურის მიღება ჩვენთვის დიდად სასიხარულო იყო. ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა მოსკოვში ჩატარებული პროფინტერნის კონგრესიდან ერთი ახლო ამხანაგის ჩამოსვლა. მან დიდძალი ლიტერატურა ჩამოიტანა. გატაცებით ვითხოვლობდით ვლ. მაიაკოვსკის ახალ ლექსებს. დავკინტერესა აგრეთვე ს. ესენინის „ამხანაგმა მარტინმა“.

პაოლო იაშვილი შთამაგონებლად კითხოვლობდა ვლ. მაიაკოვსკის შემოქმედებას. ხშირად თვითონაც წერდა ლექსებს რუსულ ენაზე მაიაკოვსკისებურად. ერთი ასეთი ლექსი ვალსონის შესახებ დაიბეჭდა თბილისში „კრეტ. ხიბერსკის“ ფსევდონიმით.

ჩვენ გვაკვირვებდა ის გარემოება, რომ მაიაკოვსკი, რომელიც საქართველოში დაიბადა და ბავშვობის წლები აქ გაატარა, არ ჩამოდიოდა თბილისში. ეტყობოდა, ძალიან დაკავებული იყო რევოლუციური საქმიანობით, რაც საშუალებას არ აძლევდა მას დროებით მაინც დაეტოვებინა მოსკოვი.

„А тут не знай ни зми, ни лет
Сиди, рисуй плакаты“. („Солнце“).

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მაიაკოვსკი თბილისში პირველად 1924 წლის აგვისტოში ჩამოვიდა. ხალხი აგარაკებზე იმყოფებოდა. იმ ხანებში ერთმანეთს ვერ შევხვდით, მაგრამ ვადმოგვეცეს, რომ მან იკითხა პოეზიის ფრონტის მდგომარეობის შესახებ საქართველოში. ქართულად წაეკითხა პაოლო იაშვილის მიერ თარგმნილი თავისი ლექსები და დაინტერესებულა „მოსტერია ბუფ“-ის დადგმით. იგი მე ვთარგმნე კოტე მარჯანიშვილისათვის. დიდ ქართველ რეჟისორს განზრახული ჰქონდა დაედგა იგი ფუნქციონორზე, ღია ცის ქვეშ, ანტიკური სანახაობის მსგავსად. მაიაკოვსკიმ მოიწონა კ. მარ-

ჯანიშვილის ჩანაფიქრი, რაც, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა.

უკანასკნელად მაიაკოვსკის შევხვდი მოსკოვში 1928 წელს.

— სად მიდიხარ? — მკითხა მან ქართულად.

იმ დღეებში მოსკოვში ტოლსტოის იუბილზე ჩამოსული იყო სტეფან ცვაიგი. ბანკეტზე მოწვეული იყვნენ მწერლები, მათ შორის მეც. ვუბასუხე, რომ ბანკეტზე მივდივარ—მეტყი. შევატყვე, ცუდ ხასიათზე იყო.

— ბანკეტზე მეც ვარ დაპატიებულნი. ნუ წახვალ, დარჩი ჩემთან, ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ. ერთად ვისადილოთ.

უარი ვერ ვუთხარი.

იქვე „გრანდ-ოტელში“ შევედით. მაიაკოვსკი აღფრთოვანებით მიყვებოდა იმის შესახებ, რომ კომკავშირული ორგანიზაციები დიდად ეხმარებოდნენ მას, კერძოდ, საზღვარგარეთ გამგზავრების საქმეში, თუმცა „რაპი“ შეწინააღმდეგებო.

— მაგრამ მე მაინც წაველ! — მტყიცედ თქვა მაიაკოვსკიმ.

— მე ვერ წარმომიდგენია მოსკოვი უთქვენოთ!.. — ვუბასუხე ღიმილით.

ამის შემდეგ მაიაკოვსკი მართლაც გაემგზავრა საზღვარგარეთ. თუ რა შემოქმედებითი შედეგები მოჰყვა ამ მგზავრობას, ეს საყოველთაოდ ცნობილია.



განხილვის იხვის კუთხი

მშვენიერი ზაფხული იყო სოფელში. ქვეყნის ყანა ოქროსაფით ბზინავდა, ქერი ამწვანებულყო და თივა ბულბულადად შეეგროვებინათ. ქვევით, მინდვრებში კი დინჯად დადიოდა გრძელ, წითელფეხებიანი წერო და ეგვიპტურ ენაზე ლაპარაკობდა, რადგანაც ეს ენა დედაძინა ასწავლა.

ყანებსა და მინდვრებს ირგვლივ დაბურული ტყეები ეკრა, ტყეებში კი ღრმა ტბები იყო. იქვე იდგა მზის უხვი სხივებით განათებული და არხებშემოვლებული ძველი, დიდებული ციხე-დარბაზი ერთი მეტრონისა. ციხე-დარბაზის ეზოში სქალად ამოსულიყო მაღალი აწული და ხვართქლა. ერთ მყუდრო ადგილას მოეკალათებინა იხვს და კვერცხებზე დამჯდარიყო გამოსახეკად. ისე დიდხანს იჯდა კვერცხებზე, რომ მოსწყინდა კიდეც. სტუმრები ერთობ ძვირად მოსდიოდნენ; იხვებს კრუხთან მოსვლას, აწლის ძირში ჯდომას და მუსიიფს არსში ცურაობა ერჩიათ. მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, ქუეცებმა ნისკარტი ჰკრეს კვერცხებს და ერთიმეორის შემდეგ დაუწყეს ტება. მოისმა „ქუე, ქუე“ და ჰაჟივებმა გამოჰყვეს გარეთ თავები.

— ვიხ, ვიხ! — დაუძახა დედა.

ქუეცებმა ერთად მოიყარეს თავი, გაიბერტყეს ფრთები და დაიწყეს აქეთ-იქით მწვანე ფოთლებში ცქერა. დღანებსა აძლევდა, რამდენიც უნდოდათ, ეცქირათ, რადგანაც თვალისთვის მარგებელია მწვანე ფერი.

— რა დიდი ყოფრა ქვეყანა! — თქვეს ქუეცებმა, რომლებიც ახლა უფრო თავისუფლად გრძნობდნენ თავს, ვიდრე კვერცხის ნაჭუჭებში.

— თქვენ გგონიათ, რასაც ხედავთ, ეს არის მთელი ქვეყანა? — მიუგო დე-

და: — ქვეყანა ჩვენს ბაღზე უფრო შორს მიდის, მღვდლის ყანებამდის აღწევს, მაგრამ მე იქ არასოდეს არა ვყოფილვარ... აბა, ყველანი აქა ხართ? — განაგრძო მან და ადგა: — არა, ყველა კი არა ყოფილა: ყველაზე დიდი კვერცხი ისევე მთელია. აჰ, როდის გათავდება ეს სატანჯველი? მომბეზრდა ამდენი ჯდომა! — თქვა დედაიხვმა, მაგრამ ისევე დააჯდა კვერცხს.

— აბა, როგორ არის საქმე? — დაეკითხა კრუხს სტუმრად მოსული ბებერი იხვი.

— რაღა როგორ, აღარ იქნა ამ ერთი კვერცხის გამოჩეკა! — მიუგო კრუხმა, — აღარ აპირებს ნისკარტის კერას, არა ტყდება. მაგრამ, აბა ერთი სხვებს შეხედე, რა მშვენიერები არიან, როგორა ჰგვანან მამას. ის საძაგელი, ერთხელ მაინც მოსულიყო ამბის შესატყობად!

— მაჩვენე, ერთი, ის კვერცხი, რომელიც არა ტყდება, — უთხრა სტუმარმა, — დამერწმუნე, ინდაურისა იქნება. ერთხელ მეც მომაცუეს. რამდენი ტანჯვა და უბედურება გამოვიარე. ინდაურებს ზომ ყველას ეშინიათ წყლისა: ვერასვლით ვერ ჩავიტყუე ტბაში. რანაირად არ ვუძახე, ვიყვირე, ვიხმაურე... არაფერი არ გამოვიდა... მაჩვენე კვერცხი. რასაკვირველია, ინდაურისა! მიატოვე, მიატოვე უმჯობესია და დანარჩენ ბავშვებს ასწავლე ცურვა.

— ცოტახანს ვიქნები კიდეც, — მიუგო ახალგაზრდა იხვმა: — ამდენხანს გავძელ და ცოტახანს კიდეც მოვიტყენ.

— როგორც გინდა! — მიუგო ბებერმა იხვმა და წავიდა.

ბოლოს, როგორც იყო, გატყდა დიდი კვერცხიც.

„ჭუკი ჭუკი“, დაიძახა ჭუკმა და გამოძვრა. მაგრამ რა დიდი და უშნო რამ იყო! იხემა აათვალ-ჩაათვალიერა და თქვა: „რა დიდი ჭუკია, სრულიად არ ჰგავს სხვებს, მართლა ინდაურის კი არ იყოს! მაგრამ ამასაც ახლავე ვნახავთ. უნდა ჩავიდეს წყალში, თუნდა სულაც ძალად ჩავავლო“.

მეორე დღეს საუცხოო დარი დადგა. მზე ცხველად ანათებდა ყველა ხესა და ბუჩქნარს. დედაიხვი თავის შვილებთან ერთად არხთან ჩავიდა. „წკაპ“ — გადახტა წყალში. „ვიხ, ვიხ“, დაუძახა შვილებს და ჭუკებიც თითო-თითოდ გადახტნენ. პირველად წყალში ჩაიძირნენ, მაგრამ იმწამსვე ამოტოტოვდნენ და მშვენიერი ცურვა დაიწყეს. დიდი მახინჯი ჭუკიც ცურავდა.

— არა, ეს ინდაურის ჭუკი არ არის, — თქვა დედამ. ერთი უყურეთ, რა საუცხოოდ უსვამს ფეხს, რა სწორედ უძირავს თავი! არა, ეს ჩემი დეიძლი შვილია და, თუ დაუკვირდებით, ლამაზიც არის.

— ვიხ, ვიხ, წამოდი ჩემთან, შეილუბო, ფრინველთ ეზოში წაგოყვანთ და გააცნობთ იქაურებს. მხოლოდ ჩემთან ახლოს იყავით, ფეხი არავინ დაგადგათ; ყველაზე უფრო კატას მოერიდეთ!

სამინელი ხმაური და ალიაქოთი იღგა ფრინველთ ეზოში; ორი ოჯახი გველთევზას თავის გამო ჩუხობდა და გველთევზას თავი კი ბოლოს კატას ერგო.

— აი, ასეა ყოველთვის წუთისოფელი! — თქვა იხემა და დაიწყო ნისკარტის ლესვა; გველთევზას თავი იმასაც მოეწონა და უნდოდა ხელში მოეგდო, — ახლა უყურეთ თქვენს ნისკარტებს, — მიუბრუნდა თავის შვილებს, — წადით მარდად და მდებლად მიესალმეთ იმ მოხუცებულ იხეს, ის არის ყველაზე საპატიო და ღირსეული, ესპანური შთამომავლობისაა და ამიტომ არის ასე ყვითელი. შეხედეთ, ფეხზე წითელი ნაჭერი აქვს შემობმული; ამისთანა დიდ ჯილდოს მხოლოდ იხეს აძლევენ: ეშინიათ, არ დაგვეკარგოსო და ნიშანს ადებენ,

რომ ყველა იცნობდეს, ახლა ყოველდღე ფეხები გარეთ გადმოატარებდნენ, იმისგან რომ არ ვარგა: ზრდილობიან იხეს ფეხები შორიშორს უნდა ექიროს ერთმანეთისაგან. შემომხედეთ, აი, ასე დახარეთ თავები და სთქვიეთ: „ვიხ!“

პაწიები სწორედ ასე მოიქცნენ. მაგრამ სხვა იხეებმა აათვალ-ჩაათვალიერეს და დაიწყეს უკმაყოფილოდ ლაპარაკი:

— შეხედეთ, ერთი, მთელი ოჯახი მოგვემატა, თითქოს უამათოდ ცოტანი ვიყოთ! ფუი, ერთი ჭუკი რა საძაგელია! ამის მოთმენა შეუძლებელია! — მივარდა ერთი იხვი და უცბინა კისერში პატარა მახინჯ ჭუკს.

— თავი გაანებე, რას ერჩი! — გამოესარჩლა დედა, — ხომ არავის აწუხებს.

— მართალია, არავის აწუხებს, მაგრამ ერთობ დიდი და უცნაური რამაა და იმიტომ ვეწიწენი, — მიუგო მკბენარამ.

— რა მშვენიერი ბავშვები გყოლია! ყველა ლამაზია, მხოლოდ ეს ერთი არ ვარგა. კარგი იქნება, რომ შეიძლებოდეს რამენაირად იმისი გადაკეთება, — თქვა წითელნიშნისა ბებერმა იხემა.

— ყოვლად შეუძლებელია, თქვენო ბრწყინვალეებო, — მიუგო დედამ, — მართალია, ლამაზი არ არის, მაგრამ წყნარი ხასიათისაა და ძალიან კარგად ცურავს, სხვებს სჯობნის კიდევ. ჩემი აზრით, რომ გაიზრდება, გასწორდება და დაპატარავდება. ერთობ დიდი ხანი იწვა კვერცხში და ამისთვის გამოვიდა ასეთი უხეირო ტანისა, — იხემა მოფხანა პაწიას ზურგი, გაუსწორა ფრთები და დაუმატა: — ამასთან მამალია და სილამაზე რა საჭიროა: ჩემი ფიჭრით, ძალიან ღონიერი იქნება და ცხოვრებაში გზას ყოველთვის გაიკვლევს.

— დანარჩენები სწორედ კარგები არიან, — განაგრძო ბებერმა იხემა და მიუბრუნდა ჭუკებს: — ბრძანდებოდეთ, როგორც საკუთარ სახლში, და გველთევზას თავს თუ ნახავთ, შეგიძლიათ მე მომიტანოთ.

ქუეკვიც ცხოვრობდნენ ისე, როგორც თავის სახლში. მაგრამ საცოდავი ქუეკვი, რომელიც ყველაზე ბოლოს გამოძვრა კვერცხიდან, დიდ გაჭირვებაში ჩაეარდა: საბრალოს კბენდნენ, დასცილოდნენ, მარტო იხვები კი არა, ქათმებიც: „ნამეტანი უზარმაზარიო“, ამბობდნენ ყველანი. დეზებიან მამალ ინდაურს ხომ თავისი თავი მეფედ მიიჩნდა, იალქნებ-გაშლილი ხომალდებით გაიფხორა, მოხარშულ კიბოსავით გაწითლდა და განრისხებული, ყვირილით დაეტყა უბედურ ქუეს. საბრალო ქუეკვი არ იცოდა, საით გადაეკარგულიყო. მწუხარებით გაატარა პირველი დღე პატარამ და შემდეგ კიდევ უარეის დრო დაუდგა. ყველა სდევნიდა საცოდავს, და-ძმანიც გაბოროტებით ეუბნებოდნენ: „ნეტავი კატამ წაგიღოს, შე მახინჯო!“ — დედა ამბობდა: — „ნეტავი წაგიღოდეს შაინც შორს სადმე!“ იხვები კბენდნენ, ქათმები სცემდნენ და პატარა გოგო, რომელიც საკმელს უზიდავდა ფრინველებს, ფეხის კვრით იშორებდა საწყალ მახინჯს. ველარ აიტანა პატარამ და გადაფრინდა ღობის გადაღმა, კვიპავები წამოიშალნენ ბუჩქებში და გაფრინდნენ. „შეშინდნენ, ასეთი მახინჯი რომ დამინახეს“, გაიფიქრა პატარამ და დაეშვა ქვევით, ირბინა, ირბინა და ერთ ტბასთან მივიდა. აქ გარეული იხვები ცხოვრობდნენ. ქუეკვი ძლიან დაღლილი და დაღონებული იყო და ღამე ტბის პირად დარჩა, დღით გამოფრინდნენ გარეული იხვები, აათვალ-ჩაათვალდერეს ახალი ამხანაგი, „ნეტავი რა ფრინველია?“ დაეკითხნენ ერთმანეთს. შეშინებული ქუეკვი კი ტრიალებდა იქით-აქით და, როგორც შეეძლო, ზრდილობიანად აძლევდა ყველას სალამს.

— რა საშინელი მახინჯი ხარ! — უთხრეს იხვებმა: — მაგრამ ჩვენ რა ოლონდ ჩვენი გვარის ქალის შერთვა არ მოინდომო!

საწყალ ქუეს ცოლის შერთვა აზრადაც არ მოსვლია; იმას უნდოდა, სადმე ლელში ჯდომისა და ქაობის წყლის სმის ნება ჰქონოდა. ამნაირად ქუეკვი დარჩა

ქაობის პირას ორი დღე. ორი გარეული ბატი მოფრინდა. დიდი ხნის განმარტვებები არ იყვნენ და ამიტომ თამამობდნენ.

— გაგვიგონე, ამხანაგო, — უთხრეს იმათ ქუეს: — ისეთი მახინჯი რამ ხარ, რომ გვებრალები. თუ გინდა, წამოიდი ჩვენთან ერთად, აქ ახლოს, მეორე ქაობაში, ბატების მთელი გუნდიც ცხოვრობს: მრავალი გასათხოვარი ქალია, „ახ, ახ“ — ის დაძახება იციან. მართალია, გონჯი ხარ, მაგრამ, ვინ იცის, იქნება მიინც შეხვდენ შენს საცოლეს.

„დუუ! დუუ!“, გაისმა თოფის გრილი და ორივე ბატი მკედრები ჩაცვივდნენ ლელში, წყალი წითლად შეღება იმათმა სისხლმა. „დუუ, დუუ!“ — გაისმა კიდევ თოფის ხმა და გარეული ბატების დიდი გუნდი წამოიშალა ბუჩქებიდან. სროლა უფროდაუფრო გახშირდა. დიდი ნადირობა იყო გამართული. ქაობის გარშემო ჩასაფრებულიყვნენ მონადირეები: ზოგი ქაობის პირას ტოტებაშლილ ხეებზე ასულიყო და იქიდან უთვალთვალებდა. ლურჯი, სქელი კვამლი ჯანდევით მოჰფენოდა მთელ ტბას, ნელ-ნელა იწვედა დაბურული ხის ტოტებისაკენ და სადღაც შორს, ზევით, ცის სივრცეში ჭრებოდა. მოცვივდნენ მეჭებზეც. ქაობში ლელი იდრიაკებოდა ძაღლების ფეხქვეშ. საბრალო ქუეკვი ძლიეს-ღა სუნთქავდა შიშით. ის-იყო თავი მოიბრუნა, უნდოდა ფრთის ქვეშ ჩაემალა, რომ საიდანდაც განხდა უზარმაზარი საშინელი ძაღლი, ენა გარეთ გამოეგდო, თვალებს საზაზღორად აბრიალებდა. ხახადაღებული, დაღრენილი კბოლებით მივარდა პაწია ქუეს და... „ტლაპ, ტლაპ!“ უკან გაიქცა.

— მადლობა ღმერთს! — თქვა ქუეკვი და მსუბუქად ამოისუნთქა, — ისეთი მახინჯი ვარ, რომ ძაღლსაც კი ვეზიზღები შესაქმელად.

სანამ თოფის სროლა ისმოდა, ქუეკვი წყნარად იწვა ლელში. მხოლოდ შუადღის შემდეგ, გვიან, მიწყნარდა ყველაფერი. პატარა კიდევ ვერ ბედავდა გამოსვლას. რამდენიმე საათი კიდევ

მოიცადა. შემდეგ ფრთხილად გამოცოცდა, მიიხედა-მოიხედა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაქანდა მინდორში ქვევითკენ. უცებ საშინელი ქარი ამოვარდა და ერთობ გაუძნელა პაწიას მგზავრობა. ღამე გვიან, დიდი ვაი-ვაგლახით, როგორც იყო, მიალწია ერთ პატარა დაძველებულ ქოსს, რომელსაც ჯერაც ვერ გადაუწყვიტა — საით მხარეს წაქცეულიყო, და განაგრძობდა ერთ ადგილას დგომას. ქარ-ბუქი უფროდა-უფრო მატულობდა და ქუცი ძალაუნებურად უნდა ჩამჯდარიყო ერთ ალაგას და თავი შეემავგრებიანა. შეხედა, ქოსის კარი ჩამოვარდნილა, ერთ ყურგზე-და ევიდა და ისე დაეღო პირი, რომ შიგ შეძვრომა შეიძლებოდა. ქუციც სწორედ ასე მოიქცა და ოთახში შევიდა.

ქოსში ერთი ბებერი დედაკაცი ცხოვრობდა. მას ერთი კატა და ერთი ქათამი ჰყავდა. კატას ბებერი თავის «ვაი-შვილს» უწოდებდა. კატამ ზურგის ამოშვერა და კრუტუნი იცოდა და, თუ წელზე ზელს აუსვამდით, ნაპერწკლებსაც ჰყრიდა. ქათამს პაწაწინა მოკლე ფეხები ჰქონდა და ამიტომ ფეხმოკლეს ეძახდნენ. სამაგიეროდ, მშვენიერ კვერცხებს სდებდა და პატრონს საკუთარი შვილივით უყვარდა.

დილით ყველამ შეამჩნია იხვის ქუცი. კატამ კრუტუნი იწყო, ქათამი აკაიანდა.

— რა, ამბავია? — იკითხა ბებერმა და მიიხედა-მოიხედა, მაგრამ რადგანაც თვალთ აკლდა, ქუცი დიდ, მსუქან იხვად მოეჩვენა.

— აი, პოვნაც ასეთი უნდა, — თქვა მოზუცებულმა: — იხვის კვერცხები შექნება, ნეტავი მამალი კი არ გამოდგეს!

ქუცი აიყვანეს გამოსაცდელად სამი კვირით, მაგრამ კვერცხი, რასაკვირველია, არ დაუდგია. კატა ბატონი იყო ოჯახში, ქათამი კი ქალბატონა, თავი ისე დიდად მოჰქონდათ, რომ ლაპარაკში ყოველთვის ამბობდნენ: «ჩვენ და მთელი ქვეყნიერებამ!» თავიანთი თავი ქვეყნიერების ნახევრად და, ამასთან, საუკეთესო ნახევრად მიიჩნდათ. ქუცის

აზრით, მტკნარი სიცრუე იყო ეს, მაგრამ გაგონებაც არ უნდოდა. — კვერცხის დადება შეგიძლია? — ეკითხებოდა ქათამი ქუცს.

— არა.

— მაშ, მოილე მოწყალეობა და დაჩემდღი.

კატა კი ეკითხებოდა:

— შეგიძლია ზურგის ამოკუჭება, კრუტუნი და ნაპერწკლების გამოყრა?

— არა.

— არა-და, ნუ წაეჩრები შენი აზრებით, როცა ქვეიანი კაცი გელაპარაკება!

ქუცი იჯდა კუთხეში დაღონებული, მაგრამ, აი, ოთახში გამაცოცხლებელი ნიავი დატრიალდა და მხიარულმა მზგმ შემოაშუქა. ქუცს ერთობ მოეხალისა ცურაობა. ველარ ზოთიშინა და თავისი სურვილი ქათამს შეატყობინა.

— ეს რა უცნაური ოცნებაა კიდევ? — შეჰყვირა ქათამმა. — საქმეს რომ არას აკეთებ, სწორედ იმიტომ მოგდის თავში ეს სულელური აზრები. დადგევი კვერცხი ან იკრუტუნე და ბრიყვეული ოცნება გაგიქრება.

— კი, მაგრამ ცურაობა ისეთი სასიამოვნოა! — თქვა ქუცმა, — ისეთი სასიამოვნოა, როცა ჩაიყურყუმეღავებ და გრძნობ, როგორ გადაგავლის თავზე ანკარა წყალი.

— სწორედ უცნაური სიამოვნებაა! — უთხრა ქათამმა, — შენ, მგონია, სრულიად გაგიფიდი. აბა დაეკითხე კატას, რომელიც ჩემს ნაცნობებში საუკეთესო ქუცის პატრონია, უყვარს წყალში ცურაობა და ჩაყურყუმეღავება? ჩემს თავზე არაფერს ვიტყვი. აბა ჩვენს ბებერს, ჩვენს ქალბატონს ჰკითხე, იმაზე ქვეიანი აღარავინ არის ქვეყანაზე, ის გეტყვის, რამდენად სასიამოვნოა იმისათვის ცურაობა ან ჩაყურყუმეღავება, როცა თავზე წყალი გადაუღვლის.

— თქვენ არ გესმით ჩემი გულის პასუხი! — უთხრა ქუცმა.

— ჩვენ არ გვესმის შენი გულის პასუხი? — ერთი გვიბრძანე, ღვთის გუ-

ლისათვის, ვის შეუძლია, შენის აზრით, გაიგოს შენი გულის პასუხი? ჩვენს ბებერზე და კატაზე უფრო ჭკვიანი ხომ არა გვონია შენი თავი? ჩემს თავზე აღარაფერს ვამბობ... ნუ ოცნებობ შეუძლებელს, უბედურო, და ღმერთს მადლობა შესწირე იმ სიკეთისათვის, რაც აქ მოგანიჭა. განა თბილ ქოხში, ჭკვიან საზოგადოებაში არა სცხოვრობ, სადაც შეგძლია ბევრი რამ ისწავლო? მაგრამ შენ ცარიელი ყბედა ხარ და არაფერი სასიამოვნოა შენთან საქმის დაქერა. დამიჯერე, კეთილი მსურს შენთვის. საწყყეს გეუბნები, მაგრამ ნამდვილი მეგობრები ყოველთვის ასე იქცევიან. უმჯობესია, ეცადო და კერძები დასდო, ან კრუტუნი და ნაბერწყლების გამოყრა ისწავლო.

— ვგონებ, უკეთესი იქნება სულ წავიდე აქედან. — უთხრა ქუკმა.

— გზა მშვიდობისა, ძალიან კარგს იხამ! — მიუგო ქათამმა და ქუციც წავიდა. მივიდა წყალთან და დაიწყო ცურვა. მაგრამ მახინჯი იყო და ცხოველებს უწინდებურად ყველას ეზიზღებოდა.

დადგა შემოდგომა. ტყე გაყვითლდა და გაწითლდა. ქარი იტაცებდა და ათამაშებდა პაერში ფოთოლს. აცივდა, თველით გაყდენილი ღრუბლები შავად ჩამოაწვა ცის კადებზე. ღობეზე შემომჯდარი ყვავი სიცივისაგან საცოდავად ჩხაოდა. იმ დროს მარტო მოგონებაც კი საკმაოა, რომ სიცივის ერთნეტელმა დაუაროს ადამიანს, და პატარა საცოდავ ქუქს რაღა დაემართებოდა? ერთხელ ზამთარში ბუჩქებიდან მშვენიერ ფრინველთა გუნდი ამოფრინდა; იხვის ქუქს ამისთანა ფრინველები არასოდეს არ ენახა. საოცრად თეთრები იყვნენ და გრძელი, მოღერებულა კისრები ჰქონდათ. ეს ფრინველები გედები იყვნენ. რაღაც უცნაურად გაკვირდნენ. უცხოვდ გაშალეს მშვენიერა დიდრონი ფრთები და ზღვას გაღმა თბილი ქვეყნებისაკენ გაფრინდნენ. მიფრინავდნენ მალა-მალა და საბრალო მახინჯ ქუქს იმათი ცქერით რაღაც უცნაური გრძნობით ევსებოდა გული. მოუთმენლად ტრია-

ლებდა წყალში, ბოლოს წაფრტყლდა სტერი და ისე უცნაურად დამტყუნდა თვითონაც კი შეეშინდა თავისი ხმისა. ამის შემდეგ მის ფეჭის აღარ მოშორებია ეს საუცხოო ბედნიერი ფრინველები. ისინი რომ თვალს მიეფარნენ, ქუკმა ჩაიყურყუმელავა ღრმად, წყლის ძირამდის და, როცა ზევით ამოცურდა, აღელვებულმა არც იცოდა, სად მიფრინავდნენ, მაგრამ სულით და გულით შეუყვარდა და სრულიადაც არ შერდა იმათი ბედნიერება. საბრალო, მახინჯი ქუქისთვის ისიც დიდი ღვათა წყალობა იქნებოდა, რომ იხვევს მიელოთ თავიანთ საზოგადოებაში; ღამაზ გედებთან ყოფნა კი აზრადაც არ მოსდიოდა. ზამთარი კი ერთობ სუსხიანი დადგა და ქუქს განუწყვეტლივ უნდა ეცურავა, რომ წყალი არ გაყინულიყო. მაგრამ ყოველ ღამის განმავლობაში გაუყინავი წრე უფროდაუფრო მცირდებოდა და ქუცი შეუსვენებლივ აქნევდა ფეხებს, რომ ყინულით არ დახურულიყო ეს ადგალი. ბოლოს ძალ-ღონე გამოეღია საბრალოს. მიყუჩდა, გაივიდა და ყინულს მიეკრო. დილათ აღრე წყალთან მივიდა გლეხი, შეამჩნია ქუცი, გასტეხა ყინული ხის ჯოხით, ამოიღო ქუცი და ცოლს წაუღო. სახლში იხვი ისევ გამოცოცხლდა.

ბავშვებმა მასთან გათამაშება მოინდომეს. ქუქს ეგონა, ცუდს რასმე მიპირებენო, შეშინებული გაქანდა და პირდაპირ რძიან ქოთანში ჩავარდა, რძე გაშხაპუნდა, მთელ ოთახს მოედო წვიმასავით. დიასახლისმა გაასაქცავა ხელეები. გონებადაბნეული ქუცი ახლა ერბოს ქილაში ჩავარდა, მერე ფქვილის კასრში და იქიდან გარეთ გავარდა. ისეთი საშინელი სანახავი იყო, რომ თავის თავსაც კი აღარ ჰგავდა. ღმერთო, რა ალიაქოთა ასტყდა! გლეხის ცოლი დიდი ჯოხით ხელში დასდევდა ქუქს, ბავშვები წვილ-კვილით და სიცილით დასდევდნენ დასაქერად და სირბილში ერთმანეთს ეჯახებოდნენ და აყირავენდნენ. კიდევ კარგი, რომ კარი ღია იყო და პაწიამ მოასწრო გარეთ გაფრენა!

სრულიად მოქანტული, შეშინებული ჩავარდა თბრილში გზის პირად.

არ აიწერება ყველა უბედურება, რაც ზამთრის განმავლობაში გადახდა ქუტის. გასაფხულზე კი, როცა მზემ ისევ გაათბო დედამიწა, ქუტი კაობთან ლელში განჩნდა. ტოროლები მზიარულად გალობდნენ, საუცხოო დარი დაღვა და პაწიამ ერთბაშად იგრძნო, რომ მასაც შეუძლია ფრთების გაშლა. ფრთები როგორღაც უცბოდ უშრიალდებდნენ და მარად მიატურებდნენ ჰაერში. უცებ ქუტი (თვითონაც არ იცოდა — როგორ მოხდა ეს) დიდ ბაღში განჩნდა. იქ მრავლად ჰყვავოდა ვაშლის ხეები და ისამანის სურნელება აესებდა ჰაერს. ხეებსა და ბუჩქებს თავიანთი დაკლავნილი შტოები გაეშვირათ ანკარა წყლიანი არხებისაკენ. აქ ყველაფერს გასაფხულის გამაცოცხლებელი სუნი სცემდა, ბაღში ტბა იყო და, აი, დაბურულ ბუჩქებსა და ხეებს ქვეშ ტბაზე გამოჩნდა სამი საუცხოო გელი; დაღებულად, ნარჩარად მისცურავდნენ ისინი ფრთების შრიალით. ქვეშა მამინევე იცნო მშვენიერი ფრინველები და რაღაც უქნაურმა სევდამ შეიპყრო მისი გული. „მიეფრინდე იმ დაღებულ ფრინველებთან“, იფიქრა საწყალმა, „მაგრამ ხომ მომკლავენ ამნაირ მახინჯს... ეჰ, სულ ერთია, იხვების წიწქანს, ქათმების ბეწანს და მექათმე ქალის ცემა-ტყუების ატანას და ზამთარში სიცივით კანკალს ისა სჯობს, იმ ფრინველებმა მომკლან“, თქვა, ქუტმა, ჩაფრინდა ტბაში და მიეგება მშვენიერ გედებს. გედებმა დაინახეს თუ არა ქუტი, დაუქნიეს ფრთები და პირდაპირ იმისკენ გამოეშურნენ.

— „მომკალით!“ შეევედრა ჩემი ხმით საბრალო, დახარა ძირს თავი და გულის ფანტკლით ელოდა სიკვდილს... მაგრამ ამ დროს ანკარა წყალში თავისი სახე დაინახა. ოო, ეს ის პაწია, ნაცარა, მახინჯი ფრინველი კი აღარ იყო, ეს იყო მშვენიერი თეთრი გელი.

იხვებთან დაბადება უბედურების არის, თუ გელის კვერცხიდან გამოჩნდება.

რა სიზარულით იფრინებდა ახლა პაწია ქუტი უკვე წარსულ უბედურებას. მშუხარებამ ასწავლა ბედნიერების დაფასება. დიდრონი გედები ცურავდნენ იმის გარშემო და საყვარულით უსწორებდნენ ნისკარტით ფრთებს. ბაღში ჩამოვიდნენ ბავშვები, ჩამოიტანეს პური და მარცვლები და გადაუყარეს წყალში გედებს. ყველაზე პატარა ბავშვმა კი დაიძახა:

— შეხედეთ, ახალი გელი!

— კიდევ ახალი მოფრენილა, ახალი! — ხტუნავდნენ სხვებიც და ტაშს უკრავდნენ. ბავშვები გაიქცნენ დედამამსთან, ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ, თან მოიტანეს პური და შაქრის კვარები. უყრიდნენ წყალში გედებს და იძახდნენ:

— ახალი ყველასა სჯობს! რა ლამაზია, რა ნორჩია და მშვენიერი!

უფროსმა გედებმა მდებარედ დაუყრეს თავი თავიანთ ახალგაზრდა ამხანაგს. ახალგაზრდას შერცხვა და ჩამალა თავი ფრთის ქვეშ. ერთობ ბედნიერი იყო და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მაგრამ სრულიადაც არ ამაყობდა: კეთილმა გულმა არ იცის ამაყობა. მოაგონდა, როგორ სდევნიდნენ, დასცილოდნენ და ახლა კი ყველა იმის სილამაზეს გაიძახოდა. თვით ისამანიც კი სიყვარულით უხრიდა ყვავილებიან და სურნელოვან შტოებს და მზიარული მზე სითბოს ჰქენდა. გაიჭნია მამინ პაწიამ ფრთები, მოიღერა მშვენიერი გრძელი კისერი და სიზარულით აღსავსე გულით შესძახა:

— ოო, ამნაირი ბედნიერება სიზმარშიც კი არ მშვანებია, როცა მახინჯი იხვის ქუტი ვიყავი!

★
ბულბული

შენ იცი, რომ ჩინეთში იმპერატორი ჩინელია და ჭინც მას გარს ახვევია, ისინიც ჩინელები არიან. დიდი ხანი გამობდა მას შემდეგ, მაგრამ დიანაც ღირს მოვისმინოთ ეს ამბავი, სანამ იგი სრულ დაიწყო მთელი მთელი. იმპერატორის სასახლე საუცხოო სანახავი იყო მთელს დედამიწის ზღვრებზე: ისეთი სათუთი და ძვირფასი ფაიფურისაგან აეგოთ, რომ ხელის მიკარებაც კი სახიფათო იყო. სასახლის ბაღში ხარობდა მომხიბლავი ყვავილები. ყველაზე წარმტაც ყვავილებს ვერცხლის ზანზალაკები ეკიდა. და როდესაც ნიავე ქროდა, ყვავილები ირხეოდა და ზანზალაკებიც წკრიალებდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გამველელს ყვავილებისათვის დაეხედა. ბაღი აი ვრცელი იყო, თვალწინდანი, ისე რომ თვით შებაღმაც არ იცოდა მისი დასალიერი. ბაღის იქით იწყებოდა უსიერი ტყე, რომლის შუაგულ დიდი ტბა ლივლივებდა. უღრანი ტყე ლურჯი ზღვის ნაპირებამდე გადაჰქიშტოდა. ზღვა დაუსაბამო და ლაყვარლოვანი იყო. ვეება ხომალდები დაცურავდნენ წყალზე გადმოწოლილ ხეთა ტოტებზე.

აქ, ამ ტყეში, ზღვის პირას ერთი ბულბული ბინადრობდა. იგი ისე ჯადოსნურად გალობდა, რომ ღარიბი მეთევზეც კი, რომელსაც ბევრი საზრუნავი ჰქონდა, იეწყებდა თავის ბაღს, როცა ბულბული ღამით მოფრინდებოდა და გალობას დაიწყებდა.

— ო, ღმერთო, ეს რა მშვენიერი ხმაა! — ამბობდა ბულბულის გალობით მოხიბლული მეთევზე, მაგრამ მას მალე თავისი ბაღისთვის უნდა მიეხედა და თავი გაენებინა ფრინველისათვის. როცა მეორე ღამეს ბულბული ისევ დაიწყებდა გალობას, მეთევზე კვლავ მიიჭრებოდა ახლოს და წარმოთქვამდა:

— ო, ღმერთო, ეს რა მშვენიერი ხმაა! დედამიწის ყოველი კუთხიდან მოეშურებოდნენ იმპერატორის სატახტო ქალაქში მოგზაურები, რათა დამტყბარიყვნენ სასახლისა და ბაღის მშვენიერებით. მაგრამ მოესმოდათ თუ არა ბულბულის ხმა, ყველა ერთხმად ამბობდა:

— ეს ყველაზე საუცხოოა!

როცა ისინი შინ ბრუნდებოდნენ, უამბობდნენ ყველას, რაც ენახათ და გაეგონათ. სწავლელები წერდნენ წიგნებს ამ ქალაქის, სასახლისა და ბაღის თაობაზე. ბულბულს კი არავინ იეწყებდა: მას ყველაზე დიდი პატივით ისენიებდნენ. ის მოგზაურები, რომლებიც შიირებსა თხზავდნენ, არ იშურებდნენ წყობილ სიტყვას იმ ფრთოსანი მომღერლის შესამკობად, რომელიც უღრან ტყეში, ღრმა და ვრცელი ზღვის მახლობლად ცხოვრობდა.

წიგნები ვრცელდებოდა მთელ ქვეყანაზე კიდით კიდემდე, ერთი წიგნი იმპერატორსაც ჩაუვარდა ხელში. იმპერატორი დაბრძანდა თავის ოქროს ტახტზე და გატაცებით იწყო კითხვა. იგი სიამოვნებით აქნევდა თავს და ფრიად ხარობდა, სასახლესა და ბაღს რომ უქებდნენ. „მაგრამ ბულბული მაინც ყველაზე საუცხოოა“, ესეც ეწერა წიგნში.

— რაო, ეს რას ნიშნავს? — თქვა იმპერატორმა. — მე არაფერი ვიცი ამ ბულბულის შესახებ! არის ასეთი ფრინველი ჩემს სამეფოში და ისიც აქვე, ჩემს ბაღში? პირველად მესმის! და ეს მე წიგნებიდან უნდა შევიტყო?

ეს თქვა თუ არა, იმპერატორმა სასწრაფოდ ისმო პირველი მინისტრი. მინისტრი მედიდური და უკადრისი კაცი იყო და ასეთი ზნე სჭირდა: თუ ვინმე, ხელქვეითი შეპხედავდა დალაპარაკებოდა ანდა რაიმე ეკითხა, ასე უპასუხებდა: „ჰმ, ჰმ“, და ეს რა პასუხია!

— ამბობენ, არსებობს ერთობ საოცარი ფრინველი, რომელსაც ბულბულს ეძახიან, — თქვა იმპერატორმა. — და იმასაც ამბობენ, რომ ის ყველაზე საუცხოოა ჩემს დიდ საბრძანებელში. რატომ ერთხელ მაინც არ მომასხენეთ იმ ფრინველის შესახებ?

— ღმერთმანი, პირველი გაგონებაა! — თქვა მინისტრმა. — ის არასდროს არ მოუყვანიათ სასახლეში სადარბაზოდ.

— ამ საღამოსვე უნდა მომგვაროთ ის ბულბული, რომ მან აქ იგალობს! — ბრძანა იმპერატორმა. — მთელმა ქვეყანამ იცის, თითქოს მე ის მყავს, მე კი არა ვიცი რა.

— პირველი გაგონებაა! — გაამეორა მინისტრმა. — მე მოვძებნი მას.

მაგრამ სად უნდა მოეძებნა? პირველი მინისტრი არბოდა და ჩამორბოდა სასახლის კიბეებზე, დაიარა ყველა დარბაზი და დერეფანი, მაგრამ არც ერთ კარისკაცს არა გაეგონა რა ბულბულის შესახებ. გამობრუნდა პირველი მინისტრი იმპერატორთან და მოახსენა, რომ უთუოდ მოჩიხებულია, რაც წიგნებში სწერია იმ ბულბულის შესახებო.

— თქვენო უდიდებულესობავ, ვერც წარმოიდგენთ, რას არ ჩიხავენ წიგნებში. სულ მოკორილია, გრძნეულთა თვალთმაქცობის მეტი შიგ სხვა არაფერია.

— მაგრამ წიგნი, სადაც მე ეს ამოვიკითხე, იაბონიის დიდმა იმპერატორმა მომიძღვნა და შეუძლებელია, იქ კუშმარიტება არ ეწეროს. მე უნდა მოვიხიზნო ბულბულის გალობა! ამ საღამოსვე იგი სასახლეში უნდა იყოს! მე მას დავასაჩუქრებ და, თუ დათქმულ დროს ფრინველს ვერა ვნახავ, დიდებულებს და კარისკაცთ სახრე არ ასცილებათ!

— ტზინგ-პე! — თქვა პირველმა მინისტრმა და ისევე აირბინ-ჩამოიბრინა სასახლის კიბეები, დაიარა დარბაზები და დერეფნები, მასთან ერთად დარბოდნენ დიდებულები და კარისკაცები, ამა ვის ენდომებოდა ეგემა სახრის სიმწარე! სხაპასხუპით აყრიდნენ პირველ შემგედურთ კითხვებს, უცნაური ბულბული ხომ არ გინახავთო, მაგრამ ამჟოდ, არავის არა გაეგონა რა მის არსებობაზე.

ბოლოს, შეეყარნენ ისინი ერთ პატარა ლარბზ გოგონას სამზარეულოში. მან თქვა:

— ო, ღმერთო, დიახაც ვიცი იმ ბულბულის ადგალსამყოფელი. რომ იცო-

დეთ, როგორ გალობს! მე ყოველ-ყოველ მოსამზარეულოდან ვუხილავდი ჩოლომე სადილის ნარჩენებს ჩემს ავადმყოფ დედას. ის ცხოვრობს ზღვის პირას. და როცა უკან ვბრუნდები, ტყეში მესმის ბულბულის გალობა. იგი უსტეცნს ისე ნაზად, რომ თვალები ცრემლით მეცსება. გული სიხარულით მიტოკავს და ასე მგონია, დედოცო მეხევეა და მყოცნის.

— პატარა მზარეულო, — მიმართა პირველმა მინისტრმა, — მე განახებ, როგორ მიირთმევს საკმელს თვით იმპერატორი, ოღონდ მიგეყვანე ბულბულთან. იმპერატორი ამ საღამოს მობრძანდება სასახლის წვეულებაზე.

და გაემართნენ ისინი ტყეში, სადაც იყო ბულბულის ადგილსამყოფელი. გამალეული ძებნის დროს შემოესმათ ძროხის ბლავილი.

— ოპო, — წამოიძახა ერთმა მათგანმა, — ნამდვილად ეს უნდა იყოს ბულბული! ეს რა დიდი ხმა ჰქონია ამ პატარა ფრინველს?! ეს ხმა ჩვენ წინათაც გაგვიგონია.

— არა, ეს ძროხა ბლავის, — თქვა პატარა მზარეულმა. — ბულბული ჯერ კიდევ შორსაა.

განაგრძეს გზა. ამ დროს ჭაობში ბაყაყები აყვირდნენ.

— სუ, ყური უგდეთ, — თქვა ჩინელმა მღვდელმა, — ეს რა ტუბილი ჰანგებია! იგი სულ ისე ხშიანობს, როგორც სამრეკლოს ზარი.

— არა, ეს ბაყაყებია, — თქვა პატარა მზარეულმა. — ახლა მალე გავიგონებთ თვით ბულბულის ხმას.

ამ დროს გაისმა ბულბულის სტეენა.

— აი, ბულბულიც, — თქვა გოგონამ. — უსმინეთ! უსმინეთ! — და იგი ხელს იშვერდა პატარა ლურჯი ფრინველისაკენ, რომელიც ტოტზე ჩამომჯდარიყო.

— „ჰმ, ჰმ“ — თქვა პირველმა მინისტრმა, — რას ვიფიქრებდი, ეს სახელგანთქმული ბულბული ასეთი შეუხედავი და ფერდაკარგული იქნებოდა. იქნებ მან შიშით დაკარგა თავისი ფერადოვნება,

როცა დანახა ამდენი წარჩინებული პირი!

— პატარა ბუღბუღო, — შესძახა გონამ, — ჩვენს დიდებულს და მოწყალე ხელმწიფეს სურს შენი ხმა გაიგონოს.

— დიდი სიამოვნებით! — მიუგო ბუღბუღმა და ისეთი საამო სტვენა დაიწყო, რომ ყველას ნეტარება მოჰგვარა.

— მისი ხმა ისეთივეა, როგორც ვერცხლის ზანზალაკების წყარუნი, — თქვა პირველმა მინისტრმა. — შეხედეთ, მისი პატარა ყელი როგორ რაკარაკებს! საოცარია, ასეთი ხმა არასდროს არ გვისმენია. სასახლეში მას დიდი პატივი და მოწონება მოეღოს.

— კიდევ ვუგალობო იმპერატორს? — იკითხა ბუღბუღმა. მას ეგონა, იმპერატორი აქვე იმყოფებოდა.

— ტურფა ბუღბუღო, — მიმართა მას პირველმა მინისტრმა, — მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ ამ საღამოს გვეწვევით სამეფო დღესასწაულზე. თქვენ უთუოდ მოხიბლავთ მის უდიდებულესობას საამერი გალობით.

— ჩემი გალობა ტყეში უფრო სასიამოვნო მოსასმენია, — თქვა ბუღბუღმა. — მაგრამ მე ხალისით გამოვფრინდები თქვენთან, თუკი იმპერატორს ესიამოვნება.

სასახლე სადღესასწაულოდ მოერთოთ. ფაფურის კედლებზე და მოსარკელ იატაკზე აირეკლებოდა უთვალავი ოქროს ლამპრების მოლაპლავე შუქი. დერეფნებში ჩამწყარეებული იყო მოხიბლავი ფერების ყვავილები, ხოლო ზანზალაკები ამდენი ქოთქოთისა და მოძრაობისაგან მონაბერი პაერის შერხვეით ისე წყარუნებდნენ, ადამიანის ხმა არ ისმოდა.

დიდი დარბაზის შუაგულში, იმპერატორის ტახტის წინ მოთავსებული იყო ოქროს ლატანი, რომელზედაც ბუღბუღი იჯდა. მთელ სასახლეს თავი მოეყარა. ღარიბი გოგონასათვის ნება დაერთოთ, მდგარიყო კარებთან. იმის ჯილდოდ, რომ მან იპოვა ბუღბუღი, პირველ მინისტრს იგი დაენიშნა სამეფო

კარის მზარეულად. ყველანი ამოიხილნენ მოკაზმულიყვენ და თვალსიკვანძოვან რებდნენ პატარა ლურჯ ფრინველს. იმპერატორმა მას თავი დაუტრა.

და დაიწყო ბუღბუღმა გალობა. იგი გალობდა ისე ნაზად, ისე მომხიბლავად, რომ იმპერატორს თვალეზე ცრემლი მოადგა და ლოყაზე ჩამოუვარდა. ბუღბუღი უფრო და უფრო ეშშში შედიოდა; მისი ხმა ყველას გულის სიღრმედის წვდებოდა. როცა გალობა მიწყდა, იმპერატორმა ბრძანა, ბუღბუღისთვის ოქროს ქოშები ებოძათ ყელზე სატარებლად. ბუღბუღმა კი მადლობა მოახსენა და საჩუქარზე უარი განაცხადა.

— იმპერატორის თვალეზე მე ცრემლი შევნიშნე, — თქვა ბუღბუღმა, — ეს არის ყველაზე დიდი ჯილდო. იმპერატორის ცრემლებს განსაკუთრებული ძალა აქვს. მე დიდად დასაჩუქრებული ვარო. — და კვლავ იწყო მან გალობა თავისი ღვთაებრივი ხმით.

— აი ამას ჰქვია გულის მოგება! — ამბობდნენ სასახლის ქალები და მას შემდეგ პირში წყალს იგუბებდნენ ხოლმე, რათა ვინმესთან დალაპარაკების დროს წყალი არაკარაკებულიყო ყელში. აქაო-და ბუღბუღს ვემსგავსებითო! კარის მსახურნიც ერთობ ნასიამოვნები იყვენენ, და ეს ცოტას როდი ნიშნავდა: მათი დაკმაყოფილება საერთოდ არცთუ ადვილია. ერთი სიტყვით, ბუღბუღმა ყველა გაამბედნიერა.

ბუღბუღი სასახლეში დატოვეს, გალიაში ჩასვეს და გარეთ სეირნობის ნებაც დართეს — დღისით ორჯერ და ღამით ერთხელ თორმეტო მსახურის თანხლებით. თითოეულ მათგანს ხელში უნდა სჭეროდა ბუღბუღის ფეხზე გამობმული აბრეშუმის ზონარი. აბა ერთი იფიქრეთ, რა შნო და ლაზათი ექნებოდა ამგვარ გასეირნებას!

მთელი ქალაქი ალაპარაკდა საკვირველ ფრინველზე. ორი კაციც რომ შეყრილიყო, ერთი მხოლოდ ამას იტყოდა: „ბუღ“ და მეორეც უპასუხებდა: „ბუღლი“. ამის შემდეგ ორივენი ამოიხუნებდნენ და მაშინვე მიუხედებოდნენ

ერთმანეთს. თერთმეტმა მეწვრილმანემ თავიანთ ახალდაბადებულ შვილებს სახელად „ბუღბული“ შეარქვა, თუმცა ამ ბავშვების ყელი სიმღერას მაინცდამაინც არც ეწყობოდა.

ერთ მშვენიერ დღეს იმპერატორს მოუვიდა დიდი ამანათი, რომელზედაც ეწერა: „ბუღბული“.

— ეს იქნება ახალი წიგნი ჩვენს სახელგანთქმულ ფრინველზე, — თქვა იმპერატორმა. მაგრამ ეს იყო არა წიგნი, არამედ კოლოფში მოთავსებული პატარა ნივთი: ხელოვნური ბუღბული, რომელიც ძალიან ემსგავსებოდა ნამდვილ ბუღბულს, ოღონდ მოთქვილი იყო აღმასით, ზურმუხტითა და იაგუნდით. მომართავდით და მოჰყვებოდა გალობას, — იგალობებდა ერთ იმ სიმღერათაგანს, რომელიც იცოდა ნამდვილმა ბუღბულმა; თან ბოლოს იქნევდა და ციმცამებდა ვერცხლისა და ოქროს ფერად. ფრინველს ყელზე ეკეთა ზონარი, რომელზედაც წაწერილი იყო: „იაპონიის იმპერატორის ბუღბული არაფერია ჩინეთის იმპერატორის ბუღბულთან შედარებით“.

— რა მშვენიერია! — თქვა ერთსხივ ყველამ. ხოლო მას, ვინც მოიყვანა ძვირფასი ფრინველი, უბოძეს ხარისხი: „მისი უდიდებულესობის სასახლის ბუღბულთუხუცესი“.

— ახლა კი ერთად იგალობოს ორნა ბუღბულმა! — ინება იმპერატორმა.

მაგრამ არაფერი გამოვიდა: ნამდვილი ბუღბული სხვას გალობდა, ხელოვნური კი ერთადერთ სიმღერას, რომელიც მან იცოდა. მაშინ მარტო აგალობეს ხელოვნური ბუღბული. მისი გალობა ისევე მოეწონათ, როგორც ნამდვილი ბუღბულისა, მაგრამ ყველა მოხიბლა ამ ახალი ფრინველის სილამაზემ; იგი უფრო ლამაზი იყო, ბრწყინავდა და ელვარებდა.

ოცდამეცამეტჯერ იგალობა მან ერთი და იგივე სიმღერა და არ მოიქანცა.

კარისკაცებს არ მოსწყინდებოდათ კიდევ და კიდევ მოესმინათ საუცხოო გალობა, იმპერატორს რომ არ ებრძანა:—

ახლა ცოცხალ ბუღბულს მოვუხმე ერთი.

მაგრამ სად გააქრა იგი? არავის შეუმჩნევია, როგორ გაფრენილა ნამდვილი ბუღბული გაღებულ სარკმლიდან მწვანე ტყისაკენ.

— ეს რა ამბავია! — თქვა იმპერატორმა. და ყველამ მაგება დაუწყყო გაბარულ ბუღბულს: უმადურა ჩიტაია!

— მაგრამ უკეთესი ფრინველი ხომ ჩვენს ხელთაა! — თავს ინუგეშებდნენ კარისკაცები. ხელოვნურმა ბუღბულმა კიდევ შეასრულა თავისი ერთადერთი სიმღერა უკვე ოცდამეთათხმეტჯერ. მაგრამ ვერაიან ისწავლა ეს სიმღერა. რადგან მტვად რათული კილო იყო. ბუღბულთუხუცესი კი აქებდა და აქებდა ხელოვნურ ბუღბულს, ბევრად სჯობს იგი ნამდვილსო, ირწმუნებოდა, და განა მარტო გარეგნული ბრწყინვალეობით, ამა ერთი გული გაუსინჯეთო!

— მისმინეთ, ჩემო მბრძანებელო იმპერატორო და მოწყალეო ხელმწიფეო, — ამბობდა იგი, — წინასწარ არასდროს არ გვიცოდინებდა, რას იგალობებს ცოცხალი ბუღბული, ხელოვნური ბუღბულის სმები კი ამთავითვე ცნობილია. ჩვენ შეგვიძლია გავსინჯოთ, როგორაა ის მოწყობილი, როგორაა განლაგებული რგოლები, ხრახნილები და ზამბარაკები.

— დიას, ჩვენც ამასვე ვფიქრობდით! — უდასტურებდა ყველა. ბუღბულთუხუცესმა ნება ითხოვა, მომდევნო კვირას ეჩვენებინათ ფრინველი მთელი ხალხისათვის. იმპერატორმა ბრძანა, მოესმინა ხალხს ბუღბულის გალობა. ხალხმა გაიგონა ეს თუ არა, აღტაცებაში მოვიდა, თითქოს ჩაით დამთვრალიყვნენ, — ჩინელებს ხომ ჩაი ძალიან უყვართ. ყველანი გაიძახოდნენ: „პა-პა-პა“, საჩვენებელი თითები მაღლა აეშვირათ და თავებს აქნევდნენ. მხოლოდ ღარიბი მეთევხეები, რომელთაც გაეგონათ ნამდვილი ბუღბულის სმა, ამბობდნენ:

— სმა ამ ბუღბულს არცთუ ცუდი აქვს, თითქმის იმგვარადვე გალობს, მაგრამ ჩვენი ბუღბული მაინც სულ სხვაა; რაღაც აკლია ხელოვნურ მომღერალს, ეს ჩვენც ვერ გავვიგებთ!



ნამდვილი ბუღბუღი განდევნეს სამეფოდან.

ხელოვნურ ფრინველს მიჩენილი ჰქონდა ადგილი იმპერატორის საწოლთან აბრეშუმის ბალიშზე. მის ირგვლივ ელაგა ბოძებული საჩუქრები, ოქრო და ძვირფასი თვლები, ყელზე კი ეკიდა იმპერატორის ოქროს ქოშები. ხელოვნურ ფრინველს საგანგებო ხარისხი მიანიჭეს: „იმპერატორის ღამის მაგიდის მგალობელი“. მას პირველი ადგილი ეკავა იმპერატორის საწოლის მარცხენა მხარეს, ეს იმიტომ, რომ, იმპერატორის რწმენით, მარცხენა მხარე უმთავრესია და უპირატესი მარჯვენა მხარესთან შედარებით, რაკი გული მარცხენა მხარეზეა, გული კი მარცხნივ აქვს თვით ჩინეთის იმპერატორსაც კი. ბუღბუღთუხუცესმა ხელოვნური ფრინველის აღწერას მიუძღვნა ოცდახუთი წიგნი. ეს წიგნები გაჰიანურებული იყო და თანაც აქრელებული ღრმა-ღრმა და გაუგებარი ჩინური სიტყვებით. ყველა ირწმუნებოდა, წიგნი გადავიკითხეთ და ყოველივე გავიგეთო. ეს რომ არ ეღიარებინათ, სულელებად ჩათვლიდნენ და თავს გააგდებინებდნენ.

ამასობაში განვლო ერთმა წელმა. იმპერატორს, სასახლის კარს, ყველა დანარჩენ ჩინელს ზებირად დაესწავლათ ხელოვნური ფრინველის გალობის ყოველი მუხლი. ამიტომ ბუღბუღი უფრო და უფრო მოსწონდათ. ისინი ფრინველს აპყვებოდნენ ხოლმე და ასე შეწყობილად გალობდნენ. ქუჩის ბიჭები ქვეყანას აყრებდნენ სიმღერით: „ციციკი კლუკლუკლუკ!“ ზოგჯერ იმპერატორიც ასევე მღეროდა ხოლმე. ჭეშმარიტად ეს რაღაც წარმტაცი რამ იყო!

ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ხელოვნური ფრინველი ნეტარებით გალობდა და იმპერატორიც იქვე წამოწოლილი უსმენდა, ფრინველს უეცრად გულში რაღაც გაუსკდა: „ზ-ზ-ზ-ზ“. მავთულები დაიშალა, რგოლები საოცარი სისწრაფით დატრიალდა და მუსიკა მიწყდა.

იმპერატორი მყისვე წამოვარდა ლო-

გინიდან და კარის ეკიმი (ხმის) შემსწავლელი ეკიმი აქ რას გააწყობდა? (შეშტეტე) შეშტეტა საათესთან აფრინეს კაცი. როგორც იქნა, ფრინველს უშველეს. მესაათემ ბოლოს თქვა, რომ ფრინველი გალობას დაიწყებს, მაგრამ ფრთხილად უნდა მოეციოდით, ბორბლებს კბილანები გადაეღეს და ახალი კბილანების ჩასმა აღარ მოხერხდებაო. დაღონდა ყველა.

ჩინელებს ძალიან უყვარდათ თავიანთი იმპერატორი. უცაბედად იგი ლოგინად ჩივარდა და დაასკვნეს, აღსასრულს უახლოვდება, დიდხანს ვერ იცოცხლებსო. ახალი იმპერატორი უნდა აეყვანათ ტახტზე. თავზარდაცემული ხალხი გროვდებოდა გუნდ-გუნდად ქუჩაში და ეკითხებოდა პირველ მინისტრს, იმპერატორი როგორ ბრძანდებაო.

— „ჰმ“, — უპასუხებდა პირველი მინისტრი და თავს აქნევდა.

იმპერატორი, გაციებული და ფერმიხდილი, იწვა თავის დიდებულ საწოლში. კარისკაცებს იგი გარდაცვლილი ეგონათ და ყოველი მათგანი ჩქარობდა, მისალმებოდა ახალ იმპერატორს. კარის მსახურნი ფუსფუსებდნენ, წინ და უკან დარბოდნენ სასახლეში და ცბელ-ცბელ ამბებს გებულობდნენ, მსახური ქალები კი იყრიებოდნენ ჩაის დასალევად და გაუთავებლად ლაყობდნენ. დარბაზებში და დერეფნებში ხალიჩები იყო დაფენილი, ფეხის ხმა რომ არ გაეგოთ. სასახლეში სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. იმპერატორი ჯერ კიდევ არ გარდაცვლილიყო. გაშეშებული და სასომიხდილი იწვა იგი თავის ძვირფას სარეცელში ხავერდოვანი საჩრდილობელისა და ოქროს ფოჩების ქვეშ. ფანჯარა ღია იყო და ბადრი მთვარე დაქათქათებდა იმპერატორს და ხელოვნურ ბუღბუღს, რომელიც იწვა აბრეშუმის ბალიშზე იმპერატორის საწოლის მახლობლად.

საბრალო იმპერატორი ძლივს სუნთქავდა, ეჩვენებოდა, თითქოს რაღაც სიმძიმე დასწოლოდა მკერდზე... მან გაახილა თვალები და დაინახა, რომ მკერდზე სიკვდილი დასჯდომოდა. თავ-

ზე ეხურა ოქროს გვირგვინი, ცალ ხელში იმპერატორის ოქროს ხმალი ეყარა, მეორე ხელში — შესანიშნავი ბაიარალი. ხავერდოვანი სასრდილობელიდან გამოიყურებოდნენ უცნაური თავები: ერთი — საძაგელნი და ბოროტნი, მეორე — ლამაზნი და კეთილნი. ესენი იყვნენ იმპერატორის ბოროტი და კეთილი ნამოქმედარნი, და ახლა, სიკვდილი რომ გულზე აჯდა, ისინიც გამოეცხადნენ.

— გახსოვს შენ ესა და ეს? — ეჩურჩულებოდა ერთი მეორეს.

— ეს თუ გახსოვს? — ჩურჩულებდა მეორე. და ისინი უამბობდნენ და აგონებდნენ იმპერატორს იმდენ ავსაქმეს, რომ მას ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე.

— ეს მე არასოდეს არ მცოდნია! — აღმოხდა იმპერატორს და წამოიყვირა: — მუსიკა! მუსიკა! დაქარით დიდ ჩინურ დაფდაფს! ნუ გამაგონებთ მავათ ხმას!

და ისინი ვაცალნენ. სიკვდილი კი მათ სიტყვებს თავის დაკვრით უდასტურებდა, თითქოს ცოცხალი ჩინელი ყოფილიყო.

— მუსიკა, მუსიკა! — ყვიროდა იმპერატორი. — შენ მაინც იგალობე, ჩემო მშვენიერო პატარა ოქროს ფრინველო! იგალობე, იგალობე! მე დაგასაჩუქრე შენ ოქროთი და თვალ-მარგალიტით, მე ჩამოგკიდე ყელზე ოქროს ქოშები, იგალობე ღვთის გულისათვის!

ფრინველი კი ღუშდა: იქ არავინ იყო, რომ მოემართა. სიკვდილი იმპერატორს ჩაშტერებოდა თავისი დიდრონი, გამოქმული თვალის ფოსოებით.

უეცრად ფანჯარასთან გაისმა ღვთაებრივი გალობა. ეს იყო პატარა, ცოცხალი ბუღბუღი, რომელიც იქვე ხის ტოტზე შემომგდარიყო. მას გაეგონა იმპერატორის ხმა და მოფრენილიყო, რათა დაემშვიდებინა და გაემხნევებინა იგი. ბუღბუღი გალობდა და ლანდები ფითრდებოდნენ, იმპერატორის ქანცვამოლეულ სხეულში კი სისხლი გროვდებოდა. თვით სიკვდილიც უსმენდა ბუღბუღს და ჩურჩულით ეუბნებოდა:

— იგალობე, იგალობე, პატარა ბუღბუღო!

— ვიგალობებ, მაგრამ მომცემ მშვენიერ ოქროს ხმალს? მომცემ დროშას? მომცემ იმპერატორის გვირგვინს?

სიკვდილიც უბრუნებდა იმპერატორს საუცხოო ნივთებს თითოეული სიმღერის სანაცვლოდ. ბუღბუღი განაგრძობდა გალობას გულის წარმტაცად. აი, მან დაიწყო გალობა მყუდრო სასაფლაოს შესახებ, სადაც დგას სურნელება თეთრი ყვავილებისა და ისაამნისა, სადაც ამოფეთქილი ნორჩი ბალახი ირწყვება ცოცხალთა ცრემლით... ამ სიტყვებზე სიკვდილს მოენატრა თავისი ბალი, გაეხვია თეთრ და ცივ ნისლში და ფანჯრიდან გაფრინდა.

— გმადლობ, გმადლობ, ციურ პატარა ფრინველო, — თქვა იმპერატორმა. — კარგად გიცნობ... მე გაგაძევე ჩემი საბრძანებელიდან, ახლა კი შენ გააძევე ჩემი საწოლიდან საშინელი ლანდები, გააძევე თვით სიკვდილი! რითი დაგასაჩუქრო, რას მოითხოვ ამის სანაცვლოდ?

— შენგან მე დასაჩუქრებელი ვერ, — თქვა ბუღბუღმა. — როცა მე პირველად ვიგალობე, შენ ცრემლი მოგვრია. ეს არასოდეს დამავიწყდება. ცრემლი ყველაზე ძვირფასი ჯილდოა მომღერლისათვის. ახლა კი დაიძინე მშვიდად. მე ვიგალობებ.

ბუღბუღმა კვლავ იწყო გალობა. იმპერატორი კი ღრმა ძილს მიეცა. ეძინა მშვიდად და უშფოთველად.

როცა დილით მზე იმპერატორის საწოლ ოთახს მოადგა, იმპერატორს გამოეღვიძა. იგი მომჯობინებულიყო. კარისკაცთაგან და დიდებულთაგან მისთვის არავის მიუკითხავს, ყველას შეკდარი ეგონა იმპერატორი. მხოლოდ ბუღბუღი იჯდა ფანჯარასთან და ყელმომღერებულს გალობდა.

— დარჩი სამუდამოდ ჩემთან, — უთხრა ფრინველს იმპერატორმა. შენ იგალობებ მხოლოდ მაშინ, როცა თავად მოგებხალისება. ხელოვნურ ბუღბუღს კი დავამსხვრევ და შორს გადავისვრი.



— ნუ იქმთ მაგას! — თქვა ბულბულ-
მა. — მას სამსახური არ დაუკლია თქვენ-
თვის, სანამ შეეძლო. ახლაც დატოვეთ
თქვენთან. მე კი სასახლეში ვერ გაე-
ძლებ. ისე კი, როცა მომესურვება, მოვ-
ფრინდები დროდადრო და გიგალობებთ
ბედნიერსა და უბედურზე, კეთილსა და
ბოროტზე, ყოველივეზე, რაც თქვენს
გარშემო ხდება და თქვენ კი ვერა გაგი-
გიათ რა. და პატარა ბულბული დაფრი-
ნავს ყველგან, აღმა და დაღმა. ხანდახან
შეფრინდება ხელმოკლე მეთევზისა თუ
რომელიმე გლეხი კაცის პერქვეშ. იმ
აღამიანებთან, რომლებიც სასახლეს
დაშორებული არიან. მე შენი გული
უფრო მიყვარს, ვიდრე შენი გვირგვინი.
მე მოვალ და გიგალობებ შენ. მაგრამ
ერთი რამ უნდა შემისრულო.

— მზადა ვარ! — შესძახა იმპერატორ-
მა და წამოდგა საწოლიდან. მას უკვე

მოესწრო ჩაეცვა თავისი საიმპერატორული
სამოსელი და ოქროს მძიმე მსაფინჯველი
თან მიეხუტებინა.

— მხოლოდ ერთსა გთხოვ! ნურავინ
გაუმეღავენებ, რომ გყავს პატარა ბულ-
ბული, რომელიც გამცნობს ყოველივეს.
საქმისათვის ესა სჯობს.

და გაფრინდა ბულბული.

სასახლის მსახურებმა მოაშურეს სა-
წოლ ოთახს, მიცვალებული იმპერატო-
რი რომ დაენახათ. და ისინი გაშეშდნენ
კარის ზღურბლთან: მათ წინაშე აღმარ-
თულიყო ცოცხალი და სავსებით მრთე-
ლი იმპერატორი. მან უთხრა შემო-
სულთ:

— დილა მშვიდობისათ!

თარგმანი გერმანულიდან შოთა შიშიგუარისა

6. ჩიკაპოლი

★

3. ი. ლენინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა
სახელმწიფოს შემქმნელია

საბჭოთა ადამიანები, მთელი მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავენ რევოლუციის დიდი გენის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-მე ლენინის დაბადების 85 წლისთავს.

ლენინი!

ეს სახელი მოასწავებს მთელ ეპოქას. ლენინის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ უდიდესი რევოლუციური ბრძოლები, პარტიის მთელი გმირული ბრძოლა კომუნისტებისათვის.

ლენინის იდეები, რომლებიც ეყრდნობა მტკიცე მეცნიერულ საფუძველს, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ტრიუმფალურად გავრცელდნენ მსოფლიოში.

ლენინის ცხოველყოფილ იდეებს განსახიერებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიადი საქმეები, საბჭოთა საშობლოს ახალი წარმატებები კომუნისტების მშენებლობის გზაზე. ლენინიზმის დროშით დიდი ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების მშრომელები წარმატებით აშენებენ სოციალიზმს. ლენინის იდეები აერთიანებენ მთელი მსოფლიოს ასობით მილიონ მშრომელს მშვიდობის, დემოკრატიისა და ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

I

3. ი. ლენინი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის ბოლოს. ეს იყო ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში გარდატეხის მომენტი, როცა კაპიტალიზმი გადადიოდა თავის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმის სტადიაში, როცა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი გაშფავდა უკიდურესობამდე, ხოლო პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხად იქცა.

ლენინის სიდიადე ის არის, რომ ის იყო მრავალმილიონიანი ხალხთა მასის — ისტორიის ნამდვილი შემოქმედის გენიალური ბელადი და მასწავლებელი, მისი ინტერესების, ფიქრისა და მისწრაფების გამომხატველი.

ლენინში განსახიერებული იყო ყოველივე საუკეთესო, დიადი და გმირული, რაც გააჩნია რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატს. ლენინი იყო, ამბობდა ი. ბ. სტალინი, მაღალი ტიპის პოლიტიკური ხელმძღვანელი, კაცობრიობის უღრმესი „ქვედაფენების“ ბელადი, მთის არწივი, რომელმაც არ იცოდა შიში ბრძოლაში, რომელსაც გახედულად მიჰყავდა წინ მუშები და ყველა მშრომელი რევოლუციური მოძრაობის უვალი გზით. იგი ერთსა და იმავე დროს იყო უდიდესი თეორეტიკოსი და უბად-

ლო ორგანიზატორი, მას დიდად უყვარდა ხალხი და დიდი პრინციპულობით განიჩივრდა მისი ინტერესებისათვის ბრძოლაში, განუყრელად იყო დაკავშირებული მშრომლებთან და ურყევად სწამდა მათი შემოქმედებითი ძალები.

ვ. ი. ლენინის უდიდესი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან შექმნა კომუნისტური პარტია. ეყრდნობოდა რა მარქსისა და ენგელსის მითითებებს და შემოქმედებითად განავითარა რა მარქსიზმი, ვ. ი. ლენინმა უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა პროლეტარული პარტიის მნიშვნელობა, აღმოაჩინა მისი განსაკუთრებული ისტორიული როლი ახალ ეპოქაში, როცა კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ იმპერიალისტურ ფაზაში.

ლენინმა შეიმუშავა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, პარტიისა, რომელიც ძირეულად განსხვავდება II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან.

ლენინმა დაამტკიცა, რომ მხოლოდ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე, რევოლუციური თეორიით, შეუძლია შეასრულოს მოწინავე მებრძოლისა და მშრომელი ნამდვილი ბელადის როლი; მან შესანიშნავად დაასაბუთა მარქსიზმის ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა მოძრაობის შეროტბა სოციალიზმთან.

ვ. ი. ლენინის ზრუნვის შედეგად რსდმპ II ყრილობამ, მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ საერთაშორასო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად მიიღო რევოლუციური პროგრამა და შექმნა რუსეთში ნამდვილი მარქსისტული პარტია იმ იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, რომლებიც შეიმუშავა და წამოაყენა ლენინურმა „ისკრამ“.

მრავალი წლის მანძილზე ლენინი და მისი თანამებრძოლნი შეუჩივებელ ბრძოლას ეწეოდნენ ყველა ჯურის ოპორტუნისტთა წინააღმდეგ რუსეთის

და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, იბრძოდნენ ნამდვილი მარქსისტული პარტიისათვის, რომელიც შესძლებდა ეხელმძღვანელო მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლებისათვის. ამ ბრძოლის შედეგად ლენინის პრინციპების გარემო დაირაზმნენ ნამდვილი მარქსისტი — რევოლუციონერები, რომლებიც ორგანიზაციულად გაფორმდნენ 1912 წელს დამოუკიდებელ, ბოლშევიკურ პარტიად.

დიდმა ბელადმა მარქსიზმი გაამდიდრა ბევრი ახალი უმნიშვნელოვანესი დებულებითა და დასკვნით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლენინის გენიალურ დასკვნას იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს გაიმარჯვოს სოციალიზმმა ყველა ქვეყანაში, არამედ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შეიძლება რამდენიმე ან ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. ეს დასკვნა ლენინმა გააკეთა კაპიტალიზმის არათანაბარი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონის საფუძველზე, კანონისა, რომელიც მან აღმოაჩინა. სოციალისტური რევოლუციის ლენინურმა თეორიამ მუშათა კლასს მისცა ბრძოლის პერსპექტივა, ცალკე ქვეყნების პროლეტარიატს გაუღვიძა ენერჯია და ინიციატივა თავის ეროვნულ ბურჟუაზიაზე შეტევის გასაძლიერებლად, ჩაუნერგა ყველა მშრომელს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების რწმენა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დიდმა ლენინმა, — ანადგურებდა რა ხალხოსნების რეაქციულ „თეორიებს“, — ჩამოაყალიბა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა და დაამტკიცა, რომ ასეთი კავშირი ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის დამხობის მთავარი საშუალებაა. სახავდა რა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ამოცანას, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, რევოლუციური ბრძოლის დიდ მნიშვნელობას. კომუნისტურმა პარტიამ ლენინის მეთა-

ურობით შექმნა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და ჩვენი ქვეყნის მშრომელები მიიყვანა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე. პროლეტარიატის დიქტატურის უმადლეს პრინციპად ლენინს მიაჩნდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. კომუნისტური პარტია თავისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე დაუღალავად განამტკიცებს და აფართოებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, რაც ჩვენი სამშობლოს ძალისა და უძლეველობის წყაროა.

ვ. ი. ლენინს ყველაზე უკეთ შეეძლო დაენახა დიდიც და პატარაც, ეწინასწარმეტყველებინა უდიდესი ისტორიული გარდატეხა, ეჩვენებინა მარქს-ენგელსის მოძღვრებისადმი შემოქმედებითი მიდგომით, რომ მარქსიზმი არა მკვდარი დოგმაა, არამედ მოქმედების ცოცხალი სახელმძღვანელოა.

ლენინი ხედავდა საზოგადოების განვითარების ობიექტურ პროცესს. მან ჩვენს ხალხს და მოელ კაცობრიობას უჩვენა საზოგადოების სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნის გზები. ვ. მაიაკოვსკის სიტყვები ლენინის შესახებ ყარგად ახასიათებენ ბელადის გენიას:

მოელ დედამიწას
თვალს ავლუბდა,
უცნაურ ძალით
სჭვრეტდა დაფარულს
კამათხელის ნისლით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რევოლუციისა, რომლითაც დაიწყო კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა — კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ერა, ლენინური გზის სისწორის ისტორიული დადასტურებაა. საფუძველი ჩაუყარა რა საზოგადოების კაპიტალიზმიდან სოციალიზმში რევოლუციური გზით გადასვლას, ოქტომბრის რევოლუციამ პრაქტიკულად დაადასტურა მარქსიზმი-

ლენინიზმის მეცნიერული დასაყრდენი შესახებ, რომ მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის მეთაურობით ის ძალაა, რომელსაც შეუძლია დარაწმის მშრომელები კაპიტალიზმისაგან განათავისუფლებლად, ხელთ აიღოს საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა და ააშენოს სოციალიზმი.

საბჭოთა რევოლუციის გამარჯვება ლენინიზმის იდეის ტრიუმფი, კომუნისტური პარტიის თანმიმდევრული რევოლუციური პოლიტიკის ზეიმი იყო.

II

ვ. ი. ლენინი არის მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს შემქმნელი.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მუშებმა და გლეხებმა ისტორიაში პირველად დააყენეს საკითხი პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესახებ, ახალი სახალხო ხელისუფლების შესახებ. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს შექმნილი მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთის მუშათა კლასის უდიდესი ისტორიული მონაპოვარი იყო. ისინი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველსახეობა. ხელისუფლებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დამყარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. პირველი საბჭოების პრაქტიკა დასაყრდენად გამოიყენა ლენინმა საბჭოების შესახებ თეორიის შემდგომ დასამუშავებლად. თავის შესანიშნავ „აბრილის თეზისებში“ 1917 წელს ვ. ი. ლენინმა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების ყოველმხრივი და ღრმა განზოგადების საფუძველზე აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა და შეცვალა მარქსიზმის მოძველებული დებუ-

ლება პარლამენტური რესპუბლიკის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის კოლექტიური ფორმის შესახებ. ეს გენიალური აღმოჩენა, რასაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ლენინის უძვირფასესი წვლილია მარქსისტულ მეცნიერებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო საბჭოების რესპუბლიკის შესახებ ლენინის დებულების განხორციელება მისი სიცოცხლისუნარიანობის მკაფიო დადასტურებაა. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც გამოაცხადა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა, რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენიტეტი, დარაზმა ჩვენი სამშობლოს ხალხები ერთ ძმურ ოჯახად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ პროლეტარული რევოლუცია არ არის ერთდროული აქტი, რომელიც დასაჯერდებოდა კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. პოლიტიკური ხელისუფლების აღება მუშათა კლასის წინაშე აყენებს მეორე, უფრო ძნელ ამოცანას — ათობით და ასობით მილიონი ადამიანის ცხოვრების ყველაზე ღრმა, ეკონომიური საფუძვლების ახლებურად მოწყობის ამოცანას. მხოლოდ ამ ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ, გვასწავლიდა ლენინი, შესაძლებელი იქნება ვთქვათ, რომ რუსეთი გახდა არა მარტო საბჭოთა, არამედ სოციალისტური რესპუბლიკა.

ლენინის სიდიადემ განსაკვიფრებელი ძალით იჩინა თავი იმითაც, რომ მან, ეყრდნობოდა რა მარქსიზმის თეორიას და მშრომელი მასების გამოცდილებას, რაც გროვდება ახალი საზოგადოების მშენებლობაში, გენიალურად დაამუშავა სოციალიზმის მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის მო-

წინავე, ძლევამოსილ სოციალისტურ ქვეყნად გადაქცევის პროგრამა. გორკ ცნობილია, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამა ითვალისწინებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, მრეწველობის ყველა დარგის და პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის — სოციალისტური მშენებლობის ამ საფუძველთა საფუძვლის განვითარებას, სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

ლენინი გაბედულად უყურებდა მომავალს. ისტორიას არ მოუცია ჩვენთვის სოციალიზმის მშენებლობის მაგალითი. ჩვენს ხალხს პირველად უნდა გაეცადა გზა, გადაეწყვიტა ამოცანა, რომლის გადაწყვეტა არსად არ უცდიათ მსოფლიოში. ლენინი წერდა: „საბჭოთა ხელისუფლების ამოცანაა — იკისროს ამჟამად დაწყებული გარდატეხის განმმართველისა და — მისი აუცილებლობის დამკანონებლის როლი“ (ტომი 27, გვ. 246).

კომუნისტური პარტია ძლიერია იმით, რომ იგი თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს ერთადერთი სწორი მოძღვრებით — მარქსიზმ-ლენინიზმით. პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი თავისი ერთგულებით.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში პარტია მუდამ ეყრდნობოდა და ეყრდნობა ხალხთა მასებს, რომლებიც ისტორიის შემოქმედნი არიან. ამასთან პარტია ეყრდნობა ვ. ი. ლენინის მითითებებს მის შესახებ, რომ „მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში“ (ტომი 26, გვ. 338).

ლენინი გადაჭრით ებრძოდა პიროვნების კულტის იდეალისტურ „თეორიას“, რომელსაც მიეყვართ პარტიის როლის და მისი ხელმძღვანელი ცენტრის დამცირებამდე და რომელიც იწვევს პარტიული მასების და ყველა მშრომელის პასიურობას. უგულებელყოფს

ხალხის როლს ისტორიულ პროცესში. ასრულებს რა დიდი ლენინის მითითებებს, ჩვენი პარტია ყოველი ღონისძიებით ავითარებს მასების შემოქმედებით თვითმოქმედებას, განუხრელად აფართოებს და განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან.

ვ. ი. ლენინი ასწავლიდა კომუნისტურ პარტიას აღეზარდა კადრები პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპის — მუშაობაში კოლექტიურობის დაცვას სულისკვეთებით, მარქსიზმის შემოქმედებითად ათვისების სულისკვეთებით, პრაქტიკულად მისი დებულებებისა და დასკვნების სწორად გამოყენების უნარის სულისკვეთებით. მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე, რაც ემყარება მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძვლებს და ხელმძღვანელი კადრებისა და ხალხთა მასების ფართო ინიციატივას, უზრუნველყოფს პარტიისა და ქვეყნისადმი სწორ ხელმძღვანელობას, პარტიის რიგების ურღვევ ერთიანობასა და დარაზმულობას, შემუშავებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას. ლენინი იბრძოდა მშრომელთა რევოლუციური, შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, სოციალისტური სახელმწიფოს მართვაში, ახალი საზოგადოების მშენებლობაში, ხალხთა ფართო მასების ჩაბმისათვის.

ლენინი მოითხოვდა, რომ პარტიული მასები აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიულ საქმეებში, პარტიული მშენებლობის ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების შესაბამისად, პრინციპებისა, რომლებითაც ხელმძღვანელობს პარტია. ლენინი მიუთითებდა, რომ პარტია, რომელიც შექმნილია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით, ყველა საქმეს უნდა წარმართავდეს „...უშუალოდ თუ წარმომადგენლებს საშუალებით... პარტიის ყველა წევრი თანასწორუფლებიანი და ყოველ-

გვარი გამონაკლისის დატყვევებად“ (ტომი 11, გვ. 524).

პარტია თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს პარტიული ცხოვრების ნორმებით, ხელმძღვანელობის პრინციპებით, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა.

* * *

ვ. ი. ლენინს არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა სოციალიზმის მშენებლობა. გაბედულად წავიდა რა იმ გზით, რომელიც ლენინმა მიგვიჩვენა, და ხელმძღვანელობდა რა მისი გენიალური მითითებებით, კომუნისტურმა პარტიამ ლენინის საქმის დიდი განმგრობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით დარაზმვა ყველა საბჭოთა ადამიანი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ასაშენებლად.

სოციალიზმის მშენებლობა რომ დაიწყო, ჩვენმა პარტიამ თავის გენერალურ ხაზს საფუძვლად დაუდო მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულება მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის შესახებ.

მსხვილ მანქანურ მრეწველობას, რომელიც აწარმოებს წარმოების საშუალებებს, ლენინი უწოდებდა სოციალიზმის ერთადერთ მატერიალურ საფუძველს და იგი მიაჩნდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მთავარ საშუალებად, კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან ჩვენი სამშობლოს ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პირობად. ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ახალ ტექნიკურ ბაზაზე გადაყვანას ლენინი განუხრელად უკავშირებდა ელექტროფიკაციის საქმეს.

ეყრდნობოდა რა ლენინის თეორიას, ი. ბ. სტალინი არაერთგზის მიგვიჩვენებდა, რომ მძიმე მრეწველობის ზრდის ტემპის შენელება თვითმკვლელობა იქნებოდა, შეასუსტებდა მთელ ჩვენს მრეწველობას, მათ შორის მსუბუქსაც. მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით განვითარების ერთადერთი სწორი ხაზი, რომელიც დიდმა ლენინმა

დასახა, კომუნისტურმა პარტიამ განუხრებლად განახორციელა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

ჩვენმა ხალხმა ომამდელი ხუთწლეულების მანძილზე უზრუნველყო სოციალისტური მრეწველობის მწარმოებელი ძალების სწრაფი ზრდა. მსხვილი მრეწველობის პროდუქციას სსრ კავშირში თავის მოცულობით უკვე 1940 წელს ექირა პირველი ადგილი ევროპაში და მეორე — მსოფლიოში. იგი გაიზარდა 1913 წელთან შედარებით თითქმის 12-ჯერ. ინდუსტრიალიზაციის ასეთი ტემპი არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს სამრეწველო წარმოების 12-ჯერ გასადიდებლად დასჭირდა 80 წელი. ინგლისმა თავისი ინდუსტრია შექმნა 100 წლის განმავლობაში.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იყო.

ასრულებდა რა ლენინის კოოპერაციულ გეგმას, რომელიც შემდგომ განვითარებულა ი. ბ. სტალინის შრომებში და პარტიულ დოკუმენტებში, კომუნისტურმა პარტიამ იმას მიადგინა, რომ სოფლის მშრომელი მრავალმილიონიანი მასები ნებაყოფლობით გადავიდა ბურჟუაზიული ინდივიდუალური გლეხური წყობილებიდან საკოლმეურნეო, სოციალისტურ წყობილებაზე.

სსრ კავშირში დამკვიდრდა წყობილება, რომელიც ემყარება საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას მისი ორი ფორმით — სახელმწიფო (საზოგადოებრივი) და კოოპერაციულ-საკოლმეურნეოთი. ეს სოციალისტური წყობილება, რომელიც გამოირიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის გეგმავომიერ განვითარებას მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების ყველაზე უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით უახლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების განუწყვეტელი ზრდის გზით.

სსრ კავშირში სოციალიზმის განვითარების ბაზაზე გაიშალა და განვითარდა სოციალისტური საზოგადოების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორცაა მეგობრობა.

3. ი. ლენინი იყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის სულისჩამდგმელი. მან შეიმუშავა ეროვნულ საკითხში პარტიის მწყობრი თეორია, პროგრამა და ტაქტიკა.

ეროვნულ საკითხში ლენინის პროგრამული დებულებები შემდგომ განვითარებულა ი. ბ. სტალინის შრომებში. პარტიის გადაწყვეტილებებში. ასორციელებდა რა ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი დარაზმა ერთიან ძმურ ოჯახად, უზრუნველყო სსრ კავშირის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავება.

მაგალითად, საქართველოს სს რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი რუსი ხალხის, ჩვენი საშობლოს ყველა ხალხის ძმური დახმარებით მეფის რუსეთის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა მხარიდან იქცა მოწინავე ინდუსტრიის, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად, დიდად განვითარებულ სოციალისტური კულტურის რესპუბლიკად.

სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის წლები ამვე დროს იყო ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადების წლები. შეიქმნა ჩვენი საშობლოს თავდაცვის მძლავრი ეკონომიური ბაზა, რამაც დიდი სამამულო ომის დროს საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას განევითარებინა ძლევამოსილი სამხედრო მრეწველობა. მოემარაგებინა საბჭოთა არმია ყოველივე აუცილებლით, რაც საჭირო იყო მტერზე სრული გამარჯვებისათვის.

რების შემდეგ, ამ პერიოდში საბჭოთა ხალხმა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიშუშა კრილოვები, რომლებიც ჩვენს სამშობლოს ომმა მიაყენა და დიდად განავითარა სოციალისტური მეურნეობა, კულტურა, აამალა ცხოვრების დონე.

ლენინის მიერ აღზრდილი კომუნისტური პარტიის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი დაულალავდ მძღის წინ კომუნისტური მშენებლობის გზით. პარტია არ სჯერდება მიღწეულ წარმატებებს. იგი მძღის წინ და მიჰყავს ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

ჩვენი პარტია მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებით. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება, რომელიც ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებულ მოთხოვნალებს, განუწყვეტლივ მდიდრდება მასების რევოლუციური ბრძოლის ახალი გამოცდილებით. მარქსიზმ-ლენინიზმი დიდი ცხოველყოფილი მოძღვრებაა, რომელიც კომუნისმის მშენებლობის გზას გვინათებს.

კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

კომუნისტურ პარტიას, რომელიც ეყრდნობა ლენინისა და სტალინის მითითებებს, ისე როგორც წინათ, მთავარ ამოცანად მიაჩნია მძღიმ ინდუსტრიის — საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების, მისი თავდაცვისუნარიანობის საფუძველთა საფუძვლის, განვითარება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე ახალი ძალით აღინიშნა გენიალური ლენინის და მისი საქმის ერთგული განმგრძობის სტალინის მითითებათა დიდი მნიშვნელობა მძღიმ ინდუსტრიის ყოველი დონის

ნისძიებით განვითარების აუცილებლობის შესახებ.

ნიკოლოზი

ომის შემდგომ წლებში ახალი წარმატებებია მოპოებული მძღიმ ინდუსტრიის განვითარებაში. 1940 წელთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მთელი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდა 2,8-ჯერ, ხოლო მძღიმ ინდუსტრიის პროდუქცია მის მთავარ დარგთან — მანქანათმშენებლობასთან ერთად — 3,4-ჯერ.

წარმატებით ხორციელდება ლენინის ანდერძი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ. ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის წარმატებანი, სახალხო მეურნეობის აღჭურვა თანამედროვე ახალი ტექნიკით, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას. შრომის ნაყოფიერების ზრდა, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ახალი საზოგადოების ერთ-ერთი ძირეული ამოცანაა, რომლის გადაუჭრელად კომუნისმში გადასვლა შეუძლებელია. კომუნისტური პარტია აწყობს საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას იმისათვის, რომ შემდგომ გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს სახელმწიფო გეგმები.

როგორც აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, უკანასკნელ დროს, სახალხო მოხმარების საჭიროების წარმოების გადიდების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, ეკონომისტთა ერთ ნაწილში გავრცელდა მცდარი, ანტიმარქსისტული შეხედულება სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ძირეულ საკითხებზე. ეს ვაითფორეტკოსები ახდენდნენ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის ეულგარიზაციას, ცდილობდნენ დემოტიკეზინათ, რომ სოციალისტური მშენებლობის რომელიღაც ეტაპზე მძღიმ მრეწველობის უპირატესი განვითარება აღარ არის მთავარი ამოცანა და რომ მსუბუქ მრეწველობას შეუძლია გა-

უსწროს და კიდევაც უნდა გაუსწროს ინდუსტრიის ყველა სხვა დარგს. იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ეს მცდარი, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო მოსაზრებაა, მემარჯვენე ოპორტუნისტული, ლენინიზმისათვის მტრული მოსაზრებაა. მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება პარტიის მთელი ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი რგოლი იყო და იქნება. ამჟამად დროს, შეცდომა იქნებოდა უგულვებელგვყო პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოების, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ.

უკანასკნელ წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებით შემუშავებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობისათვის პროდუქტებისა და მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვისათვის ბრძოლის ფართო პროგრამა. ჩვენი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ძალაა მძიმე მრეწველობა, რომელიც უხვად ამარაგებს სოფელს ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით. 1919 წელს ვ. ი. ლენინი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ჩვენ გვექნებოდა 100 ათასი ტრაქტორი. 1954 წელს სოფლის მეურნეობას ჰქონდა 1260 ათასი ტრაქტორი, 326 ათასი მარცვლეულის კომბაინი და ბევრი სხვა პირველხარისხოვანი მანქანა.

ხალხის კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული ზრუნვით გამჭვალულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამა, რომელიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა. პლენუმმა საბჭოთა ხალხს დაუსახა ამოცანა — უახლოეს 5 — 6 წელიწადში ავიყვანოთ მარცვლეულის ყოველწლიური მოსავალი სულ ცოტა 10 მილიარდ ფუნ-

თამდე და გავადიდოთ მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ორჯერ და უფრო მეტად.

ჩვენი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანის წარმატებით განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, როგორც საბჭოთა წყობილების ურყევ საფუძველს, კიდევ უფრო გააუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობას, მიუახლოებს ჩვენს ქვეყანას დიად მიზანს — კომუნისმს.

პოლიტიკა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, ასახავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. ბულგანინმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიასზე აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა შემდგომშიც განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეიმუშავა კომუნისტურმა პარტიამ და მოიწონა ჩვენმა ხალხმა.

* * *

ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს, განუწყვეტლივ იზრდება მისი გავლენა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ლენინიზმის დროით მოიპოვა ისტორიული გამარჯვება დიდმა ჩინელმა ხალხმა, რომელმაც დაამსხვრია იმპერიალისტური მონობის ბორკილი და რომელიც ახლა აშენებს ახალ, თავისუფალ ცხოვრებას. ლენინიზმის დროით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს პოლონეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ალბანეთის და სხვა ქვეყნების მშრომელებმა, რომლებმაც თავი დააღწიეს იმპერიალისტურ სისტემას და წარმატებით გარდაქმნეს თავიანთი ქვეყნები სოციალიზმის საწყისებზე. ლენინიზმის იდეები აღაფრთოვანებს მსოფლიოს ყველა ხალხს იმის იმპერიალისტ გამაჩაღებელთა წინააღმდეგ, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, შიმშილისა და სიღატაკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მსოფლიოს სოციალისტური ბანაკი ახლა აერთიანებს 12 სახელმწიფოს 900 მილიონი მოსახლეობით. ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ემყარება სრული თანასწორობის, ურთიერთმხარდაჭერის, ძმური ურთიერთდახმარებისა და ამხანაგური თანამშრომლობის პრინციპს. სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ვერ შეაშინებენ „ატომის“ შანტაჟით, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა მუქარით.

ლენინიზმი უშუალოდ დაკავშირებულია მშვიდობისათვის ბრძოლასთან. საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის ისტორიაა. ლენინი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ორი სისტემის მშვიდობიან თანაარსებობის, მათი მშვიდობიანი შეჯიბრების შესაძლებლობას, აღნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან

პოლიტიკას იწონებს მსოფლიოს მშვიდობის დიდი უმრავლესობა და აქედან გამომდინარე საბჭოთა ხალხი მშვიდობის მომხრეთა გიგანტური არმიის ავანგარდშია. ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს ჩვენი ბრძენი პარტიის — სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის გმირულ საქმეებში.

ლენინიზმი ცოცხლობს გმირი საბჭოთა ხალხის — გამარჯვებული ხალხის საქმეებში, ჩვენს მშვიდობიან შრომაში. ლენინიზმი ცოცხლობს დედამიწის ყველა კუთხეში, ყველგან, სადაც არიან უბრალო ადამიანები, რომლებიც ესწრაფვიან ახალ, უკეთეს, ბედნიერ ცხოვრებას.

სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ ლენინის გზით, კომუნისმის ახალი გამარჯვებებისაკენ.



მ. ი. ლენინის ღირებულებები სოციალიზმის გზებზე შესახებ საპარტიო დოკუმენტებში

სოციალიზმის გამარჯვება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ისე როგორც ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მთელი ისტორია, მტკიცედ არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან.

ლენინი მუდამ დიდი ყურადღებით გვიდებოდა მუშათა და გლეხთა მოძრაობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში — ი. ბ. სტალინისა და მისი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით — ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ შეიქმნა მძლავრი ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც მრავალჯერან მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდნენ და რასმავდნენ რუსეთის ხალხთა საერთო მტრის — ცარიზმის, მემამულეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პარტიის III ყრილობამ სპეციალური რეზოლუცია მიიღო „კავკასიის ამბების შესახებ“, რომელიც დაწერილი იყო ლენინის მიერ. ამ რეზოლუციით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალედ მიესალმა კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას. ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა, უაღრესად ენერგიული ზომები მიეღოთ კავკასიაში მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებათა ფართოდ გასავრცელებლად

ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების და საწრეთ გასაუბრების საშუალებით¹.

III ყრილობის რეზოლუცია მიუთითებს იმ ურდევ მეგობრობაზე, რომელიც თავიდანვე დამყარდა რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხებს შორის.

რუსი და ამიერკავკასიის ხალხებ ერთად იბრძოდნენ ცარიზმისა და იმპერიალიზმის უღლის დასამხოვად. მაგრამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა — ქართველმა მენშევიკებმა, სომეხმა დაშინაკებმა და აზერბაიჯანელმა მესავატელებმა შექმნეს კონტრრევოლუციური ბლოკი, ამიერკავკასია მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და ჯერ გერმანელი დამპყრობლების მფარველობით, ხოლო შემდეგ ინგლისისა და ამერიკის იმპერიალიზმის ხიმტების დახმარებით იწყეს ამ ქვეყნებში თარეში. გერმანელმა, ინგლისელმა და ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათი ნება-სურვილის შემსრულებელმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მთავრობებმა ჩაგვრის მიმე უღელი დაადვეს ამიერკავკასიის ხალხებს, ხელოვნულად გამოიწვიეს „სასაზღვრო კონფლიქტები“ და ეს მხარე მოქმე ხალხთა შორის ომებისა და ეროვნული შუღლის ასპარეზად აქციეს. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელბულა იმპერიალისტთა და მათ მიერ მოწყიდულ ნაციონალისტურ მთავრობათა პარპაში. ამიერკავკასიის ხალხებმა თვალნათლივ დაინახეს, რომ რუს ხალხთან კავშირის

¹ ვ. ი. ლენინი. თხ. ტ. II, გვ. 497 — 498.

გაწყვეტას ისინი დაღუპვისაკენ მიჰყავდათ, გააჩაღეს შეუპოვარი ბრძოლა რუსეთთან კავშირის აღდგენისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და დიდი რუსი ხალხის დახმარებით ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. 1920 წლის 28 აპრილს საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აზერბაიჯანში, 1920 წლის 29 ნოემბერს — სომხეთში, 1921 წლის 25 თებერვალს — საქართველოში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დამყარებით დამთავრდა ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლება კონტრრევოლუციურ-ბურჟუაზიული რეჟიმისაგან. აღდგენილი იქნა კავშირი დიდ რუს ხალხთან. დაიწყო ახალი ერა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში შედეგია იმ ძალაგერი სამხედრო კავშირისა, რაც შეიქმნა რუს და ამიერკავკასიის ხალხებს შორის სამოქალაქო ომის პერიოდში, შედეგია დიდი რუსი ხალხის და მისი გმირი წითელი არმიის დახმარებისა. „რომ არ ყოფილიყო საბჭოთა რუსეთი, — ამბობდა ს. ორჯონიკიძე, — არ იქნებოდნენ საბჭოთა აზერბაიჯანი, საბჭოთა საქართველო, საბჭოთა სომხეთი და ისინი დღესაც ინგლისის იმპერიალიზმის ქუსლის ქვეშ იქნებოდნენ. მხოლოდ რუსეთის მუშებთან და გლეხებთან კავშირში, რუსეთის წითელ არმიასთან კავშირში აზერბაიჯანელმა მუშებმა და გლეხებმა, ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, სომეხმა მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს თავისი განთავისუფლება“¹.

1920 წ. 30 სექტემბერს დადებულ იქნა „სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება“ რსფს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის, 1921 წლის 21 მაისს — რსფს რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, 1921 წლის 30 სექტემბერს — რსფს რესპუბლიკასა და სომხეთს შორის.

მიუხედავად იმისა, რეჟიმებისა რუსეთი თვითონ განიტყვებდა, მიუტრ სიძინელებს, მან დიდი ეკონომიური და ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ამიერკავკასიის ხალხებს.

„განა საბჭოთა რუსეთის მატერიალური დახმარების გარეშე განმტკიცდებოდა აქ (ამიერკავკასიაში. გ. ს.) საბჭოთა ხელისუფლება? — ამბობდა ს. ორჯონიკიძე 1922 წლის 11 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე, — საბჭოთა რუსეთი გვიგზავნიდა პურს შარშან და გვიგზავნის წელსაც. მან მოგვცა ოქრო მულანის სარწყავი სისტემის აღსადგენად, მან გაიღო წელსაც 800 ათასი მანეთი ოქროთი მულანისათვის ტრაქტორების საყიდლათ. მან გაიღო 690 ათასი მანეთი ოქროთი მეაბრეშუმეობის აღსადგენათ სომხეთში. მან, საბჭოთა რუსეთმა მოგვცა 700 ათასი მანეთი ოქროთი თბილისთან ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. შარშან კი იმავე საბჭოთა რუსეთმა მისცა აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს 8 მილიონზე მეტი მანეთი ოქროთი“.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა რუსეთი თვითონ განიცდიდა დიდ ეკონომიურ სიმწიფეებს.

ამიტომ ვ. ი. ლენინი, უწყვედა რა დახმარებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ამავე დროს, იძლეოდა ბრძნულ მითითებებს ადგილობრივი რესურსების გამონახვის აუცილებლობის შესახებ: „... უნდა გაგაფრთხილოთ, — სწერდა ვ. ი. ლენინი 1921 წლის 9 აპრილს ს. ორჯონიკიძეს — ჩვენ აქ ძლიერ გვიჭირს და ვერ შევძლებთ დაგვეხმაროთ. დაბეჯითებით მოვითხოვ, შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის, მთელი ძალეებით დააწვეთ კონცესიებს, განსაკუთრებით საქართველოში; შეეცადეთ იყიდოთ თესლი თუნდაც საზღვარგარეთ და წინ წასწიოთ რწყვა აზერბაიჯანში ბაქოს რესურსების დახმარებით, რათა განეითარდეს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, აგრეთვე შეეცადეთ განავითა-

¹ ვ. ი. ორჯონიკიძე, რუსული სტატიები და სიტყვები, 1939 წ. გვ. 163 — 164.



როთ საქონელგაცვლა ჩრდილოეთ კავკასიისთან¹.

ლენინის ამ მოთხოვნის ისტორიული მნიშვნელობა ის იყო, რომ მას მოპარობაში მოპყავდა ამიერკავკასიის ხალხთა საწარმოო ძალები და ამ ძალებს წარმართავდა ახალი გზით — ამიერკავკასიის ხალხთა მშური თანამშრომლობის გზით.



ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე დღემდე ლენინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ და სამხედრო განმტკიცებას, თვითველ რესპუბლიკაში მუშათა და გლეხთა მძლავრი კავშირის შექმნას, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთთანამშრომლობის საკითხის მოგვარებას. თავის მისალმებაში 1920 წ. 5 მაისს საბჭოთა აზერბაიჯანისადმი, ლენინი წარმატებას უსურვებს „აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს, ...აზერბაიჯანისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა კავშირს“ და იმედს გამოთქვამს, რომ „აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა რსფსრ-სთან ერთად დაიცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მოსისხლე მტრისაგან — იმპერიალიზმისაგან“².

იმპერიალიზმის თავდასხმისაგან ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა და, საქართველის შემთხვევაში, მთელი მშრომელი ხალხის შეიარაღება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვ. ი. ლენინი მოითხოვდა წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნას.

1921 წლის 3 მარტს ი. ბ. სტალინმა პირდაპირი მავთულით გადმოსცა

ვ. ი. ლენინის წერილი გ. კ. ორჯონიკიძისადმი. ლენინი ამბობდა, რომ „საკუროთა დაუყოვნებლივ შევიაარალოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და აწინაურად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“¹. ორჯონიკიძემ იქვე სთხოვა ი. ბ. სტალინს, გადაეცა ვ. ი. ლენინისათვის, რომ საქართველოში „მუშები და უღარიბესი გლეხები უკვე იარაღდებიან“². ეს იყო წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნისათვის მუშაობის დასაწყისი. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო რეაქცია — ინგლისელი იმპერიალისტები, მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალი, ქართველი მენშევიკები კბილებს იღესავენენ საქართველოზე, ცდილობდნენ მას ჩამოშორებას რუსეთისაგან, ვ. ი. ლენინი შემდეგაც უბრუნდები ამ საკითხს. 1922 წლის 13 თებერვალს ლენინი კვლავ უგზავნის წერილს გ. კ. ორჯონიკიძეს და მას ასეთ დაავლებას აძლევს:

„ამხ. სერგო!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს...

შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო ტექნიკურ წესებზე“.

ამ წერილს აქვს ი. ბ. სტალინის შემდეგი მინაწერი:

„ამხ. ლენინის ნათქვამს ვერაფერს დავემატებ. ვფიქრობ, რომ სერგო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდებიან ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული ღონისძიების მთელ აუცილებლობას“³.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ 1922 წლის 25 თებერვალს

¹ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 35, გვ. 510.

² ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 31, გვ. 152.

¹ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 32, გვ. 189.

² ვახ. „კომუნისტი“, № 6, 1921 წ., 8 მარტი.

³ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 33, გვ. 226—227.

გ. კ. ორჯონიკიძის მოხსენების საფუძველზე მართლაც მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

წითელი არმიის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ნაწილების სახით იქმნებოდა ძალა, რომელიც შევიდა რა წითელი არმიის საერთო შემადგენლობაში, იმპერიალისტებს საბჭოთა ამიერკავკასიაზე თავდასხმის მადას უკარგავდა.

ამიერკავკასიის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის საჭირო იყო აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხებს შორის ეროვნული შუღლის საბოლოოდ აღმოფხვრა, მენშევიკების, დამნაევების, მუსავატელების მიერ შეღავათებული ინტერნაციონალური ერთიანობის აღდგენა და შემდგომი განმტკიცება.

ვ. ი. ლენინისათვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვდა ამიერკავკასიის ხალხთა მთელი ძალების გაერთიანებას. ეს აზრი მან გამოთქვა 1921 წ. 9 აპრილს ს. ორჯონიკიძისადმი გამოგზავნილ წერილში, რომელშიც დაბეჯითებით მოითხოვდა, შექმნილიყო „საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის“. შემდგომი განვითარება ამ შესანიშნავმა იდეამ მიიღო 1921 წლის 14 აპრილის წერილში— „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიულთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“, რომელშიც ლენინი იმედს გამოთქვამს, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „მკიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“¹.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებებმა წინასწარ განაპირობა ამიერკავკასიაში მშვიდობის დამყარებისა და მისი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის მსლავრი ინსტრუმენტის — ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა.

დიდად დააჩქარა ეს პროცესი ი. ბ. სტალინის ჩამოსვლამ საქართველოში 1921 წ. ივლისს. 1921 წლის 6 ივლისს ი. ბ. სტალინმა თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე გააკეთა მოხსენება „კომუნისმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, რომელშიც ფაქტების უღმობელი ლოგიკით დაამტკიცა, რომ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთს არ შეუძლიათ უერთმანეთოდ და ყველას კი — საბჭოთა რუსეთის დაუხმარებლად ცხოვრება, „როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მეურნეობრივი თვალსაზრისითაც“.

„...საქართველო, რომელსაც სურსათსანოვადე აკლია,— თქვა ი. ბ. სტალინმა,— საჭიროებს რუსეთის ბურს, თავს ვერ გაიტანს უიმისოდ... საქართველო, რომელსაც თხევადი სათბობი არა აქვს, ცხადა, ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროებს აზერბაიჯანის ნავთის პროდუქტებს, თავს ვერ გაიტანს უიმითოდ... საქართველო, რომელსაც აკლია საქსპორტო ფონდები, საჭიროებს რუსეთის მხრივ ოქროთი დახმარებას საქონლის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად“².

ი. ბ. სტალინმა დაამტკიცა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეურნეო წარმატებაც შეუძლებელი იყო საქართველოს წვლილის გარეშე, ისე როგორც ყველა მთავანისათვის აუცილებელი იყო დიდი რუსი ხალხის დახმარება.

„... გაერთიანების განუხორციელებლად, — თქვა შემდეგ ი. ბ. სტალინმა,— შეუძლებელია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების, მეტადრე საბჭოთა საქართველოს, სამეურნეო წარმატება“³.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მითითებათა საფუძველზე უკვე 1921 წელსვე ამიერკავკასიის ფარგლებში გაერთიანდა რკინიგზები და საგარეო ვაჭრობა, რამაც საგრძნობლად წასწია

¹ ი. ბ. სტალინი, ოსზ., ტ. 5, გვ. 102—103.

² იქვე, გვ. 105.

³ ვ. ი. ლენინი, ოსზ., ტ. 32, გვ. 397.

წინ ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოების საქმე და დააჩქარა მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული გაერთიანება.

1921 წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ერთობლივი მონაწილეობა მიიღეს ყარსის კონფერენციაში, რომელმაც მოაწესრიგა საზღვრები და ურთიერთდამოკიდებულება თურქეთთან.

ამრიგად, როგორც საშინაო, ისე საგარეო პირობები მოითხოვდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას ფედერაციის საფუძველზე.

გათვალისწინა რა ამიერკავკასიის ხალხთა ფართო მასების მოთხოვნა, 1921 წლის 3 ნოემბერს რ. კ. ბ. (ბ) კავკასიის ბიურომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ანხ. ვ. მ. მოლოტოვის მონაწილეობით მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ. კავბიუროს ინიციატივით, ეს საკითხი მაშინვე დასმული იქნა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

1921 წლის 28 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა შეადგინა წინადადების პროექტი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ.

პროექტში ნათქვამი იყო:

„1) ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა აღიარებული იქნეს პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც უშუალოდ უნდა განხორციელდეს, მაგრამ დუყოვნებლივ პრაქტიკულ განხორციელების მხრივ ნაადრევად, ვ. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვეყიდან გატარებისათვის;

2) წინადადება მიეცეს (კავბიუროს მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად პარტიისა და მუშათა და გლეხთა მასების წინაშე, ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და

გაიყვანონ იგი თვითუღმარებლობის საბჭოების ყრილობებზე და დაიწყონ სოციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს“¹.

1921 წლის 29 ნოემბერს ვ. ი. ლენინის პროექტი მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ.

ვ. ი. ლენინის წინადადების შესაბამისად, 1921 წლის დეკემბერში საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ფართო მზადება დაიწყო საბჭოების ყრილობის მოსაწვევად. მშრომელთა დიდი აქტიობისა და მხარდაჭერის პირობებში ჩატარდა საბჭოების ადგილობრივი და რესპუბლიკური ორგანოების არჩევნები. 1922 წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა სრულყოფილი კონფერენციამ შექმნა ამიერკავკასიის ფედერაცია — ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი, რომელიც იმავე წლის დეკემბერს გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ გაჩაღდა მოძრაობა ერთ კავშირში საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ინიციატივის საფუძველზე 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა მძლავრი ერთიანი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფო მსოფლიოში.



ვ. ი. ლენინის მითითებების არსებით მხარეს წარმოადგენს ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის, ეკონომიკის და სულიერი ცხოვრების თავისებურებითა ღრმა ანალიზი და მათი გათვალისწინე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 134.

ბა კომუნისტური პარტიის სამოქმედო ტაქტიკის განსაზღვრისათვის.

რა თავისებურებანი ჰქონდა ვ. ი. ლენინს მხედველობაში?

ლენინი, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი კომუნისტების ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ რუსეთსა და ამიერკავკასიაში ერთნაირ პირობებში როდი გაიმარჯვდა საბჭოთა ხელისუფლებამ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას არსაიდან არ მიუღია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. იგი მთელი წლობით მარტოდმარტო იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ. მართალია, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას ესპარტობოდნენ „განაპირა ქვეყნების“ მშრომელები თავიანთი შეუპოვარი ბრძოლით ადგილობრივი ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ, რაც ასუსტებდა იმპერიალიზმის ჯაჭვს, მაგრამ ეს არ იყო პირდაპირი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. სულ სხვა პირობებში გაიმარჯვდა საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის მაგალითზე ბრწყინვალედ დადასტურდა ლენინის სიტყვები, იმის შესახებ, რომ მსოფლიოს არც ერთი შემდგომი მუშათა რევოლუცია არ დაიწყება ისეთ მძიმე პირობებში, რა პირობებშიაღაც რუსეთის რევოლუცია დაიწყო¹. ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ძირითადი თავისებურება ის იყო, რომ მას ჰქონდა მძლავრი პოლიტიკური და სამხედრო დახმარება საბჭოთა რუსეთის მხრივ. საბჭოთა ხელისუფლების მოპოვება, მისი შენარჩუნება და სოციალიზმის გამარჯვება ამიერკავკასიაში განაპირობდა რუს ხალხთან მტკიცე კავშირმა; მისმა უანგარო დახმარებამ.

მეორე თავისებურებად ლენინი თვლიდა იმ ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც შეიქმნა საერთაშორისო მდგომარეობაში 1921 წელს. 1918—1919 წლებში ანტანტა ძალებს არ ზო-

გავდა საბჭოთა რუსეთზე თანდასხმებისთვის, ასაზრდოებდა რუსეთის კონტრრევოლუციას, მაგრამ 1921 წელს, სამი დიდი ლაშქრობის ჩაშლის შემდეგ, ანტანტა ძალაგამოლეული იყო, მან „ხელები მოიწვა“ რუსეთზე, რამაც აძულა იგი უფრო ფრთხილად მოქცეულიყო და დამოკიდებულება შეეცვალა საბჭოთა რუსეთთან. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებსაც. „ახლა არ უნდა გეშინოდეთ იმისა, — სწერდა ლენინი კავკასიელ კომუნისტებს, — რომ ანტანტა თავს დაგესხმით და სამხედრო დახმარებას გაუწყებს ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, დაღესტნულ დი მთიელ თეთრგვარდიელებს“¹. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს მართლაც დიდ წინააღმდეგობათა გადალახვა მოუხდათ. იყო შემთხვევები, როცა კლასობრივი მტერი აშკარა შეტევაზე გადმოდიოდა, მაგრამ ის მოკლებული იყო ანტანტის სახელმწიფოების მხრივ სერიოზულ დახმარებას, რის გამოც მისი განადგურება ადვილად მოხერხდა. ამ თავისებურებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის დაწყებისა და მისი შემდგომი გაშლის საქმეში.

ამიერკავკასიის ხალხების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მესამე თავისებურება გამომდინარეობდა მეფის რუსეთიდან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიური ჩამორჩენილობისაგან. როგორც ცნობილია, ე. წ. განაპირა მხარეებს მეფის რუსეთი აქცევდა ნედლეულის წყაროდ, მეტროპოლიის აგრარულ დანამატად. ასეთ მდგომარეობაში იყო მამინდელი ამიერკავკასიაც.

ამიერკავკასიის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თავისებურება — მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა — ლენინმა სხარტად და მოხდენილად გამოხატა:

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 151.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 398.

„კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლესური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი“. ცხადია, ამ თავისებურების გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა დიდ ოჯახში ამიერკავკასიის ხალხების მომავალი განვითარებისათვის.

მეოთხე თავისებურება, ისე როგორც პირველი და მეორე, ამიერკავკასიას ხელსაყრელად განასხვავებდა საბჭოთა რუსეთისაგან. ეს იყო შესაძლებლობა „უფრო სწრაფად და უფრო ადვილად“ მოეგვარებინა „თანაცხოვრება“ და საქონელცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან, რასაც საბჭოთა რუსეთი თავიდანვე მოკლებული იყო. დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნები საბჭოთა რუსეთში საქონლის ნაცვლად გზავნიდნენ ტანკებითა და ქვემეხებით დატვირთულ ეშლონებს, კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცთა დაღ შენაერთებს, რათა სისხლში ჩაეხრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. 1921 წელს, როცა ლენინი კავკასიის კომუნისტებს თავის ისტორიულ წერილს წერდა ანტანტას უკვე ხელი ჰქონდა აღებული შეიარაღებული ინტერვენციის განზრახვაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გადადგმული რეალური ნაბიჯები ეკონომიური ურთიერთობის აღსადგენად კაპიტალისტურ დასავლეთთან. ლენინი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ეკონომიურად რუსეთი მოწყვეტილი იყო და მნიშვნელოვნად ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან: კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოაგვაროს „თანაცხოვრება“ და საქონელცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან“.

ეს არაა ყველა განსხვავება. — აღნიშნავდა იქვე ლენინი, — მაგრამ აღნიშნული განსხვავებანიც საკმარისია იმის გასაგებად, რომ აუცილებელია სხვაგვარი ტაქტიკა“¹.

თვალისწინებდა რა ამ თავისებურე-

ბებს, ლენინი საჭიროდ მიიჩნევდა რუსეთისაგან განსხვავებულ მოსაქმეობას გამოყენებას ამიერკავკასიაში.

ამ საკითხს ლენინი პირველად შეეხო თავის წერილში გ. კ. ორჯონიკიძისადმი 1921 წ. 2 მარტს, ესე იგი, იმ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლება, ის-იყო, მკვიდრდებოდა საქართველოში. ლენინი აღნიშნავდა:

„გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისაგან მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული“¹.

მალე ნათელი გახდა, რომ ეს „თავისებური“ „მოხერხებულად და მოქნილად“ შემუშავებული ტაქტიკა საჭირო იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვის და აი, 1921 წლის 14 აპრილს წერილში „ახერხაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიულთა რესპუბლიკის ამხანაგ — კომუნისტებს“ ლენინი კვლავ უბრუნდებდა ამიერკავკასიაში კომუნისტების სამოქმედო ტაქტიკის საკითხს და გვაძლევს მის ყოველმხრივ და ამომწურავ განსაზღვრას. „...ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, — აღნიშნავს ამ წერილში ლენინი, — რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრძალდ კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოეჭკრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას... მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წერილი ბურჟუაზიის, ინტე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 398.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190.

ლიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ¹.

ლენინი თვლიდა, რომ სოციალიზმზე გადასვლა ამიერკავკასიაში მოითხოვდა უფრო მეტ მოსამზადებელ მუშაობას. ამიტომ იგი დარიგებას იძლეოდა: „უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სხვ რესპუბლიკისაგან განსხვავებით. ან რა უნდა შეიქმნათ და რის განხორციელება უნდა შეძლოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით“².

განსაზღვრა რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული განმტკიცების გზა, კომუნისტების სამოქმედო ტაქტიკა, ლენინმა ამიერკავკასიის კომუნისტებს დაუსახა გრანდიოზული ამოცანები სოციალიზმის მშენებლობის დარგში. ეს ამოცანები გამოიმდინარეობდა ლენინის მიერ შემუშავებული მეცნაერულად დასაბუთებული პროგრამიდან, რომელიც გულისხმობდა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადატევას მოწინავე მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობის კოლხერაციული გეგმის ცხოვრებაში გატარებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

მიუხედავად პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეებით დატვირთულობისა, ლენინი თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ იწყებდნენ სოციალიზმის შენობის აგებას ამიერკავკასიის მშრომელები საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ოჯახში.

მაგრამ ლენინის სიცოცხლეში მხოლოდ დაიწყო მის მიერ შემუშავებული სოციალიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელება. ეს ისტორიული მნიშვნელობის პროგრამა პარტიამ განა-

ხორციელა ლენინის გარდაცვალები შემდეგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

რა ძირითად ამოცანებს სახავდა ლენინი ამიერკავკასიის კომუნისტების წინაშე და როგორ სრულდებოდა ისინი? იმპერიალისტურმა ომმა, შემდეგ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებისა და უცხოელი იმპერიალისტების ბატონობამ კატასტროფად მიიყვანეს ამიერკავკასიის ეკონომიკა. როდესაც ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქცია 1913 წლის ისედაც მეტისმეტად დაბალი დონის მხოლოდ 18 — 20 პროცენტს შეადგენდა.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა ითვალისწინებდა მხარის მთელ სახალხო მეურნეობის აღდგენას ომამდელ დონემდე და მის შემდგომ განუზრუნველწინსვლას.

ლენინი, უწინარეს ყოვლისა, ამიერკავკასიის კომუნისტების ყურადღებას მიაქცევდა მიწის წიაღისეული სიმდიდრის გამოყენებას.

„ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მლარეობი), სპილენძი, — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია“¹.

ამ მოითვებდას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ამიერკავკასიისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ნავთზე და მარგანეცზე, რომელთა მოპოვება იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის წლებში კატასტროფულად შემცირდა. ამიტომ, ლენინის დავალებით, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ დარგებს მოჰკიდეს ხელი და მალე დიდ წარმატებას მიაღწიეს.

ბაქოს ნავთის მრეწველობის აღდგენის საქმეს პირადად ე. ი. ლენინი ხელ-

¹ ვ. ი. ლენინი, ოსზ., ტ. 32, გვ. 397.

² იქვე, გვ. 399.

¹ ვ. ი. ლენინი, ოსზ., ტ. 32, გვ. 398.

მძღვანელობდა. 1921 წლის 27 მაისს ლენინი ასეთ დირექტივას აძლევს „გლავტოპსა“ და „გლავნეტს“:

„საქიროა გაძლიერდეს ბაქოსადმი მზრუნველობა და დახმარება.

გთხოვთ შრომისა და თავდაცვის საბჭოში შემოიტანოთ ბაქოსადმი დახმარების სისტემატურ ღონისძიებათა პროგრამა...

უნდა დაეაწესოთ მუდმივი მეთვალყურეობა იმისა, თუ რა ხდება ბაქოში და ჩვენ რით ვეხმარებით“¹.

ვ. ი. ლენინის მითითებით, სასურსათო მრეწველობის კომისარიატმა ამერიკეკასიაში გამოგზავნა 630 ვაგონი სურსათი, შეკერილი ტანსაცმელი და მოწყობილობანი. მარტო ბაქოს მოსახლეობამ აქედან 100 ვაგონი სურსათი და რამდენიმე ვაგონი ტანსაცმელი მიიღო. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბაქოს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას, რის შედეგად ნავთის სარეწებიდან წასული ასობით კვალიფიციური მუშა დაუბრუნდა თავის საყვარელ სამუშაოს.

თავდაპირველად განზრახული იყო ბაქოს ნავთის სარეწების აღდგენა კონცესიის წესით, ამერიკულ კომპანიებისათვის დროებით მათი გადაცემის გზით, მაგრამ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულმა ღონისძიებებმა, ბაქოს მუშების ენთუზიაზმმა და პარტიოტიზმმა შესაძლებელი გახადეს სარეწების აღდგენა საკუთარი ძალით. ამერიკის კომპანიებთან მხოლოდ ტექნიკური დახმარების შესახებ იქნა დადებული ხელშეკრულება და მალე იმის გამო, რომ ბაქოს მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა კარგად ათვისეს ნავთობის მოპოებისა და გადამამუშავების ტექნიკა, ეს ხელშეკრულებაც გაუქმდა.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ ჭიათურის მალარობები. ამ ძვირფას საგანძურს რევოლუციამდე ფლობდა 25-მდე კერ-

ძო კაპიტალისტური კომპანიები, რომლებიც უმთავრეს ყურადღებებს აქცევდნენ მადნის მტაცებლურ ექსპლოატაციას და უცხოეთში გაზიდვას. საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მარგანეცის მალაროთა ნაციონალიზაცია და, რაკი მაშინ ღიდ ეკონომიურ და ტექნიკურ სიძნელებებთან გვეჭონდა საქმე, 1925 წლის 25 ივლისს ისინი დროებით გაეცემული იქნა საკონცესიოდ. მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ კონცესიონერი — ამერიკელი „ე. ა. პარიმანის კამპანია“ სისტემატურად არღვევდა ნავის ვალდებულებებს და მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ თანხების დაუბანდებლად, მუშებისათვის დაბალი ხელფასის შენარჩუნებით, მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების დაქვეითებით, თითქმის მუქათად მიეღო ძვირფასი მადანი. ამიტომ 1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ თავის ხელში აიღო ჭიათურის მალარობების ექსპლოატაციის საქმე. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იღებდნენ ჭიათურაში მარგანეცს, მაგრამ ამ მადნის ადგილობრივ გამოყენების ცდებიც კი არ ყოფილა. ეს საკითხი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა. ჭიათურის ახლოს, ზესტაფონში, 1928 წელს დაიწყო და 1933 წელს დამთავრდა მშენებლობა დიდი ფერო-მარგანეცის ქარხნისა. ზესტაფონის ქარხანა თავისი პროდუქციით საბჭოთა კავშირის მრავალ საწარმოს ამარაგებს.

ტყიბულის ქვანახშირის მალარობის სახითაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამორჩენილი კუსტარული საწარმო მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ტყიბულის მალარობის საესებით აღდგენა და მათი შეიარაღება უახლესი ტექნიკით, რამაც შედეგად მოგვცა ქვანახშირის ამოღების სისტემატური ზრდა. უკვე 1925 წელს ტყიბულის მალარობიდან ორჯერ მეტი ქვანახშირი იქნა ამოღებული, ვიდრე 1920 წელს, ხოლო 1931 წელს — 142 ათასი ტონა, რაც თითქმის ოთხჯერ აღემატებოდა 1920 წლის დონეს.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 528.

საბჭოთა ხელისუფლება არ დაკმაყოფილდა ტყვეულის ქვეანახშირით და შექმნა ტყვეარჩელში, ახალციხეში და სხვაგან ახალი შახტები, რომლებიც ამჟამად დიდძალ ქვეანახშირს აწვდიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების საწარმოებს.

ვ. ი. ლენინი მითითებას იძლეოდა: „მთელი ძალდონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა... ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყეთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“¹.

ეს სიტყვები იმ დროს იწერებოდა, როცა უკვე ძალაში იყო შესული რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა („გოელრო“), რომელსაც ლენინი პარტიის მეორე პროგრამად თვლიდა, ხოლო ვ. ი. სტალინმა მას უწოდა „ნამდვილად სახელმწიფო სამეურნეო გეგმა უბრძვალად“².

აძლევა რა კავკასიის კომუნისტებს დირექტივას ელექტროფიკაციისა და მორწყვის „დიდი სამუშაოების შესახებ“, ლენინს იმთავითვე მხედველობაში ჰქონდა მთელი მხარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ახალ ტექნიკურ საფუძველზე. ამიერკავკასია წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურ გეგმაში.

1922 წლის მაისში თბილისის მშრომელებმა მოაწყვეს შაბათობა და საფუძველი ჩაუყარეს ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებლობას. ამით დაიწყო ელექტროფიკაციის დარგში ლენინის მითითებათა განხორციელება.

ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგური, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს

ატარებს, ელექტროფიკაციის მუშაობის ამიერკავკასიაში.

საქართველოს ყველა მშრომელს სიამაყით შეუძლია გაიმეოროს პოეტის სიტყვები:

„ზაქსის შვი, ცად აფრინლო,
წყვებოდა ნემს ველის უცარს
სინაოლე ზემოთის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინაოლე იქცა.

ჰიდრო-ელექტროსადგურების მშენებლობასთან ერთად ამიერკავკასიაში იქმნებოდა დიდი სარწყავი სისტემები.

სარწყავი სისტემების შექმნა და ქობების ამოშრობა საგრძნობლად წინ სწევდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობას.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წინასწარ პირობას წარმოადგენდა მძლავრი სოციალისტური მრეწველობის შექმნა და მისი წარმატებანი. ამიერკავკასიის მშრომელთა ძმური გაერთიანების პირველივე წლები ამ მხრივ უდიდესი მიღწევებით აღინიშნა. დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით შეიქმნა მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც ამ მხარისათვის მანამდე საუბედოოდ უცნობი იყო. არსებული საწარმოების რეკონსტრუქციამ და მთელი რიგი ახალი საწარმოების შექმნამ უზარუნველყო სახალხო მეურნეობის მთელ შემოსავალში მრეწველობის პროდუქციის განუწყვეტელი ზრდა.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა ან მსუბუქი მრეწველობა დაქვეითდა. პირიქით, მძიმე მრეწველობის ზრდა სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობის საწინდარი იყო.

ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა. ამიერკავკასიის

¹ ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 32, გვ. 398—399.

² ვ. ი. სტალინი, ობზ., ტ. 5, გვ. 54.

საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე მოხდა მიწისა და მთელი წიაღისეული სიმდიდრის ნაციონალიზაცია. მიწა ჩამოერთვა მემამულეებს და საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა, ათასობით და ათი ათასობით უმიწო გლეხებმა მიიღეს დასამუშავებელი მიწა. საბჭოთა ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევდა გლეხებს, იცავდა, მათ კულაქის კლანკებისაგან, ეხმარებოდა იარაღ-მანქანებით, თესვით, სესხით, სურსათით, მაგრამ ამასთანავე აწუხდებდა ნიადაგს სოფლის მეურნეობის სოციალიზმის რელსებზე გადასაყვანად.

1932 წლის 12 მარტს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ზეიმით აღინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის ათი წლისთავი.

ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1929 — 1930 წლებში, წერტილმა გლეხურმა მეურნეობამ მასობრივად იბრუნა პირი კოლმეურნეობისაკენ.

1930 წლის 5 იანვრის დადგენილებით, პარტიამ სსრ კავშირის ოლქები კოლექტივიზაციის ტემპების თვალსაზრისით სამ ჯგუფად დაპყო და თვითველ მათგან კოლექტივიზაციის დამთავრების სხვადასხვა ვადა დაუწესა.

დიდი ლენინის მითითებამ, რომ ამიერკავკასიაში საჭირო იყო „უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე“, გამოხატულება პპოვა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში კოლექტივიზაციის ტემპის განსაზღვრაში. იგი მიეკუთვნა მესამე ჯგუფს და აქ კოლექტივიზაციის დამთავრების ვადად დადგენილი იქნა 1933 წელი.

ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მისალმებაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშებისა და შრომელი გლეხობისადმი აღნიშნავდა:

„თქვენ, ამხანაგებო, ლენინის რევოლუციონალური პოლიტიკის განხორციელებით შესარულეთ ლენინის ანდერძი. ამ ხნის განმავლობაში ამიერკავკასია გადააქციეთ ნაციონალური მშვიდობიანობის ნიშნულად, რომელიც უმაგალითოა „ბურჟუაზიული წყობილების პირობებში“ (ლენინი). თქვენ, ამხანაგებო, ამტკიცებთ რა საბჭოთა ხელისუფლებას და თქვენ მშურ კავშირს, საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარებით ბურჟუაზიის დროს უმაგალითო და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში შეუძლებელი სასწრაფოთ ავითარებთ ამიერკავკასიის ქვეყნების მეურნეობას“.¹

1935 — 1937 წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, ისე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა და შეიქმნა მტკიცე საფუძველი სოციალიზმიდან კომუნისტურ საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლისათვის.

1936 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითმა წონამ 74,9 პროცენტს მიაღწია, სომხეთში — 63 პროცენტს, აზერბაიჯანში — 76,5 პროცენტს. მრეწველობის პროდუქციის მოცულობამ 1913 წლის დონეს გადააჭარბა: საქართველოში — 18,6-ჯერ, სომხეთში — 13-ჯერ, აზერბაიჯანში (ნათის მრეწველობის ჩათვლევად) — 12-ჯერ.

ამრიგად, ამიერკავკასიის რესპუბლიკები, ქვეყნები, „კიდევ უფრო გლეხური, ვიდრე რუსეთი“ (ლენინი) იქცნენ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად, რომლებსაც უკვე მაშინ ჰქონდათ უაღრესად განვითარებული სოფლის მეურნეობა და მოწინავე სოციალისტური კულტურა.

ამავე პერიოდში ძირითადად დამთავრდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. საქართველოში კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 70 პროცენტი, სომხეთში — 80 პროცენტი, აზერ-

¹ ვაზ. „კომუნისტა“, № 60, 1932 წ. 12 მარტი.

ბაიჯანში 78 პროცენტი. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში შეიცვალა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურული სახე, აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

1936 წლის 24 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიის სხდომაზე ამხანაგი კ. ე. ვიროზილოვი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ზეიმში, ამბობდა: „ეღვწისაწაულობთ რა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავს ჩვენ ყველას—ბოლშევიკებს—სიამოვნებით შეგვიძლია ვუბატაკოთ ლენინს, ხალხთა მძლავრი ოჯახის დიდ შემქმნელს, რომ ჩვენ, რომლებიც ვმუშაობდით სტალინის ხელმძღვანელობით, არ გაგვიფუჭებია საქმე, რომ ჩვენ ვმუშაობდით ისე, როგორც ამას ლენინი მოითხოვდა“¹.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის წარმატებით განხორციელებამ, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო ინიციატივის განვითარებამ, საბჭოთა კავშირის მრავალ მხარესთან და რესპუბლიკასთან კავშირის გაფართოებამ და განმტკიცებამ, ეროვნული კადრების ზრდამ, ამიერკავკასიის ხალხებს შორის შუღლის საბოლოოდ აღმრფებრამ და მათ შორის სანიმუშო მეგობრული თანამშრომლობის დამკვიდრებამ შესაძლებელი გახადა ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაცია და მასში შემავალი საბჭოთა რესპუბლიკების—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის—უშუალოდ შესვლა დიდ საბჭოთა კავშირში.

გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ მიღებულ იქნა 1936 წლის დეკემბერს ახალი

კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით.

ამიერკავკასიის ხალხებმა თავიანთი ერთხელეოვნება და სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, თავიანთი ხელით აკებული ახალი ცხოვრებისადმი ბრწყინვალედ გამოავლინეს დიდი სამამულო ომის პერიოდში. ისინი ერთხელეოვნად აღდგნენ შემოსეული მტრების წინააღმდეგ და დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, მასთან ერთად ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს სამამულო ომის ისტორიაში.

გ. ი. ლენინის მითითებები ამიერკავკასიის ხალხებს აღაფრთოვანებენ ომის შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მძლავრი აღმავლობის საქმეში.

კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მძიმე ინდუსტრიას—მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველთა საფუძველს. ომისშემდგომი ხუთწლეულების მანძილზე საქართველოში შეიქმნა შავი მეტალურგიის პირველი—სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელშიც შარშან დამთავრდა სრული, მეტალურგიული, ციკლი. ციკლი მოიცავს დაშქესანის მალაროებს (აზერბაიჯანი), ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შატებს, აჯამეთისა და სადახლოს კარიერებს, სადაც წარმოებს მადნის, ქვანახშირის, კირქვის, დოლომიტის მოპოება მეტალურგებისათვის. სომხეთის სსრ თუმანიანის სახელობის აგურის ქარხანა მეტალურგებს ამარაგებს ცეცხლგამძლე აგურით. ამრიგად, მეტალურგიული წარმოების ციკლში ამიერკავკასიის სამი მოქმედი ხალხის ბუნებრივი რესურსებია ჩართული და თვით ქარხნის მუშაობის პროცესი ხალხთა თანამშრომლობის ნიმუშს წარმოადგენს.

ომისშემდგომ წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აშენდა და შენდება მრავალი ჰიდრო-ელექტროსადგური და საწარმო, სოფლის მეურნეობას შეემატა დიდძალი ახალი ტექნიკა, რამაც შესაძლებელი გახადა ახალი წარმატებების მოპოება სახალხო მეურნეობის ყველა

¹ ვაზ. „კომუნისტი“, № 46, 1936 წ. 25 თებერვალ.

დარგში. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შედეგად სულ მუდამ მაღლდება მშრომელთა შექმნულობისა და კულტურის დონე. ამჟამად ამიერკავკასიის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1953 წლის სექტემბრის, 1954 წლის თებერვალ-მარტისა და ივნისის და 1955 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რაც საბჭოთა ხალხს ახალ წარმატებებს მოუპოვებს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ციალიზმმა გაიმარჯვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის — ვ. ი. ლენინის მიზანდასახულობათა განუხრელი განხორციელების საფუძველზე, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

დიდი ლენინის ნათელი იდეები ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებს — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად — გზას უნათებენ კომუნისტების ბრძოლაში.



ზუსარიონ ჯღნეში



მაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციები და ქართული საბჭოთა პოეზია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისადმი ნათქვამია: „საბჭოთა მწერლები, განაგრძობენ რა რუსული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, შემოქმედებითად აეთარებენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რომლის ფუძემდებელი იყო დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, მასდევენ ვლადიმერ მაიაკოვსკის საბრძოლო პოეზიის ტრადიციებს“.

ჩვენი პარტიის ამ ახალ ისტორიულ დოკუმენტში საბჭოთა ეპოქის უნიკერესი პოეტა ვლადიმერ მაიაკოვსკი სამართლიანად არის დაყენებული სოციალისტური ლიტერატურის გენიალური ფუძემდებლის მაქსიმ გორკის გვერდით, მისი შემოქმედების ტრადიციის ღრმად ათვისება აღიარებულია, საბჭოთა ლიტერატურის წარმატებათა ერთ-ერთ ძირითად პირობად.

მართლაც, თუ მაქსიმ გორკიმ რუსეთის მეშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის აღმავლობის პერიოდში საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ლიტერატურას, სოციალისტურ ლიტერატურას და ამით დასაბამი მისცა ახალ ეპოქას საკაცობრიო კულტურის ისტორიაში, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ჩამოაყალიბა და განამტკიცა სოციალისტური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები, ღრმად გამოავლინა მისი ძირითადი თავისებურებანი და დამახასიათებელი თვისებანი

და ამით დიდი ზეგავლენა მოახდინა მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის, მსოფლიოს თანამედროვე პროგრესული პოეზიის მთელს განვითარებაზე.

მეოთხედმა საუკუნემ განვლო ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან. მაგრამ მისი პოეზიის აქტუალური ძეგრა, მისი მგზნებარე სიტყვის ზემოქმედების ძალა და ცხოველყოფილობა ოდნავადაც არ შენელებულა. ახლაც მაიაკოვსკის პოეზია შთაშავონებლად ეხმაურება ხალხის გმირულ შრომას ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და მიწათმოქმედების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ერთობლივ ბრძოლას ახალი ომის სისხლიან გამწვანებელთა წინააღმდეგ.

რასი მდგომარეობს მაიაკოვსკის პოეზიის ასეთი გამძლეობის, მისი გარდუვალი აქტუალობის საფუძველი? იმაში, რომ პოეტა თანამედროვეობის მოვლენებს მომავლის სიმაღლიდან შესცქეროდა, ღრმად წვდებოდა მოვლენათა განვითარების შინაგან კანონზომიერებასა და პერსპექტივას. ცხოვრების ყოველდღიურობის „წვრილმანი“ მის პოეზიაში იდეურად გააზრებულია და ორგანულად არის დაკავშირებული სინამდვილას მთელს მდინარეხანთან, მის მთლიანობასა და მრავალფეროვნებასთან.

ამაშია სოციალისტური პოეზიისა და, კერძოდ მაიაკოვსკის შემოქმედებითი

ტრადიციის, ერთ-ერთი უძვირფასესი თვისება.

მათაგანსაც თანისი პოეტური პრაქტიკით დანერგა საბჭოთა პოეზიაში იდეურ-თემატური შინაარსისა და მხატვრული ფორმის ორგანული მთლიანობის მაღალი პრინციპი. თუ მის შემოქმედებაში ნამდვილი ენციკლოპედიური სისრულით აისახა ჩვენი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენები და გამოიხატა ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების დამახასიათებელი თვისებები, ცხადია, შეუძლებელი იყო რევოლუციური სინამდვილით ნაკარნახევი თემებისა და იდეების ეს ახალი სამყარო მოთავსებულიყო ძველი პოეტური მეტყველების გამოქანავებით საშუალებათა სისტემაში. ამიტომაც პოეტის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება წარმოადგენდა განუწყვეტელ ბრძოლას ახალი პოეტური მეტყველებისათვის, ჩვენი რევოლუციური ეპოქის შესაფერი ახალი მხატვრული სტილის გამომუშავებისა და აღდგენისათვის. რუსული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციათა ღირსეული მემკვიდრე და გამგრძობელი, იგი იყო პოეტური კულტურის უდიდესი ნოვატორი, ლექსის უაღრესად ორიგინალური ხელოვანი.

არც ერთ ხალხს, არც ერთ ქვეყანას მეოცე საუკუნის მსოფლიოში არ წარმოუშვია პოეტი, რომელიც შეედრებოდეს მაიაკოვსკის იდეებს სიღრმით, სინამდვილის მხატვრული ათვისების დიპლომატით, პოეტური ხმის ძალით, ორიგინალობით.

• •

მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებითა ბიოგრაფიით ვლადიმერ მაიაკოვსკი ღრმად იყო დაკავშირებული ჩვენს სამშობლოში მშრომელი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის გმირულ ეპოპეასთან. პოეტის ბავშვობისა და ყრმობის წლებმა რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიან ვითარებაში განვლო. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფე, იგი მოწმე და მო-

ნაწილე გახდა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე.

ბუნებრივია, რომ ასეთი რევოლუციური შთაბეჭდილებით აღფრთოვანებული ქაბუკი მოსკოვში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა კომუნისტურ ორგანიზაციებს და მალე დიდი გატაკებით ჩაება არალეგალურ პარტიულ მუშაობაში. იგი ზედოხედ სამჯერ იქნა დაპატიმრებული რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ბუტარკის ციხეში პატიმრობისას დაწერა 16 წლის მაიაკოვსკიმ თავისი პირველი ლექსება, რომლებითაც დაიწყო მისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება.

ციხიდან გამოსულმა, მან მტკიცედ გადაწყვიტა, მთელი თავისი ცხოვრება სოციალისტური ხელოვნების შექმნისათვის შეეწირა და, მართლაც, მალე ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მოიპოვა ოქტომბრის წინა პერიოდის რუსეთის რევოლუციურ ხელოვნებაში. მაიაკოვსკის პოეტური მოღვაწეობა რუსეთში ახალი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში იწყებოდა და მისი აღრინდელი შემოქმედება ღრმად არის აღბეჭდილი ამ დიდი სახალხო მოძრაობის სულიერებით.

„რუსეთს ესაქიროება დიდი პოეტი, — წერდა მაქსიმ გორკი, — ნიჭიერები ცოტანი როდი გვეყვანან. მაგრამ საჭიროა დიდი პოეტი, — როგორც პუშკინი, როგორც მიცკევიჩი, როგორც შილერი, საჭიროა პოეტი — დემოკრატი და რომანტიკოსი, რადგან ჩვენი რუსეთი — დემოკრატიული და ახალგაზრდა ქვეყანაა“. აი, ასეთ პოეტს მოელოდა იმდროინდელი რუსეთი, და მან წარმოშვა კიდევ ასეთი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკის სახით.

„ძირს თქვენი სიყვარული!“, „ძირს თქვენი ხელოვნება!“, „ძირს თქვენი წყობილება!“, „ძირს თქვენი რელიგია!“ მემამულურ-ბურჟუაზიული, მონარქიული წყობილებიდან მიმართული ასეთი მემამოხე ყიყინით ხასიათდებოდა მაიაკოვსკის აღრინდელი პოეტური შე-

მოქმედება, რომლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს პოემა „შარვლიანი ღრუბელი“. ამ ნაწარმოებში ახალგაზრდა მთავრობის წინათხილვის გასათვარი უნარით გამოხატა ოქტომბრის მოახლოებული ქარიშხლის ძლიერება, აღფრთოვანებით მივსალმა და უმღერა ამ ქარიშხალს, თავისი თავი მის წინამორბედად აღიარა.

ოქტომბრის წინა პერიოდის რუსეთს არ ჰყოლია მეორე პოეტი, რომელსაც ისეთი მღელვარე დრამატიზმით გამოეხატოს ხალხის ზიზღი და გულსწყრომა რეაქციული სამყაროსადმი, ხალხის შთაგონებული ოცნება ცხოვრების განახლებაზე, როგორც ის გამოთქმულია მთავრობის ადრინდელ ლექსებსა და პოემებში.

სოციალისტური ხელოვნებისათვის მებრძოლი პოეტი ეძებდა თანამებრძოლებსა და მოკავშირეებს. შეცდომით მან ასეთებად მიიჩნია რუსი ფუტურისტები, რომლებიც მამის ნოვატორული და რევოლუციური პრეტენზიებით გამოდიოდნენ ლიტერატურულ სარბიელზე. ახალგაზრდა მთავრობის ერთხანს ვერ გაითვალისწინა რუსული ფუტურისმის დეკადენტური, ანტიხალხური, ანტირეალისტური ბუნება. პოეტი მიეცედა ფუტურისტების ჯგუფს და რამდენიმე წლის განმავლობაში ხელს აწერდა ამ ჯგუფის ლიტერატურულ მანიფესტებს, მონაწილეობდა მის ბეჭდვითს გამოცემებსა და საჯარო გამოსვლებში.

ფუტურისტების ჯგუფთან ასეთმა დროებითმა კავშირმა, რასაკვირველია, გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონია ახალგაზრდა მთავრობის იდეურ-შემოქმედებითს ზრდაზე, მის ადრინდელ პოეზიაზე. მაგრამ ცხადია ისიც, რომ თავისი შემოქმედების სოციალური ბუნებით, იდეური შინაარსით მთავრობის არასოდეს არ ყოფილა ფუტურისტი. ეს თავიდანვე იგრძნო მაქსიმ გორკიმ, რომელმაც ახალგაზრდა პოეტის ლექსებისა და პოემების მოსმენისთანავე აღფრთოვანებულმა წარმოთქვა: „ჩვენში არავითარი ფუტურისტი არ არსებობს. არის

მხოლოდ პოეტი მთავრობის, დიდი პოეტი“. აღსანიშნავია, რომ ასეთვე რეალური შეფასება მისცა მთავრობის ადრინდელ შემოქმედებას დიდმა რუსმა რეალისტმა მწერტარმა ი. რუპინმა.

მაქსიმ გორკისთან დაახლოებამ და მეგობრობამ უაღრესად კეთილ მყოფელი გავლენა იქონია პოეტის მთელს შემოქმედებითს ცხოვრებაზე. მცდარია ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისი, თითქმის მთავრობის სოციალისტური ხელოვნების პოზიციებზე ფუტურისმის, დეკადენტობის პოზიციებიდან გადმოსულიყოს. არა ფუტურისმი და დეკადენტობა, არამედ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მიღებული საბრძოლო ნათლობა, ბოლშევიკურ ორგანიზაციებში მუშაობის დიდებული სკოლა, პატირობაში გატარებული თვეები და, ბოლოს, დიდ პროლეტარულ მწერალთან — მ. გორკისთან სულიერი დაახლოება განსაზღვრავდა ახალგაზრდა მთავრობის იდეურ-შემოქმედებითი განვითარების ხასიათს. მაგრამ ცდებიან მთავრობის შემოქმედების ის მკვლევარებიც, რომლებიც უგულვებელყოფენ ფუტურისტების ჯგუფთან პოეტის ხანმოკლე კავშირის უარყოფითს შედეგებსა და მთავრობის რევოლუციამდელს შემოქმედებაში უკვე ხედავენ სოციალისტური რეალისმის პოეზიის დასრულებულ ნიმუშებს.

ცნობილია, რომ მთავრობის წინამე არც კი დასმულა საკითხი, მიეღო თუ არ მიეღო რევოლუცია. დიდი ოქტომბრის პირველივე დღეებიდან იგი „რევოლუციის მიერ მობილიზებული და მოწვეულია“. ეწევა დამატებულ შემოქმედებითს ბრძოლას პოეტური სიტყვის იარაღით რევოლუციის ცეცხლში შობილი ახალი სამყაროს დასაცავად და განსამტკიცებლად. მთავრობის მუშაობა „რუსეთის დებეშთა საავენტოში“ ნამდვილი შემოქმედებითი გმირობაა და დაუფიქრარი მაგალითი პოეტის თავდადებული სამსახურისა ხალხის სასოცოცხლო ინტერესებისათვის. ამ წლებ-

ში მის მიერ ათასობით დახატულმა პლაკატებმა და დაწერილმა გართობულმა ლოზუნგებმა, მოწოდებითმა და სასიმღერო ლექსებმა მიაიკოვსკის პოეზიას კემპარტი ხალხურობა შესძინეს. ეს იყო დიდი სკოლა პოეტისათვის, ადამიანთა გულის შემძვერელი პოეტური ენის გამოსამუშაებლად. ამ პერიოდის მიაიკოვსკის ლირიკის კლასიკური ნიმუშია „მარცხენა მარში“, სადაც პოეტმა გამოხატა ჩვენი ხალხის ურყევი რწმენა თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ბნელ ძალებზე გამარჯვებისა.

ამ წლებში მიაიკოვსკი ქმნის ფართო მხატვრულ ტილოებს — „მისტერია ბუფ“ და „150.000.000“, რომლებშიც დასაწყისი მისცეს დრამატული და ეპიკური ეპარების აღორძინებას ახალგაზრდა საბჭოთა პოეზიაში. ამ ნაწარმოებებში პოეტმა ჰიპერბოლიზებული სახეების მეშვეობით შთაგონებულად გამოხატა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა და განასახიერა ახალი სამყაროს გარდაუვალი გამარჯვების იდეა. ამ პერიოდის შესანიშნავ სატირულ ლექსში — „სხდომებს გადაყოლილი“, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა უკვდავმა ლენინმა, მკაფიოდ გამოავლინა პოეტმა თავისი ნიჭიერების კიდევ ერთი ძვირფასი თვისება: „მრისხანე სიცილის“ ძალა.

ამავე წლებში მიაიკოვსკი წერს ჯერ მცირე მოცულობის პოემას — „მიყვარს“ და შემდეგ უაღრესად რთულსა და მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებს — „ამის შესახებ“. ამ ნაწარმოებებში პოეტი მთელი სიღრმით და სიმწვავეთ აშუქებს ახალი ადამიანის პირად-ინტიმური ყოფის საკითხებს, ახლებურს, ფრიად ორიგინალურ ინტერპრეტაციას აძლევს სიყვარულის მარადიულ თემას. მძაფრი შინაგანი დრამატიზმით აღბეჭდილ პოემაში „ამის შესახებ“ მიაიკოვსკიმ თავისებური პასუხი მისცა სოციალისტური მორალის ადამიანთა ყოფითი ურთიერთობის მწვავე საკითხს. „ნათობი“ № 4.

ხებს, რომლებიც ამ ნაწარმოების წერის დროს დიდად აინტერესდნენ ალექსანდრე ბლუმიცის და რომლებსაც, ცხადია, დღესაც არ დაუქარგავთ აქტუალური მნიშვნელობა.

მიაიკოვსკის შემოქმედების ფართო იდეურ-თემატურ დიაპაზონს საცნებო შეესაბამებოდა მისი პოეზიის ეპარობრივი მრავალფეროვნება. პოეტი თანაბარი ძალით ეუფლებოდა ლირიკისა და ეპოსის, დრამისა და სატირის სპეციფიკურ საშუალებებს, მხატვრული სიტყვის იარაღის ყოველგვარ ნიარსახეობას, რასაც მისი უაღრესად ფართო შემოქმედებითი ინტერესები მოითხოვდნენ.

მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი პოეტს, როდესაც იგი შეუდგა მუშაობას თავის უდიდეს და საუკეთესო ნაწარმოებზე — პოემაზე „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“. ეს პოემა მწვერვალია არა მარტო მიაიკოვსკის შემოქმედებაში, არამედ მთელი საბჭოთა პოეზიის განვითარებაში, ჩვენი დროის მსოფლიო პოეტურ კულტურაში. ამ ნაწარმოებში თავი იჩინა სოციალისტური პოეზიის უკვე სავსებით ჩამოყალიბებული და მომწიფებული პირველი კლასიკოსის პოეტური ინდივიდუალობის დამახასიათებელმა თვისებებმა.

ამ პოემაში მიაიკოვსკიმ ღრმა შემოქმედებითი შთაგონებით, პოეტური ხატეაისა და მომთხრობელობის იშვიათი ოსტატობით დახატა უკვდავი ლენინის მონუმენტური სახე, რომელიც მოცემულია ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გრანდიოზულ ფონზე და რომელშიც მეტყველად არის განსახიერებული არა მარტო ბელადის დიადი პიროვნების, არამედ მთელი ჩვენი დევგმიური ხალხის უმაღლესი და უკეთილშობილესი თვისებანი. არც ამ პოემის დაწერამდე, არც მას შემდეგ არავის შეუქმნია მშრომელი კაცობრიობის უდიდესი და უსაყვარლესი ბელადის ასე ცოცხალი, მეტყველი და შთაგონებული მხატვრული სახე. ლენინის დიადს პიროვნებაში, მის ნათელ აზრებასა და

უკვდავ საქმეებში პოეტმა დაინახა ისტორიის ნამდვილი შემოქმედის, ჩვენი ეპოქის ნამდვილი გმირის — საბჭოთა ხალხის გოლიათური ბუნება, მისი აზრებისა და გრძნობების მდიდარი და კეთილშობილური სამყარო, მის გმირულ საქმეთა აღმაფრთოვანებული ეპოპეა. ეს პოემა შთაგონებული პიმინია ლენინის მიერ შექმნილი და გამოხრამედილი კომუნისტური პარტიისადმი:

პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლასის,
და ჩვენი საქმის უკვდავება
არის პარტია.
... კლასის ტინო,
კლასის საქმე,
ძალა კლასის,
მისი დიდება —
აი პარტია.

მძლავრად და ზუსტად არის გამოთქმული აქ ჩვენი ხალხის აზრი და გრძნობა, სიყვარული და ერთგულება თავისი სახელოვანი ავანგარდისადმი, თავისი ყველა წარმატებისა და გამარჯვების შემოქმედისა და ორგანიზატორის — უძლეველი კომუნისტური პარტიისადმი. პოეტი უმღერის და აღიდებს ბელადისა და პარტიის, პარტიისა და ხალხის განუყოფელ ერთიანობას:

ჩვენი პარტია და ლენინი —
ტყუპნი არიან... —
ისტორიაში
ვინ იქნება
უფრო ჩენილა.
ვამბობ — ლენინი
და ვგულისხმობ
მუდამ პარტიას,
ვამბობ — პარტია
და ვგულისხმობ —
ჩვენი ლენინი.

პოემის ლირიკული გმირი დიდი ლენინის გარდაცვალებით გამოწვეულ უმძიმეს სამგლოვიარო წუთებშიც თავისი დიდი ხალხის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პოემა მთავრდება ლენინის საქმის, კომუნისტების საქმის უძლეველობის რწმენით, ნათელი ოპტიმიზმით აღბეჭდილი ახალი ბრძოლებისა და გამარჯვებებისათვის აღმაფრთოვანებული მოწოდებით.

ამ პოემის შექმნა, უკვდავ ლენინის ესოდენ სრულყოფილი სიტყვა-ფრაზები ჩვენი ეპოქის უნიკიერესი პოეტის უდიდესი შემოქმედებითი მიღწევებია, მისი უმნიშვნელოვანესი დამსახურებებია ჩვენი ხალხისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის წინაშე.

თავის შემდგომ პოეტურ მოღვაწეობაში მაიაკოვსკი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა მშობლიური ლენინის მარად აღმაფრთოვანებელსა და შთაშავებულ სახეს.

სოციალისტური პოეზიის შედეგის წარმოდგენს ოქტომბრის დიდი რევოლუციის ათი წლის თავისადმი მიძღვნილი პოემა „კარგია“, ამ ნაწარმოების სათაურშივე პოეტმა გამოხატა ჩვენი ხელოვნებისა და მწერლობის უპირველესი ისტორიული დანიშნულება — დიაცვას, განამტკიცოს, უკვდავყოს ჩვენი ხალხის ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლისა და გმირული შრომის შედეგად მოპოვებული ახალი სოციალისტური სინამდვილე, კაცობრიობის ისტორიაში სწორეპოვარი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება.

ამ დიდი ეპიკური ქმნილების ყოველი სტრიქონი საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ნაციონალური სიამაყის უწმინდესი გრძნობით არის შთაგონებული. პოემაში ღრმადაა გახსნილი და გამოხატული საბჭოთა ადამიანის ახალი სულიერი ცხოვრება, მისი მაღალი სოციალისტური შეგნება. პოემის ლირიკული გმირი თავს გრძნობს სამშობლოს ნამდვილ პატრონად. იგი სრული უფლებით ამბობს: „ჩემია ეს ქუჩა, სახლებიც ჩემია“, „ჩემს ავტომობილებში ჩემი დეპუტატები სხედან“. ასე გაერთიანებულა და შედუღებულა პირადი და სახალხო ჩვენი ღროის გმირის — საბჭოთა ადამიანის შეგნებაში.

საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი ახალი ტიპის პატრიოტიზმია, ყველაზე სრული, უანგარო და ქვეშარტი პატრიოტიზმი, რადგან იგი გამოხატავს გრძნობასა და შეგნებას იმ ხალხისა, რომელმაც თავისი სისხლითა და ოფლით

დაიცვა, მოიპოვა, ააღორძინა მშობლიურ-
რი მიწა-წყალი. მხოლოდ ასეთ ხალხს,
და არა პარაზიტებსა და მუქთახორებს,
შეუძლია სამშობლოს ნამდვილი სიყვარული,
მისთვის შრომაც და თავგანწირვა.

პოემის ლირიკული გმირი, რომელიც
კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხარის
და აღიღებს თავის სოციალისტურ სამ-
შობლოს, მისი ყოველდღიურობის და-
მანასიათებელ „წვრილმანებსაც“ კი,
ამავე დროს, მუდმივი და დაუცხრომე-
ლი წინსვლელობის ცოცხალი განსა-
ხიერებაა. მან იცის, რომ ჩვენი ქვეყანა
კიდევ უფრო ბრწყინვალე და სრულყო-
ფილი იქნება მომავალში და რომ საბ-
ჭოთა ადამიანებმა თავიანთი შრომით
და ბრძოლით უნდა დააჩქარონ, მოაახ-
ლოვონ ეს ხვალისდელი დღე.

პოემა „კარგია“ დღემდე რჩება „შრო-
მასა და ბრძოლებში დაბადებული კა-
ცობრიობის გაზაფხულის“ მადიდებელ
ჰიმნად.

ასეთივე შთამაგონებელი ძალით გა-
მოხატა შთაქოცხლები საბჭოთა ნაციონა-
ლური სიამაყის, საბჭოთა პატრიოტიზ-
მის ნათელი და მაღალი, საყოველთაო-
სახალხო გრძნობა ნაწარმოებში — „ლექ-
სი საბჭოთა პასპორტზე“. ამ ნაწარმოე-
ბის ლირიკული გმირი ტიპური საბ-
ჭოთა ადამიანია, რომელიც ამყვად
დგას მტრული რეაქციული სამყაროს
პირისპირ, ხელთ თავისი უძვირფასესი
კუთვნილება — საბჭოთა პასპორტი უპყ-
რია და თავისი სამშობლოს სიდიადით
აღფრთოვანებული მიმართავს ყოველი
სხვა ქვეყნის ადამიანებს:

წაქიხთუთ და
შურით აღვსეთ:
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე.

ამ ლექსში ასახული მწვავე კონფლიქტი
ჩვენი დროის გმირის, მოწინავე საბჭო-
თა ადამიანისა მტრული, რეაქციული
სამყაროს ბნელ ძალბოთან დამანასია-
თებელია შთაქოცხლის მთელი შემოქმე-
დებისათვის. პოეტს არასოდეს დაუვი-
წყნია, რომ

ახლა არამხალა
ბევრია ძალიან
ჩვენი ძვირფას მიწაზე
და ირველე მავალი.

ეროვნული
გინებლობისა

ამიტომაც მისი ყოველი ლექსი დიდი
მამხილებელი ძალით იყო მიმართული
საბჭოთა სინამდვილეში ჩარჩენილი წარ-
სულის ბნელი გადმონაშთების წინააღ-
მდეგ.

სატირის ცეცხლით, „შრისხანე სიცი-
ლის“ იარაღით პოეტი თავს ესხმოდა
ყოველივე ბნელსა და მანკიერს ჩვენს
სინამდვილეში. „ჩვენ, საბჭოთა ადამიან-
ებს, საკუთარი სიამაყე გვაქვს: ბურ-
ჟუებს მაღლიდან დავეკერით“, — ამ-
ბობდა პოეტი და, მართლაც, ამგვარი
სიამაყის გრძნობით შეჰყურებდა იგი
ბურჟუაზიული რეაქციის სამყაროს და
დაუცხრომელი მღელვარებით ამხი-
ლებდა კაპიტალისტური ცხოვრების
წყულეებსა და სიმანხიჯეებს.

პოეტი ხშირად მოგზაურობდა კაპი-
ტალისტურ ქვეყნებში და ამ მოგზაურო-
ბათა შედეგად მან დაწერა მრავალი
შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებშიც
ღრმა იდეური გააზრებით მოცემულია
კონკრეტულ-სახეობრივი გამოხატულე-
ბა თანამედროვეობის მწვავე სოციალუ-
რი კონფლიქტებისა, კაპიტალისტური
სამყაროს იმ მძაფრი შინაგანი წინააღ-
მდეგობებისა, რომლებიც გარდუვალი
კანონზომიერებით მიაქანებენ ამ სამყა-
როს აუცილებელი კატასტროფისაკენ.

პოეტმა კარგად იცოდა, რომ ყოველ
ბურჟუაზიულ ქვეყანაში ორი, ერთმანე-
თის მოწინააღმდეგე, ბანაკი ცხოვრობს
და მოქმედობს, რომ „ერთია პარიზი ყა-
ზარების და ვეკილების, ხოლო მეო-
რე — უყუზარმო“. ამიტომაც იგი ღრმა
თანაგრძნობით აღსაყვად ლექსებს მიუძღ-
ვნიდა კაპიტალისტური სამყაროს მშრო-
მელთ, შეხაროდა მათს საბრძოლო ამხე-
დრებას, ხოლო მომაკვდინებელი ზონ-
ლით ნიღბს ხდიდა გაბატონებულ პარა-
ზიტულ კლასებს, მათ მშარბულ წრეებს.

ყველაზე მეტი მძულვარებით ლაპა-
რაკობდა პოეტი ამერიკის იმპერიალის-
ტური რეაქციის შესახებ. „შეიძლება

ინეც მოხდეს, რომ შეერთებული შტატები ერთობლივად გამოვიდნენ უიმედო ბურჟუაზიული საქმის უკანასკნელ შეიარაღებულ დამცველებად“; — აღნიშნავდა იგი და მწვავე ირონიით ამბობდა:

ამ ამერიკას
დავხრავდი,
გაქმნდლი ფრთხილად
და შემდეგ ისევ
მეორეჯერ
აღმოვაჩენდი.

მაიაკოვსკის პოეზია რაზმავდა და აღაგზნებდა მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს ხალხთა ურთიერთ სოციალურ ტის სისხლიან ორგანიზატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. „მშვიდობის დასაცავად კლდესავით აღიმართე და ომის წამომწყებთ შესახებ: ნებას არ მოგცემთ. ეშმაკაც წაუღიხართ, ჩამოგვეცალეთ, კმარა, ძირს!“ პოეტი აფრთხილებდა აგრესიული ომების მოტრფილე ავანტიურისტებს: „ჩვენ მშვიდობას მოვითხოვთ, მაგრამ თუ ხელს გვახლებთ, ჩვენ ლეგიონებად დავიარაღებით განრისხებულნი; სასაქაოს მომწყობნი ფრონტზე დაინახავენ ამბოხებულ ერთიან მუშათა ფრონტს“.

თავის უკანასკნელ ქმნილებაში, უღრმესი პოეტური აზრითა და კლასიკურად სრულყოფილი ოსტატობით აღბეჭდილ ლექსში „მთელი სმით“ მაიაკოვსკიმ ერთგვარად შეაჯამა თავისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება და გამოთქვა მაღალი ოცნება იმის შესახებ, რომ მისი ლექსი შევიდოდა „კომუნისტურ შორეთში“, როგორც საქირო და სასარგებლო ძალა, როგორც „ძველი, მაგრამ მრისხანე იარაღი“.

არა საკუთარ, პირად დიდებას და უყვავებას უმღერის ამ ლექსში დიდი პოეტი, არამედ ჩვენი ხალხის უწმინდესი საბრძოლო საქმის გამარჯვებას და ძლევამოსილებას. ყოველი საბჭოთა ადამიანის უწმინდესი სურვილი და მისწრაფებაა გამოთქმული პოეტის სიტყვებში:

და,
საერთოდ ძველად გავდგას,

დიად ბრძოლებში
ნაშენები სოციალიზმში
ეროვნულნი
გზლიროთქქა
სოციალისტური ლირიკის ეს შედევრი პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ აპოთეოზს წარმოადგენს. მის უკანასკნელ სტრეიონებში პოეტმა კიდევ ერთხელ უღრმესი გულწრფელობით აღიდა კომუნისტების უძლეველი პარტია, გამოხატა მისდამი განუსაზღვრელი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა:

როგორც პარტიულს
ბოლშევიკურს
მე მაღლა ავსწევ
ჩემს ასტორეულს
პარტიული წიგნაკებისა.

პოეტის ეს სიტყვები უკვდავ ანდერძად ვღერს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველი მოღვაწისთვის. იგი გვანერგავს მსატყურელი შემოქმედების მებრძოლი იდეურობის, მაღალი ხალხურობის, პარტიულობის აზრს, რაც ჩვენი სოციალისტური ესთეტიკის სულსა და გულს, მის უმთავრეს პრინციპს შეადგენს.

„მაგალითი პოეტისა, რომელიც დგას ჩვენი საუკუნის მწვერვალზე და რომელიც თავისკენ იზიდავს მთელი მსოფლიოს პოეტების ყურადღებას, — ეს არის ვლადიმერ მაიაკოვსკი“. — ამბობდა საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე გამოჩენილი ფრანგი მწერალი — კომუნისტი ლუი არაგონი.

მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის პირველად დათვალიერების შემდეგ დიდი თურქი პოეტი ნაზიმ ჰაქიმთი წერდა: „მთელი გზა მაიაკოვსკის სახლიდან ჩემს სახლამდე — მე ვფიქრობდი მასზე, დიდ საბჭოთა პოეტზე, რომელმაც მოიპოვა უფლება დაუსრულებელი სიცოცხლისა. ვფიქრობდი სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მწერლებზე, რომლებსთვისაც მისი ლექსები დროშად იქცნენ — ლუი არაგონზე, პაბლო ნერუდაზე, პოლ ელუარზე, ლიუდმილ სტოიანოვზე, სტანისლავ ნეიმანზე, იულიან ტუვიმზე, ალექსის პარნისზე, გო მო-ჟოზე, ტიუ სონ ვონზე. ვფიქრობდი იმაზე, რომ მაიაკოვსკის სმის ჩახშობა შეუძლებელია.“

რომ მიაიკოვსკის გავლენა ახალგაზრდა პოეტებზე — ეს მზიური გავლენაა, რომელიც ისევე ესაქიროება პოეზიას, როგორც მცენარეს ესაქიროება წყალი, სითბო, სინათლე. მე ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩვენ, მიაიკოვსკის მოწაფეები, მთელი მსოფლიოს პოეტები ყოველთვის გავყვებით მის ლექსებს, გაავარაულებით მის საქმეს ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს ხალხები ავარაულებენ რუსეთის მიერ — კომუნისმის სამშობლოს, მომავლის სამშობლოს მიერ დაწყებულ ზვას“ ამ სიტყვებში მკაფიოდ და დამარწმუნებლად არის დახასიათებული მიაიკოვსკის პოეზიის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

თუ ასეთ შემოქმედებას ახდენს საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტი მთელი მსოფლიოს პროგრესული პოეზიის განვითარებაზე, კიდევ უფრო დიდია მისი მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის პოეტური კულტურისათვის.

რას ნიშნავს მიაიკოვსკის შემოქმედებითი ტრადიცია, რომელსაც სწავლობს, ავარაულებს და განავითარებს მთელი მრავალეროვანი საბჭოთა პოეზია? ეს არის პირველყოვლისა პოეტის მებრძოლი დამოკიდებულება თავისი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, პოეტური შემოქმედების მაღალი იდეურობა და პარტიულობა, დაუცხრომელი ნოვატორობა, შეუწინებელი ბრძოლა პოეტური ფორმის ორიგინალურობისათვის, საკუთარი პოეტური ხმისათვის. ქმედითი, ხალხის გულის სიღრმემდე ჩამწვდომი სიტყვისათვის, თავდადებული შრომა პოეტური ოსტატობის მაღალი ხარისხისათვის, მისი ნამდვილი ხალხურობისათვის. მიაიკოვსკის შემოქმედებითი ტრადიცია გულისხმობს პოეტის მგზნებარე გამომხატულებას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, სინამდვილის მთელი მრავალმხრივობით განსახიერებას, მისი წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების ასახვას, პოეტური შემოქმედების ენობრივ მრავალფეროვნებას.

თუ ასე ფართოდ და მარტივად გავიგებთ მიაიკოვსკის შემოქმედებას ტრადიციის ბუნებას, ნათლად დავინახავთ ამ ტრადიციის ცხოველყოფილ შემოქმედებას კერძოდ ქართული საბჭოთა პოეზიის მთელს განვითარებაზე.

მიაიკოვსკის შემოქმედებითმა გამოცდილებამ უაღრესად დადებითი როლი შეასრულა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ბიოგრაფიაში მისი მოღვაწეობის იმ ურთულეს ეტაპზე, როდესაც იგი საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე ხანებში გაბედულად და თანამიმდევრულად თავისუფლდებოდა ანტირეალისტური მიმართულებების ყოველგვარი გავლენებისაგან და ყალიბდებოდა ახალი სამყაროს შთაგონებულ მომღერლად. თავისი განახლებული პოეტური ცხოვრების დასაწყისში გ. ტაბიძემ შექმნა ოქტომბრის ქაირშლიანი დღეების ამსახველი ლექსებისა და პოემების მთელი წყება. ამ ნაწარმოებებში საესებით დაძლეულია ვიწრო ინდივიდუალისტური ლირიკისა და მისტიკური მსოფლშეგრძნების ის მოტივები, რაც დამახასიათებელი იყო პოეტის მრავალი რევოლუციამდელი ლექსისათვის. აღსანიშნავია, რომ უკვე ამ პერიოდში გ. ტაბიძე იჩენს მიდრეკილებას ეპიკური პოეზიის ფორმებისაკენ, რაც სრულიად უცხო იყო მისი ადრინდელი შემოქმედებისათვის. გ. ტაბიძის პოემა „ჯონ რიდი“ არა მარტო იდეურ-თემატური შინაარსით, არამედ რიტმისა და პოეტურ სახეთა წყობის საერთო ხასიათითაც უეჭველად ენათესავება მიაიკოვსკის საუკეთესო ნაწარმოებებს ანალოგიურ თემებზე. გ. ტაბიძის „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „მსოფლიო ორკესტრი“, რომლებშიც პოეტმა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო-ისტორიული მნიშვნელობა ასახა და მხატვრულად დაასაბუთა ჩვენი სამშობლოს გამარჯვების გარდაუვალობა, უეჭველად ენათესავება პოემა „150.000.000“ ავტორის შემოქმედებით ტრადიციას.

1930—1931 წლებში გ. ტაბიძემ და-

წერა წიგნი „რევოლუციური საქართველო“, რომელიც საბჭოთა საქართველოს მიერ განვლილი ათწლოვანი გზის მხატვრულ მატთანად იყო მოფიქრებული ავტორის მიერ. ეს ერთადერთი ნაწარმოებია მთელს ქართულ საბჭოთა პოეზიაში, რომელიც თავისი მასშტაბით და მხატვრული შთანაფიქრის ხასიათით უახლოვდება მიაკოვსკის პოემას „კარგია“. 1935 წელს გ. ტაბიძემ ევროპის ქვეყნებში იმოგზაურა, რის შედეგადაც დაწერა ლექსების მთელი წიგნი. ეს იყო პირველი დიდი პოეტური ციკლი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც მიაკოვსკისებურად აშუქებდა კაპიტალისტური სამყაროს ღრმა შინაგან წინააღმდეგობებს, მის განუყურნებელ წყლულებსა და მანკიერებებს.

ბოლო იაშვილი, რომელიც მიაკოვსკის ლექსების პირველი მთარგმნელი იყო საქართველოში, მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით მიესწრაფვოდა მიაკოვსკისებურ „ვეჟაკურ გაქანებას“ და მგზნებარე მოქალაქეობრივ პათოსს, ხოლო ტიციან ტაბიძემ თავისი პოეტური მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შთაგონებული ლექსი მიუძღვნა ვლადიმერ მიაკოვსკის, რითაც წრფელად გამოხატა თავისი დაახლოვება რევოლუციის დიდი პოეტის სულიერ სამყაროსთან.

ასევე დიდია მიაკოვსკის მნიშვნელობა ქართველი პოეტების იმ თაობისათვის, რომელიც საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში გამოდიოდა ლიტერატურულ ასპარეზზე. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სიმონ ჩიქოვანის შესახებ, რომლის ადრინდელ ლექსებში არაერთხელ გვხვდება მიაკოვსკის სახე, როგორც სიმბოლური განსახიერება სიდიადისა, სიძლიერისა: „მიაკოვსკივით ხელგაშლილი ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე“ და სხვ. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირ-

ველ წლებში ს. ჩიქოვანი წერდა: „მოდერნიზმი იმპროვიზირებული ალბერტო კამუსის მწვავედ ამხილებდა ძველი ყოფის გაღმონაშთებს და მრავალ თავის ნაწარმოებში იზიარებდა მიაკოვსკის შემოქმედებით პრინციპებს. ამ გეზის დამცველად და გამგრძელებლად გამოდიოდა ს. ჩიქოვანი მაშინაც, როდესაც იგი აღფრთოვანებით უმღეროდა საბჭოთა რუსეთს, რომელსაც პოეტმა თავისი მამულის სამშობლო უწოდა და მაშინაც, როდესაც სვანური კომუნიზმის საუკუნეობრივი კარჩაკეტილობის გასარღვევად ამხედრებულ კომკავშირულ თაობას მიესალმებოდა. თავისი ახალი ლექსების ციკლებში „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვებთან“ ს. ჩიქოვანმა შეგნებულად მოგვცა ახალი თავისებური ვარიანტი საბჭოთა პასპორტისადმი მიძღვნილი მიაკოვსკისებური ჰიმნისა, ხოლო ლექსში „საბჭოთა მეომარი ბერლინიში“ ნაყოფიერად გამოიყენა მხატვრული სახის პიერბოლიზირებისა და შეგნებულად გამაზვილების ის ხერხი, რომელიც მიაკოვსკის პოეტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

საბჭოთა წყობილების წლებში მოსულ ქართველ პოეტთა თაობაზე მიაკოვსკის ცხოველყოფილი ზემოქმედების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) შემოქმედება. პოლიტიკური ლირიკის ქანრის მისი საუკეთესო ლექსები ქართველ პოეტს აახლოვებს და ანათესავებს მიაკოვსკის პოეტურ სამყაროსთან. აღსანიშნავია, რომ პირველ უმნიშვნელოვანეს შემოქმედებით წარმატებას ალიო მირცხულავამ უკვდავი ლენინისადმი მიძღვნილ ლექსებში მიადწია, რითაც იგი არსებითად შეუერთდა ლენინის უბადლო მომღერალის პოეტურ გზას. ამ გზას მიჰყვებოდა პოეტი თავისი „დამკვრელი ბრიგადების მარშითაც“, თავისი ადრინდელი სატირული ლექსებით და პოემებითაც, თა-

ვისი მისწრაფებით პოეზიის ეპიკური ეპარისაკენ, რომლის აღორძინება საბჭოთა პოეზიაში მიაიკოვსკის სახელთან არის დაკავშირებული.

ქართულ პოეზიაში მიაიკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციის დანერგვისა და დამკვიდრების მომასწავებელია გიორგი ლეონიძის ეპოპეა „სტალინი“, რომლის პირველი წიგნი „ბავშვობა და ყრმობა“ დამსახურებულად არის აღიარებული მთელი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. თავის საუკეთესო ნაწარმოებზე მუშაობისას გ. ლეონიძეს არ შეიძლება დგერდეს აეველო იმ დიდი შემოქმედებითი სკოლისათვის, რომელსაც შეიცავს მიაიკოვსკის პოეზია საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის გენიალურ ბელადთა პოეტური სახის შექმნის სფეროში. გარდა იმისა, რომ მიაიკოვსკიმ შეუდარებელი ძალით ასახა უკვდავი ლენინის ცხოვრებისა და ბრძოლის აღმფრთვანებული ეპოპეა, მანვე პირველმა საბჭოთა პოეზიაში გამოხატა დიდი სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების მაღალი გრძნობა. პოემაში „ელადიმერ ილიას ძე ლენინი“ მიაიკოვსკიმ ოქტომბრის მგზნებარე დღეებში მებრძოლი სმოლნის სურათის წარმოსახვისას გვიჩვენა ამხანაგი სტალინი, როგორც ლენინის უახლოესი თანამებრძოლი. თავის უმაღლეს პოეტურ იდეალს მიაიკოვსკი იმაში ხედავდა, რომ ლექსის შესახებ პოლიტიკოსის სახელით მოხსენებები გაეკეთებია სტალინს. თავისი სიცოცხლის მიწურულში მიაიკოვსკი მუშაობდა პოემაზე ხუთწლიდის შესახებ, რომელშიც განზრახული ჰქონდა აესახა ის საგმირო საქმეები, რომლებსაც სტალინის მეთაურობით ახორციელებდა ჩვენი პარტია. განა წარმოსადგენია, მთელი ეს შემოქმედებითი გამოცდილება არ გამოეყენებინა ქართველ პოეტებს და, კერძოდ, გ. ლეონიძეს დიდი სტალინისადმი მიძღვნილ პოემებსა და ლექსებზე მუშაობისას? მიაიკოვსკის შემოქმედებითს პოზიციაზე დგას გ. ლეონიძე ახალი დემოკრატიის ქვეყნების

აღორძინებული ცხოვრების გამსახველ ლექსთა ციკლშიაც.

თავისი პოეტური მოღვაწეობის დასაწყისშივე ლექსში „ჩემს ობლიგაციებს“ ირაკლი აბაშიძემ გამოავლინა უნარი და მისწრაფება საბჭოთა სინამდვილის ყოველდღიურობის „წერილმანთა“ პოეტიზირებული გამოხატვისა. როგორც თავისი ამ პოეტური დებიუტით, ისე ერთ-ერთი უკანასკნელი დროის ლექსით „ღია წერილი ერსკინ კოლდელს“ ირაკლი აბაშიძემ გამოხატა თავისი ერთგულება მიაიკოვსკის მებრძოლი პოეზიის ტრადიციებისადმი. ამ მაგისტრალურ ხაზზე მდებარეობს ირაკლი აბაშიძის ყველა საუკეთესო პოეტური მიღწევა, მისი სამამულო ომის დროინდელი უაღრესად პოპულარული ლექსებიც და მისი ახალი ლირიკული ციკლებიც „სიმღერა მკის დროს“ და „პყვავის გურია“.

ელადიმერ მიაიკოვსკის ეპიკური ტრადიციების თავისებურ გამგრძელებლად ქართულ პოეზიაში გვევლინება გრიგოლ აბაშიძე, რომელმაც რამდენიმე მაღალნიჭიერი პოემით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა. ლექსების ორ ციკლში — „ლენინი სამგორში“ და „თურქეთის საზღვარზე“ პოეტმა მიაიკოვსკისებური მგზნებარებით უმღერა ჩვენი ცხოვრების დიადი გარდაქმნისა და განახლების ეპოპეას, მიაიკოვსკისებური მრისხანებით ამხილა მტრული ბურჟუაზიული სამყაროს ბნელი ზრახვები.

ლირიკული ლექსის საზღვრების გაფართოებისაკენ, მასში სიუჟეტური, მომთხრობელობითი და აღწერილობითი ელემენტის შეტანისაკენ მისწრაფებამ დაახლოვა კარლო კალაძე მიაიკოვსკის პოეტიკის ერთ-ერთ ძირითად თვისებასთან. ხალხთა ძმობისა და ჩვენს სამშობლოში ძლევათადად გაშლილი შემოქმედებითი შრომის უპირველესი მომღერლის გეზს მიჰყვება კარლო კალაძე თავისი ომისშემდგომი პერიოდის ლექსებში — „ისევ მშობლიურ სოფელში“ და „სიმღერები დნებრის პირას“.

ჩვენი ხალხის სადღეისო საბრძოლო

ამოცანებზე, ხალხის შრომითს გმირობაზე ცხოველი გამოხმაურების მიაკოვსკისებურ მისწრაფებას იჩენს იოსებ ნონეშვილი ყაზახეთის ველებზე მებრძოლ საბჭოთა ადამიანებისადმი მიძღვნილ ახალ ლექსებში, რომელთაც ღირსეულად დაიმსახურეს მოწონება და აღიარება. იგივე უნდა ითქვას მისი ლექსების ციკლის შესახებ საბჭოთა სომხეთზე და მისი პოემის — „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ — რამდენიმე საუკეთესო თავის შესახებ.

კომუნისმის უპირველეს და უდიდეს მომღერალთან თავისი განუხრელი სულიერი დაახლოება და დანათესაება დაადანატურა რევაზ მარგინაშა პოემით „სიმღერა კომუნისმისა“ და ლექსების დიდი ციკლით „აქ მშვიდობა“. ეს ნაწარმოებები პოეტის შემოქმედებითი შთაგონების ნამდვილ დავაყვაცებას და მის ჯანსაღ მიმართებას მოასწავებს.

მიაკოვსკის მარად დაუბერებელი მძლავრი პოეტური ხმის გამოძახილი მკაფიოდ მოისმის ჩვენი ნიჭიერი პოეტური ახალგაზრდობის საუკეთესო ლექსებშიც. ამ წერილის ფარგლებში ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ ზემოთაღნიშნული რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტით დაგვამაყოფილდეთ. ეს ფაქტებიც აქ უფრო აღნუსხულია, ვიდრე ღრმად გახსნილი და შესაფერი სისრულით გაანალიზებული.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე პოეზიის ყველა უმნიშვნელოვანესი ხარვეზი და ნაკლოვანება უპირატესად გამომდინარეობს იმ შემოქმედებითი ტრადიციების უგულვებელყოფიდან, რომელთა გამოუმუშავებასა და დადგენაში ყველაზე მეტი დამსახურება ვლადიმერ მიაკოვსკის მიუძღვის.

რავი მდგომარეობს თანამედროვე ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანესი ხარვეზები და ნაკლოვანებანი?

ამჟამად იგრძნობა, რომ ბოლო ხა-

ნებში ჩვენს პოეზიაში სეგრეგრუდულად შენეულა ბრძოლა პოეტურ ტრადიციების მაღალი ხარისხისათვის, პოეტური მეტყველების საშუალებათა ინდივიდუალურობისა და ორიგინალურობისათვის. ამას ემატება ერთი დიდი საშიშროება, რომელიც გავრცელებას პოეტობაზე ჩვენს პოეზიაში. ეს არის ლექსებში სინამდვილის გაუბრალოებული, შელამაზებული, შემსუბუქებული გამოხატვა, ის ერთფეროვანი სახატო აღფრთოვანებული ტონი, რომლის პირობებშიც ლექსი კარგავს შინაგან დრამატუზმს და, მაშასადამე, ემოციური ზემოქმედების ძალასაც.

უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა პოეზიაში სრულად დაკნინდა სატირული ენარი. ვერც ერთი თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსთა კრებულში ვერ შეხვდებით სატირულ ლექსებს. ამ მხრივ მდგომარეობა უარესია, ვიდრე ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიის პირველ პერიოდში იყო. ამ შეტად მნიშვნელოვან საკითხში ჩვენი პოეტები შეუწყყარებლად ივიწყებენ მიაკოვსკის ტრადიციასაც. ქართულმა საბჭოთა პოეზიამ ჯერ კიდევ ღირსეულად ვერ აღორძინა ჩვენი კლასიკური პოეზიის დიდი ეპიკური ტრადიციები, ვერ აიყვანა პოემის ენარი ისეთ სიმაღლეზე, რომელიც შეფერის ჩვენი ხალხის მოთხოვნებს და მიაკოვსკის შემოქმედებითს ტრადიციას ამ სფეროში. საერთოდ, ქართველი საბჭოთა პოეტების უმრავლესობა ეანრობრივი ერთფეროვნებით არის შემოზღუდული.

ქართული საბჭოთა პოეზია, რომელსაც ლექსის მრავალი მაღალნიჭიერი ოსტატი ჰყავს, ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზით უნდა წავიდეს წინ. ამ ბრძოლაში ახალ წარმატებათა საიმედო საწინდარს ჩვენი საუკუნის უდიდესი პოეტის ვლადიმერ მიაკოვსკის ძვირფასი ტრადიციების შემოქმედებითად დაუფლება და განვითარება წარმოადგენს.



ვლ. მაიაკოვსკის დრამატურგია

ვლ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დრამატურგიას.

ვლ. მაიაკოვსკის პირველი დრამატული ნაწარმოების გამოსვლა (ტრაგედია „ვლადიმერ მაიაკოვსკი“ 1913 წ.) დაემთხვა რუსული თეატრის ღრმა და ხანგრძლივ კრიზისს (1907 — 1917 წ. წ.). ეს ის პერიოდაა, რომელსაც მ. გორკიმ „რუსეთის ინტელიგენციის ისტორიაში უაღრესად სამარცხვინო და უაღრესად უნიჭო ათწლეულის“ სახელი უწოდა.

ამ წლებში თეატრალური ხელოვნებისა და დრამატურგიის საკითხებზე მრავალი დისკუსია იმართებოდა, მაგრამ ეს დისკუსიები ვერ სცილდებოდნენ ვიწრო ფორმალისტური და თეითიზმური ესთეტიზმის საკითხთა რაკალს.

მაშინ პეტერბურგისა და მოსკოვის მთელ რიგ თეატრებში იღვმებოდა ბულვარულ-ობივანტურული განწყობილებით, ფსიქოპათოლოგიით და დეკადენტური სიმბოლიკით გამსჭვალული პიესები.

იმავე 1913 წელს შეიქმნა მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველი სტუდია, სადაც ლ. სულერციკის რეჟისორობით დაიდგა ჰეირმანის „იმედის დაღუპვა“ და ჰალტმანის „მსოფლიოს ზეიმი“. ეს სპექტაკლები გამსჭვალული იყო სინამდვილისადმი მონური მორჩილების გრძნობით, „ტოლსტოველობით“, საკუთარი სულის ჰერეტიით.

დეკადანსი შეიჭრა კემშარიტი ხელოვნების ისეთ ციტადელშიც, როგორც მოსკოვის სამხატვრო თეატრი იყო. დოსტოევსკის რომანების „ძმები კარამაზოვების“ და „აგი სულების“ („Бесы“) ინსცენირებათა დადგმით თეატრი ასცდა თავის გენერალურ ხაზს—მაღალ იდეურობას, რეალიზმს. ამიტომ შემთხვევი-

თი არ იყო, რომ პირველად მ. გორკიმ აღიმაღლა ხმა ამ დადგმების წინააღმდეგ. თავის ცნობილ წერილებში „კარამაზოვშინის შესახებ“ გორკი წერდა: „აუცილებელია, ჩემი აზრით, განისაზღვროს სოციალურ-აღმზრდელი მნიშვნელობა იმ იდეებისა, რომელთა ჩვენებასაც აპირებს მოსკოვის სამხატვრო თეატრი სახეებში. განა საჭიროა ეს დასახიჩრებული წარმოდგენა? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა. იგი საზიანოა. ეს წარმოდგენა ესთეტიკურად საეჭვოა, სოციალურად კი უაქველად საზიანო“.

ასეთი იყო ზოგადად ის თეატრალური და ლიტერატურული ატმოსფერო, როდესაც მაიაკოვსკის ტრაგედია „ვლადიმერ მაიაკოვსკი“ დაიწერა.

ვიდრე ეს დრამატული პოემა სცენაზე დაიდგმებოდა, მაიაკოვსკიმ გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომლებშიც იგი თავის შეხედულებებს აყალიბებდა თეატრალური და კინოხელოვნების შესახებ. მართალია, ამ სტატიებში იგრძნობა ფორმალისტური შეხედულებების ერთგვარი გავლენა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ იმ დროისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ: მაიაკოვსკიმ მკაცრად გაილაშქრა მაშინდელ თეატრში გამეფებული ნატურალიზმისა და ესთეტიზმის წინააღმდეგ.

1912 წელს დაწყებულმა რევოლუციურმა აღმავლობამ დიდი გავლენა მოახდინა რევოლუციურად განწყობილი პოეტის შემოქმედებაზე. სწორედ ამიტომ, რომ ტრაგედია „ვლადიმერ მაიაკოვსკი“ ოქტომბრის რევოლუციის წინა ეპოქისათვის დამახასიათებელი ბუნტარული განწყობილებითაა აღბეჭდილი.

ეს პიესა მთლიანად არ არის თავისუფალი გადაქარბებული პირობითობისა-

გან და რთული სიმბოლიკისაგან, მაგრამ ნაწარმოების მთავარი გმირი (და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) საესე-ბით რეალური, ჯანსაღი შეამბოხე ადამიანია, რომლის შეამბოხება მიმართულია კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. მთავარი გმირი — ვლადიმერ მაიაკოვსკი — დიდი ჰუმანიტა, და იგი მკვეთრად არის დაპირისპირებული კაპიტალისტურ სამყაროსთან.

მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რითაც ვ. მაიაკოვსკი დაშორდა დეკადენტურ დრამატურგიას, იყო სიტყვის, ენის, როგორც აზრის გამომხატველი საშუალების, წინა პლანზე წამოწევა. ფორმალისტურ ნაწარმოებებში სიტყვას დაკარგული ჰქონდა თავისი ძირითადი ფუნქცია — აზრის, იდეის მიტანა მკითხველამდე.

ვ. მაიაკოვსკი სასტიკად ილაშქრებდა მტოცავი ემპირიზმის, ობიექტივისტური „ამსახველობის“ წინააღმდეგ. მისი პოეტური ნატურისათვის შეუთავსებელი იყო სიმშვიდე, აუღელვებლობა. მას „ნაზს“ ჰკვრიდა ყოველგვარი გულგრილობა, რომელიც ყოველთვის ობიექტულობაში გადადის ხოლმე.

„მისტერია ბუფ“-ით, ამ პირველი საბჭოთა სატირული დრამატული ნაწარმოებით, მაიაკოვსკი სრულიად ახალ სამყაროს შლის რევოლუციური მსაყრებლის წინაშე. პიესაში ასახულია ოქტომბრის რევოლუციის გიგანტური სვლა, მკვეთრად მხილებულია ბურჟუაზია, იმპერიალისტური მილიტარიზმი, ნაჩვენებია ახალი ადამიანების ძლიერი ნება.

სამყარო — მოვლენები და საგნები რევოლუციური თვალთახედვითაა დანახული პიესაში „მისტერია ბუფ“. ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლისათვის დღესასწაულის დღეებში ეს პიესა დაიდგა პეტროგრადის მუსიკალური დრამის კომუნალურ თეატრში, ხოლო 1921 წელს, უკვე ამ პიესის მეორე ვარიანტი, დაიდგა მოსკოვის ცირკში კომინტერნის III კონგრესთან დაკავშირებით. სპექტაკლს განსაკუთრებული წარმატება ზედა წილად. ეს გასაგებიცაა.

„როსტას ფანჯრებში“ მოღვაწეობისას დაგროვილია გამოცდილებამ სატირულ განზოგადობის სფეროში და ნათლად ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა კონცეფციამ ხელი შეუწყო ავტორს განსაკუთრებული სიმახვილით გადმოეცა პიესის იდეური მიზანდასახულობა.

ოქტომბრის რევოლუციამ მაიაკოვსკის შემოქმედებას, კერძოდ მის სატირას, ახალი სული შთაბერა, ახალი შინაარსი მისცა.

„მისტერია ბუფ“-ში მაიაკოვსკიმ გამოავლინა თავისი დრამატურგიული ნიჭის ის თვისება, რომელიც შემდგომ პიესებში („ბალიზაჯო“, „აბანო“) განსაკუთრებულად გამახვილდა.

ეს არის მწვავე სარკაზმი, მკვეთრი სატირა, სოციალურად გამიზნული პიპერბოლა, ადვილად გასაგები რეალისტური სიმბოლიკა.

თვით ჩანაფიქრი „მისტერია ბუფ“-ისა პაროდულია. ცნობილია, რომ მოსკოვის თეატრის სცენებზე 1918—1920 წლებში ხშირად იდგმებოდა ისეთი პიესები, რომლებიც თავიანთი დრამატურგიული თვისებებით მისტერიას მოგვაგონებდნენ. ასეთი იყო მოსკოვის კამერულ თეატრში დადგმული პიესები რეაქციონერ-კათოლიკის პოლ კლოდელისა „გაცვლა-გამოცვლა“ (1918 წ.) და „ხარება“ (1920 წ.), იწერებოდა დრამები, რომლებიც შინაარსით რელიგიურ-მისტიკური იყვნენ და ფორმით — მისტერიული. ამიტომ მაიაკოვსკიმ მიზნად დაისახა თავისი პიესით სასაცილოდ აეგლო შესასუქუნებორივი ფორმა რელიგიური წესქმედობისა — მისტერია. მაგრამ მწერალმა ამ არქაული ფორმის მოდერნიზაცია კი არ მოახდინა, არამედ გამოიყენა მხოლოდ სქემა მისტერიისა, — მთელი სამყაროს, ჯოჯოხეთის, სამოთხის ჩვენება სცენაზე. თავისი პიესის გმირები მან გაატარა ყველა „იმქვეყნიურ სასუფეველში“ და ბოლოს მუშათა და გლეხთა შვილები კომუნის ბედნიერ მიწაზე მიიყვანა, ხოლო ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენლე-

ბის ნაწილი კიდობანში ჩასტოვა, დანარჩენები ჯოჯოხეთის მბრძანებლის ვეება ხახას შთანთქმევინა.

„მისტერია ბუფ“-ის შესახებ თვით მაიაკოვსკი წერდა: „მისტერია ბუფი“ ჩვენი დიადი რევოლუციაა, ლექსითა და თეატრალური მოქმედებით შეკრული. მისტერია — ეს დიადია რევოლუციაში, ბუფი — სასაცილო მასში... მოქმედება „მისტერია ბუფ“-ისა ესაა მასის მოძრაობა, კლასთა შეჯახება, იდეათა ბრძოლა“.

„მისტერია ბუფ“-ში სატირული ელემენტი ორგანულად არის შერწყმული გმირულ, სიცოცხლის დამამკვიდრებელ პათოსთან. მაიაკოვსკის სატირულ სახეებში, ცხადია, არის პირობითობა, ხაზგასმული ჰიპერბოლიზაცია, მაგრამ ეს არის რეალისტური ჰიპერბოლა, რომელიც ინტენსიურ ფერებში გადმოგვცემს ცხოვრების მანკიერ მხარეებს.

სატირია — გამოხატული რეალისტური გროტესკით, აი მაიაკოვსკის პიესების დამახასიათებელი თვისება.

„მისტერია ბუფ“-ის, ისევე როგორც მაიაკოვსკის სხვა პიესების, რეალისტურობა გამოიხატება იმაში, რომ პოეტი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს რევოლუციური პოზიციებიდან, კომუნისტური პარტიის თვალაზრისით ასახავდა.

„მისტერია ბუფ“-ის (მეორე ვარიანტი) პარალელურად მაიაკოვსკი წერდა პატარა აგიტ-პიესებს, რომელთა ძირითადი დანიშნულება ის იყო, რომ საბჭოთა მსაყრებელს პასუხი მიეღო ყოველდღიურ საკვირბოროტო ყოფისა და პოლიტიკურ საკითხებზე. ამ პატარა პიესების საბრძოლო-აგიტაციური ხასიათი განსაზღვრავს მათ ფორმასაც. „პიესა მღვდლებზე, რომელთაც არ ესმით, რა არის დღესასწაული“, „რა იქნება, რომ...?“ „ვინ როგორ ატარებს დროს დღესასწაულზე“ და სხვა ნაწარმოებები გაერთიანებული არიან ანტირელიგიური მიზანდასახულობით. ყველა ამ პიესაში მონაწილეობს „სატირის თეატრი“ — ალგორითული სახე, რომელიც

გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას მომხდარი ამბების მიმართ. მისი სების ენა უაღრესად ლაკონურია, ხოლო დიალოგი — ძალზე დინამიკური.

მაგრამ მაიაკოვსკის, როგორც დრამატურგის, დამახასიათებელი თვისებები განსაკუთრებული ბრწყინვალეობით გამომქადვინდა მის შემდგომ პიესებში — „ბალიონჯოსა“ და „აბანოში“. ამ ნაწარმოებებში მაიაკოვსკი ახალ მხატვრულ ხერხებს იყენებს. თუ ადრე შექმნილ პიესებში უხვად იყო გამოყენებული ალგორია, ახლა მაიაკოვსკი ამ ელემენტს მინიმუმამდე ამცირებს და უმთავრესად ტიპური სატირული სახის შექმნაზე ამახვილებს ყურადღებას. მწერლის უკანასკნელი პიესები კარგად გამოხატავენ ეპოქის უმნიშვნელოვანეს ტენდენციებს, ხასიათსა და მისწრაფებებს. მაიაკოვსკის დრამატურგია იქცა ძლიერ იარაღად, რომლითაც მუშათა კლასი ამკვიდრებდა ახალ ცხოვრებას.

თავის სტატიაში „ბალიონჯოს“ შესახებ მაიაკოვსკი წერდა: „პიესაში დასმული პრობლემა — ეს დღევანდელი მემშანობის მხილებაა“. პოეტმა ნათლად გვიჩვენა, თუ რა დიდი საშიშროებაა მემშანობა, როგორც სოციალური მოვლენა, ახალი, სოციალისტური ქვეყნის მშენებელი კლასისათვის.

მაიაკოვსკი ყოველთვის მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა. საბჭოთა ხალხის ფიქრები და მისწრაფებანი განსაზღვრავდნენ პოეტის ლიტერატურულ პოზიციებს, მისი შემოქმედების მეტროლ, შემტვე ხასიათს. ამ ბრძოლაში სატირა მეტად დიდ როლს ასრულებდა. პოლიტიკურად აქტუალური შინაარსი, პუბლიცისტური პათოსი, დაუნდობელი მხილება ყოველივე დრომოქმულისა — ასეთია მაიაკოვსკის სატირის ნიშანდობლივი თვისება.

თავისი კომედიების სიუჟეტად მაიაკოვსკი მეტწილად იყენებს არა ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ამბავს, არამედ განსაკუთრებულს, ზოგჯერ კი არაჩვეულებრივსაც. მაგრამ ამ „არაჩვეულებრივის“ საშუალებით იგი შესანიშნ-

წავად ეხმარებოდა ცხოვრების მიერ წამოჭრილ საკითხებს.

პიესა „ბალღინჯოთი“ მიაკოვსკიმ დაგმო მეშინაური ყოფა, „გალანტური“, „ფაქიზი“ ცხოვრება, რომელიც შეიცავს გაბრწყინლების მიკრობებს და რომელიც „მოდური ევროპეიზმის“ გავლენის შედეგი იყო. უბრალო მუშამ ივანე პრისიპკინმა „გააფეროპელა“ თავისი გვარი და სახელი (პიერ სკრიპკინი) და ახლა ოცნებობს იდილიური ცხოვრების შექმნაზე. მიაკოვსკის მრისხანება გასაგებია. პიერ სკრიპკინი ცდილობს ერთგვარი „თეორიული საფუძველი“ გამოუენახოს თავის მეშინაურ იდეალს და გაამართლოს იგი: „За что я боролся? Я за хорошую жизнь боролся. Вон она у меня под руками: и жена, и дом, и настоящее обхождение. Я свой долг, на случай надобности, всегда исполнить сумею. Кто воевал, имеет право у тихой речки отдохнуть. Во! Может, я весь свой класс своим благоустройством возвышаю. Во!“

პიერ სკრიპკინმა „მოიხადა ვალი“ მუშათა კლასის წინაშე და ახლა ოცნებობს ჯვარი დაიწეროს ნეპმანური განწყობილების ქალიშვილზე — ელზევირა რენესანსზე, რათა თავი შეაფაროს დალაქი სიმამრის მყუდრო, მეშინაურ ოჯახს.

პიერ სკრიპკინი პირველსავე რეპლიკაში ამხელს მთელ თავის მეშინაურ სულს „Товарищ Баян, я против этого мещанского быту-канареек и прочего... Я человек с культурными запросами... Я — зеркальным шкафом интересуюсь...“

აი, ასეთი „გრანდიოზული მასშტაბების“ და „ფართო ნატურის“ კაცია პიერ სკრიპკინი.

სატირის გამახვილების მიზნით მიაკოვსკი ხშირად მიმართავს ასეთ ხერხს: უარყოფით გმირს ალაპარაკებს უაღრესად მაღალფარდოვნად, რიტორიკულად და საზეიმოდ, მაგრამ საგანი, რომელსაც ეხება საუბარი, იმდენად მცირე და

უმნიშვნელოა თავისი შინაარსით, რომ იგი ევება რომაელის ტოგაზე. გახვეწილ ღობემძვარალს გვაგონებს. ეს კი „გმირს“ განსაკუთრებით სასაცილოს ხდის. ან კიდევ: უარყოფითი გმირი, მოქცეულია რა კომიკურ სიტუაციაში, თავისი გონებრივი შეზღუდულობის გამო ვერ ამჩნევს ამას და სრულიად საწინააღმდეგოდ აფასებს შექმნილ ვითარებას. ეს აძლიერებს კომიკურ ეფექტს.

რამდენი კრიტიკა მიაკოვსკის უსაყვედურებდა, თითქოს იგი თავის ნაწარმოებებში „მიშველ ტენდენციას“ მიმართავდა. ამით სურდათ დამციკრებინათ მიაკოვსკის ნაწარმოებთა მხატვრული ძალა და მამხილებელი პათოსი. ნამდვილად კი მიაკოვსკი იძლევა მხატვრულად დასაბუთებულ ტენდენციას და ამ ტენდენციის მატარებელი გმირი ტიპიური ნიშნებით არის აღჭურვილი. მიაკოვსკის, როგორც მხატვრის, თავისებურებაა გმირისადმი თავისი პირდაპირი დამოკიდებულების აშკარა გამოხატვა. პოეტის სიტყვით, „რაც შეეხება იმის პირდაპირ ჩვენებას, თუ ვინ არის დამნაშავე და ვინ არა, ამ მხრივ მე ასეთი აგიტაციური გადახრა მაქვს — არ მიყვარს, როცა ეს არ ესმით. მე მიყვარს ბოლომდე ვთქვა, თუ ვინ არის არამზადა“. მიაკოვსკი მისთვის დამახასიათებელი მგზნებარებით ამითარახებს ყველა ჯურის არამზადებს, მეშინანებს, ობიექტლებს, ბიუროკრატებს.

„ბალღინჯოს“ მესამე სურათში, სადაც „წითელი ქორწინება“ ნაჩვენებია, მიაკოვსკის სატირული ნიჭი განსაკუთრებით მკვეთრად არის გამომჟღავნებული.

ქორწილის სცენის შემდეგ ვ. მიაკოვსკის პიესაში შემოაქვს ფანტასტიკური ელემენტი, რომელიც ნაწარმოების იდეის გაშუქებას ემსახურება.

მოქმედება გადატანილია 1969 წელს და ამ ეპოქის ადამიანები ველარ სცნობენ ადამიანად გათხრების შედეგად აღმოჩენილ პიერ სკრიპკინს. მას ათავსებენ გალიაში და იგი იშვიათ ექსპონატად ითვლება ზოოპარკში.

მაიაკოვსკი წერდა:

Театр
не отображающее зеркало,
а —
увеличивающее стекло...

და მართლაც, პრისიპკინში თავმოყრილია მეშინაობის ყველა ტიპური ნიშანი: გონებრივი შეზღუდულობა, უხეშობა, „წყნარი მდინარის პირას იდოლიური ცხოვრების“ სურვილი, კერძომესაკუთრული ინსტიტუტები. სწორედ ჰიპერბოლაა პოეტის ხელში ის გამადიდებელი შეშა, რომელშიაც ასახვის ობიექტი ერთაათად იზრდება. ხასიათების ხატვის ამგვარ მანერაში იგრძნობა სალტიკოვ-შჩედრინისა და გოგოლის ტრადიციების გამოყენება, გაღრმავება. თუ ვ. მაიაკოვსკის პიესა „ბაღლინჯო“ მთელი მგზნებარებით წინ აღუდგა მეშინაურ სულსკვეთებას. „აბანო“ დაუნდობლად ანადგურებს ბიუროკრატისს.

ვ. მაიაკოვსკის ჩანაფიქრით „Баня“ моет (просто стирает) бюрократов.“ ძირითადი კოლიზია პიესაში აგებული რევოლუციური გაჭანებისა და თამამი აზრის ადამიანების (ჩუდაკოვი, ველოსიპედკინი) შეჯახებაზე ბიუროკრატ, გონებაშეზღუდულ ადამიანებთან (პობედონოსიკოვი, ოპტიმისტენკო). ეს უკანასკნელნი ძლიერნი არიან არა თავიანთი სულიერი და გონებრივი ღირსებებით, არამედ იმ თანამდებობათა წყალობით, რომლებიც მათ ღროებით უკავიათ. „ღროის მანქანა“, რომლის გამოგონებაზეც მუშაობენ ნოვატორები, სიმბოლურად გამოხატავს სოციალისტური მშენებლობის ტემპებს, მუშათა კლასის შრომითს ენთუზიაზმს და აი, ამ მანქანის შექმნას ხელს უშლიან ბიუროკრატები. ვ. მაიაკოვსკის დიდი მხატვრული გამარჯვება ისაა, რომ ამ პიესაში ნათელი, დადებითი საწყისი თავისთავად ნაგულისხმევი და გასაგები როდია (როგორც ეს „ბაღლინჯოში“), იგი უშუალოდ არის ჩამოული კონფლიქტ-

ში, იბრძვის ბოლომდე და ამარცხებს ბიუროკრატებს. ამავე დროს, რიგის დადებითი გმირები ცხოვრობენ სისხლკარბი სიცოცხლით, იბრძვიან, ოცნებობენ, მიისწრაფვიან ნათელი მიზნებისაკენ. ჩუდაკოვი და ველოსიპედკინი დასრულებული მხატვრული სახეებია მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალური ნიშნებით. მათი მეტყველებაც უაღრესად მდიდარია.

პიესაში ვითარდება ორი ძირითადი ხაზი. ერთია სატირული, მეორე—თვით ვ. მაიაკოვსკის განსაზღვრით — ბრძოლა „გმირობისათვის, ტემპებისათვის, სოციალისტური პერსპექტივებისათვის“.

უარყოფითი გმირების ხატვისას მაიაკოვსკი იყენებს თავის საყვარელ ხერხს — ადამიანის ნაკლოვანებათა გამახვილებულ, ჰიპერბოლურ გამოსახვას. აქაც, ისევე როგორც სხვა პიესებში, ჰიპერბოლური ფორმა ჩინებულად გამოგვეყვამს სავესებით რეალისტურ ჩანაფიქრს.

სატირული კოლიზიის ცენტრშია პობედონოსიკოვი. ეს თვითდაჯერებული ხეპრე სერიოზულად ფიქრობს, რომ თავისი საქმიანობით იგი მართლაც აშენებს „სოციალიზმის ერთ კუთხეს“. სავესებით სერიოზულად ფიქრობს იგი, რომ „სოციალიზმი — ეს რეზოლუციაა“.

ვ. მაიაკოვსკი თავის გმირს გვიჩვენებს სახლში, სამსახურში, თეატრშიც კი, და ასე, თანდათან, სიტუაციათა მრავალგვარობაში იხსნება გმირის ხასიათი.

ი. ბ. სტალინი გვაფრთხილებდა, რომ ბიუროკრატის ყველაზე საშიში ტიპი პარტიული ბიუროკრატია, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ მთელი სიმყაყრით. პობედონოსიკოვი სწორედ ტიპური სახეა ისეთი პარტიული ბიუროკრატისა, რომელიც სარგებლობს იმით, რომ სახელმწიფო აპარატში ზის და ხელს უშლის ყოველივე ახალის წარმატებას.

ფანტასტიკური ელემენტი „აბანოშიც“ არის. პიესაში მოქმედ თანამედროვე ადამიანებს გამოეცხადებათ ფოსფორული ქალი, მომავლის — 2030

წლის დელეგატი. მისი გამოჩენა უაღრესად ორგანულია პიესისათვის. ფინალში „დროის მანქანა“ გაემართება 2030 წლის სადგურზე და ძირს დაანარცხებს პობედონოსიკოვს, ოპტიმისტენკოს და სხვებს. ამ სცენით ავტორი გვეუბნება, რომ ამ ადამიანებს აღვლი არა აქვთ მომავალ ცხოვრებაში, რომ ისინი ჩვენი ცხოვრების ხორცმეტები არიან.

ე. მაიაკოვსკის პიესების ფორმის პიპერბოლური და გროტესკული ხასიათი, პირობითობის ჭარბი ელემენტები — რაპპული კრიტიკის მიერ დამახინჯებუ-

ლად იყო ახსნილი. ის ყველგანსავე ცდილობდა დაემცირებინა ე. მაიაკოვსკის დრამატურგიის მნიშვნელობა. მაგრამ იმავე წლებში გაზეთმა „პრავედამ“ მაღალი შეფასება მისცა მაიაკოვსკის დრამატურგიას, აღნიშნა მისი მხატვრული და იდეური ღირსებანი: „Пьесы его полны бодрого, крепкого юмора, а четкая общественная установка этого юмора позволяет назвать их подлинно сатирическими (а не просто комедийными) произведениями“, („Правда“, 22 X, 1929 г.).



ჰანს ჭრისტიან ანდერსენი

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე წლის 2 აპრილს მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ ერთსულოვნად აღნიშნა ადამიანთა საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლის, გენიალური დანიელი მწერლისა და მეზღაპრის ჰანს ჭრისტიან ანდერსენის დაბადებიდან 150 წლისთავი.

ანდერსენი დაიბადა 1805 წლის 2 აპრილს დანიის პატარა ქალაქ ოდენზეში. მამა ფეირობდა, მიეცა მისთვის, რაც თვითონ აკლდა — განათლება და ბედნიერი ბავშვობა. მაგრამ ის ადრე გარდაიცვალა. ჭერვიღ დედა ხელსაქმით არჩენდა ოჯახს. ძნელი იყო მისთვის მეუღლის ანდერძის ასრულება. ჰანსს თავად უნდა გაეცვლია ცხოვრების გზა.

ჰანს ჭრისტიან ანდერსენს ყოველთვის, მაშინაც კი, როცა სახელგანთქმული მწერალი გახდა, ახსოვდა ბავშვობის წლები, გაქირავებული ყოფა, მშრომელი დედა, ნისლიანი დღეები.

იგი 14 წლის იყო, როცა გაემგზავრა კოპენჰაგენში. შორს, ოდენზეში, დარჩა დედა და მშობლიური ქოხი.

დედაქალაქში მას აღმოუჩნდნენ კეთილისმყოფელები — კონსერვატორიის პროფესორი სიბინი, კომპოზიტორი ვეიზე და პოეტი ჰეიბერგი. ჰანსი მათი დახმარებით შევიდა თეატრალურ სასწავლებელში, მაგრამ „სცენური მონაცემების უქონლობის გამო“ მალე დატოვა იგი. დიდი გაკირვებით მოეწყო გამანაზაში. ამ დროის მისმა ლექსებმა უკვე შეიპყრო საზოგადოების ყურადღება და 1828 წელს, უნივერსიტეტში შესვლისას, ის საყმაოდ ცნობილი „დამწყები“ მწერალი იყო. ამავე წელს გამოაქვეყნა მან პირველი სატირული

მოთხრობა: „მოგზაურობა ქვეითად ჰალმენის არხიდან კუნძულ ამაგერამდე“.

ანდერსენს ლიტერატურული ასპარეზის დაპყრობისათვის მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდა. პირველი და მთავარი სიძნელე მისი სტილი იყო. იგი წერდა ისე, როგორც ლაპარაკობენ. სასაუბრო მეტყველებასთან ლიტერატურული ენის მიახლოება, გასაგებია, მაგრამ წინააღმდეგობას შეხვდებოდა კლასიციტური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილ საზოგადოებაში. ამით აიხსნება კრიტიკის თავდასხმები მის შემოქმედებაზე. კრიტიკა მას უსაყვედურებდა სალიტერატურო ენაში მდებრივი მეტყველების ელემენტების შეტანას. ანდერსენისათვის კი სწორედ ეს „მდებრივი ელემენტი“ იყო მთავარი. სწორედ ამან განასხვავა იგი თანამოკალმე მოღვაწეთაგან და მოუპოვა დიდი საყვარელი მკითხველთა ფართო ფენებში.

ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებულია შეხედულება, თითქოს დანიელი ხალხის „თავისებურებებით“ იყო გამოწვეული ის, რომ ანდერსენი მკაცრად გააკრიტიკეს მისი მოღვაწეობის დასაწყისში; ვითომდა დანიელები შურით შეპყრებდნენ თავიანთ ნიჭიერ თანამემამულეებს. ასეთ მსჯელობას, რა თქმა უნდა, მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო და იგი მხოლოდ და მხოლოდ ანდერსენის შემოქმედების სოციალური შინაარსის მიჩქმალვის სურვილით არის ნაკარნახევი. სინამდვილეში კი კრიტიკა ანდერსენში ხედავდა არსებული საზოგადოებით უკმაყოფილო შემოქმედს, ამ კრიტიკას სწორედ ეს განაწყობდა მტრულად ანდერსენის მიმართ.

1833 წელს ანდერსენი იწყებს მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყანაში. პირველი მოგზაურობის დროს შექმნა მან დრამატული პოემა („აგნეტე და მეზღვაური“), რომელსაც საფუძვლად დაედო ხალხური თქმულება. რომში დაიწყო მან პირველი დიდი რომანის — „იმპროვიზატორის“ წერა.

ანდერსენის ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა „პოეტის ბაზარი“ (1842), „შედეგში“ (1851), „ესპანეთში“ (1863) და „ისტორიები“ იტრძნობა ჰაინეს გავლენა. მაგრამ მათ აკლია ის მებრძოლი ხასიათი, რომელიც უღარესად დამახასიათებელი იყო ჰაინესათვის. ანდერსენი უფრო შემრიგებლურად არის განწყობილი, თუმცა არ ფარავს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას არსებული სინამდვილისადმი. იდილიურობის ელფერი, რომელიც დაჰკრავს ანდერსენის ზოგიერთ ნაწარმოებს, პირველ ყოვლისა, აიხსნება დანიის სოციალ-ეკონომიური ჩამორჩენილობით.

1835 წელს ანდერსენმა გამოაქვეყნა „საბავშვო ზღაპრების“ წიგნი. ანდერსენს სამართლიანად უწოდებენ გენიალურ მეზღაპრეს. მოსწრებულად, გონებაშახვილურადაა ნათქვამი, რომ ანდერსენის ზღაპრები — ესაა „სასახლის ბაღი მის პოეტურ სამეფოში“.

ზღაპარი იყო ანდერსენის ნიჭის ორგანული და ბუნებრივი სამყოფელი, სადაც ყველაზე მეტ თავისუფლებას პოულობდა მწერლის შთაგონება და ბოლომდე მკლავნდებოდა მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ამ დარგში ანდერსენი ჰეშმარიტ ნოვატორად გვევლინება. არც ერთ მის წინამორბედს (ჰოფმანს, გრიმებს თუ ტიქს) არ გამოუყენებია ზღაპრის ფორმა ისეთი მძაფრი სოციალური კრიტიკის მიზნით, როგორც ეს ანდერსენმა გამოიყენა. თვითმიზნული ფანტასტიკა და წმინდა ზღაპრული სათავგადასავლო-გასართობი ელემენტი ანდერსენის ზღაპრებიდან თითქმის სრულიად განდევნილია. ყოველ ზღაპრულ მოტივს მის შემოქმედებაში გარკვეული სოციალურ-

ეთიკური ფუნქცია აქვს. სწორედ ამიტომ არის, რომ ანდერსენმა ზღაპრებში ცოცხლობენ ორგვარი სიცოცხლით — ისინი საყვარელი არიან როგორც ბავშვებისთვის, ისე უფროსი მკითხველებისთვის. ანდერსენის ზღაპრები არის უღარესად ხალხური, დემოკრატიული, მემჩანური საზოგადოების მიმართ კრიტიკულად გამიზნული. „არ არსებობს თვით ცხოვრების მიერ შექმნილი ზღაპრებზე უკეთესი ზღაპარი“ — ანდერსენის ეს სიტყვები შეიძლება ეპიგრაფად წარემძღვანოს მთელს მის შემოქმედებას. და შემთხვევითი არაა, რომ ახალი, სოციალისტური ჰუმანიზმის პირველმა დამამკვიდრებელმა ლიტერატურაში — მაქსიმ გორკიმ სწორედ ეს სიტყვები წარუშმღვარა თავის ბრწყინვალე „ზღაპრებს იტალიაზე“, ამ მართლაც რომ ცხოვრების მიერ ნაკარნახევ ზღაპრებს, სადაც ასეთი სიღრმით არის ნაჩვენები ადამიანის ბუნების სიღიადე და კეთილშობილება.

სწორედ ასეთმა რეალისტურმა მიზანდასახულობამ განაპირობა ანდერსენის ზღაპრების სტილიც, დიდი დანიელი მეზღაპრე ფორმის ნოვატორადაც გახადა. ანდერსენის ზღაპრების ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა თხრობაში ავტორის ჩარევა, ზღაპარში ავტორისეული „მე“-სათვის მკვეთრი ხაზგასმა. ეს გარემოება ანდერსენის ზღაპრების შინაგანი კანონზომიერებაა, მისი სტილის სპეციფიკაა. ანდერსენი ამით განსხვავდება ყველა ამ დარგში მომუშავე შემოქმედთაგან. ავტორის ეს „ჩარევა“ ამლიერებდა რეალისტურ დეტალთა ნაკადს მის ზღაპრებში, რადგან სწორედ ავტორისეულ რეპლიკებშია ხაზგასმული და მითითებული ზღაპრულ ფორმაში გადმოცემული ამბების რეალისტური არსი.

ანდერსენის ზღაპრების ირონია მიმართულია ძირითადად იმ მოვლენების წინააღმდეგ, რომელთა გადაქცევა ირონიის ობიექტად (მეფეები, სამღვდლოება, ვაჰრები) ნიშნავდა აღიარებულსა და სავალდებულოში ექვის შეტანას,

მათში უაზრობისა და უხამსობის მზი-
ლებას, არსებულის კრიტიკას.

არსებულის კრიტიკა უმადლეს სა-
ფესურს აღწევს ანდერსენის მძაფრ
სატირულ ზღაპრებში. ასეთია, მაგალი-
თად, „მეფის ახალი ტანისამოსი“. უგუ-
ნურია, ჩაცმას გადაყოლილი მეფის ირგე-
ლივ ანდერსენი ხატავს ლაქია-დიდე-
ბულთა მთელ ბრბოს, იმათ, ვინც თვალს
იბრმავებს, სიმაართლეს მაღავეს, მლოჭე-
ნელობს და სტყუის, ოღონდაც მზრძა-
ნებელის გული მოიგოს და თავისი პრი-
ვილეგიური მდგომარეობა შეინარჩუ-
ნოს. როგორც ყოველთვის, აქაც არიან
მღვრიე წყალში თევზის დამჭერნი, ყალ-
ბის მქნელები და ავანტურისტები, რომ-
ლებიც მეფისა და დიდებულების უმეც-
რებითა და სულმდაბლობით სარგებ-
ლობენ.

მეფის ახალი მორთულობა არ არსე-
ბობს. მაგრამ ამის აღიარება საზიფათოა.
იტყვიან, მეფემ ვერ შეამჩნია ნატაფი
და წმინდა ქსოვილიო. ასევე იტყუებენ
თავს და ატყუებენ მეფეს კარისკაცე-
ბიც; ყველაფერს წარმართავენ მლიქვ-
ნელობა, უაზრობა და უმეცრება.

„მეფე ხომ შიშველია!“ — გენიალუ-
რი მეზღაპრის ეს სიტყვები საუკუნეზე
მეტია, უმძაფრეს ბრალდებად ქლერენ
არისტოკრატიულ-ბურჟუაზიული, მეშ-
ხანური სამყაროს მიმართ, ყოველდღიუ-
რად ამ სამყაროს უბნელეს კენჭულებ-
ში აღწევენ ისინი სინათლის შუქის და-
რად, სააშკარაოზე გამოყავთ და სამარ-
ცხვინო ბოძზე აყარავენ მის გაბრწყნილო-
ბასა და სიყალბეს. ნიშანდობლივია,
რომ გენიოსმა რუსმა მწერალმა ლევ
ტოლსტოიმ, რომელსაც ლენინმა „რუ-
სეთის რევოლუციის სარკე“ უწოდა,
ღრმად შეიგრძნო ანდერსენის ზღაპრის
რევოლუციური სული. 1904 წელს მან
ჩაწერა თავის დღიურში: „ადამიანები
განდიდების ნიშნებს უგონებენ თავიანთ
თავს: მეფეები, სარდლები, პოეტები.
მაგრამ ყოველივე ეს სიცრუეა. ყველა-
სათვის აშკარაა, რომ არაფერი ეს არ
არსებობს, რომ მეფე შიშველია“. ბოლო
1910 წელს ტოლსტოი კვლავ უბრუნდე-

ბა ამ თემას: „რევოლუციამ მოახდინა
ჩვენი რუს ხალხში ის, რომ მან უკუ-
დაინახა თავისი მდგომარეობა და უა-
ზრობა. ეს ხომ ზღაპარია მეფისა და
მის ახალ ტანისამოსზე. ბავშვი კი, რო-
მელმაც თქვა სიმაართლე — მეფე შიშ-
ველიაო — იყო რევოლუცია“.

განებიერებული არისტოკრატის ცრუ
ნატიფობას დასცინის ანდერსენი თავის
ცნობილ ზღაპარში — „მეფის ასული
მუხუდოს მარცვალზე“. ამ ზღაპრის სა-
თაურიც გადაიქცა დიდკაცური მეტიჩ-
რობის სინონიმად. ასეთები ხომ დღე-
საც ცოცხლობენ და მათაც გესლავს
ანდერსენის ირონია.

ყურადღების ღირსია მოსაზრება, რომ
ანდერსენის ზღაპრები ნოველებია. ამის
მთქმელს ალბათ მხედველობაში ჰქონდა
ამ ზღაპართა ნოველისტური კომპოზი-
ცია, მათი სიუჟეტური განვითარების
თანმიმდევრობა და, ბოლოს, განცდების
ადამიანურობა, ჩვეულებრიობა.

ასეთია, მაგალითად, ყველასათვის
ცნობილი ზღაპარი „მფრინავი ყუთი“.
ამავე ზღაპარში ჩართულია მეორე ზღა-
პარი, სოვდაგრის შვილი რომ უყვება
თერქთა მეფე-დედოფალს:

სამზარეულოში თავმოყრილია ნივთე-
ბი, რომლებიც სხვადასხვა ჯურისა და
პროფესიის ადამიანთა ალეგორიული
განსაზიერებაა. ასანთის ღერები — შე-
მოღვამის აზნაურებია, გვარიშვილო-
ბით რომ ყოყონობენ და ამ ყოყონობა-
ში ხდებთ სული, — ხმაურით ინთებიან,
სულ ცოტახანს ანათებენ და ნახშირდ-
ბიან; ბაზრის კალათი, ქვეყნის ამბები
რომ იცის, ჩვეულებრივი ჭორიკანა მო-
ლაყბეა „შეუძლებელია მისი მოსმენა“;
თელშემა, პირფერი, ლაქია თელშემა,
ყველაფერს რომ გიქებენ, ოღონდ გაუ-
ცინო — ისევე და ისევე ჩვენთვის ნაცნობ
ადამიანთა მსგავსია არიან.

აი, მადღურარიც, ის უარს ამბობს სიმ-
ღერებზე, რადგან მეცელში არა აქვს
აღულებული წყალი. ეს კი თავის და-
ძვრენაა, „ის ხომ ბატონების სუფრანზეა
დაჩვეული სიმღერას“.

რას იხამ, თუკი მადუღარს არ უნდა სიმღერა, არცაა საჭირო — ამბობს კალამი, — აი, საკმელს იქით, გალიაში, ბულბულია, ის იმღერებს.

„როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, პატივცემულო! — თქვა სპილენძის ჩაიდანმა, რომელიც მადუღარას ბიძაშვილი იყო. — ჩემი აზრით, ჩვენ არ შეგვეფერება მოვუხმინოთ სხვა ქვეყნის ფრინველს. განა ესაა პატრიოტობა? თქვენ თვითონ განსაჯეთ, ქალბატონო, — მიმართა მან ბაზრის კალათას.“

და ასე, ერთმანეთს ცვლიან ჩვეულებრივი ადამიანების რეალისტური სახეები სამზარეულოს ნივთთა სამოსელში. დაცინვა აქ აყვანილია ქვეშაირი სატირის ხარისხში. აი, როგორია ეს ბრწყინვალე ზღაპარი-ნოველა. ცხადია, ესაა მაღალი, დიდი ხელოვნება. მან არ იცის მკითხველი — ბავშვი და მკითხველი — ხანდაზმული.

საესებით სამართლიანად აღნიშნავენ, რომ გოგონას სახეში (იგულისხმება ზღაპარი — „ღარიბი გოგონა და ასანთის კოლოფი“) ბევრია ავტორისეული, პირადად განცდილი და ნანახი.

ეს ნაწარმოები არაა ჩვეულებრივი ზღაპარი. იგი სოციალური უკუღმართობის თემაზე აგებული მოთხრობაა.

ასანთის გამყიდველი პატარა გოგონა ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს ქუჩის კუთხეში ზის, შინ ვერ ბრუნდება მამის შიშით, რადგან ცუდად „ივაჭრა“ და ვერაფერი გაყიდა. გოგონა ასანთის ღერებს ზედიზედ ანთებს და ხელებს ითბობს. მას იხსევრ ალში ელანდება ბედნიერება, ამ ოცნებებში თანდათან იყინება და სულსა ლაფავს. აქ არაფერია ზღაპრული.

ანდერსენის ესთეტიკური კრედიო ჩანს ზღაპარში „ბულბული“.

რა არის ნამდვილი ხელოვნების დანიშნულება, როგორია ქვეშაირი ხელოვნება? აი კითხვები, რომლებზედაც იძლევა პასუხს ეს ზღაპარი.

ნამდვილი ხელოვნება, გერმანულად რომ იგი უმაღლესი სიამყვნებას ნიშნავს გერელია, არის გაჭირვებული ხალხის მეგობარი, მისი დარღისა და ჭირ-ვარამის შემამსუბუქებელი. ქვეშაირი ხელოვნებას არაფერი აქვს საერთო ხელოვნობასთან, რადგან მაღალტექნიკურიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. ქვეშაირი ხელოვნება — ეს ლალი, ბუნებრივი სიმღერაა ადამიანთა ბედსა თუ უბედობაზე. იგი არასოდეს არ იქნება ტყვე თავისუფლება მისი არსებობის პირველი საფუძველი და პირობა.

ანდერსენი გონებასაზვიადებლად აყენებს საკითხს ხელოვნებაში სიახლეზე, ამ სიახლის შეფასებაზე „მაღალი“ საზოგადოების მიერ. იმპერატორმა და მისმა სასახლემ ზეპირად იციან ხელოვნური ბულბულის ერთადერთი სიმღერა. მათი აზრით, იგი იმიტომაა ყველაზე კარგი, რომ ნაცნობია და ძველი. ახალი და მრავალფეროვანი კი, ვინ იცის, რა იქნება, იგი უნდა უარყო, როგორც უარყოფდნენ ერთ დროს თვით ანდერსენის შემოქმედებებს.

ანდერსენის ზღაპრების ერთ-ერთი მთავარი თვისებებურება ისაა, რომ ყველაზე მძაფრი სატირაც კი მათში შერწყმულია ნათელი საწყისთან, გასხვივს ნებულაა ჰუმანისტური იდეალის შექმნით. უგუნური, ამპარტავანი და უზნეო მეფეების, ეპისკოპოზების, დიდკაცებისა და ვაჭრების საპირისპიროდ ის ყოველთვის ხატავს ქვეშაირტად ადამიანური იდეალების მატარებელ გმირებს — უპირატესად ხალხის შვილებს, „დაბალი“ ფენების წარმომადგენლებს. მშრომელი ხალხისადმი სიყვარული გამოსტევის ყველა მისი ნაწარმოებიდან. ბულბულიც კი, რომელმაც მეფეს დახმარება გაუწია გასაკირის ეპის, უარს ამბობს მასთან დარჩენაზე, რადგან ღარიბ-ღატაკთა ქოხების ქერქვეშ ამჯობინებს სიმღერას, მათი დარღისა და ვარამის შესამსუბუქებლად.

ჰუმანიურობა, დემოკრატიზმი, ხალხურობა — აი, ანდერსენის ზღაპრების მთავარი თვისებები, რომელთა და-

ნახვა არ სურთ დღევანდელ „შიშველ მეფეებს“. ისინიც, ანდერსენის ერთი ზღაპრის გმირების მსგავსად, მზად არიან, უღამაზესი გედი იხვის საძაგელ ქუჩად მონათლონ და გენიალური მეზღაპრე სოციალური იდილიისა და მეშინაური „სიკეთის“ მჭადაგებლად გამოაცხადონ. მაგრამ გედი მაინც გედად რჩება და ანდერსენიც მუდამ იტოცხლებს ხალხის გულში, როგორც მისი მეგობარი და მესაიდუმლე, როგორც მისი კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლი.

ჩვენს ქვეყანაში დიდად აფასებენ და პატივს სცემენ დიდი საკაცობრიო

კულტურის მედროშეებს. ანდერსენის იუბილე გადაიქცა სახალხო მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები, კეთილი ნების ადამიანები არ დაუშვებენ საუკუნეების მანძილზე შექმნილი სახალხო კულტურის განადგურებას.

ანდერსენის ხმა ერთვის მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოწოდებას კულტურისა და პროგრესის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის, ომის აღკვეთისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.



ქართული ხალხური საგმირო ბალადები

ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიის გრძელ მანძილზე შექმნა ბოროტების წინააღმდეგ, ხალხის კეთილდღეობისათვის, მამულის დიდებისათვის გმირული ბრძოლისა და თავდადების კეთილშობილური იდეალი.

ხალხის წარმოდგენით, გმირობა და სიმამაცე მაშინ ამშვენებს ადამიანს, როცა იგი ხალხს ემსახურება. გმირი ხალხის ქომაგია. იგი ებრძვის სოციალური უსამართლობისა და ძალმომრეობის ყოველგვარ გამოვლინებას. ამგვარ სამართლიან ბრძოლაში გამბედაობა და მტერზე ომხიანი მკლავშემართება ვეკაცის ძვირფასი სამკაულია:

ვეკაცის გული რკინისა,
მჯერი თუნდა ხისა,
თვალნი — ქორბულ მუდგენს,
მუხლები — შევარდნისა.

შესაძლოა, ბოროტების წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში გმირი კიდევ დაიღუპოს, მაგრამ მისი სახელი ხალხის გულში მაინც უკვდავი რჩება. ხალხს არ სჯერა გმირის სიკვდილი, იგი ლეჩხებსა და სიმღერებში დიდების შარავანდით მოსაეს გმირს.

ქართულ ხალხურ პოეზიაში გმირობისა და სიმამაცის იდეა ყველაზე უფრო სრულყოფილად ბალადის ეანრის ლექსებსა და სიმღერებში აისახა. ქართულ საგმირო ბალადებს, გარდა ბალადის ეანრის საერთო ნიშანდობლივი თვისებებისა, ახასიათებს შინაარსობრივი მრავალფეროვნება, აზრის სიღრმე და პოეტური თქმის სისადავე. ამ მხრივ ბევრი მათგანი პოეტური შემოქმედების შედეგს წარმოადგენს. ქარ-

თული ხალხური საგმირო ბალადები გვირგვინად ხვენ „მოყმე და ვეფხვი“ მიგვანინა. ამ ბალადის მრავალი ვარიანტი არსებობს.

ვეფხვთან და ლომთან შებმის მოტივი, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია აღმოსავლურ თქმულებებსა და პოემებში, უძველესი წარმოშობისაა. ვეფხვი, ისე როგორც ლომი, ძლიერების სიმბოლოა, ხოლო მასთან შებმა გმირობისა და სიმამაცის სიმბოლური განსახიერებაა. რუსთაველის უკვდავი პოემის მთავარი გმირი, ტარიელი, ვეფხვის ტყავითაა შემოსილი. იგი ვეფხვებთან და ლომებთან მებრძოლი გმირია. ვეფხვთან შერკინების შესანიშნავი სცენა, ქართულ ფოლკლორზე დაყრდნობით, აღწერილი აქვს მ. ლერმონტოვს თავის ცნობილ პოემაში „წიწი“. როგორც რუსთაველთან, ისე ლერმონტოვთან გმირი ამარცხებს ვეფხვს და ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოდის. სხვაგვარია ქართულ ხალხურ ბალადაში მოცემული ორთაბრძოლის ფინალი. ვეფხვთან ბრძოლის ძირითად მოტივს აქ ორგანულად ერთვის მშობლიური გრძნობის, დედობრივი უკეთილშობილესი გრძნობის მოტივი, რომელიც ბალადის მეორე ნაწილში პოეტური ოსტატობით არის გადმოცემული. ესაა ვეფხვთან ბრძოლაში დაღუპული შვილის დატრეხა დედის მიერ.

ამ ბალადაში გასაოცარი პლასტიკურობით არის დახატული ყოველი სურათი. იშვიათი დინამიკურობით სცვლიან ერთმანეთს მოქმედების ეპიზოდები.

ჯიხვზე ნადირობა ხეცსტრეთის სალკლებში თითქოსდა ჩვეულებრივი

ამბავია და გენიალური სახალხო მთქმელიც მით იწყებს თხრობას, მაგრამ ძლიერ მოკლედ, სხარტად:

შამხდეს კლდისა თუზუდა
ზორინი ჯიხუებისანი,
ჯიხვსა თოფ დახკრა ბუხენსა,
ქალას ჯახნ იქნეს რქისანი.

ამ ოთხ სტრიქონში ჩვენ ვხედავთ პოეტური თქმის უყიდურეს ლაკონიზირებას. გრანდიოზულ სურათს ხატავს ჩვენს თვალწინ თუნდაც ოთხი სიტყვა: „ქალას ჯახნ იქნეს რქისანი“. თითქოს თვალნათლივ ვხედავთ და ვისმენთ, როგორ იტყუა „პირშიშველა მოყმის“ თოფმა, როგორ გაგმირა გასროლილმა ტყვიამ რქადაგრებილი „ბუხენი“ ჯიხვი და როგორ გადაიჩეზა სასიკვდილოდ დაპკრილი ნადირი მღალღი კლდიდან დაბლა გაშლილ ქალაში.

მომღეერი სტრიქონს ახალსა და დრამატულ ატმოსფეროში გადავყავართ:

გზას ვეფხვი შამყვარა,
თვალნი არისხნა ღუთისანი.

გაათრებული ვეფხვის მრისხანე თვალეზი მოითხოვს ელვისებური სისწრაფით მოქმედებას. მოსალოდნელი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის მომენტების გასათვალისწინებლად მონადირეს თვალისდახამხამების დროც კი აღარ რჩება. აქ სახალხო მთქმელი ამტკიცებს დიდ პოეტურ ალღოს. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მხოლოდ გმირულმა ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს. არც ერთი სიტყვა ზედმეტია:

შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი,
შამინ დაიძრნეს მიწანი.

როგორი ექსპრესიით, როგორი დინამიკურობით არის აღწერილი ორთაბრძოლა:

კლდეები ჩაჰინჯრია,
შტონ დაიღუნეს ტყისანი.
დრონ აოარ დასიეს მოყმესა,
ვედან ეწოლნეს ხმლისანი.
ფარს უფარობს და ვერ ასწრობს,
ვეფხენი ჩქარნია კლდისანი.
გაზით გაართვნა კალანნი
ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.

თანასწორი მოპირდაპირეობა შევსებულ პოეზიაში ბრძოლამ მეხის ხმასთან ერთად ჩაიარა. ორივე მხარე მოიქანცა. მთქმელიც არ ღალატობს პოეტურ ალღოს და ლექსის დინებას ისევე აწელებს, როგორც

ნელ-ნელა გაჭრა ფრანგულმა,
ღრონ იყვნეს წაქცევისანი.

ბრძოლის ტრაგიკული ფინალის დასახატავად საკირო აღარაა თხრობის სწრაფი ტემპი:

ვეფხვი კლდით ვარდევითა,
ჩამაწითლნა ქვიშანი.
თათ კლდის თაზე შამიწეა
მოყმე სულამოდინარი.

დამთავრდა მოყმისა და ვეფხვის ბრძოლა. აქ თავდებოდა ბალადის ძველი ტექსტი („ძველი სიმღერე“), რომელიც მომავალ მთქმელს ბუნებრივად უხსნიდა გზას მისი გავრცობისა და სრულყოფისაკენ.

იწყება მეორე ამბავი. მეორე სიტუაცია, რომლის განვითარებაც მოითხოვს თხრობის სწრაფი ტემპის შენელებას, მაგრამ დრამატისმის უფრო მეტ გაშლასა და გამძაფრებას. ბალადის მეორე ნაწილში შეინიშნება ოთხი მთავარი მომენტი:

1. გულდასტევილი დედა (მას შვილის გმირული სიკვდილი უკვე გაუგია) დაიარება და მოთქმით ტირის. მოთქმა-ტირილი მიმართულია ხალხისადმი:

ჩემს შვილს გზას ვეფხვი შახვიროს
გაჯავრებულ, ტოლი.
ჩემს შვილს ხმლით, იმას ტოტითა
დღე დაუნებლდა შოანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ დახვდა ჭკვიანი.
შათ დაუხოცავ ერთუცა,
არ დარჩეს სირცხვილანი.

სირცხვილიანის შინ მოსვლას, ბრძოლის ველიდან გამოქცევას ხალხი გმობს და წყველ-კრულვით იხსენიებს. ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში ეს მოტივი წითელ ზოლადაა გავლებული. „გამოქცეულის შინ მოსვლას არ მოსეული სჯობს შინაო“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში.

2. ხმით დატირება გრძელდება, მაგრამ ახლა დედის სიტყვები მკვდარი შვილისადმი მიმართული, დედას არ სჯერა შვილის სიკვდილი. იგი წყლულებს უხევეს შვილს და თანაც დაქვეითინებს:

შვილო, არ მახვედი, შენ გჩინავს,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ი შენი ჯაპვის კალთები
ოხერმა როგორ დაფლითა?!

აქ, თითქოს უკუნეთ ღამეში მზის სხივი შეიქრათ, დედის შეგნებაში იკრება და ფრთებს შლის სიამაყის გრძნობა, რომელიც ნათელი იმედით აბრწყინებს მშობლის გულს. ეს არის გრძნობა დედის მაღალი დანიშნულებისა — ვეფხვებთან მეომარი შვილების გაზრდა:

მაგის მტეს აღარ გიტორებ,
შენ არ ხარ სატირალი,
ერთი შვილ მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია.

ეს სიტყვები გლოვის ფონზე ისე ბრწყინავს, თითქოს დაბნელებულ ცას შავი ღრუბლების ფარდა ჩამოახიესო. დედა ემშვიდობება პირშვის:

მშვიდობით, გჯავრი გუწეროს!
გვიც სამარის კარია.

გვაგონდება ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი ლექსი „გიგი“. გიგი მტრებთან გმირულ ბრძოლაში დაიღუპა. მამას, თინიბექს, შვილის სიკვდილი რომ მოახსენეს, ასე უბასუხა:

რად არ აცალეს რჯულ-მალთა
ვეფხვს ერთხელ გასმა კბილისა?
მოკლან, თუ მოკლეს, რაღა ვქნა,
წეს ვგ არიხო გიორისა.

3. დედას სიზმარშიც არ შორდება დაღუპულ შვილზე ფიქრი. იგი თუმცა არ დასწრება ვეფხვთან შებმას, მაგრამ უშუალოდ განიცდის მას — სიზმარში ხედავს საბედისწერო სურათს:

ხან ვითამ ვეფხვი იმის შვილს
ახყრის ტანზეთ რკინასა,
ხან ვითამ იმის შვილმ ძლივის,
გარდაველივის ყირასა.
აიმაგ სიზმრებს ხედავდა,
გამაველივის მტირალსა.

4. დედის გული მაღალსიზმარში გრძნობით იმსკვალება. მშველთხეველი ეს გრძნობა, „ვეფხვსაც ხომ ეყოლება დედა, — ფიქრობს ქალი, — მასაც ჩემსავით გაამწარებდა შვილის სიკვდილი“. ქალი გადაწყვეტს წავიდეს ვეფხვის დედასთან და ჭირის სამძიმარი უთხრას მას. თხრობის დრამატული გამძაფრება აქ უმაღლეს ზღვარს აღწევს და ბალადაც მთავრდება. ასეთია სრულიად თავისებური, ორიგინალური ფინალი ქართული ხალხური ბალადისა — „მოყმე და ვეფხვი“.

ბალადა მოყმისა და ვეფხვისა ხალხის გულში ცოცხლობს და ისე, როგორც სხვა ხალხური პოეტური ქმნილებანი, კვლავ განიცდის შემოქმედებით სრულყოფას. ამის მაჩვენებელია მისი კიდევ უფრო ვრცელი ვარიანტი, რომელიც „ხალხური შემოქმედების საუნჯის“ მეორე ტომშია დაბეჭდილი.

გმირობისა და სიმამაცის იდეა ერთი უკვდავი იდეაა, რომელიც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა შინაარსითა და ფორმით ვლინდება. თუ „მოყმისა და ვეფხვის ბალადაში“ ვაჟკაცობის მაღალ იდეალს ორგანულად ერთვის დედური გრძნობის მაღალსიზმარული და ფაქიზი განცდები, მეორე ხალხურ საგმირო ბალადაში „ყვიჩაღის ლექსში“ ქართლის გზაზე მიმავალი ვაჟკაცის მიერ უხეში თავდამსხმელი მოძალადის განადგურება ქალისადმი მოკრძალებულ, რაინდულ პატივისცემასთანაა დაკავშირებული.

ქართლის გზაზე ცოლთან ერთად მიმავალ ქართველ ვაჟკაცს წინ ყვიჩაღი შემოეყარა: მან პური, ღვინო და ხორცი მოსთხოვა. ვაჟკაცმა უცნობს საუკეთესო სასმელ-საქმელი მიართვა. გათამამებულმა მოძალადემ ახლა ცოლი მოსთხოვა, რაზედაც, ცხადია, მტკიცე უარი მიიღო. მაშინ ყვიჩაღი ქალის თმის ნაწნავს გადასწვდა, მოზიდა, გადაეხვია ქალს და აცოცა. შეურაცხყოფილმა ქალმა შესტირა: „ვაი ცოლს ცუდის ყმისა-სა!“ განა გული გაუძლებდა ვაჟკაცს

მტრისთვის ასეთი დამცირება ეპატიე-
ბინა? იმიშელა ხმალი, მაგრამ მოძალა-
დეც მაგრად დაუხვდა. გაიმართა ორთა-
ბრძოლა, რისი ფინალიც ბალადის
სხვადასხვა ვარიანტში სხვადასხვაგვარა-
დაა გადმოცემული. ზოგი ვარიანტის მი-
ხედვით, მორკინალები ერთ-ერთს და-
ხოცავენ, ზოგში კი ქართველი გმირი
იმარჯვებს, და ეს სრულიად ბუნებრი-
ვია, რადგან სამართლიანია მისი ბრძო-
ლა მოძალადის წინააღმდეგ.

„თუ მოყმისა და ვეფხვის ბალადაში“,
დიდი ამბის (ვეფხვთან შებმის) დასაწ-
ყისად დამხმარე ამბავი (ჯიხვზე ნადი-
რობა) არის გამოყენებული, „ბალადა
ყივჩაღისა“ თვით დიდი ამბით იწყება:
„შემომეყარა ყივჩაღი...“ — ეს ორი
სიტყვა უკვე არის თემატიკური და მუ-
სიკალური გასაღები იმ მძაფრი ტრა-
გიკული ვითარებისა, რომელიც სულ რა-
ღაც ათ-თორმეტობედ სტრიქონში უნდა
დასრულდეს.

მოხდენილი პარალელიზმებისა და
კონტრასტების გამოყენებით გენიალუ-
რის სახალხო მოქმელი უდიდეს შთაბეჭ-
დილებას ახდენს:

პური მთხოვა და ვაჰმიე,
ეურჩევი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჰმიე,
ეურჩევი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვაჰმიე,
ეურჩევი ბადგისასა.

და უცებ მკვეთრი კონტრასტი:

ცოლი მთხოვა და ვერ მივეცა
მიშვენდა სიღვდრისასა.

ასევეა რომ გაიმეორათ ეს ლექსი,
ასევევე გატკენთ გულს ასეთი თავხე-
დური მოთხოვნა უმადური მოძალადი-
სა. იგი ხომ ვაჟკაცური გრძობის ფეხ-
ქვეშ გათელვის უხეში ცდაა. ამი-
ტომ სიტყვები — „ვერ მივეც“ ისეთსა-
ვე მძაფრ კონტრასტშია სიტყვებთან: —
„ვაჰმიე“, „ვასმიე“, „ეურჩევი თავთუ-
ხისასა“, „ეურჩევი ხოხობისასა“,
„ეურჩევი ბადგისასა“, — როგორც
ქართველი ვაჟკაცის პურადობა, გულუ-
ხეობა და სტუმართმოყვარეობა — მო-

ძალადე გადამთიელის მტაცებლურ ბუ-
ნებასთან.

მოკრძალებულ თავაზიანობასა და რა-
ინდულ სიღარბაისლეს განგვატევივნებს
ამ ლექსში თავის ადგილზე თქმული
მოხდენილი ორი სიტყვა: „მიმყვანდა
სიღვდრისასა“. თუმცა ჩვენ ვარგად
ვგრძნობთ, რომ ქართველი ვაჟკაცი
მტერს ქალის პიროვნების (მით უმეტეს,
თავისი ცოლის) დამცირებისა და შეუ-
რაცხყოფის უფლებას არ მისცემდა არც
ერთ სხვა შემთხვევაშიც, მაგრამ სიღვდ-
რის გახსენება აქ გმირის სახეს კიდევ
უფრო მაღალ, კეთილშობილურ ელ-
ფერს ჰმატებს.

„ბალადა ყივჩაღისა“ ბოლოვდება
მტერთან სამართლიან ბრძოლაში ქართ-
ველი გმირის გამარჯვებით:

ცოლი სიღვდრსა მივეყარე,
ის კი იქა სკამს ქვიშასა.

ეს სტრიქონი გამარჯვების აკორდად
ქდერს ბალადის ბოლოს. ზოგიერთ ვა-
რიანტში გვხვდება სხვაგვარი დაბო-
ლოებაც, რომლის მიხედვითაც ქართვე-
ლი ვაჟკაცი და ყივჩაღი ერთმანეთს და-
ხოცავენ:

ერთი იმანაც შამაქრა,
ელესა ჰგვანდა ცისასა.
აქეთ მე ვევედუბი, იქით ის,
ქალი წვიდა ძმისასა.

„ყივჩაღის ლექსი“ ისტორიული ხა-
სიათის საგმირო ბალადაა. ისტორიული
ხასიათის საგმირო ბალადებია აგრეთ-
ვე „სოლოღას ლექსი“, „მალა მთას
მოდგა“, „შაველეგო“ და სხვები.

ქართული ხალხური პოეზიის ოქროს
ფონდში შედის ბალადა „შატილ გა-
დიღდა ხოხობი“, რომელშიაც დიდი
პოეტური ოსტატობით არის ასახული
ქისტების მიერ ფშაველი ქალის გატა-
ცება და ფშაველი გმირის, „თხისტყა-
ვიანი მოყმის“, გასაოცარი სიმამაცე და
გამბედაობა. დიდმა ქართველმა პოეტ-
მა ვაჟა-ფშაველამ სწორედ ამ ამბავზე
ააგო თავისი ცნობილი პოემა „გიგლია“.
ბალადა „შატილს გადიღდა ხოხობი“

რამდენიმე ეპიზოდად შეგვიძლია დავ-
ყოთ: პირველი — ხოხობის მიერ შეი-
ლების აღზრდა და მათდამი მტაცებლუ-
რი დავალების მიცემა; მეორე — ქისტე-
ბის თავდასხმა გოდერძის ციხეზე და
ქალის გატაცება; მესამე — გოდერძი
დაედევნება ქისტებს, მათ კვალს ვერ
მიაგნებს, გაწვილებული უკანვე ბრუნ-
დება და გადასწყვეტს კარზე მოუხდეს
მტერს და დაიხსნას შვილი; მეოთხე —
ფშაველისა და ქისტების ბრძოლის ეპი-
ზოდი; მეხუთე — ფშაველი მოყმისა და
თამარის საუბარი განშორებისას.

„მატილს ვადიდდა ხოხობი“ ერთ-
ერთიანი რუსთველური დაბალი შაი-
რითაა თქმული. მოხდენილად გამოყენე-
ბული დიალოგები ლექსს დრამატულ
ელფერს აძლევს, რის გამოც ადვილი
მოსახერხებელია ამ ლექსის გასცენუ-
რება.

გმირის ერთ-ერთი სამკაული თავმდა-
ბლობაა. ამ ბალადის გმირიც თავმდაბა-
ლი და თავაზიანია. იგი არაა სისხლის
მოყვარული. მას სურს მოსალოდნელი
სისხლისღვრა თავიდან აიცილოს და
სწორედ ამიტომ მიმართავს ხოხობის
შვილებს:

მოდი, გაუშვით ეს ქალი,
ნუ გავალო მუქარაზედა.

მაგრამ, როდესაც მოწინააღმდეგეები-
საგან პასუხად ქედმაღლურ უარსა და
მუქარას მიიღებს, მაშინ ტყვედჩაეარდ-
ნილი თვისტომი ქალის განთავისუფლე-
ბის მძაფრი სურვილი მას ფრთებს გა-
მოასხამს, სამართლიანი ბრძოლისათვის
ანთებს მის გულს. განსაცდელის ქაშის
მას ძალიც უპირის და ხმლის კვეთე-
ბის ძალაც გასაოცარი აქვს. გმირის თავ-
მდაბლობა განსაკუთრებით ბალადის
დასასრულში ჩანს, როცა იგი ტყვეობი-
დან მის მიერ დახსნილ ქალს სთხოვს:

ნუ იტყვი ჩემსა სახელსა,
ჩვენ ვიყავთ და-ძმობაზედა.

სოციალური უკუღმართობით გამოწ-
ვეულ ურთიერთთავდასხმებსა და
დარბევებს ზოგჯერ ადგილი ჰქონდა
არა მარტო სხვადასხვა ხალხს შორის,

არამედ თვისტომთა შორისაც, ქართულ
ხალხურ ბალადებში ეს მოვლენები ყოველ-
ხანა ამის მაგალითია მაღალი პოეტური
გემოვნებით თქმული ბალადა „მამუკა
ქალუნდაურის მოკვლა“, რომელიც მრავ-
ალმხრივ არის საინტერესო.

მამუკა ქალუნდაური ზურაბ ერისთა-
ვის დროინდელი გმირი ყოფილა. იგი,
გარდა აღნიშნული ბალადისა, სხვა
ლექსებშიაც იხსენიება, როგორც უმამა-
ცესი გმირი, რომელსაც თავი უსახლე-
ბია სისხლიანი მებატონის, ზურაბ ერის-
თავის წინააღმდეგ ხევსურთა განმანთა-
ვისუფლებელ ბრძოლებში:

ქალუნდაურმა ფრანგული
ქაჩაშით ამოტრია,
ხმლითა სცა ზურაბის ჯარსა,
სისხლმა სიმურხაში უწია.

ანდა:

თან მახვევს ქალუნდაურსა
მამუკას შექნი შოსანი,
ბევვენ-გორ ჩამოეწია,
უმან ჩაჭრა ზურაბისანი.

ამ ბალადის სიუჟეტი ასეთია: გიორგი-
წმინდაში გადმოსულმა თუშების ლაშ-
ქარმა ხევსურთა ცხვარი გაიტაცა. ეს
სურათი შორიდან შენიშნა მამუკა ქა-
ლუნდაურმა, რომელიც თუშებს დაე-
დევნა, წამოეწია და შესძახა: „თუშნო,
დაჰყარეთ ცხვარია!“ თუშებმა უპასუ-
ხეს: ქალუნდაურო, არ გვიანდა შენი
ცხვარი, ოღონდ თავი დაგვანებე, ნუ მო-
გვდეგო. მამუკამ არ ისმინა მათი წინა-
დადება: „გვარი შემირცხვინეთო“. მა-
შინ თუშები — მძემა შალვა და ივანე
მეჭობაურები — შემოუბრუნდნენ მამუ-
კას და გაიმართა ბრძოლა. ივანე მეჭო-
ბაურმა გულში გაარტყა ტყვია მამუკას.
სიკვდილის წინ მამუკა ეხვეწება ივანეს:
ხელს ნუ მომჭრი, სახელი მაინც შენ
დაგარჩებაო:

ხელსა ნუ მომჭრი, ივანე, —
სახელი მაინც შენია,
მზარზეთ თოფსა ნუ მამხლი, —
ჭიუხში ჯიბეთა მტერია:
წელზეთ ხმალსა ნუ შამხნი, —
ხევსურთად კაის მწენლია:
ტარზეთ ჯაჭვსა ნუ წამერი, —
ჭერითის ქვიშათ ფერიო.

მამუცა ქალუნდაურისა და ივანე მე-
ქობაურის ბრძოლა სულ ოთხ სტრიქონ-
შია მოცემული:

ივანე თოფსა ჩაუფდა,
გულზე დახვია ალია,
წაიქცა ქალუნდაური,
იჩრემა დასხნა ბქანია.

ეს არის ბრძოლის დასაწყისიცა და
ფინალიც.

ამ ბალადის უცნობი ავტორ-მთქმელი
პოეტური სიტყვის ნამდვილი ჯადოქა-
რია. განა იტყვის, გიორგ-წმინდაში
თუშთა ლაშქარი გადმოსულაო— „შახ-
ფარავს გიორგ-წმინდასა თუშთა ელვა-
რე ფარია“. — ხოლო ეს გაცილებით
მეტს ნიშნავს, ვიდრე გიორგ-წმინდაში
თუშთა ლაშქრის გადმოსვლა. ამ მნიშე-
ნელობას კიდევ უფრო აძლიერებს ეპი-
თეტი „ელვარე“, რომელიც თუშებს
დიდ მეთაირებად წარმოგვიდგენს. ვაეო-
ხსენოთ რუსთაველი: „შები გატყდა, ხე-
ლი ჩაეყავ, ეაქებ, ხმალ, ვინცა გლესა:“
ტარიელი არ ამბობს, ბასრი ხმალი ამო-
ვიღო. იგი მხოლოდ ხმლის გამლესავს
შეაქებს, რითაც ხმლის პირბასრიანობა-
ზე გაცილებით მეტს გვეუბნება, ვიდრე
ხმლის უშუალო აღწერით გვეტყოდა.

ქართულ ხალხურ პოეზიაში, კერძოდ,
ხალხურ ბალადებში, ისე როგორც მრავ-
ალი სხვა ხალხის ზეპირსიტყვიერება-
ში, ნათლად აისახა სოციალური უსა-
მართლობის წინააღმდეგ ბრძოლა. შეგ-
ვიძლია დავასახელოთ ბალადები:
„თორღვა“, „შიოლა და მთრეხელი“,
„სადარა“, „ციცქას ლექში“ და სხვ.

ბალადა „თორღვა“, რომელშიც ფშა-
ველი ჩოთას (ჩოთლას) მიერ თორღვას
მოკვლის ამბავია მოთხრობილი, გავრ-
ცელებულია ზევსურეთსა და ფშავეში.
თორღვას შესახებ ხალხში მრავალი
თქმულებაა დარჩენილი. ხალხის გად-
მოცემით, თორღვა ლეგენდარული ფი-
ზიკური თვისებებით ყოფილა დაჯილ-
დოებული. მაგრამ, ამასთანავე, იგი
ხალხის მწაგვრელი, უღმობელი მება-
ტონე ყოფილა.

ადამიანის ფიზიკური ძალა, რაგინდ
დიდი და განუზომელი არ უნდა იყოს

იგი, ფუქია და უნაყოფო, თუ ~~ჩაღვრული~~
დაჩაგვრა-დამონებისკენაა მძიმად ~~მძიმად~~
იგი განწირულია დაღუპვისათვის. რო-
გორც ამ ბალადის შინაარსიდან ვიგებთ,
თორღვა იმდენად უღმობელი და მოძა-
ლადე ბატონი ყოფილა, რომ სხვა გა-
დასახადებთან ერთად ფშაველებისათ-
ვის ნაცარიც კი მოუთხოვია თოვლიან
მთებზე გზის გასაშწრალებლად. ამასაც
არ დასჯერებია და კიდევ უფრო უცნა-
ური და მძიმე მოთხოვნა წაუყენებია:
„საკარ-ყმოდ შამიკრიფოდით ლალი არ-
წივის მხარით“. მაგრამ ხალხი მოთმინე-
ბიდან გამოსულა:

სამჯერ მაიხვე, თორღვაო,
სამი დაგაკალ ცხვარიო,
შეთოხედ მოსულს დავაკალ
თფითი ქორი ხარო.
გისავე ვერ დავიხვე, —
ბატონბატონა ხარო.

ამ სიტყვებში გამოხატულია მშრომე-
ლი ხალხის წარმომადგენლის ჩოთას
ცდა, რომ როგორმე მშვიდობიანი გზით
მოეგვარებია საქმე, რაც შეუძლებელი
აღმოჩნდა თურმე. სწორედ ეს გამბდარა
მიზეზი ჩოთას მამაკური მოქმედებისა:

ვინც შენ ვა მოგცეს, თორღვაო,
შამა წაუწვეს მედარიო!
ამაიწავდა ჩოთას
ისარი მკვარტლიანო,
გულსა ხერა, სუქსა ვწი,
წაიქცა ნატყვიარიო.

თუ ხალხი, საერთოდ, მწუხარებით
ხედება გმირის სიკვდილს, თორღვას
სკვდილს იგი აღფრთოვანებით შეხ-
ვედრია, რაც ნათლად ჩანს ამ ბალადის
ვარიანტებში. ასე მაგალითად, ერთ მათ-
განში ვკითხულობთ:

დედა ვაცხონე მექდლისი! —
ზრო ლამაზ გიქლიზაო
მენრე მაგის მარველსი! —
ლამაზ მეგზინაო!
ჯაპვი და სკლატი შედრიგად
მიგი-მიგ დაეხურითაო
საანაურო თორღვაო
ცვილივით დამკვრითაო.

უფრო მეტიც, ჩოთას სიტყვებში მოკ-
ლული მებატონისადმი ერთგვარი ირო-
ნიაც კი გამოკრთის:

თორღვა, ნუ დამეღღერებო.
ბოძალს ვერ მივე ძალიო!
შვიდ წელს ვარ ნავედარიო,
სამსა კი ნაცევარიო.

სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივი სხვა ხალხთა ფოლკლორშიც ფართოდ არის ასახული, რისთვისაც თავის დროზე ყურადღება მიუქცევია ფრიდრიხ ენგელსს, რომელსაც გერმანულ ენაზე უთარგმნია ძველდანიური ხალხური სიმღერა „ბატონი ტიდმანი“. ეს უკანასკნელი ხალხური ბალადის ჟანრის ნაწარმოებია და ჩვენთვის დიდად საყურადღებო, რადგან იგი ერთგვარ პარალელს წარმოადგენს ქართული ხალხური ბალადისას ჩვენგან ტერიტორიულად და ენობრივად დაშორებული ხალხის ფოლკლორში. ეს გარემოება კი იმით აიხსნება, რომ მსგავსი სოციალურ-ეკონომიური მოვლენები მსგავს ანარეკლს პოულობს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

სახეიოდ ჩაცმული ბატონი ტიდმანი დილაადრიან მიემართება ტინგზე ზუდერპარდში, სადაც მას ფეხზე ადგომით უგებებიან იქ შეკრებილი გლეხები. ტიდმანი ახალ მძიმე მოთხოვნებს წაუყენებს გლეხებს, გადასახადებს გაუდიდებს მათ. ზუდერპარდელი გლეხები აღმხედრდებიან და იქვე ჩაქოლავენ მოძალადე ბატონს.

როგორც ვხედავთ, ორივე ბალადა „თორღვა“ და „ბატონი ტიდმანი“, თემატიკურად ერთ მოტივზეა აგებული: ბატონი გადასახადებს უდიდებს გლეხებს; გადასახადი მძიმე და აუტანელია, რისთვისაც გლეხები აღმხედრდებიან და მოჰკლავენ თავხედ ბატონს.

ბალადა „თორღვა“ მოკლე ლირიკულ-ეპიკური ხასიათის ლექსია მკვეთრად გამოხატული სიუჟეტით, რომლის გამძაფრებაც განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა ფშაველი ჩოთა მკვდარი მამის სულს დაიფიცებს და მჭარტლიან ისარს ამოიწვდის. ლექსი დასაწყისიდანვე მოულოდნელად ვითარდება. მოულოდნელია თითქმის ყოველი მომდევნო სტრიქონი, მაგრამ ისინი ლოგიკურად

დაცემიერებულია ბალადის მთლიან მოტივთან. მიქმელი იყენებს დიდილიც მართაც ლექსს კიდევ უფრო მეტ დრამატულ სიმძაფრეს ანიჭებს. „მოკლედ თქმული“ სიტყვებით დიდ გრძნობებსა და განცდებს გადმოვივლის, რითაც პოეტური სიტყვის კემშარტ ხელოვნად გვევლინება.



გარდა აქ განხილული საგმირო ბალადებისა, არსებობს მრავალი სხვა ხალხური საგმირო ბალადაც, მაგრამ ყველა მათგანის გარჩევა ამ მოკლე წერილში შეუძლებელია.

ჩვენამდე მოღწეული ქართული ხალხური საგმირო ბალადების უმრავლესობა, ჩვენი აზრით, შექმნილია საშუალო საუკუნეების ფეოდალურ ეპოქაში, თუმცა ბევრ მათგანში ასახულია ისეთი ზნე-ჩვეულებანი, რომლებსაც ჩვენში გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში ჰქონდა ადგილი და რომლებიც იმ დროისათვის, როდესაც ეს ბალადები იქმნებოდა, შემონახული იყო გადმონაშთების სახით.

ქართულ ხალხურ საგმირო ბალადებში ნათლად აისახა ქართველთა და მეზობელ მოძმე მთიელ ხალხთა ძველი ცხოვრების სურათები, ხალხის იდეალი, ხალხის ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, ხალხის სწრაფვა თავისუფლებიასკენ.

ქართული ხალხური საგმირო ბალადების გაცნობა გვარწმუნებს, რომ სისხლისმღერელ თავდასხმებსა და დაღამქვრებს ადგილი ჰქონდა არა მარტო ერთი რომელიმე მხარის (ხალხის) მხრივ, არამედ ეს იყო ურთიერთთავდასხმები და ურთიერთდაღამქვრები, ხშირად უაზრო სისხლისღვრამდე მისული, დიდად საზიანო როგორც ერთი მხარის, ისე მეორისათვის. საზოგადოებრივი ცხოვრების ეს უკუღმართი მოვლენები, რომლებსაც კიდევ უფრო აძლიერებდა ტომთა შორის არსებული რელიგიური შეუღლი, უძველესი დროიდან, გვიროვნულ-ბატ-

რეალური წყობილებიდან მომდინარეობდა. საზოგადოების მშრომელი მასები ყოველთვის უარყოფითად უწყურებდნენ ამ მოვლენებს. მაგრამ ხალხის წმინდა იდეალი ურთიერთმომობისა და მეგობრობის შესახებ საგვარეულო-პატრიარქალური წყობილების მოსპობის შემდეგაც დიდი ხნით განუხორციელებელი რჩებოდა. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ინგლის-ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალიზმი კვლავ სდევნის ამ იდეალს, რითაც გზას უხსნის ხალხთა შორის შეღწევა და სისხლისმღვრელ ომებს.

ახალ საზოგადოებაში, კომუნისმის მშენებელ ადამიანთა დიად სამშობლოში ახალი და დიადი გმირის იდეალიც, თანამედროვე მიწიების, ამირანებისა და არსენების გმირობა დიდი სამამულო ომის დროს სოციალისტური სამშობლოს უბოროტეს მტრებთან ბრძოლაში გამოვლინდა. დღეს, მშვიდობიანი მშენებლობის დროს, იგი ყოველდღიურად ვლინდება ადამიანთა ბრწყინვალე მოძალების, კომუნისმის მშენებლობის დიად ფრონტებზე. შეიქმნა მრავალი ხალხური ლექსი დიდი სამამულო ომის თემაზე. ზოგი ამ ლექსთაგანი ეანრობრივი თვალსაზრისით ხალხურ საგმირო ბალადს წარმოადგენს. საბჭოთა პერიოდის

ქართული ხალხური საგმირო ბალადების შექრება და მეცნიერული შესწავლა ქართული საბჭოთა ფოლკლორისტების გადაუდებელი ამოცანაა.

დასასრულად, ყურადღება უნდა მიექციოთ იმ გარემოებას, რომ ქართული ხალხური პოეზიის ქანრებიდან ბალადი ერთ-ერთი ურთულესი, მრავალფეროვანი და, ამასთანავე, მეცნიერულად ყველაზე უფრო შეუსწავლელი ქანრია. საშუალოდ, დღემდე არ გამოცემულა თეორიული ხასიათის არც ერთი სპეციალური გამოკვლევა ქართული ხალხური ბალადის შესახებ. არა გვაქვს გამოცემული ცალკე წიგნად ქართული რჩეული ხალხური ბალადები.

საქიროა, პირველყოვლისა, გარკვეული იქნეს ბალადის, როგორც პოეტური ქანრის, რაობა, მისი არსი, მისი დამახასიათებელი ნიშნები, მისი წარმოშობისა და განვითარების გზები. ეს კი საშუალებას მოგვცემს ხალხური პოეზიის მდიდარი ააუნჯიდან გამოვყოთ ბალადური ხასიათის ლექსები და სიმღერები. მხოლოდ ამის შემდეგ, როცა ნათელი იქნება კვლევის საგანი, შესაძლებელი გახდება ქართული ხალხური ბალადის მეცნიერული დამუშავება, მისი ისტორიულ-თემატური ანალიზი და შესწავლა პოეტის თვალსაზრისით.

ბიოგრაფიკული



იდეალისტური ესთეტიკის
ერთი რეციდივის გამო

გახუთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე ამ რამდენიმე ხნის წინათ გამართული დისკუსიის სავანდ თავიდანვე გამოცხადებული იყო საკითხი: „რატომ ჩამორჩება ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა?“ დისკუსიის მონაწილეთა მთელ რიგ გამოსვლებში გამოიხატა კანონიერი და სამართლიანი აღშფოთება ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენის გამო, მოყვანილ იქნა სუსტი, უფერული, ხანდახან კი უპრინციპო კრიტიკის ნიმუშებიც, მაგრამ უკვე პირველმა სადისკუსიო წერილმა მისცა კამათის სულ სხვა მდებარეობა: მართლაც, დისკუსიის დასაწყისში დაყენებული საკითხების შესაბამისად (კრიტიკის ჩამორჩენის მიზეზები) მოსალოდნელი იყო, რომ დისკუსიაში მონაწილენი ყურადღების ცენტრში დააყენებდნენ ჩვენი კრიტიკის ჩამორჩენის მართლაც რომ მთავარ მიზეზებს, შეგნებულდნენ კრიტიკოს-მწერლების მიერ ცხოვრების, სინამდვილის ცოდნა-შესწავლის საკითხს, ლიტერატურული კრიტიკის პარტიულობისა და იდეურობის საკითხს, მისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულების — საბჭოთა ადამიანების (მათ შორის მწერლების) კომუნისტურად აღზრდის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ ზელოვნების სპეციფიკის, უპირველეს ყოვლისა ფორმის, მხატვრული ოსტატობის საკითხებს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ლიტერატურული კრიტიკის წარმატების მთავარი საწინდარია ზელოვნების ნაწარმოების შესწავლა მის იდეურ-მხატვრულ მთლიანობაში, რომ კრიტიკის ჩამორჩენის უპირველესი მიზეზია იდეურობისა და ოსტატობის პრობლემების განცალკევებულ შესწავლა-განმარტვა.

მოსალოდნელი იყო, მაგრამ ასე არ მოხდა. თითქმის არც ერთი ამ საკითხთაგანია არ იქნა დისკუსიაში სათანადოდ გაშუქებული. უფრო მეტად, ზელოვნების სპეციფიკის ყალბი გაგების პოზიტიური ფაქტობეულობა იქნა ცხად ყველა ამ საკითხის თავიდან აცილების პრინციპული, თეორიული გამართლებისა. არსებითად დისკუსიის მონაწილეთა დიდი ნაწილი (ე. ქვანიჩია, ზ. კაკაბაძე, ნ. კაკაბაძე, ზ. თევზაძე) მოგვცა ესთეტიკის იდეალისტური კონცეფციების გავლენის ქვეშ, ხოლო მათ მიერ წამოყენებული დებულებანი სხვას არას წარმოადგენენ, თუ არა მარქსისტული ესთეტიკის რეციდივის არაერთხელ მხილებული

უღმების გადამღერებას, ამჟამა რეცედივს. ქვემოთ, როდესაც საქმე შეეხება დისკუსიაში მონაწილეთა მსჯელობას, ყოველივეს უნდა ვიჭონოთ მხედველობაში, რომ ლაპარაკია არა მათი საკუთარი ძალებით გამოიმუშავებულ ყალბ თვალსაზრისზე, არამედ ძველი, ცნობილი, მრავალჯერ მხილებული იდეალისტური ესთეტიკის დებულებათა ზეგავლენაზე.

ყველაზე მკაფიოდ და თანმიმდევრულად ამ რეციდივის უღმებმა ე. ქვანიჩიას წერილებში იხილა თავი. მას გვერდში ამოვღებენ და მზარი დაუკორეც, თუმცა მთელი რიგი მონოდიშებით, ზ. კაკაბაძემ, ნ. კაკაბაძემ და სხვებმა იფრინო მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაზე მტანილი იქნა, როგორც იტყვიან, „სათავარი მიმართულებით.“ — ხარს რქებში ჩაიქვინენ, გვეს ქვეშ იქნა დაყენებული ამ ესთეტიკის მთავარი პრინციპები.

როგორც ცნობილია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის გამოსავალ დებულებას შეადგენს გაგება ზელოვნებისა, როგორც სინამდვილის ასახვის ფორმისა. ამ გაგებასთან დაკავშირებულია ზელოვნების შემეცნებითი და იდეურ-აღმზრდელი უღმობითი ფუნქცია. მარქსისტული-ესთეტიკის მიერ ზელოვნება მიჩნეულია სინამდვილის შემეცნების მძლავრ იარაღად, ხოლო ამ შემეცნების საფუძველზე მისების იდეურ-ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებად. სწორედ ეს დებულებები იწვევენ ე. ქვანიჩიას უცმაყოფილებას. იგი ცდილობს ამ დებულებების ეთიოლოგია „სწორად გაგების“, „დაზუსტების“, ზელოვნების სპეციფიკისათვის „მორგების“ აღამის ქვეშ არსებითად ამოვადოს ისინი ჩვენი ესთეტიკის არსებელიდან.

შემეცნება ხომ შემეცნებების საქმეა! და რადგან მეცნიერება უნათ ასრულებს ამ მოვალეობას, ვიდრე ზელოვნება, რატომ უნდა დაეშვრეთ ამოვად, არა სკოლის გამოიკვლიოთ მხოლოდ ზელოვნებისათვის დამახასიათებელი და სპეციფიკური სავანე, შინაარსი და მიზანი? ზელოვნების მიზანი კი აღამიანის ემოციურ-ესთეტიკური დატკობობაა და, მისამადამე, მის შინაარსსაც ადამიანის ემოციურ-ესთეტიკური სამყარო და არა რადე აბსტრაქტული, ზოგადი „სინამდვილე“ უნდა შეადგენდეს — ასეთია დაახლოებით ე. ქვა-

ჩახიასა და მისი თანამებრძოლების მსჯელობის ლოკა-

მაგრამ მოკამათოა აზრის დამახინჯება რომ არ დაეწეოს ვინმემ, მიემართოთ თვით გ. ქვაჩახიას წერილებს და გავეთო კვლავად მისი აზრების განვითარებას.

„მეღარაი, ყოველ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს საყოველთაოდ გატაცებული დებულება, რომლის მიხედვით ხელოვნება, ლიტერატურა და მეცნიერება მხოლოდ ფორმით განსხვავდება, შინაარსით და მიზანდასახულობით კი ერთია. ხელოვნებასა და ლიტერატურას აქვს ცნობიერების უფლა სხვა ფორმისაგან (მათ რიცხვში მეცნიერებისაგან) განსხვავებული შინაარსი და მიზანი, ამიტომაც მათი ფორმაც განსხვავებული“ — ასე იწყებს გ. ქვაჩახია მსჯელობას იმ სიმკვრივის მისაღწევითან, რომლის აღება მას განუძრავავენ. სწორია თუ არა ეს მტკიცება? უპირველეს ყოვლისა, სწორად მას სჭირდება დაზუსტება და განმარტება. გაუბრუნებული დებულება, რომელზედაც ლაპარაკობს გ. ქვაჩახია, სხვათაშორის, მთავოდ იყო ფორმულირებული ჯერ კიდევ ბელისის მიერ, რომელიც აღნიშნავდა, რომ მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის განსხვავება მდგომარეობს „არა შინაარსში, არამედ მხოლოდ ამ შინაარსის დაზუსტების საშუალებაში“. ამ დებულების, ისე როგორც ჩერნიშევსკისა და საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის სხვა მსგავსი დებულებების არსი და პათოსი მდგომარეობდა მათ მატერიალისტურ მიმართებაში, ხელოვნების იდეალისტური კონცეფციებისადმი დაპირისპირებაში. ამ ფარგლებში აღნიშნული იყო ის საერთო, რაც ახლოვებდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. საერთოდ აღმანიშნის ცნობიერების, ერთობის, აღმართის შემცველების სხვადასხვა ფორმის, რაც ანიჭებდა მათ ობიექტური სინამდვილის ასახვის ხარისხსა და თვისებას. ამ მატერიალისტური თეზისის სწორად გაგება სრულადაც არ გამოირჩევა საერთოს დასმას რომის შესახებ, თუ ობიექტური სინამდვილის ინიშულ მხარეს შევიწინებთ უპირატესად მეცნიერება და ხელოვნება, გ. ი. არ გამოირჩევა ხელოვნების არა მარტო ფორმის (მაზე უკვე ბელისსკი მითითებდა პირდაპირ და ნათელი). არამედ შინაარსის განმსახვებელი ნიშნების დადგენასაც. აქვე უნდა იყოს ოღონდ კატეგორიულად ხაზგასმული, რომ საქმე ეხება მეცნიერებისა და ხელოვნების საგნისა თუ შინაარსის? არა ამასაღებურ, არამედ მხოლოდ შედარებით, შედარებით სხვაობას, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განსხვავებას თვალსაზრისის იმ კუთხეში, რომ-

ლითაც მეცნიერება და ხელოვნება ეხება ერთსა და იმავე საგანს — სინამდვილეს.

ასე რომ, ბელისსკის ფორმულა შესაძლებელია და ცალმხრივად გაგებას რომ თავი დაეანებოთ, თვით გ. ქვაჩახიას ცდაში, გამოჩინოს ხელოვნების შინაარსისა და მიზნის სპეციფიკა, არამედ ირის დასაპარბა. საქმე იმაშია, თუ როგორ და სად ვეძებთ ჩვენ ამ სპეციფიკას, რაში ეხებად მეცნიერებისა და ხელოვნებას შინაარსის განმსახვებელ ნიშნებს.

2. ერთი და იგივე ზნეზთან პირველი პირის სუბიექტის ნიშანს (ვ-ს) ხან ხშირობს და ხან არა: შევეუღებოდეთ (გვ. 91) აფუქცევთ (გვ. 122); მაგრამ: (მეწე) დაუჯეროთ (გვ. 92), (მეწე) დაუმატებთ (გვ. 122)... ასეთ შემთხვევაში აჯობებდა — ყველგან შევეუილოყო არამართებელი ფორმა სწორი ფორმით: (მეწე) დაუუჯეროთ, დაუუმატებთ...

3. ერთი და იგივე ქართული სიტყვა ზოგჯერ დეფინიციას წარმოდგენილი, ზოგჯერ ცალ-ცალკე (ან ერთად): მალა-ნიკები, მალა ნიკები; სხვა-და-სხვა, სხვადასხვა...

აჯობებდა მართლწერაში მიღებული წესებით ხელმძღვანელობა.

4. ხშირად გვხვდება პუნქტუაციური ხასიათის შეცდომები და სხვ. ასეთ გამოცემაში აშკარა ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები უნდა გასწორდეს მიღებული წესების მიხედვით, ე. ი. გასწორდეს ის, რაც დამწერის აზრსა და გადმოცემის სტილს არ ცვლის და ჩრდილს აყენებს კლასიკოსის ენას.

წიგნი აქა-იქ გამართულია კორექტორულ შენიშვნებით.

საიტყუნზოა წიგნი მკითხველი ეცნობი ი. გოგებაშვილის ღვაწლს ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. წიგნი უთუოდ ხელს შეუწყობს დიდი პედაგოგის მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლისა და კრიტიკული ათვისების საქმეს.

დოქ. ვალ. რაზიშვილი

ივ. ურჯუშელაშვილის საგვგობო მოთხრობები



საბავშვო ლიტერატურაში ახალი არ არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაში უნდა იყოს საბავშვო ნაწარმოებში დიდაქტივიზმი და მხატვრობა. ყველა კარგ მხატვრულ საბავშვო ნაწარმოებში არის დიდაქტივიზმი, ოღონდ მთავარია, როგორი ოსტატობითა და დამაჯერებლობით გვაწვდის ავტორი დიდაქტიკურ ელემენტს. ურჯუშელაშვილის მოთხრობაში „სუფოროველები“ იგრძნობა მხატვრული ზომიერება, გმირების საქციელი და ურთიერთობა ყველგან ბუნებრივია. წიგნი მკითხველი გაეცნობა მთავარი გმირის ამბავს, მის ხაყშურს, გულბრყვილ დამოკიდებულებას უფროსებისადმი, ამბანაგებისადმი, წითლებთან გოგონა ნატაშასადმი, გაითვალისწინებს მის მიერ ჩადენილ შეცდომებს. მოთხრობის მთავარი გმირი პაიჭაძე ხშირად ბრბოულადაც კი უუფრებს თავის თავს, მაგრამ არც ერთი მისი საქციელი არაა შედეგი ანტიასოციალური გარეობილებისა. ბავშვთა პაიჭაძე და ხშირად ბავშვურად მსჯელობს, და მოქმედებს. ავტორი გვიჩვენებს თუ რა ნიჭიერი და გულსახშიერიცა ეს ბავშვი.

გავიხსენოთ სცენა, როცა ლიტენანტმა ლოგანოვმა მოსთხოვა ოთხეული, რომ გმირებთანაა გენერალს მომეტყუებოდა.

„ოცეული ღუძმა სუფოროველები აქეთ-იქით იტარებოდნენ. ყველას უნდოდა გაეგოთ ვინ ჩაიდინა ეს.

— ენდა მოსვეთი მოგასხენოთ! — თქვა ზელის აწვეით სპირნოვმა“.

და სპირნოვმა დასაბუღა პაიჭაძე.

— აი, აქ დგას სუფოროველი პაიჭაძე, გამოიღვს და თქვას, სიმათლეს ვლახარაკობ თუ არა!“

მთელი მოთხრობა „სუფოროველები“ პირველი პირის სახით მიმდინარეობს და პაიჭაძეც ასე ამბობს:

„განა რამის თქმა შემიძლო! ვიღაც თაქნაღუ-

ნელი, ზუზლას თავები ისე ძალიან მიკანკალგბდა, მეგონა, ძალა არ შეუყოფოდა და ჩაეჩოქებოდა. ვგრძნობდა, რომ ყველა მე მიცქეროდა. ლიტენანტიც თვალს არ მაცილებდა. მეჩვენებოდა, რომ ძალიან იყო გამბარებული და ან ახლა, ან ახლა დაიწყებდა ყვირილს, მეტყუოდა, რომ მე ვარ მატყუარა, გამოღსწორებელი, ცრუბენტიკელი, რომ ღირსი არ ვარ ვიყო სუფოროველი, რომ მეშვან ოღუცერი არ გამოვია. ამ წუთს მიწა რომ გახვთქილიყო და შიგ ჩავეტანე, ის მერჩია“.

ლიტენანტი ლოგანოვი ჰკვირავდა და გულსახშიერი პედაგოგია, მის მოპყრობაში პაიჭაძემ მხრუნველი და მეგობარი დაინახა.

სხვათადაც ლიტენანტს პაიჭაძე სპირნოვზე, მისი საქციელი მეგობრობის დარღვევად მიანიშნა. ერთ დღეს, პაიჭაძის შორიგეობის დროს, კომკავშირის ოთახიდან მას ცხარე კამათი მოესმა. პაიჭაძემ ყური დაუღვლო და გაუცვირდა, რომ კომკავშირის სხლამაზე სწორედ სპირნოვი იცავდა მას: კარგი ბიჭია, ნიჭიერი, მთავრატყავ ემარჯუება, გამოსწორებდა და დავებმართა განმსწორებამო. პაიჭაძე ჩაფიქრდა: მაშ, მასზე ზრუნავს სპირნოვი, მასზე ზრუნავს კომკავშირი, მისი ბედით, მისი მომავლით დაინტერესებულია მთელი ორგანიზაცია! პაიჭაძე თავმოყვარე ყმწველია, გულიც კეთილი აქვს, ვანა არ დააფანებს ამბანაგების მხრუნველობას და უფრადლებას? პაიჭაძე ნაკითხი ბიჭიყაა, არ ჩამორჩება კოლეტიკებს, თავის ამბანაგებს, არ შეარცხვენს სასწავლებლის სახელს. იგი ეცდებოდა დაანახოს თავის ამბანაგებს, თავის უფროსებს, რომ მას შეუძლია იყოს პირველთა შორის. უახლოეს ტაქტიკურ მეყადინეობაზე პაიჭაძე აღწევს ბრწყინვალე გამარჯუებას.

სასწავლებელში დამყარებულმა ნამდვილმა კომუნისტურმა დამოკიდებულებამ პაიჭაძე გამოსწორების გზაზე დააყენა. და მკითხველს სჯერა პაიჭაძის გამოსწორებისა. ავტორი სიმაართლით და გულწრფელად გვიხატავს ამ სურათს. აქ არ არის არც ერთი ზედმეტი შტრიხი, არც ერთი ფსიქოლოგიურად ყალბი გაწყობი-

ი. ურჯუშელაშვილი. სუფოროველები. რედაქტორი გ. შატბერაშვილი. საბლტგამი. 1954 წ.



ლება, ანუ ერთი დედაკრებელი და დიდაქტიკურად მოუწადებელი ხერხი. ამიტომ ვეჯდრა, რომ პაიკაქმ კინაღამ იტარა სმირნოვისა და გრაგორიანის სიტყვები რომ გაიგონა, მას ეგონა, რომ მისი ბედი არავის ეღარდებოდა, „მაგრამ უყურე, როგორ ეცდებოდი? თურმე მეც შეიძლება ამჩანაგება და მეცე რამდენია.“

დღე ინტერესით ეკითხვლა მოთხრობის იმ ადგილს სადაც პაიკაქმ თავის თავს ესაუბრება: „ეს, შენ ჩემო თაო... სმირნოვი ეძღვის მღო-მელი მეგონა, ის კი, ხედავ, რა კარგი ბიჭი ყოფილა ახლა ლეიტენანტი, რა ეყოილა და სამართლიანია! შენი გულისათვის რიგგარეშე დღოური მისცეს, მაგრამ მინ მაინც გაგიღიმა და ისიც კი გიხიზა, ყოჩაღო...“

და პაიკაქმ სიტყვას იძლევა: „ლაცობას თო-ვი დაწავის და საქმეს შეუდგეს“.

ერთ-ერთ ტაქტიკურ მეცადინეობაზე პაიკაქმ ბრწყინვალედ გადატრა სამხედრო ამოცანა. გენერალს მოეწონა მისი მოსაზრება, სიყოილედ, კეტიკაზებულობა და ჰკითხა: — ვასილ პეტრე ძე პაიკაქმის ზომ არ იცნობდიო? თურმე ვასილ პაიკაქმ სუფაროველი პაიკაქმის მამა ყოფილა, გენერლის ნაწილში მსახურობდა ასეულის მე-თაურად. კარგი ოფიცერი იყო, თქვა გენე-რალმა, ერთ-ერთ ბელჩართელ ბრძოლაში და-ღებულა მოსკოვის მისადგომებთან.

კმაყოფილებას იწვევს მეთხველში გენერლის გადაწყვეტილება — მისცეს პაიკაქმს კომანდირ-ში შესასვლელი რეკომენდაცია.

ასე ზრუნავენ ჩვენი სკოლებში ადამიანის ფორმირებაზე, მის სულიერ და გონებრივ ზრდაზე, მის მომავალზე.

ამ მოთხრობას გარკვეული აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოზარდი თაობისათვის. მოკლე, მკაფიო, სხარტი წინადადებები; კარგი ქართული ენა; ცოცხალი ფერებით დაბატუ-ლი პერსაჟი, ადამიანები, განწყობილებანი; კარ-გად გამართული დიალოგები ხელს უწყობენ წიგნს, რომ იგი ჩვენი მოზარდი თაობის ერთგუ-ლი მეგობარი გახდეს.

სამწუხაროდ, ამ კარგ მოთხრობაში ნაკლი

გაჩვევება. ასე, მაგალითად, ავტორი ხმაულის სიტყვას „მოკავშირე“ ნაცვლად „მეგობარი“ (გვ. 7). სამხედრო-სახეობო სელონ დღევანდისა საქმარისია ერთი განკარგულება „სმენა“, ავ-ტორის კი განმეორებით აქვს ნაშარი ეს განკარ-გულება, რაც არაა სწორი, გვ. 23-ზე ავტორი ამზობს ათეულზე, ხოლო 24-ზე ოცეულზე 27-ე გვერდზე ავტორი ამზობს „ენა“, ლაპარაკია „მოე-ნეზე“; გვ. 33 — „ბუღბუღი ამღერდებოდა“. ბუღბუღი არ მღერის, არამედ გალობს. გვ. 40-ზე ავტორი წერს „დუმილის ანგელოზი ჩვენ შორის ევლად ნამოიარა“, გამოთქმა „დუმილის ანგელოზი“ არქუთლა, თან სრულად მოულოდ-ნელი საბუთა მოსწავლის განწყობილების გამო-სახატავად.

გარდა „სუფაროველების“ წიგნში მოთავსე-ბულია ორი პატარა მოთხრობა „მეგობრობა“ და „შეხვედრის შემდეგ“. მოთხრობაში „მეგობრო-ბა“, ნაწვენებია, თუ როგორ ისვენებენ ჰონე-რები ბანაკში. ამ მოთხრობის სისუსტე ვარბ დოდაქტობშია. ავტორი თითქმის კლასის დაფას-თან ღვას და დამრიგებლის ტონით ასწავლის ჰკუას მეთხველს. ამ მოთხრობას აკლია ეშუა-ლობა, მათერული დამკარებლობა და ბუნებ-რივობა. მოთხრობა კარგად იწყება, მაგრამ შემ-დეგ კი დედაქტობი სიმშრალეში გადადის.

მოთხრობა „შეხვედრის შემდეგ“, მეტად ზე-ლოწენერ შთაბეჭდილებას ტოვებს. გივისა და თამაზის არ უყვართ არითმეტრკა, სურთ კი მეზღეაური გახდნენ. ისინი ყურს მოკრავენ მოხუცი მასწავლებლისა და ოფიცრის საუბარს, რომ მეზღეაურს სქიარდება არითმეტრკის ცოდნა-და გადასწევებენ ისწავლონ არითმეტრკა. ესაა და ეს...

მოთხრობაში არაა დამუშავებული თემა სიზარ-მაცისა, ბავშვებში მომზადარი ვარდატებისა. ასე იოლად, ასე გვეღებუელოდ დედაკრებელია გამოსწორდეს ზარმაცა ბავშვი.

ეს მოთხრობა მხატვრულიდერად „სუფარო-ველების“ და „მეგობრობაზე“ დაბალ დონეზე ღვას.

როდინი მორძია

მოდხროგა თანამედროვე საკოლმეუტრნეო სოფელზე



ომისშემდგომი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვ-რების თემაზე დწერილ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება ელსადგურის მშენებლობის აღწერა. ამგვარ ნაწარმოებთა ფინალში დახატულია

თენგიზ გოგოლაძე, ოქტოიანა. რედაქტორი რ. ორჯონიკიძე, ხახელაში 1954.

ზოლმე ელსადგურის გახსნიასში მოძღვნილი ზეიმი, რომლის დროსაც ნაწარმოების გმირი (ყოფილი ფრონტელი, ახლა კი კოლმეურნეო-ბის თუ რაიონის ზელმშენაუნლოთივანი) ღვას სატრფოს გვერდიოთ და ამაყად გააყურებს სიერტებს.

ახალგაზრდა პროზაიკოსის თ. გოგოლაძის მოთხრობა „ოქტოიანა“, პირიქით, იწყება ელსა-

დღურის გახსნის ზეიმით, რითაც ავტორი თითქოს ხაზს უსვამს, რომ მოთხრობა დაზღვეულია ზემოხსენებული ტრაფარეტისაგან და მასში სხვა ამბებია მოქცეული უტრადლებს ცენტრში.

მოთხრობის ეს ექსპოზიციური ნაწილი იმითაცაა საინტერესო, რომ მწერალი ამ ეპიზოდს გვიხატავს ისეთი ორიგინალური ბერბის გამოყენებით, რომ ზეიმის აღვალზე არც კი მიჰყავს მკითხველი. ამბავი დანახულია ახალგაზრდა მეცნიერის ირავლი ჯავახიშვილის თვლით. იგი სოფელ ოჭროყანაში ისეთ დროს ჩაედია, როცა მთელი სოფელი ელსადგურის გახსნაზე დასასრულებად იყო წასული და ქუჩაში ერთი სულიერიც კი არ ჰქანებდა, კოლმურერნობის კანტონში ირავლის მშობლად მოხეტია დამლაგებელი ქალი დახვდა აქედან, კანტონის ოთახიდან, თითქოს ვადეენებთ თვალს ელსადგურის გახსნას, გეტყობილობთ, როდის მართეს დენი, მისცეს თუ არა სიტყვა დიმიტრის ბიჭს ფარნას, რომელიც ისეთი ენაპირტალია, რომ, თუ ტრიბუნაზე აუშვებს, მთელ საათს არ გაათავებს ლაპარაკს.

მაღე სოფლის ცენტრი ხალხთა ეკსება. ისმის ახალგაზრდობის სიმღერა. გამოსწევიან კოლმურერნობის თავმჯდომარე და პარტიბიურის მდივანიც, რომლებიც ამ უკანასკნელთან საქმიედოდ ეშვადებიან...

მოთხრობა იწყება ცოცხლად, დინამიურად, ავტორს ერთბაშად შეგვყავართ მოქმედების შუაგულში, თავიდანვე ისახება რამდენიმე, დაღები-თი თუ უარყოფითი, პერსონაჟი, იქმნება ფსიქოლოგიურად მართალი სიტუაციები, იგრძნობა სოფლის ჰეიზავიც.

ამის შემდეგ, ბუნებრივია, შეიხველი ინტერესით მოელის ამბების გაშლა-განვითარებას, სიტუეტის გაღრმავებას, ხასიათების უფრო მკაფიოდ გამოყოფას. მაგრამ, სამუხებაროდ, ეს მოლოდინი არ მართლდება, პირიქით, თხრობა თანდათან დუნდება, ხატვის ბერბიდან ავტორი მსჯელობაზე გადადის, ხასიათები ფერმკრთალდება. მართალია, ვხადავთ კვლავ ვაჭვდება ფსიქოლოგიურად მართალი სურათები, ისტატურად დაწერილი ადგილები, აქა-იქ გაივლებს მოქმედ პირთა ხასიათების ინდივიდუალური ნიშნები (ამგვარი ნიშნები უწყველად ვაჰსნა, მაგალითად, აგრანომ შიო ზაქარაძის და ბრიგადირი ილია ილიშბარაშვილის სახებებს), ავტორი ამხელს საკოლმურერნო ცხოვრების ნაკლოვან მხარეებსაც, მაგრამ ეს მხოლოდ იმის მათუყებელია, რომ ახალგაზრდა მწერალს უდავოდ გაჰანია მხატვრული თვლი, და, ამდენად, მას შეუძლია აღებულ ი მასლის საფუძველზე უფრო მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები შეექმნა. ამ სახით კი მოთხრობა, მისი მთელი რიგი ღირსებების მიუხედავად, ვერ ახდენს მკითხველზე მშვედრ იღეურსა და ესთეტიკურ ზემოქმედებას.

ამ წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ „ოკროვანა“ გაზარებულია როგორც ფართო პლანის ეპიკური ტილი, რა-

მელშიაც ავტორი ერთბაშად რამდენიმე ცდელს საკიობს ეხება, მაგრამ ბოლომდე ვერც ერთს მათგანი ვერ აქვს სათანადოდ გახსნილი და მხატვრულად დანახებული. ამის საშუალებას არ იძლევა თვით მოთხრობის ჩარჩოებიც: 170-ვევრიდან მოთხრობაში შეუძლებელიც იყო სათანადოდ გვეჩვენებინა ხალხთა მეგობრობის იდეაც, მეცნიერთა და მხარებაც საკოლმურერნო სოფლისადმი, საკოლმურერნო ქონების გამწავებლებისა და თადლითების წინააღმდეგ ბრძოლაც, მოქმედ პირთა რთული და დახლართული სასიყვარული ინტროვეიცია.

ყოველივე ამან, რასაკვირველია, უარყოფითად იმოქმედა ნაწარმოების ენაზედაც. მოთხრობის ზოგიერთი ადგილი ისე მშრალად და უფერულადაა დაწერილი, რომ „ოქმის ენას“ მოგვაცოცხლებს. ეს კი ჩრდილავს და ზიანს აყენებს ამ ადგილებსაც, რომლებიც ისტატურად, ძარღვიანი ქართულითაა ნაწერი.

ძირითადი კონფლიქტი, რომელზედაც მთელი მოთხრობაა აგებულია, არაბუნებრივია, ჩვენი აზრით, ავტორმა შეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა თავის გმირები — ვახტანგ და ნუნუ და მათი შშობლები — მარადო და იაკობი. მარადოსა და იაკობის ახალგაზრდობაში ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ მათი ზედი ისე წაიშობათ, რომ ისინი, მათდამდენიერად, დაშორდნენ ერთმანეთს: მარადო ქალაქში გათხოვდა, იაკობი კი სოფელში დარჩა და ცოლი შეირთო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ორივენი დაჭვრიედნენ. მათ გულში ძველი სიყვარულის ცეცხლი არ გამქრალა, კვლავ უყვართ ერთმანეთი და შხად არიან შეუღლდნენ კიდევ, მაგრამ აღმოჩნდება, რომ იმით ისინი ზედწინებებს მოუსპობენ თავიანთ შეილებს, რომლებსაც თერმე ერთმანეთი ასვეე უყვართ.

შეიძლება თუ არა სინამდვილეში მომხდარიყო ასეთი რამ? ლიტერატურის ისტორიაში იცის არა ერთი და ორი ასეთი ფაქტი, მაგრამ აქ მთავარია — როგორ და რა რთომ არის ეს ამბავი გამოყენებული მხატვრულ ნაწარმოებში. მაგალითად, მ. შოლოხოვი „წინარ ღონში“ გვიხატავს სურათს, ღუ როგორ ცდილობს დარბა მეღვებოცა კავიროს დაიჭიროოს საკეთარი მამამთლიან, ამ წერბიხით ავტორის სურს ერთგვარად გაგვიხსნას დამის ხასიათის ერთგვარი მხარე და ეს ავტორის მიერ მხატვრულად მოტივირებულია, ფუნქციურად გამართლებულია.

აქვს თუ არა ასეთი გამართლება, ასეთი მოტივირება თ. ვოგოლაძის მიერ აღებულ ამბავს? რისთვის დასპირდა მწერალს ერთმანეთისათვის დეპირისპირებინა შშობლებისა და შეილების სიყვარული? როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწერალი გაიტაცა მხოლოდ გარგნულმა ეფექტმა, ცდუნებამ, რომ ამგვარი „კონფლიქტის“ შექმნით შეიძლებოდა ნაწარმოების სიუეტის დაძაბვა, მკითხველის დაინტერესება.

უნდა ითქვას, რომ ეს „კონფლიქტი“ არ გამოდგა სიუჟეტის გასამძივრებლად, რადგან მკითხველი თავიდანვე გრძნობს, რომ კეთილშობილი მშობლები უძველად უარს იტყვიან თავიანთ ნაგვიანვე გრძნობებზე, რათა ხელი არ შეუშალონ შვილების ბედნიერებას.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, და დავუშვათ, რომ აღნიშნული კონფლიქტი მართლაც მომგებიანი აღმოჩენილიყო სიუჟეტის დასამძივრებლად და ნაწარმოებისადმი ინტერესის გასაცხოველებლად, მისი გამოყენება, ჩვენი ფიქრით, მაინც არ იქნებოდა გამართლებული, რადგან ნაწარმოების ყველა კომპონენტი უნდა ემორჩილებოდეს მის ძირითად იდეას, მის არსს. ნაწარმოების არსს კი უშუალოდ ზიანს აყენებს ის დასკვნა, რომელიც შეიძლება გააკეთოს „ოქროყანის“ მკითხველმა (მშობლების ბედნიერება უზარისპირდება შვილების ბედნიერებას).

როგორც ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში აღინიშნა, „ოქროყანაში“ სათანადო ასახვა ვერ პოვა, აგრეთვე, ხალხთა მეგობრობის თემა. სიუჟეტ ვნეკოვსა და ოქროყანის კოლმეგრნობებს შორის მეგობრული კავშირის დახარახას მტკი მოტივირება ესაქარება. როცა ასეთ რთულსა და საბუნებისმეტყველო თემას ვებნით, არ შეიძლება დავუყაროდიღეთ მხოლოდ ურთიერთ საწინააღმდეგობებს გზავინსა და ზეიმების აღწერათ. ამ ნაწილში თავს იჩენს მასალის ნაკლები

ყოფნაც, აღარ ჩანს ის მსჯელო თემა, რომელიც ემჩნეოდა მოთხრობას ქართული საკულტურული სოფლის, მისი აღმშენებლის, ბუნების სურათების ზატვის დროს. მაგალითად, მკითხველს ვერაფერია წარმოდგენას ვერ შეუქმნის ასეთი აღწერა: „კოლმეგრნეთა საცხოვრებელი სახლები — თუთია კედლებით, თუნუქის წითელი სახურავებითა და ცისფერი დაბარბებით, — ერთმანეთს ჰგავდნენ, ხოლო სოფლის საბჭოს, კოლმეგრნეთის კანტორის, მაღაზიის, აფთიაქის და საავადმყოფოს შენობები თავისი არქიტექტურული გაფორმებით ენეკოვს მშენებელს წარმოადგენდნენ“ (გვ. 21).

ასევე შეიძლება ითქვას ისეთ შემთხვევებზე, როცა ლაბარაკია „თბილისის ერთ-ერთ მონუმენტურ შენობაზე“, „რომელიდაც დეტალის დამუშავებაზე“ და სხვ. ასეთი „რალიე“ და „რომელიდაც“ მკითხველს მხოლოდ იმ წარმოდგენას შეუქმნის, რომ ავტორი სათანადოდ არ იცნობს ზოგიერთ იმ საკითხს, რაზედაც წერს.

როგორც აღვნიშნეთ, „ოქროყანას“ გაიჩნია გარკვეული ღირსებები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ თ. გოგოლაძეს შეეძლო ამ მოთხრობის სახით გაეცალბათ უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოები მოეცა.

ზურაბ ჭუმბურიძე

ახალი სენათმეცნიერო ნაშრომები



ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანოს — „იბერიულკავკასიური ენათმეცნიერების“ მორიგი (VI) ტომი შეიცავს ნაშრომებს ქართული ენისა და მისი დიალექტების, მეგრულ-ქანურ-სვანურის, შიის კავკასიური ენებისა და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებზე.

არნ. ჩიქობავა თავის ნაშრომში „მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში“ ახვეს უყრის მრავლობითი რიცხვის ნაწარმოებელ ელემენტებს, სუფიქსებს სახელებსა და ზმნებში. ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მრავლობითობის ზოგიერთი მახვენებელი საერთოა სახელისა და ზმნისათვის, ზოგიერთი კი მხოლოდ ზმნის ან სახელს ახასიათებს. ნაშრომის მიზანია შეისწავლოს რიცხ-

ვის ეს აღიქმები გენეტური თვალსაზრისით. ამისათვის ავტორს სჭირდება მოიშველიოს შიის კავკასიური ენების მონაცემები, რამდენადაც ქართული და კავკასიური ენები ერთი სისტემის ენებია. არნ. ჩიქობავა სახელთა ფუძის უძველესი აგებულების ანალიზმა შინაგანი აუცილებლობით და თანმიმდევრობით მიიყვანა სახელისა და ზმნის ფორმირების უძველესი ფუნქციის საკითხთან. სტატიაში დამაჯერებლად ნაჩვენებია კავშირი, რომელიც ისტორიულად არსებობდა ქართული ენის სახელისა და ზმნის მრავლობით რიცხვსა და ე. წ. გრამატიკული კლას-კატეგორიების უძველეს მანველებლებს შორის.

ქართული გრამატიკის ერთ-ერთი სპეციალური საკითხი, სახელდობრ, ნამყო უსრულის „ოდ“ სუფიქსის შედგენილობა, გარკვეულა გ. როგავას მიერ. ავტორი კრიტიკულად ეკიდება ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს (ნ. მარი. ა. შანაძე, ე. თოდურობა) და ასახულებს ახალ შეხედულებას, რისთვისაც მას დამოწმებული აქვს საყურადღებო მასალა.

„იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება“, VI. რედაქტორი პროფ. კ. ლომთათიძე. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერებას ინსტიტუტი. 1954.

მე-12 — 18 საუკუნეები ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ პერიოდის დასაწყისში ნაყოფიერად ვითარდება საერო ლიტერატურა, რომელიც თანდათანობით წყვეტს კავშირს ძველ ქართულ ენის სტრუქტურასთან და მწერლობაში ფართოდ უხსნიას გზას ქართული ცოცხალი მეტყველების ელემენტებს. საჩუქრნიო კრებულში ლიტერატურული ენის ამ ნაკლებად დამუშავებულ პერიოდის თავისებურებებს არყვევს ა. შარტიროსოვისა და ა. კიზირიას ნაშრომები, რომლებშიც მხატვრული ლიტერატურის ძველთა შესწავლის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ ამ ხანის სალიტერატურო ენაში გვაქვს როგორც ძველი ქართულის, ისე ახალი სალიტერატურო ენის დამახასიათებელი მოვლენები.

ქართული ხალხური მეტყველების მეცნიერული შესწავლა ჩვენი ენათმეცნიერების ვადიდებულ ამოცანაა. კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები ინგოლოური და იმერული კოლონიის შესახებ (გ. იშნაიშვილი, ო. კახაძე). მათში აღძრულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით.

ენის შინაგანი განვითარების ზოგიერთი ტენდენცია ქართველურ ენათა მასალაზე ნაჩვენებია ვ. თოდუროს წერაღმ. „გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში“.

ნაშრომში თავმოყრილია ქართული ენის სხვადასხვა დიალექტსა და ზანურ-სენურში ერთიანი პროცესით გამოწვეული ფაქტები და მათ საერთო საფუძველ აქვთ გამოჩნადი. არყვევა, რომ საერთო გრამატიკული მოვლენების აღმოცენება ტერიტორიულად დამოკიდებულ დიალექტურ თუ ენობრივ ერთეულებში აიხსნება არა იმდენად ურთიერთგაგეგმიით, არამედ უშთაბრუსად გრამატიკული პროცესთა ერთგვარობით. ავტორს ამ დებულების საილუსტრაციოდ დამოწმებული აქვს საფელისხში ენობრივი მასალა.

ენაში ერთ-ერთი გავრცელებული მოვლენაა ვ. შ. შარტიროსოვისა. იგი მდგომარეობს ერთი ვერხანა ცნების ორი ფორმით (ორი სიტყვით) გადმოცემაში; შარტიროსოვისა ერთი ზმნის ორი სახით წარმოდგენა, რომელიც მკითხველში თუ მსმენელში ერთ ცნებას იწვევს. მაგალი, „ხილვით ვახალე“, „ჰვითთ ჰაჰის“, „წითთ აჟონა“ და მისთანანი. ეს მოვლენა უშთაბრუსად დამახასიათებელია სემიტური ენებისათვის. კ. წერეთელი თავის ნაშრომში ნათელს ხდის, რომ ამგვარი ფაქტები გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც. გამოკვლევაში მოტანილია შესაღარბელი მასალა ებრაული, სომხური, ზერმნული, გერმანული და სხვა ენებიდან.

ქართველური ენებისა და მათის ავჯასიური ენების საერთო მოვლენებს შეიძლება იხილოთ ჩიქობავასა და გ. როგავას ნაშრომები. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ქართული ლექსიკის ის-

ტორიის სრულა სახით გათვალისწინებულ შედეგად აღებულია მათის იმერული-კავკასიურ ლექსიკონი ქართველურ ენათა ურთიერთობის გარკვევის გარეშე... ეს ენება ჩვენი ლექსიკონი რეგანულს ძირითად შარტიროსოვის (გვ. 49). ავტორი სახელის ისტორიულ-მედარებით ანალიზის შედეგად არყვევს ბაბილოლო-ბაბილო ტერმინებს და ასკვნის, რომ მათი ძირეული მასალა ბილ, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება ვეავილს. გ. როგავას ნაშრომიდან კი ცხადი ხდება, რომ „თესვის“ აღმნიშვნელი ფუძე საერთო არის ქართველურსა და აფხაზურ-აბღურ ენებში.

კრებულში ამათანავე წარმოდგენილია ქეთ. ლამთათიძის საფუძვლიანი გამოკვლევები აფხაზური ენის გრამატიკიდან. ერთ მათგანში შესწავლილია სტატიური და დინამიური ზმნები აფხაზურში, ხილო მეორეში — ზმნისათვის ავებულება აფხაზურ-აბღურ დიალექტებში.

მათის ავჯასიური ენების ფონეტიკურ და გრამატიკულ მოვლენებს ამუშებენ შ. გაფრინდშვილის, დ. იშნაიშვილის, ტ. გუდუაძის, ა. მამაშვიტოვის და ო. ცურცუასის ნაშრომები, სადაც მათ მეორე მთავრებული დიდძალი მასალის საფუძველზე გარკვეულია ამ ენათა სპეციალური საკითხები. მეგრულ-სენურების ზოგიერთი საკითხი შესწავლილია თ. შარტიროსოვის, ვ. ლამთაძის, ა. დავითიანიისა და შ. ჰაღდინის წერაღმ.ებში.

მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის საკითხი შარტიროსოვის ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. ერთ-ერთი სახის კლასიფიკაციის, რომელზეც „მორფოლოგიური კლასიფიკაცია“ ეწოდება, საჩუქრნიო წიგნში მივხვდებით. შარტიროსოვის ნაშრომი, აქ ახალი საილუსტრაციო ფაქტების საფუძველზე ნაჩვენებია ამ კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური და ფაქტობრივი ხასიათის ნაკლოვანებანი. ამავე დროს ავტორი ასაბუთებს მორფოლოგიური კლასიფიკაციის პოზიტიურ მნიშვნელობასაც. უთუოდ მნიშვნელოვანია წერაღმ. წამოყენებული დებულება იმის შესახებ, რომ ჩინური ენის შესწავლის დარგში ახალი მიღწევების საფუძველზე უნდა გადაისინჯოს იზოლირებულ ენათა სტრუქტურის საკითხი.

საერთაღლება თერქული ენის სპეციალისტის სერ. ჯიქიას ნაშრომი; აველია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ. მე-17 საუკუნის ცნობილი თურქი მოგზაურის ველა ჩელების აბტრუმულ შემკვიდრებაში ჩვენივის განსაჯობებით საინტერესოა ცნობები საქართველოს შესახებ. ეს მასალა კერძოდობით შეცნობებისათვის ხელმისაწვდომი არ არის, რადგანაც, სხვა რომ არა იყოს რა, ჩელების ამ ვეებრთულა შემკვიდრების მთლიანი კრიტიკული გამოცემა არ არსებობს. ს. ჯიქიას გამოკვლევები თავმოყრილია და შესწავლილი ის მეტად საყურადღებო მასალები, რომლებიც მოცემულია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ 11 ტომში ერთ-ერთი ქართ-

ველი ტომის — ლაზებისა და ლაზური მეტყველების შესახებ. თურქი მოგზაურის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ მე-17 საუკუნეში „ლაზები ტრაპიზონის მხარეში მნიშვნელოვანი წილის და დომინანტი ტომია“ (ვ.ე. 247). ე. წელსები იმდღე-ბელა ანგარიში გაუქმოს ამ სინამდვილეს და თავის „აღწერაში“ წარმოადგინოს ლაზები როგორც ტრაპიზონისა და მისი სანაგების ძირითადი ბინადარი ეთნიკური ერთეული. გარკვეულ ლინგვისტურ ინტერესს იწვევს ე. წელსების მიერ ჩაწერილი ძველი ლაზური ლექსი. ესაა პირველი ჩანაწერი ლაზური პოეტური ტექსტი, რომელიც

მელსაც მეცნობებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. როგორც ვხედავთ, ენათმეცნიერების ტრეტის სამეცნიერო ორგანო მრავალფეროვანი შედეგნილობისა და აზრებს ქართული და მთის კავასორი ენების სტრუქტურის მნიშვნელოვან მხარეებს. წერილების უმრავლესობა დაფუძნებულია ახლად მოპოებული ენობრივი მასალის საფუძველზე. წამოყენებული დებულებების სიილუსტრაციად დამოწმებულია ფართო ლინგვისტური მასალა.

შ. კახაბერიძე

შოთა აკოხიას ლექსების კრებული



აფხაზეთში მომუშავე ქართველ პოეტოვან შოთა აკოხია ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობას ეწევა. 1951 წელს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა მისი ლექსების კრებული „სამშობლოს დილა“, ხოლო 1953 წელს მისი ლექსებისა და პოემების კრებული გამოიცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ. ეს ლექსები და პოემები გვარწმუნებენ, რომ შოთა აკოხიას სახით ქართველ საბჭოთა მწერლობას შეემატა ნიჭიერი, თავისებური ახალგაზრდა პოეტი. ზოგჯერ იგი უბრალო ამბის იხეი დამაჯერებელ პოეტურ განზოადებას ახდენს, რომ მკითხველში ცხოველ ემოციებს აღძრავს. ამ მხრივ საგულესნობა ლექსი „მოკრილი ფიქვი“. ენგურის ნაპირას ასწლოვან ფიქვენარს ბირდაბორებით მიუღდა ხალხი. ხის მტრებებმა ერთ წუთში დასცეს ფიქვი, რომლის ზრდას საუკუნე მოუღდა. ხეს უყვარდა ენგურის ნაპირი, სიმწეანე-წვიმა თუ ცყარნაში. ახლა კი რაღა უნდა ინატროს?

ღებს, ნათელ სასახლეს და სჯერა, რომ ახელანდელ დღემდე ვინც ამაღლებდა, მხოლოდ ის შექმნის ასეთ ბუმბერაზს“. გაიზარდა ჩვენი ხალხის კულტურულ-მატერიალური მოთხოვნილებები, შეიცვალა ხალხის ცხოვრების შინაარსი.

ახალ სართლებს როცა ჩაველა, აქ კობი იღვა, შემახსოვრება; ქობს ერთი ჰქონდა დანაშაული — ვერ დაიტია დიდი ცხოვრება.

ამ დიდი ცხოვრებისათვის ქმნის არქიტექტორი თავის ნახაზებს. ეს ნახაზები არაა უსიციოცლო სქემები, რადგან ისინი ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებით არაა ნაყარნახები.

შოთა აკოხიამ ლექსების ციცილი დაწერა სოციალისტური ტალაქის მოწინავე ადამიანებზე. ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ ლექსები: „დამე ტყვარნელში“, „საპაერთა ვზა“, „მადაროელი“.

ლექსში „გამგეობის სტომიანე“ კარგად არის დაბატული სოციალისტური სოფლის აყვავების სურათი. საბჭოთა მშრომელი ადამიანის ხალხი ბუნების ნათელი პოეტური განცდაა გადმოცემული ლექსში „მონადირის სიყვარული“.

პოეტი უმღერის ჩვენი ხალხის გმირულ წარსულს. მთელ რიგ ლექსებში, როგორც მაგალითად „სმალზე ამოკიხული“, „ბიჭვინთის ტაპარი“, „თასები სოხუმის მუხელში“ წარსული დინახულია გუნებარე საბჭოთა პატრიოტის თვალთ.

პოეტი სამშობლოს სიყვარულს ორგანულად უკავშირებს ხალხთა მეგობრობის დიად იდეას. ეს კარგად ჩანს ლექსებში: „ხმელნიციის ელჩების მოსაგონარი“, „დაბრუნება უკრაინიდან“. „პარტიზანის საფლავთან“.

ვინატრებ, გაკვლე ფურცელი თუთონ ბეღადის წიგნების, მისი სინათლით მოსილი კვლავ მთებში ამოვბრწყინდები, ერთი სიციოცხლის დაყარვით მარად ცოცხალი ვიქნები

ნატოვანი და ემოციურია ლექსი „მეგობარ არქიტექტორს“. პოეტი არქიტექტორის ნახაზებში გრძობას ჩვენი ეპოქის სუნთქვას, ეპოქისას, რომელსაც იღირ შეფერის ქობები, პატარა სახლები. პოეტი სისარულით უმზერს შალალ თა-

შოთა აკოხია. ლექსები, პოემები. რედაქტორი ალ. ჯიქია. სფუმში, აფხაზეთის სახელდაში. 1955.



პოემაში „ჩემი მასწავლებელი“, რომელიც უფრო გრძელი სიუჟეტისანი ლექსის შთაბეჭდილებას სტოვებს, ავტორი აღწერს რამდენიმე საინტერესო ეპიზოდს, ხატავს რამდენიმე ცოცხალ პორტრეტს. ნაწარმოებში კარგად არის გადმოცემული რუსი ფილატოვისა და ქართველი გვალას ფრანგული ცხოვრების სურათები, მათი მჭკობრობა რმის დამთავრების შემდეგ.

საინტერესოა ლექსი „ვენახში“. იქნება ყველა აჩქარდა. მაგრამ ერთი ვეკაცო გაიჩინდა, თითქმის ტუხილს მიაპყრო ყური, ელვას გააღვეწა თვალი.

ახლა, ნიაღვრად ცა რომ ჩამოდის,
რად მოივალა ცაში შხერისთვის?
გაკვირვებული მივებახლავდო,
ვიცან უოფილი არტილერისტია!

შოთა აკობიას აქვს კარგი პოეტური სახეები. მაგალითად, ლექსი „ღამე ტყვარჩელში“ ასე მთავრდება:

შორს ორთქლმაღალი დაიწვევს კვილს:
— განძო მომაქვსო, — გასძახის ხმელთს.
— გზა მშვიდობისა! — გუშაგებივით
სეშაფორები ასწევენ ხელებს.

ლექსში „ხმაზე ამოკითხული“ არის ასეთი მოხდენილი სტროფი:

იმ მამაკემა ვერაგები ბევრი ზოცა,
ბოლოს როცა დაეღია მკლავში ძალა,
მე ამ შთაში საშუდამო ბინა მომცა,
თვით კი სიკვდილს
ლეგენდებში დაემიღა

ღირსებებთან ერთად შ. აკობიას ლექსებს ამა-სიათებს ნაკლოვანებებიც.

სუსტია ლექსები „სადოსტო მარკები“, „სიღინჯე“, „ვესკურსია ტყეში“. ავტორი ცდილობს ბიეტურ ქანშიც გამოავლინოს თავისი ძალა, მაგრამ ეს სურვილი სურვილად რჩება. მისი საბავშვო პოემები „პატარა კაპიტანი“, „მწყემსის ამბავი“ სტემატურია. პოეტი ვერ ახერხებს გმირის ხასიათის დამაჯერებლად გამოყვევას, ამავე დროს პოეტი ნაკლებად იცნობს ბავშვის სულიერ სამყაროს.

შოთა აკობიას ზოგიერთ ნაწარმოებში ვხვდებით აზრობრივ წინაღმდეგობას, გაუმართავ გამოთქმებს, არასწორ გრამატიკულ ფორმებს. მაგალითად, ერთ ლექსში ეკითხულობთ:

იმ წუთს ბრძანება მას დაეფრუდა,
ჩვენ დაჯავრწყდა მისი მოსმენა! (გვ. 111)

ცხადია, თუ შეთაურს ბრძანება არ გაუცია, მისი მოსმენაც შეუძლებელი იქნებოდა. 109-ე გვერდზე სწერია:

თითქმის სანგარი მქონდა კი არა —
სიყრმის დროიდან მან ხე ვეხსნა
მგზობოლი სანგარში უნდა იყოს და არა სან-
გარზე. შემდეგ:

და იხსენებდა შეილივით ყველგან
დაუთავარებლად დარჩენილ სურათს.

გაუგებარია, ვინ ან რას იხსენებდა.
იქვე ეკითხულობთ:
აიშლებოდა გუგუნი თ ცაში
მთხრალი მიწა, როგორც ზღვის ზვირთი.

გამოდის, თითქმის მიწა ცაზე იყოს ნაცვლად
ფორმისა „ცაში“ ავტორს უნდა ეხმარა „ცისკენ“.

იგრძნობ, ვოგონას ისე მოასწრეს,
რომ დაბრნიბამლე უკლდა პატარა.
(გვ. 115)

„უკლდა პატარა“ — არ იტყვიან; ამბობენ:
კოტალა უკლდა 140-ე გვერდზე გვევლება ასეთი
ადგილი:

და ანბანთან კიდელიში
თითქმის წერა ანბანის
თვითონ გამორიგონა.

გამოგონება შეიძლება თვით ანბანისა და არა
მისი წერისა.

ერთ დროს ვეყავი ელვარე და
გაბასრული... (გვ. 71)

ამბობს ხმალი... ხმალი ბასრი შეიძლება იყოს,
გაბასრული კი არა. გაბასრული ის იქნება, ვისაც
ბასრი ხმალი გავევოს.

გაუმართავია შემდეგი სტროფიცი:

რუ, შარადეამს, დაუმცხრალი
კლდის ნაპრალში გაყურდება,
თითქმის შეესვა მისი წყალი
ორაგულის ლაყურებში. (გვ. 76)

გაუმართლებელი გამოთქმებია აგრეთვე: „მო-
მილოცა მიწის ბარაქა“ (გვ. 66), „შესსიფრებას
გოლოცავ“ (გვ. 68). მსგავსი გამოთქმები კრე-
ბულში საკმაოდ გვხვდება.

ავტორი თითქმის ყოველთვის, „არ“ ნაწილაკის
ნაცვლად ხმარობს „აღარ“-ს (იტყვიან: იგი გზას
აღარ ასცდა“; „რომ ითვლიდვ ეღარ დამთ-
ლი“; „თუ საჭირო აღარ არი, რად დახატეს
წიწში ცხვარი“; „აღარ კარგავს იმედს ზურა“).
გვხვდება უმართებელი გრამატიკული ფორმე-
ბიც.

ზოგან ვხვდებით შეტად უცნაურ და შეუსაბამო შედარებებსაც.

როგორც ტახი ქანცვაკლილი თელემს მწვანილში სახამორა. („ბაზრობა თბილისში“).

ზოგჯერ ავტორი იმეორად ავებს წინადადებას, რომ აზრის გაგება ძნელდება და მხატვრული სახეც ბუნდოვანი გამოდის:

მოქონდა ვნებებს ურემი, ხარებს, ჯერაც უღელში კისერავაყრილებს,

ვხვთქებოდათ ტალა შეუხარეგ, როგორც სიცოცხლის მოპირდაპირე. (გვ. 105)

გაუგებარია გამოთქმა: „ვხვთქებოდათ ტალა შეუხარე, როგორც სიცოცხლის მოპირდაპირე“. ახალგაზრდა პოეტს შოთა აკობიას აქვს იმის უნარი, რომ ასეთი ნაკლოვანებანი დასძლიოს და მომავალში საბჭოთა მეთხველის წინაშე უფრო დახვეწილი ლექსებით წარსდგას.

შალვა ღლონტი

ა. კუშკინის „გოშავი“ და „კოლტავა“ ქართულ ენაზე



რუსული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში პოეტ კ. კუშკინამეს თვალსაზირო დაშვებებია მიუძღვის.

ასახან გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი გენიალური რუსი პოეტის ა. პუშკინის ორი პოემა: „ბოშევი“ და „კოლტავა“.

მიუხედავად იმისა, რომ პოემების ცალკეული ადგილები კარგადაა თარგმნილი, მთლიანად

ორივე პოემის თარგმანი არ იგრძნობა პუშკინის პოეზიის სიღაღე.

თარგმანის მთავარი ნაკლი ისაა, რომ სტრიქონების ვარიოშვას ეწირება დედნის სიზუსტე, ზოგჯერ შეინარსი, ლაკონიურობა, ენის სწრაფი და მოეუყნაოთ რამდენიმე მავალით „პოლტავას“ თარგმანიდან (რუსული ციტატები ამოღებულია 1936 წლის გამოცემიდან):

Но в горькой злобе свирепея,
Теперь поэму одному
Оно послушно; он голубит
Едину мысль и день и ночь:
Иль сам погибнет, иль погубит —
Отметит поруганную дочь. (560).

მაგრამ ამბავი იმას დღეისა
ყოფით ავსებდა, აქცევდა ხელად.
მან შერისებვის წყურვილი ავი
სულ უნდა ზარღოს და აძლიეროს,
უნდა წაავოს თავისი თავი,
თუ მტერს ვერ უზღავს სამავეროს (გვ. 37)

Но независимой державой
Украине быть уже пора;
И знамя польности кровавой
Я поднимаю на Петра.
Готово все: в переговорах
Со мною оба короля;
И скоро в смутах, в бранных спорах,
Быть может, трон воздвигну я.
Друзей надежных я имею:
Княгиня Дульская и с нею
Мой езуит, да иный сей
К концу мой замысел приводит.
Чрез руки их ко мне доходят
Наказы, письма королей.
Вот важные тебе признания.
Довольна ль ты? Твои мечтания
Рассеяны ль? (569).

საქირო არის მკლავი ტყინისა,
რომ ბორკილები უქრინისა
დაიმსხვრეს ამ ჩვენს რისხვიან დროში
თავისუფლების შემართულ დროშით.
დაუზოგავად სისხლისა მჩქეფეს (!)
ომს გაუშარათ მე პეტრე მეფეს.
შადა ვარ უყვე; ჩემთან არიან,
მოელი თავისი ძალით, ღრევი (!)
შეველთა ქვეყანა და პოლონეთი.
ხელს გამოვიღებთ — გაგებარაინ
მე აქ იმნაირ საქმეს მავიდენ,
რომ ეგებ მაღ ტახტზეც ავიღე-
როლი ვიშეღლი, მაგრამ ახლა კი
ვეტყვი მას, რასაც არ ვიტყვი სხვასთან:
თავადი დღესკის მეუღლე, მასთან
იეზუიტი და ის გლახაკი
მყენან დამხმარედ, მიაჭევი ღარულად,
მოკავშირენი რასაცა მწერენ,
და ჩემგან მიაჭევი ზსუსი მტრე.
მე გამოვიტყვი, ვეღვაბზარულად
ზარ კლავე ევეიო? (გვ. 47)

...Но броса взор на ложе,
 Мазепа думает: «О боже!
 Что будет с ней, когда она
 Услышит слово роковое?
 Досель она еще в покое —
 Но тайна быть сохранена
 Не может долее. Секира,
 Упав поутру, загремит
 По всей Украине. Голос мира
 Вокруг нее заговорит!» (576)

საწოლს დახედდა. ის გულში გმინავს,
 „ო, ღმერთო ჩემო, რა ტკბილად
 მავრამ შენ ამავეს გაიგებს მაღე, —
 იგი აწ ველარ დაიმალება:
 დილით ნაჯახის აგრილება
 შესძრავს მოლიანად უკრაინისა
 და მოაწყდება ამ ჩვენს ბინასაც!.. (გვ. 54)

დასასრულ ერთი პატარა ნიმუშიც:

Донос на Гетмана злодея
 Царю Петру от Кочубея. (583).

მას პეტრე მეფეს მიართვეს ზელში...
 თოკს წიქვერენ მახვას ყელში. (გვ. 39)

დამახინგებულთა აგრეთვე დედნის ცალკე სიტყვებისა და გამოთქმების შინაარსი:

Ты во дворце: ты знать должна (579)

თარგმანში ასე იკითხება:

..... უნდა იცოდე,
 შენც ამ სახმლით უნდა იწოდე (გვ. 57)

Домой приехал, «что Мария?»
 Спросил Мазепа. Слышит он
 Ответы робкие, глухие... (582).

როგორც კი მის წინ იღება კარი,
 იგი მარიას მუხისვე კითხულობს.
 პასუხის თქმასა ვერცენ კისრულობს,
 ღვანან მსახურნი თავდახრილები
 და თითქოს ენაჩეაღრღნილები (გვ. 60)

..... срок настал.
 Так, обо мне воспоминанье
 Хранить он будет конца. (588)

უკვე დარეკა საათმა, ვიცი,
 და სამშეიღობო გზას მე ავშორდა,
 დე, მიგონებდეს ღამეც და დღეცა
 ერთია პეტრეს იქ მოვეყალა. (გვ. 66)

Давно решилась непереложно
 Моя судьба. Давно горю
 Стесненной злобой. (587).

მე მრავალი რამ ამიტანია,
 მაგრამ ეს გული დიდი ხანია
 განსაკუთრებით დადავულია
 ერთი ფარული სიძულელითა (გვ. 66)

თარგმანში სრულიად არა ხანს პუშკინის ლექსის შეუღლებელი ლაქონიტრობა. დედნის
 მოუშველებლად მკითხველი ვერ შეძლებს შეიციოს პუშკინი, აგრძნოს მისი მხატვრული
 სიტყვის დინამიკიტრობა.

მოციყვანათ რამდენიმე მაგალითი:

..... Уже готов
 Он скоро брешный мир оставит;
 Снятой обряд он хочет править,
 Он архиепископа зовет
 К одру сомнительной кончины. (584).

ბედს არ უჩივის — მზად არის ახლა,
 რომ განუტეოს მან სული თვისი;
 მაგრამ სულს მაინც სკირდება შეელა
 და, რომ შესრულდეს წესები ყველა
 სივალდებულო და საქორონი,
 მან მღვდელმთავარის წვევა ინება (გვ. 62)

Трещет бунт осиротелый. (585)

თრთოლვა-ცახცახით მთლად ანატანს
 ამბობს დღეები დაუღვა შავი (გვ. 64)



Куда бежать нам от злоречья? (595).

Темнеет слава их знамен. (589).

И прям, и здоров, и молод стал. (585).

რამდენმა ჰორმა დავეგო მახე!
მაგრამ ტყუილმა შორს ვერ იაბა (გვ. 73) ნუსლი
ბიბლიოთეკა

მისდის მათ დროშებს ფერი ცხოველი (გვ. 67)

მოუშვდება ყველა იარა,
გაყმაწვილებულს და ბედნიერსა (გვ. 63)

არისშვიათია თარგმანში დედნისაგან გადახვევა-დამორება, რაც აუარესებს თარგმნის ზარბისს:

Нередко долгие беседы
Наедине вели они —
Пред Кочубеем гетман скрытный
Души мятежной, ненасытной
Отчасти бездну открывал
И о грядущих изменениях,
Переговорах, возмущеньях
В речах неясных намекал. (560).

ჩვეულებრივად აზრდაფარული,
მაზება გვერდით მეგობარს მუცდარსა
რალაც სიამით და სიხარულით
ფრთხილად უღებდა უფსკრულით კარსა.
იგი მომავალ საქმეს აქებდა,
თვით ივალებდა მის ერთგულებას,
თათბირებს, კავშირს თუ შეთქმულებას
ბუნდოვან სიტყვით ურაცებდა (გვ. 36).

Грозы не чужа между тем,
Неужасаемый ничем,
Мазена козли продолжает.
С ним полномощный сулит
Мятеж народный учреждает
И шаткий трон ему сулит. (563).

მაზებას ექვიც არ ებარება,
რა შავი ნისლიც თავს ეფარება,
და ვერავ საქმეს განაგრძობს ფრთხილად.
ივსუიტი მას ახლავს წარდილად
და ურწევს, ამბობს თუ რა სჭირდება,
თანაც მას მერყევ ტახტსა პირდება (გვ. 39).

Казак на север держит путь,
Казак не хочет отдохнуть
Ни в чистом поле, ни в дубравах,
Ни при опасной переправе. (562).

კასაკმა გააკრა ბედაურს ღეზი,
წარდილოეთისკენ აიღო გეზი.
წინ მოისწრაფის ამ გეზით სულ ის,
არა სურს არსად მის მოთქმა სულის (გვ. 39).

Я строю козли (574)

მე მტყუანი ვარ (გვ. 52).

არის აგრეთვე უთარგმნელად დატოვებული
შეიშენელოვანი ადგილები:

- ა) Могуч и радостен как бий. (590).
- ბ) Но время шло. (584).
- გ) В его душе проходят думы,
Одна другой мрачней, мрачней. (576).

ეს ორი სტიქიონი თარგმნილია ერთი სიტყ-
ვით: „ფიქრობს“ (გვ. 54).

- დ) Подумай: место нам назначь. (576).
- ე) Друзей надежных я имею. (569)
და სხვ.

გვხვდება რუსული სიტყვების არასწორი ტარ-
თული შესატყვისებაც
запустелый двор — ეზო წუნარი
(გვ. 72) бессильный гнев — გულისთქმა ცხელი
(გვ. 66) хитро облегли — ფრთხილად დასტო-

ლებია (გვ. 64), ахил хохон! — მხეცო (გვ. 53),
мрачно — გამაბრტყებით (გვ. 50).

გეოგრაფიული სახელი Белая Церковь თარგ-
მნილია „თეთრი საყდრად“ (გვ. 50); Богат и
знатен Кочубей — კონუბეია მდიდარი ქვე-
ლი (გვ. 32); кориун — ქორი (უნდა იყოს ქერა),
тм... заклевал — მიგყავდა ფრენით (გვ. 36).

სწორად არსებით სახელს მთარგმნელი ურთავს
შსაზღვრებს რომელიც დედანში არ არის: уся
раскрылся — მას ვარდის ფერი გახსნია პირი
(გვ. 55) читает приговор — ეთხულობენ შევ-
ბნულ განაჩენს (გვ. 57); Украина — სრულად (!)
უკრაინაში (გვ. 63); Из шатра мегуери (თუ სა-
მეფო?) კარვლიან (გვ. 65) и дом, и сад уединен-
ный — სახლი მდუმარე, ბაღნარი მშენარი
(გვ. 72); он... одним отвечает молчаньем —
სდუმს მაზება მწყრალი (გვ. 45).
აღგავალე მოიკლებს თარგმანის ენა რომ-
გორც სტილისტურად, ისე ლექსიკურად:
რისთვის მოსულხარ შენ ზემსა წინა? (გვ. 52).

ნუ ზეშრობ, თუ კი არ გვაშება
 კოდე ახალი რამე წამება (გვ. 53).
 ...ო, ტანჯვა შავი
 მაგრამ ვეტმანი? გრძნობს გულის ტყენას?
 საღ მოარიდა ბორცოთა თავი
 თვისი გველური სინდისის კბენას? (გვ. 54).
 იგო, ვეტმანი რა სასტიკია,
 თავის მტრებს ატებს რა რისხვის წეამს,
 როგორ უჯგერის ხელმწიფე იმას? (გვ. 57).

...ხელში ნაღდი სიმართლის მტერი
 (გვ. 58).

პრელობენ ქულნი ნაირნაირად (გვ. 58).

ანალოგიური მდგომარეობაა „ბოშების“ თარგმანშიც.
 ამის დასადასტურებლად დავიშოვით ერთი მაგალითიც.

Но все так живо — неспокойно,
 Так чуждо мертвых наших нег,
 Так чуждо этой жизни праздной,
 Как песнь рабов однообразной. (529).

...დიდებულთა გუნდით ხლებულუ (გვ. 53) უკვე
 მიაღრენს მისკენ საქმროთუ (გვ. 53) და სსვ.

არის აშკარა გრამატიკული შეცდომებიც.
 მაგალ., 47-ე გვერდზე სწერია: ღონეთი „ლო-
 ნე“ ფუძევეყნადი სახელია და მოჭედებით
 ბრუნვაში უნდა იყოს ღონით, ღონითა
 და არა ღონეთი.

მაგრამ სიჯარბე ცხოველ გრძნობისა
 სისხლს ახმაურებს, ძარღვებსა სუიავს,
 და ჩვენი მკედარი ცხოვრების დღენი,
 ნებურება და სიზანტე ჩვენი
 არ გვაგონებენ არაფრით იმას (გვ. 8).

• პეშკინის ორი პოემის ქართულ თარგმანს საფუძვლიანი გადამუშავება ესაჭიროება.

დოც. ა. ნიშიანი,
 დოც. ს. ჩხენკელი.



იოსებ ნონეშვილი — ლენინის ძეგლი, ლექსი	
ნიკოლოზ ნადირაძე — ლენინი, ლექსი	
როსტომ ზეენიშვილი — წყალდიდობა, მოთხრობა	
არჩილ სულაიაური — გაზაფხული ლენინის მოედანზე, ლექსი	34
ვასილ ცხოვრებოვი — ლენინის დროშა, ლექსი, თარგმანი ოსურიდან გივი ძნელაძისა	35
კონსტანტინე ფედოშო — ლენინის სურათი, მოთხრობა, თარგმანი დ. შენგელაიასი	36
ელიზბარ ზედგინიძე — ძმობის სინათლე, ნარკვევი	43
ელადიშერ შაიაკოვსკი — კეივი, ლექსი, თარგმანი ვ. ლაფერაშვილისა	53
ტატიან ტაბიძე — შეზღუდვები შაიაკოვსკისთან (ნაწყვეტი მოვონებიდან)	55
მანს კრისტიან ანდერსენი — მახინჯი იხვის ქუევი, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა	59
მანს კრისტიან ანდერსენი — ბუბუბუ, თარგმანი გერმანულიდან შოთა ძიჭივურისა	65

მ. ი. ლენინის დაბადებიდან 85 წლისთავისათვის

ნ. ჩერქეზიშვილი — ვ. ი. ლენინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელია	72
გ. სიხარულიძე — ვ. ი. ლენინის დირექტორები სოციალიზმის მშენებლობის შესახებ საქართველოსა და იმერკავკასიაში	81

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბესარიონ ეფენტი — ვ. შაიაკოვსკის შემოქმედებითი ტრადიციები და ქართული საბჭოთა პოეზია	94
ნ. გურბანიძე, თ. ჯანელიძე — ვ. შაიაკოვსკის დრამატურგია	105
ნოდარ ჩხეიძე — მანს კრისტიან ანდერსენი	111
გ. კალანდაძე — ქართული ზალხური საგმირო ბალადები	115
გიორგი მარგველაშვილი — იდეალისტური ესთეტიკის ერთი რეციდივის გამო	124
გ. მერკვილიძე — ზენწეუბი ს. კვიციას წიგნზე — „ქართული და საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“	133
ოთარ დოლაბერიძე — ვ. შაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში	137

ბიბლიოგრაფია

ვ. ონიანი — ვ. ი. ლენინის მიერ ნაროდნიკობის იდეური განადგურება	143
ვალ. რამიშვილი — ი. გოგებაშვილის თხზულებათა მეორე ტომი	145
როდონ კორქია — ივ. ურჯუელაშვილის საბავშვო მოთხრობები	148
ზურაბ კუმბურაძე — მოთხრობა თანამედროვე საკულმურწერ სოფელზე	149
შ. კახაბერიძე — ახალი საენათმეცნიერო ნაშრომები	151
მალვა ღლინტი — შოთა აკობის ლექსების კრებული	153
ა. ნეიშანი, ს. ჩხენკელი — ა. პუშკინის „ბოშები“ და „პოლტავა“ ქართულ ენაზე	155
ახალი წიგნები	160

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი) კ. ლორთქიფანიძე, პ. რატინი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უფ 03803 შეკვეთა № 231. ტრაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოთეკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა

პოლიტიკური ლიტერატურა

- ი. ბ. სტალინი — თხზულებანი ტ. 4, ფასი 6 მან.
- ი. ბ. სტალინი — მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, ფასი 90 კაპ.
- ლ. ხარაშია — დეკაბრისტებზე საქართველოში, რედაქტორი გ. ზაქაბერიძე, ფასი 3 მან. 65 კაპ.
- გ. პაჩკაძე — მასალები ქართლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ, რედაქტორი მ. კორმახია, ფასი 2 მან. 45 კაპ.

მხატვრული ლიტერატურა

- ი. ქვეციავაძე — თხზულებანი ტ. 4, რედაქტორი პ. ინგოროყვა, ფასი 20 მან.
- კ. კალაძე — ერთბაშევი, რედაქტორი ი. ზოშტარია, ფასი 7 მან. 65 კაპ.
- შ. ფორჩხიძე — ცისფერ ვახუშტი, რედაქტორი გ. ხუხაშვილი, ფასი 4 მან. 10 კაპ.
- ი. თარბა — ორი ზღვა, რედაქტორი კ. ბობოხიძე, ფასი 2 მან. 75 კაპ.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა

- გ. აბესაძე — პეტრევილი და მარცვლელი პარკოსანი კულტურები, რედაქტორი ც. ფირცხალავა, ფასი 4 მან. 50 კაპ.
- გ. გურგენიძე — საკაშვარო სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიწაწილად შეცხოველებები, რედაქტორი მ. ტყემალაძე, ფასი 75 კაპ.
- ა. დარჩიაშვილი, ა. ოსიაშვილი — ფრინველთა ავადმყოფობანი და მასთან ბრძოლა, რედაქტორი მ. ხუხუნიანი, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ა. ჯაფარიძე — მეთამბაქოეობა, რედაქტორი ც. კვიციანიძე, ფასი 3 მან. 90 კაპ.
- ი. ნაკაძე — ადგილობრივი სასუქები, რედაქტორი შ. ჭანიშვილი, ფასი 4 მან. 50 კაპ.

საბლიტბამი

- ბ. ბერუღაძე — მზეონას წიგნი, რედაქტორი ჭ. ქუჩუკაშვილი, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- ა. დოღე — კაცუნა, რედაქტორი ჭ. ქუჩუკაშვილი, თარგმანი თ. კვიციანი, ფასი 8 მან. 25 კაპ.
- ი. ვახიშვილი — ორი მოთხრობა, რედაქტორი ე. ჭელიძე, თარგმანი ა. ზარაფიშვილისა, ფასი 3 მან. 20 კაპ.
- ა. დოღე — გრაფი მონტე კრისტო, რედაქტორი გ. ქვიციანი, თარგმანი თ. საყვირია, ფასი 20 მან. 40 კაპ.
- ე. ვარდანიანი — ხევი ძვირფასი სტუმრები, რედაქტორი ჭ. ნადირაძე, თარგმანი ა. დავითიანი, ფასი 1 მან.
- რ. თაყაიშვილი — გასართობი, რედაქტორი ტ. ტყემალაძე, ფასი 1 მან. 60 კაპ.

მედიკამენტოლოგია

- ი. ნიკოზაძე — საირმე, რედაქტორი ა. წულუკიძე, ფასი 1 მან. 35 კაპ.
- ვ. ჯოჯოელი — გავრა, რედაქტორი ს. საყვარელიძე, ფასი 2 მან.
- დ. მამათაყარიანი — გ. მუხამბის ცხოვრება და მოღვაწეობა, რედაქტორი კ. ერასთავი, ფასი 2 მან.
- თ. სულაველიძე — ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის სუნამოები, რედაქტორი ა. სათიანი, ფასი 30 მან.



ფან 8 ა.

6/12/53 5.4/202



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„მნატობი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ